საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

უ. სიდამონიძე

საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია

(1917—1921 წწ.)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1970

9 (с 41)
ს 477

წიგნში გაშუქებულია 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტული და ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია; მოცემულია მარქსისტული კონცეფციის ჩასახვა-განვითარების ისტორია და განხილულია ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიოგრაფიული შეხედულებანი.

რედაქტორი პ. რატიანი

1—6—1
164—69 ადვ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ სამ წელზე მეტი ხნით დაიგვიანა. საქართველოს ისტორიის ამ ხანმოკლე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან და მღელვარე პერიოდს ისტორიკოსები ხან მენშევიკების ბატონობის, ხან საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის, ხან კიდევ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდს უწოდებენ. საქართველოს ისტორიის ამ ხანას დიდი ინტერესით იკვლევდა და იკვლევს როგორც საბჭოთა, ისე ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერება. 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის შესწავლას მრავალი წერილი, სტატია და მონოგრაფია მიეძღვნა. ისტორიის მრავალი საკითხი კარგად, საფუძვლიანად არის შესწავლილი; მრავალი პრობლემა კვლავ ელის თავის მკვლევარს. გაიზარდა ისტორიკოსთა მთელი თაობა, რომელიც საგანგებოდ სწავლობს საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს.

1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის შესწავლას თავისი ისტორია აქვს, აღსავსე შინაგანი განვითარებით, იდეათა და მიმართულებათა ბრძოლით, ჩავარდნებითა და წარმატებებით. წინამდებარე ნაშრომის თემა ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფიაა. საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ, ვიდრე აღნიშნული საკითხის შესწავლის დღევანდელ დონეს მიაღწევდა და საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მარქსისტულ კონცეფციას შექმნიდა, დიდი ბრძოლა გადაიტანა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ამ ბრძოლის პარალელურად საბჭოთა ისტორიული მეცნიერება ებრძოდა სხვადასხვა ანტიპარტიულ მიმდინარეობებს — ტროცკიზმს, ნაციონალ-უკლონიზმსა და სხვ. ამ ბრძოლაში ჩამოყალიბდა, შეიქმნა 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის მარქსისტული კონცეფცია.

ცხოვრებამ მოითხოვა, რომ მარქსისტებს მაშინვე, მენშევიკებთან და არაპროლეტარულ პარტიებთან ბრძოლის დროს, შეექმნათ და

მასებისათვის მიეწოდებინათ მრავალ საჭირბოროტო საკითხზე დაწერილი წერილები, სტატიები. რატომ დაიგვიანა სოციალისტურმა რევოლუციამ საქართველოში? რატომ ჰქონდათ მენშევიკებს გავლენა საქართველოში? საით მიდიოდა ქვეყნის ისტორიის განვითარება? მალე გაიმარჯვებდა თუ არა ქვეყნად საბჭოთა ხელისუფლება? და სხვა მრავალი კითხვა მოითხოვდა პასუხის გაცემას. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საქართველოსა და კავკასიის ბოლშევიკ მოღვაწეებს, მარქსისტ პუბლიცისტებს მოუხდათ. ისინი საზოგადოების მოთხოვნებს სწრაფად გამოეხმაურნენ და ცდილობდნენ საქართველოს მშრომელებისათვის ქვეყნად შექმნილი ვითარება პოპულარული ფორმით აეხსნათ.

ქართველი მარქსისტების მუშაობა მაშინდელ პირობებში გართულებული იყო. ქართველი კომუნისტები უმთავრესად საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწეობდნენ. ხელი არ მიუწვდებოდათ არქივებზე, პერიოდულ გამოცემებსა და ისტორიკოსებისათვის მეტად საჭირო სხვა მასალაზე. ამავე დროს კი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული და, უპირველესად, მენშევიკური ისტორიოგრაფია დროს არ კარგავდა. მას საამისოდ კარგად მომზადებული კადრები ჰყავდა. მის ხელში იყო საქართველოს არქივები, მის თვალწინ იქმნებოდა ისტორია; ჰქონდათ ბეჭდვის შესაძლებლობა. მაღალკვალიფიცირებულ, პროფესიონალ ისტორიკოსებს, პუბლიცისტებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ საჭირო იყო კარგი წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა. 1918—1921 წლებში მათ გამოსცეს დოკუმენტების არაერთი კრებული 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიიდან. წყაროთა ეს პუბლიკაცია ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული კონცეფციის დასაბუთებას ემსახურებოდა. ამასთან ერთად, არაპროლეტარული კლასების წარმომადგენლები ქმნიდნენ, მართალია, მცირე ფორმატის, უმთავრესად პუბლიცისტურ-პოლიტიკური ხასიათის ნაშრომებს, მაგრამ იქ მოცემული ისტორიული აზრი, ისტორიული კონცეფცია ავტორთა სოციალურ ინტერესებს ემსახურებოდა. ასე ჩაეყარა საფუძველი ამ პერიოდის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას.

ქართველმა მარქსისტებმა ბურჟუაზიისა და წვრილ ბურჟუაზიის ასეთ აქტიურ საქმიანობას თავდაპირველად ვერ დაუპირისპირეს სერიოზული ისტორიული ნაშრომები. ქართველი ბოლშევიკები წერდნენ მხოლოდ პუბლიცისტურ, პოპულარულ წერილებს და მასაც, უმთავრესად, საქართველოს საზღვრებს გარეთ, ამიტომაც იგი ნაკლებ ხელმისაწვდომი იყო ქართველი სახოგადოებისათვის. ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, პ. ჯაფარიძე, მ. ტოროშელიძე და სხვები პირველნი იყვნენ, რომლებიც საგაზეთო წერილებით ცდილობდნენ 1917-1921 წლების სა-

ქართველოს ისტორიაზე ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიკოსების თუ პუბლიცისტების შეხედულებებისათვის დაპირისპირებინათ ისტორიული განვითარების მარქსისტული კონცეფცია.

1917-1921 წწ.-ის საქართველოს ისტორიის ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიას საფუძველი ჩაეყარა საქართველოში იმავე პერიოდში — 1917-1921 წლებში, მაგრამ ივი მყარ მეცნიერულ ნიადაგზე მხოლოდ 1921 წლის თებერვლის შემდეგ დადგა. ქართველი მარქსისტების ამოცანა იყო ეჩვენებინათ, დაესაბუთებინათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აუცილებელი და გარდაუვალია, ხოლო მენშევიკების ბატონობა დროებითი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ისტორიაში. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მარქსისტულ ისტორიოგრაფიას ბრძოლა მოუხდა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიათა ნაშთებთან. ქვეყნის გარეთ ისინი ებრძოდნენ ემიგრაციაში გადახვეწილ მენშევიკებს, ბურჟუაზიას, თავადაზნაურობას, უცხოეთის ბურჟუაზიის იდეოლოგებს, მათ ისტორიკოსებს. მარქსისტული ისტორიოგრაფიის მტრებს კარგი მომზადება ჰქონდათ და მათი ისტორიკოსები აქტიურად გამოდიოდნენ კალმით ხელში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მათი ნაშრომები, მემუარული ლიტერატურა 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიაზე (ნ. ჟორდანია, ზ. ავალიშვილი, გ. მაჭნიაშვილი და სხვები) მოითხოვდა სათანადო პასუხს. ამავე დროს პარტიის შიგნით აქტიურად გამოდიოდნენ ტროცკისტები და სხვა ანტიპარტიული დაჯგუფებანი, რომლებიც ცდილობდნენ შეექმნათ ისტორიის განვითარების მათთვის სასარგებლო კონცეფცია. მარქსისტებისაგან ესეც მოითხოვდა სათანადო პასუხს. ეს რთული საქმე იყო განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც მარქსისტებს არ ჰყავდათ საამისოდ მომზადებული ისტორიკოსთა კვალიფიცირებული კადრები. ქართულმა საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ რთული გზა განვლო და დღეს საბჭოთა ისტორიკოსების წინაშე ამოცანად დგას განვითარების ამ გზის შესწავლა.

* * *

ბოლო წლებში ისტორიულ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ისეთ მეცნიერულ პრობლემებს, მეცნიერების ისეთ დარგებს, რომლებსაც ადრე ნაკლებად სწავლობდნენ. ერთ-ერთი ასეთი დარგია ისტორიული მეცნიერების ისტორია. დღეისათვის ისტორიული მეცნიერების ისტორიის შესწავლა ისტორიული მეცნიერების განვითარების კანონზომიერი შედეგია, მისი შემოქმედებითი აღმავლობის მაჩვენებელია.

საბჭოთა ისტორიკოსებმა გამოაქვეყნეს არაერთი ნაშრომი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ისტორიის პერიოდიზაციასა და მეცნიერების შემდგომი განვითარების საკითხებს. პერიოდიზაციის გარეშე გაძნელდებოდა ისტორიული მეცნიერების თანამიმდევრული ისტორიის დაწერა. საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებას თავის განვითარებაში აქვს პერიოდები, ეტაპები, მობრუნების პუნქტები, ერთი იდეოლოგიის დამარცხებისა და მეორის გამარჯვების ხანა და სხვ. ამიტომ, როცა ვსწავლობთ ისტორიული მეცნიერების ისტორიას, ისტორიული აზრის განვითარების ისტორიას, საჭიროა გამოიყოს მის განვითარებაში პერიოდები, გარდატეხის მომენტები. რუსმა საბჭოთა ისტორიკოსებმა ამ საკითხზე ბევრი იმსჯელეს და საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ისტორიის განვითარების პერიოდებიც ძირითადად მოხაზეს[1].

საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიოგრაფია ცენტრალური და აქტუალური პრობლემაა. ასეთივე როლი მიეკუთვნება 1917-1921 წწ. საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფიას ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ისტორიაში. ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში 1917-1921 წლების ისტორიოგრაფია 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისთანავე ჩაისახა. ეს ისტორიოგრაფია საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ტოლია. ამიტომაცაა, რომ ისტორიული მეცნიერების ყველა ჩავარდნა თუ წარმატება, მისი ყოველი ეტაპი, ასევე მკვეთრად და კარგად ჩანს 1917-1921 წწ.-ის საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფიაში.

1917-1921 წლების ისტორიოგრაფიაზე დიდ გავლენას ახდენდა იმ დროის საქართველოში (1917-1936 წწ.) მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, პოლიტიკურ მიმდინარეობათა ბრძოლა, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, მისი განმტკიცებისათვის, ქართველი სახელმწიფოებრიობის აღდგენისა (1917-1918 წწ.). და ახალი, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისათვის. ისტორიული აზრი ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენაზე, ფაქტზე, ისტორიულ პროცესზე თავს იჩენდა პუბლიცისტიკაში, პოლიტიკურ პოლემიკაში; მაგრამ ეს ისტორიული აზრი ძალზე ხშირად მოკლებული იყო წყაროთმცოდნეობის ბაზას. ისტორიული აზრის განვითარება წყაროთმცოდნეობის ბაზის განვითარებაზე იყო დამოკიდებული. ბევრი, მაშინდელ საქართველოში შექმნილი ამა თუ იმ მოვლენის ისტორიული კონცეფცია და ხშირად

---

1 სსრკ ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკვევები, ტ. I—IV, (რუს. ენაზე).

ისეთიც, რომელსაც წყაროებით დასტური არ ჰქონდა, დიდხანს ცოცხლობდა (და ზოგიერთი მათგანი დღესაც ცოცხლობს) ისტორიულ მეცნიერებაში. ამგვარად, პოლიტიკა, იდეური ბრძოლა ბევრად განსაზღვრავდა ქართულ ისტორიულ აზრს, ისტორიულ კონცეფციას და იმავე პოლიტიკისა თუ იდეური ბრძოლის შედეგი იყო წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნაც. პოლიტიკური მიზნებით აქვეყნებდნენ როგორც მარქსისტი, ისე ბურჟუაზიული ისტორიკოსები საბჭოთა ისტორიოგრაფიის გარიჟრაჟზე დოკუმენტებსა და მასალებს.

ჩვენი აზრით, ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების ეტაპები, მისი პერიოდიზაცია, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ისტორიული მეცნიერების პერიოდიზაცია, ემთხვევა 1917-1921 წწ. საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფიის პერიოდიზაციას.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ისტორიის განვითარებაში ღღესდღეობით აღიარებულია სამი პერიოდი: საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების პირველი პერიოდი იწყება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან და მთავრდება სოციალისტური საზოგადოების აშენებით. ქრონოლოგიურად ეს არის 1917-1936 წლები. საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების ეს ორი ათეული წელი დიდ ინტერესს იწვევს და წარმოადგენს ყველაზე მძიმე პერიოდს ისტორიოგრაფიული კვლევისათვის. ამ პერიოდში ჩაისახა და ჩამოყალიბდა საბჭოთა ისტორიული მეცნიერება, ჩამოყალიბდა მისი ძირითადი ნიშნები და თავისებურებები[2]. იდეურ ფრონტზე მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა. ამ ბრძოლას არ შეეძლო მთელი სიმძლავრით თავი არ ეჩინა ისტორიულ მეცნიერებაში. ამ ხანებში საბჭოთა ისტორიკოსები მწვავე ბრძოლას ეწეოდნენ სოციალისტური რევოლუციის ისტორიის ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ კონცეფციების წინააღმდეგ.

მეორე პერიოდი არის სოციალიზმის აშენების შემდგომი ხანა. ქრონოლოგიურად ეს პერიოდი მოიცავს 1936-1956 წლებს. 1934-1936 წლები საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გარდატეხის წლებია. ამ წლებში ჩატარდა მ. პოკროვსკის შეცდომათა კრიტიკა და მოხდა მობრუნება მარქსისტულ-ლენინური ისტორიული კონცეფციის უფრო ღრმა შესწავლისაკენ. ამ პერიოდში გაიზარდა ისტორიული მეცნიერების მნიშვნელობა. საბჭოთა ისტორიკოსებმა კონკრეტულ ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით დაიწყეს კაცობრიობის ისტორიაში საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების კანონზომიერების შესწავლა. მ. პოკროვს-

---

2 სსრკ ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. მ., 1966, გვ. 3 (რუს. ენაზე).

კის სკოლის შეცდომების კრიტიკასთან ერთად ჩვენი ისტორიკოსები ეწეოდნენ პოზიტიურ მუშაობას[3].

1956 წლიდან საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ისტორიაში ახალი, მესამე, პერიოდი იწყება. ამ პერიოდში გაიშალა ფართო პროცესი ახალი შრომების შესაქმნელად. საბჭოთა ისტორიკოსები ასწორებდნენ ადრე დაშვებულ შეცდომებსა და დამახინჯებებს. ამ შეცდომათა ლიკვიდაცია ხელს უწყობდა ისტორიკოსების შემოქმედებით აქტივობას, ისტორიული მეცნიერების მთელი რიგი დარგების გამოცოცხლებას, მეცნიერების ახალი დარგების შექმნას. გამოქვეყნდა მრავალი ფუნდამენტალური ნაშრომი, რომელიც ეყრდნობა წლების მანძილზე მოპოვებულ მონაცემებსა და დასკვნებს. ამ პერიოდში გამოცემული შრომები ჩვენი ისტორიული მეცნიერების სიმწიფეს მოწმობს.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების პირველ პერიოდში (1917-1936 წწ.) დაიწყო 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის შესწავლა, ჩაისახა და ჩამოყალიბდა მარქსისტული ისტორიული კონცეფცია 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიაზე. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საქართველო ჩამოსცილდა საბჭოთა რუსეთს. როცა საბჭოთა რუსეთში საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებას, მაშინ საქართველოში ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები ბატონობდნენ. ამისდა მიუხედავად, ქართველი კომუნისტები, ქართველი მარქსისტი პუბლიცისტები საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში პირველ მარქსისტულ ისტორიულ აზრს ქმნიდნენ 1917-1921 წლებში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე. ეს მუშაობა წარმოებდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. საქართველოს საზღვრებს გადაღმა. მარქსისტი პუბლიცისტები, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის პირველ მკვლევარნი, პარტიულ პრესაში გამოდიოდნენ წერილებით, სტატიებით, აფასებდნენ შექმნილ მდგომარეობას, გამოთქვამდნენ აზრს ქვეყნის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. ასე ჩაეყარა საფუძველი პრობლემის ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას.

ასეთი ვითარება 1921 წლამდე გაგრძელდა. შემდეგ კი გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ და პროლეტარული დიქტატურის დამყარე-

---

3 მ. ნ ე ჩ კ ი ნ ა, საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ, ჟურ. „История СССР", 1960, 1.

ბასთან ერთად საბჭოთა საქართველოში ფართო გზა მიეცა მარქსისტული ისტორიული მეცნიერების განვითარებას.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების პირველ პერიოდში მარქსისტი ისტორიკოსების კვლევის სფერო, შესწავლილი საკითხების წრე, ვიწრო იყო; ძირითად ყურადღებას მარქსისტი ისტორიკოსები მიაქცევდნენ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის რევოლუციური მოძრაობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიას. მარქსისტმა ისტორიკოსებმა პირველი წარმატებებიც ამ საკითხების შესწავლაში მოიპოვეს.

1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის შესწავლის ისტორიის პირველი პერიოდი სამ ეტაპად უნდა გავყოთ. პირველი ეტაპი 1917-1921 წლებია, როდესაც მიმდინარეობდა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

1917-1921 წწ. საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფიის დანარჩენი ორი ეტაპი ემთხვევა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების იმ პერიოდიზაციას, რომელიც რუსი საბჭოთა ისტორიკოსების ერთი ნაწილის მიერაა აღიარებული[4].

მეორე ეტაპი 1921 წელს — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების წელს დაიწყო და დამთავრდა 20-იანი წლების შუა ხანებში. ამ პერიოდში ყალიბდებოდა მარქსისტული ისტორიოგრაფია. ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები, არაპროფესიონალები, აგროვებდნენ მასალას, სცემდნენ ისტორიული ხასიათის კრებულებს; რევოლუციის მონაწილეები წერდნენ მოგონებებს, აქვეყნებდნენ დოკუმენტებს უმთავრესად რევოლუციური ბრძოლის ისტორიიდან. ამ დროს გადაიდგა პირველი ორგანიზაციული ნაბიჯები სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების შესაქმნელად. აღსანიშნავია ის, რომ 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩაბმული მარქსისტი პროფესიონალი ისტორიკოსები.

მესამე ეტაპი დაიწყო 20-იანი წლების შუა ხანებიდან და დამთავრდა 1936 წელს. ამ ეტაპზე მარქსისტული ისტორიული მეცნიერება ჩამოყალიბდა და მიმდინარეობდა მისი შემდგომი განვითარება. დიდი რაოდენობით ქვეყნდებოდა რევოლუციონერთა მოგონებები, საარქივო მასალები, დოკუმენტები. მარქსისტი მკვლევრები უკვე სერიოზულად, შედარებით ღრმად სწავლობდნენ 1917-1921 წლების ისტორიას. ამ ხანებში გამოქვეყნებულ ბევრ ნაშრომს მეცნიერული ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს. კვლევის მეთოდებით, საქმეში მოზი-

4 სსრკ ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 3.

დული ახალი წყაროებით, პრობლემატიკის გაფართოებით, მეცნიერული შრომის ორგანიზაციაში მომხდარი არსებითი ცვლილებებით, პროფესიონალ ისტორიკოსთა საქმეში ჩაბმით განსხვავდებოდა ეს ეტაპი წინა ეტაპისაგან.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საქართველოს ისტორიკოსთა კადრების შემადგენლობაში. მეცნიერებაში მოვიდა ახალგაზრდობა, რომელმაც სათანადო სპეციალური მომზადება გაიარა უნივერსიტეტში, პარტიის ისტორიის კომისიაში, წითელ პროფესურაში. ისტორიკოსთა ეს კადრები კარგად იყვნენ დაუფლებულნი ვ. ლენინის მეცნიერულ მემკვიდრეობას, ვ. ლენინის ისტორიულ კონცეფციას. ისტორიკოსთა ახალგაზრდა კადრებმა ძველ მარქსისტ პუბლიცისტებთან, ძირითადად არაპროფესიონალ ისტორიკოსებთან ერთად დაიწყეს ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის ისტორიის მარქსისტული კონცეფციის შესაქმნელად. ამ წლებში 1917-1921 წწ. საქართველოს ისტორიის შესწავლა მიმდინარეობდა პარტიის შიგნით სხვადასხვა ანტიპარტიულ მიმდინარეობებთან ბრძოლაში.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე მყარად მოიკიდა ფეხი მარქსისტულმა კონცეფციამ. მარქსისტ ისტორიკოსთა მთელი თაობა მწვავე იდეურ ბრძოლას ეწეოდა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ისტორიკოსებთან. პარტიის შიგნით სხვადასხვა ანტიპარტიულ მიმდინარეობებთან, მაგრამ მარქსისტი ისტორიკოსები თვითონაც არ იყვნენ დაზღვეულნი სერიოზული შეცდომებისაგან. მათ მუშაობაში ხშირად იჩენდა თავს ისტორიული პროცესებისადმი ვულგარულ-მარქსისტული მიდგომა.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების ამ პერიოდში განვითარების სულ სხვა ხასიათი — დალმავალი გზა აქვს 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას. 1917-1921 წლებში ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიკოსები, პუბლიცისტები, პოლიტიკური მოღვაწენი დიდ მუშაობას ეწეოდნენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიული კონცეფციების შესაქმნელად და გარკვეული წარმატებაც მოიპოვეს როგორც ნაშრომების გამოქვეყნებით, ისე წყაროთმეცნიერების ბაზის შექმნით. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მათ საქმიანობას ბაზა გამოეცალა. ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ მოღვაწეთა ერთი ნაწილი საზღვარგარეთ ემიგრაციაში გადაიხვეწა და იქ მათი ისტორიკოსები და პუბლიცისტები ეწეოდნენ იდეურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მათი ისტორიული კონცეფციები 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიაზე, კვლავ ცოცხლობდა.

ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიკოსებისა და პუბლიცისტების ერთმა ნაწილმა უარყო ემიგრანტული ცხოვრება და დარჩა საქართველოში. ეს ისტორიკოსები თუ პუბლიცისტები ამ წლებში აქვეყნებდნენ ნაშრომებსა თუ მემუარულ ლიტერატურას. ისინი იძლეოდნენ ბურჟუაზიულ კონცეფციებს. მაგრამ ყველა ეს ნაშრომი თუ მოგონება გამოქვეყნდა მარქსისტ პუბლიცისტების კომენტარებითა თუ წინასიტყვაობით (მაგ., გ. მაზნიაშვილის, გ. ლასხიშვილის მემუარები და სხვ.). ხსენებულ მოღვაწეთა ერთმა ნაწილმა კი (მაგალითად, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები — თ. ღლონტი და სხვები) კავშირი გაწყვიტა წარსულთან, კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა და გარკვეული წელილი შეიტანა, როგორც ახალი საზოგადოების მშენებლობაში, ისე 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიაზე მარქსისტული კონცეფციის შემუშავებაში.

მარქსისტულ-ისტორიულ კონცეფციასთან ბრძოლაში 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ისტორიულ კონცეფციებს საფუძველი გამოცლილი ჰქონდათ და ეს კონცეფციები ისევე, როგორც მთელი ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერება ამ ბრძოლაში დამარცხდა.

ისტორიული აზრი, ისტორიული კონცეფცია მოცემულია როგორც ბოლშევიკურ, ისე ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიული პრესაშიც. დღესდღეობით ისტორიულ მეცნიერებაში ყალიბდება ახალი დარგი ე. წ. საზოგადოებრივი აზრის ისტორია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო პრესაა. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევდა გვერდი აგვევლო ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებში მოცემული ისტორიული კონცეფციებისათვის. მაგრამ იმის გამო, რომ ჯერ ერთი, ჩვენთან ისტორიული მეცნიერების ეს ახალი დარგი არ არის განვითარებული, მეორეც ის, რომ ქართველ ისტორიკოსებს, პუბლიცისტებს, თავიანთი მუშაობის მძიმე წლებში მოსაზრებათა გამოთქმა ხშირად უხდებოდათ პრესაში. რომ გაზეთებში გამოქვეყნებული ვრცელი წერილები უფრო ხშირად ისტორიული ხასიათის ნაშრომებია, ამიტომ ამა თუ იმ აზრის გასარკვევად ზოგჯერ პრესასაც მივმართავთ. მაკრამ აქ ჩვენ მაინც შევიზღუდეთ იმით, რომ ისტორიულ კონცეფციებს ვიღებთ მხოლოდ ისეთი წერილებიდან, რომლებსაც აშკარად ისტორიული ნაშრომის ხასიათი აქვთ, ან ქმნიან პირველ ისტორიულ აზრს ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და რომელთაც საერთოდ გარკვეული როლი შეასრულეს ამა თუ იმ ისტორიული კონცეფციის, ისტორიული აზრის ჩამოყალიბებაში. მართალია, პრესაში გამოქვეყნებული პარტიული და პოლიტიკურ-პუბ-

ლიცისტური წერილები გარკვეულ მიზანს — პროპაგანდასა და მოწინააღმდეგესთან პოლემიკას ისახავდა. მაგრამ იქ მოცემული შეხედულებების ერთმა ნაწილმა შემდეგში ისტორიკოსთა ნაშრომებშიც გადაინაცვლა. მხოლოდ წმინდა „აკადემიური“ ლიტერატურით შემოფარგვლა გააღარიბებდა პრობლემის ისტორიოგრაფიას.

აქვე შევნიშნავთ შემდეგს: მართალია, პრობლემის ისტორიოგრაფიის ცალკეული საკითხები გაშუქებული აქვთ ქართველ ისტორიკოსებს თავიანთ ნაშრომებში (ნ. მახარაძემ, აკ. სურგულაძემ, ი. კაჭარავამ ისტორიოგრაფიის მიმოხილვაც გააკეთეს), მაგრამ ასეთი სახის ნაშრომის — 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის ქართული ისტორიოგრაფიის დაწერის ცდა პირველია. ჩვენ ვეცდებით ისტორიზმის პრინციპის დაცვით თვალი გავადევნოთ ისტორიულ კონცეფციათა ჩასახვა-განვითარების პროცესს. მეცნიერულ ბრუნვაში შემოგვაქვს მრავალი მასალა, რომელიც დღემდე მკვლევართა ყურადღებას ნაკლებად მიიქცევდა. ეს მასალა უმთავრესად ქართული ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული მოღვაწეების ისტორიული თუ პოლიტიკურ-პუბლიცისტური ხასიათის ნაშრომებია. ჩვენი ისტორიკოსები, სხვადასხვა მიზეზების გამო, ამ ნაშრომებს გვერდს უვლიდნენ, მივიწყებული ჰქონდათ ისინი. ქართული საბჭოთა ისტორიული აზრის ერთ-ერთ სუსტ მხარედ ითვლება ის, რომ არ სწავლობდნენ XX საუკუნის ქართული ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული აზრის ისტორიას, და, ცხადია, ისტორიული აზრის განვითარებასაც. დღეს შექმნილია იმის პირობები, რომ მარქსისტული ისტორიული აზრის შესწავლისას სრული სერიოზულობით იქნეს გათვალისწინებული მოწინააღმდეგე მხარის — ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიის ისტორიული კონცეფციებიც.

ქართული ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული ისტორიული აზრის კრიტიკა ხშირად ზედაპირული იყო და მას დამაჯერებლობა აკლდა. მეცნიერული არგუმენტაციის ნაცვლად უფრო ხშირად ადგილი ჰქონდა სიტყვიერ ლანძღვას ან მასალათა ცალმხრივ წარმოდგენას. ეს უარყოფითი ჩვევები ჩვენმა ისტორიულმა მეცნიერებამ მარქსიზმის ვულგარიზატორებისაგან მიიღო. საბჭოთა ისტორიული მეცნიერება გზადაგზა თავიდან იცილებს მარქსისტულ ისტორიული მეცნიერების გარიჟრაჟზე მარქსისტი ვულგარიზატორების მიერ თავს მოხვეულ „კონცეფციებს“.

ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად არჩევდნენ, ან სულ არ არჩევდნენ ურთიერთისაგან ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას. ბევრი ქართველი ისტორიკოსი, პუბლი-

ცისტი დემოკრატი, პროგრესულად მოაზროვნე იყო, და, არც თუ იშ-ვიათად, ამ დემოკრატებისა და პროგრესული ადამიანების იდეებს ვერ არჩევდნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრების იდეებისაგან. დღეს, საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში უკვე გვაქვს დიფერენცირებული მიდგომა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიული შეხედულებებისადმი. ეს დიფერენცირებული მიდგომა განისაზღვრება იმ სოციალურ საყრდენ კლასთან დამოკიდებულებით, რომელსაც ასახავს ესა თუ ის ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობა. ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერება, რომელიც სწავლობდა 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიას, ნაკლებად არჩევდა ურთიერთისაგან მენშევიკებს, სოციალისტ-ფედერალისტებს, ეროვნულ-დემოკრატებს, მაშინ, როდესაც მათი კლასობრივი ბაზა სულ სხვადასხვა იყო. დღეს ჩვენი ისტორიული მეცნიერება განვითარების ისეთ სიმაღლეზეა ასული, რომ დრეა გავარჩიოთ სოციალური ფენები, ამ ფენების ინტერესების დამცველი პარტიები, მოღვაწენი. ისტორიული კონცეფციების ასე წარმართული კრიტიკა უფრო კვალიფიცირებული, უფრო საქმიანი იქნება. სხვაგვარი კრიტიკული მიდგომა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიული შეხედულებებისადმი, დაბალი პროფესიულობისა და თეორიული მომზადების დაბალი დონის შედეგი იყო; ეს იყო მოწინააღმდეგისაგან მხოლოდ „მორალური" გამიჯვნა და არა თეორიული ბრძოლა. ასეთი „მორალური" გამიჯვნა კი საკუთარი პოზიციების დასუსტებას ნიშნავდა[5].

ამგვარად, 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიაზე, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიაზე საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების პირველ პერიოდში — 1917—1936 წწ. არსებული სხვადასხვა იდეურ მიმართულებათა ისტორიული კონცეფციების გარკვევა, მარქსისტული ისტორიული კონცეფციის ჩამოყალიბების პროცესისათვის თვალის გადევნება, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის შესწავლის ცდა, დაბოლოს, ისტორიული აზრის შემქმნელთა წარმოჩინება — ასეთია ამ წიგნის მიზანი.

---

5 იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 50, გვ. 182—183 (რუსულ ენაზე).

თავი პირველი

1917 — 1921 წლების საქართველოს ისტორიის ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფია

§ 1. საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიის მარქსისტული კონცეფციის ჩასახვა

1

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის მარქსისტული კონცეფციის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ნაშრომებმა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის იმ შრომებს, რომლებიც გამოვიდა 1917 წლის შემდეგ. 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე დიდი ხხით ადრე, ვ. ი. ლენინმა საფუძველი ჩაუყარა ისტორიულ მეცნიერებაში ლენინურ ეტაპს. მან შეიმუშავა ისტორიის პროცესებზე ზოგადი კონცეფცია, ხოლო 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მანვე მოგვცა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის, საბჭოთა საზოგადოების მშენებლობის ისტორიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის მარქსისტულ-ლენინური კონცეფციები. ვ. ი. ლენინის ნაშრომებმა და მათ ღრმა შესწავლამ უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში, საზოგადოდ, და კონკრეტულად კი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიაზე მარქსისტულ-ლენინური კონცეფციის შემუშავებაში. ვ. ი. ლენინის ეს შრომები არ იყო მარტო იდეურ-თეორიული ბაზა. ამ ნაშრომებმა დასახეს საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების გზები, მეცნიერული კვლევის გზები და მეთოდები.

ვ. ი. ლენინი ბევრს მუშაობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის შესასწავლად. მისი ნაშრომები „პროლეტა-

რული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი" (1918 წ.), „დამფუძნებელი კრების არჩევნები და პროლეტარიატის დიქტატურა" (1919 წ.), „საბჭოთა ხელმწიფის შესახებ" (1919 წ.), „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ" (1922 წ.) და სხვა, გზის გამკვლევი გახდა საბჭოთა ისტორიკოსებისათვის. ვ. ლენინის ნაშრომები იმის საუკეთესო მაგალითი იყო, თუ როგორ უნდა ემხილებინათ ანტიმარქსისტული ისტორიული კონცეფციები, თეორიები, როგორი კლასობრივი, სოციალური ახსნა უნდა მიეცათ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენებისათვის, ისტორიის პროცესისათვის.

ვ. ი. ლენინი მთელ რიგ ნაშრომებში, წერილებში, საუბრებში შეეხო საქართველოს მშრომელების ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ამ თხზულებებში გადმოცემულია ვ. ი. ლენინის შეხედულება საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის მთელ რიგ საკვანძო საკითხებზე. ის იძლეოდა ამ საკითხების მარქსისტულ გაგებას. მართალია, ეს წერილები, შენიშვნები რაოდენობრივად მცირეა იმასთან შედარებით, რაც ვ. ი. ლენინს გაკეთებული აქვს რუსეთის სოციალისტური რევოლუციის ისტორიაში, მაგრამ ის, რაც მან თქვა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიის შესახებ, დიდი შენაძენია საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ვ. ი. ლენინის ეს მოსაზრებები საფუძვლად დაედო საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის მარქსისტული კონცეფციის ჩამოყალიბებას.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის კავშირში იყო ქართველ ბოლშევიკებთან, კარგად იცნობდა ქართველი ხალხის რევოლუციურ ბრძოლას და ქართველ კომუნისტებს აძლევდა სასარგებლო რჩევა-დარიგებებს. იმ დროს, როდესაც საქართველოს შიგნითა თუ გარეთ მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა მენშევიკების ბოროტობის დასამხობად, ვ. ი. ლენინი თავის გამოსვლებში, სტატიებში, წერილებში აქტიურად გამოდიოდა ქართველი მენშევიკების წინააღმდეგ, ამხელდა მათი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხასიათს.

1918 წლის აგვისტოში, როცა საბჭოთა რუსეთი გარემოცული იყო მტრებით და საბჭოთა ხელისუფლება საფრთხის წინაშე იდგა, ვ. ი. ლენინმა დაწერა წერილი „ამხანაგო მუშებო! მოგიწოდებთ უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ"[1]. ამ პატარა წერილში მან მოგვცა რუსეთის გარეთა თუ შიგნით მტრული ძალების განლაგების სურათი,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 28.

ამ ძალების მიზნები და დაასაბუთა, რომ ისინი უძლურნი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა რუსეთს გარედან უტევდა ინგლის-საფრანგეთისა და იაპონია-ამერიკის იმპერიალიზმი; ინგლისელი და იაპონელი იმპერიალისტები იმედებს ამყარებდნენ საბჭოთა ხელსუფლების ძტრებზე — კულაკებზე, კაპიტალისტებზე. მემამულეებზე. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდა კულაკობა და რომ მას შესძლებოდა ძველი წყობის აღდგენა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობა რუსეთში, ის ბუშებისათვის კატორღას აღადგენდა, გააუქმებდა რვა საათიან სამუშაო დღეს, დაუბრუნებდა ფაბრიკა-ქარხნებს კაპიტალისტებს. ვ. ი. ლენინი პარალელს ავლებდა ახალ, სოციალისტურ რევოლუციასა და ძველ რევოლუციას შორის. „ასე იყო ევროპის ყველა წინანდელ რევოლუციაში, როდესაც კულაკები, მუშების სისუსტის გამო, ახერხებდნენ საქმის უკან შემობრუნებას — რესპუბლიკიდან ისევ მონარქიისაკენ, მშრომელთა ხელისუფლებიდან ისევ ექსპლოატატორების, მდიდრების, მუქთახორების ყოვლისშემძლეობისაკენ. ასე მოხდა ჩვენს თვალწინ ლატვიაში, ფინეთში, უკრაინაში, საქართველოში. ხარბი, გამტყვრალი მხეცი-კულაკობა ყველგან უერთდებოდა მემამულეებსა და კაპიტალისტებს მუშების წინააღმდეგ და საერთოდ ღარიბთა წინააღმდეგ. კულაკობა ყველგან გაუგონარი მძვინვარებით უსწორდებოდა მუშათა კლასს. იგი ყველგან უკავშირდებოდა **უცხოელ კაპიტალისტებს** თავისი ქვეყნის მუშათა წინააღმდეგ. ასე იქცეოდნენ და იქცევიან კადეტები, შემარჯვენე ესერები, მენშევიკები“[2].

აქ, ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა თუ როგორი იყო საქართველოში 1917-1921 წლებში კლასთა განლაგება და რა სოციალურ ძალებს ეყრდნობოდნენ ქართველი მენშევიკები — კულაკობას, მემამულეებს, კაპიტალისტებს. უცხოელ იმპერიალისტებს. მარქსისტული ისტორიული მეცნიერების უმთავრესი ამოცანა ის არის, რომ კლასობრივ ბრძოლაში გაარკვიოს ძალთა განლაგება. ვ. ი. ლენინმა ამ წერილში მოგვცა საქართველოში შექმნილი მდგომარეობის ანალიზი. ამან დიდი როლი შეასრულა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის მარქსისტული კონცეფციის ჩამოყალიბებაში

ქართველ ისტორიკოსებამდე ვ. ლენინის ეს წერილი ერთბაშად არ მოსულა. წერილი პირველად 1925 წელს გამოქვეყნდა. მისი შესწავლა, მოცემული დებულებების მეცნიერებაში გადატანა გარკვეულ

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 28, გვ. 48.

�оს მოითხოვდა. ასე, რომ წერილის დაწერიდან დიდი დრო გავიდა, ვიდრე ვ. ი. ლენინის ეს დებულებები ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ მდგომარეობას დაიკავებდა.

ხმიერკავკასიის სეიმმა იურიდიულად გააფორმა რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოცილება. სეიმმა ამიერკავკასია დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად გამოაცხადა. ამ რესპუბლიკამ თვეზე მეტხანს იარსება და 1918 წლის მაისში დაიშალა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად. ქვეყნის შიგნით ახალი ძალით გაჩაღდა კლასობრივი ბრძოლა. გაბატონებულ კლასებს არსებული მდგომარეობის შენარჩუნება გაუჭირდებოდათ გარედან მოსული დამხმარე ძალების გარეშე. კლასობრივი ბრძოლის მომენტი „საგარეო ორიენტაციაში" გამოვლინდა. საკუთარი სისუსტე მენშევიკებმა დაფარეს გერმანელი და ინგლისელი იმპერიალისტების მოწვევით[3].

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1918 წლის 29 ივლისს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში შესაფერისი ახსნა მისცა საქართველოს ფაქტიურ დამოუკიდებლობასა და მის (საქართველოს) ცხოვრებაში გარეშე ძალის, ინტერვენტების როლს. მან თავის მოხსენებაში აღნიშნა: „ჩვენ უკვე ძალიან კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავს იმპერიალისტური ჯარების ასეთი მოწვევა საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად. ჩვენ ვიცით, თუ როგორი იყო ეს მოწვევა ბურჟუაზიის, ესერების ნაწილისა და მენშევიკების მხრივ. ჩვენ ვიცით, თუ როგორი იყო ეს მოწვევა მენშევიკთა ბელადების მიერ თბილისში, საქართველოში"[4].

ერთადერთი პარტია, რომელსაც გარეშე ძალა — იმპერიალისტები არ მოუწვევია, ეს ბოლშევიკების პარტია იყო. კავკასიაში კომუნისტების მდგომარეობა ძნელი იყო — ამბობდა ვ. ი. ლენინი — იმიტომ, რომ მათ ღალატობდნენ მესშევიკები, რომლებმაც პირდაპირი კავშირი შეკრეს გერმანელ იმპერიალისტებთან და ყოველივე ეს ხდებოდა „რა თქმა უნდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საბაბით". ხოლო თუ რას წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობა არსებულ ვითარებაში, ამის შესახებ ვ. ი. ლენინი იქვე ამბობდა — „თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს

---

3 ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო ურთიერთობაში. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 38.

4 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 28, გვ. 7.

არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ"[5].

ვ. ი. ლენინის ეს მოხსენება, სადაც ასე კარგად არის ახსნილი საქართველოს მდგომარეობა 1918 წელს, მისი საგარეო პოლიტიკა, გერმანელთა ინტერვენცია, ქვეყნად გაბატონებული ექსპლოატატორული კლასებისა და გარედან მოსული კონტრრევოლუციის შეერთებული ბრძოლა აჯანყებულ ექსპლოატირებულთა წინააღმდეგ, პირველად გამოქვეყნდა 1919 წელს წიგნში „სრულიად რუსეთის ცაკის მეხუთე მოწვევა. სტენოგრაფიული ანგარიში". შემდეგ ის არაერთხელ დაიბეჭდა, ითარგმნა ქართულადაც და ქართველი საბჭოთა ისტორიკოსებისათვის თავიდანვე ხელმისაწვდომი გახდა.

ვ. ი. ლენინი საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობაზე (1919 წელს) კვლავ შეეხო საქართველოს უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულების საკითხს და ამით განსაზღვრა საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსი. მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეზე ბატონობდა ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის ფინანსური კაპიტალი და ამაზე იყო „დამყარებული მათი ახალი ცდა — აეძულებინათ ის პატარა სახელმწიფოები, რომლებიც გარს არტყიან რუსეთს და რომელთაგან ბევრნი განთავისუფლდნენ და მხოლოდ ომის დროს მიიღეს შესაძლებლობა დამოუკიდებლად გამოეცხადებინათ თავი — პოლონეთი, ესტლანდია, ფინეთი, საქართველო, უკრაინა და სხვ., — ეცადათ აეძულებინათ ეს პატარა სახელმწიფოები ეომათ რუსეთის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის ფულით"[6].

ვ. ი. ლენინი ამავე საკითხს შეეხო აგრეთვე 1919 წ. წერილში „სალაქიოში". აქ ის ეკამათებოდა განათლებულ ინტელიგენტებს, როგორც თავიანთ თავს უწოდებდნენ მენშევიკები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სხვ. მათ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — სურთ ხალხს ასწავლონ პოლიტიკა და ამიტომ ეხებიან დღევანდელი ეპოქის ძირითად საკითხებსაც, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის საკითხსაც. პროლეტარიატმა გაიმარჯვა რუსეთში. საერთაშორისო ბურჟუაზიამ, ჯერ გერმანიის, შემდეგ ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიამ ომი აუტეხა რუსეთის პროლეტარიატს. თვით რუსეთის ბურჟუაზიამ, ბოლშევიკების გადატრიალებისთანავე იწყო შეთანხმების ძებნა და შეთანხმების დადება უცხოურ ბურჟუაზიასთან თავისი

---

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 28, გვ. 7—8.

[6] ი ქ ვ ე, ტ. 30, გვ. 245.

ქვეყნის მუშებისა და მშრომელთა წინააღმდეგ. ბურჟუაზიას მხარს უჭერდნენ მენშევიკები და ესერები. ასე იყო ფინეთში 1918 წლის დამდეგს. ასე იყო ჩრდილოეთ და სამხრეთ რუსეთშიც 1918 წლის დამდეგს, როცა კადეტებიც, მენშევიკებიცა და ესერებიც გერმანელებთან კავშირში ახრჩობდნენ ბოლშევიკებს, ასე იყო საქართველოში[7].

ვ. ი. ლენინი რამდენჯერმე შეეხო ქართველი მენშევიკების კავშირს საერთაშორისო ბურჟუაზიასთან. მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში ქართველმა მენშევიკებმა საგარეო პოლიტიკაში ორიენტაცია დასავლეთის ბურჟუაზიაზე აიღეს. უცხო ძალის შემოჭრა დანგრეულ, გაძარცულ საქართველოს კარგს არაფერს უქადდა. ვ. ი. ლენინის ეს თეზისი შემდეგში გაშალეს, გააღრმავეს საბჭოთა ისტორიკოსებმა. ის საფუძვლად დაედო საქართველოში უცხოელი იმპერიალისტების ინტერვენციის მარქსისტულ ახსნას.

ვ. ი. ლენინი კარგად იყო ინფორმირებული საქართველოს საქმეებში. მან კარგად იცოდა, თუ რას საქმიანობდნენ გერმანელები საქართველოში. ამის შესახებ ვ. ი. ლენინს საქართველოსა და კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელები სათანადო ინფორმაციას აწვდიდნენ.

საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობაზე 1919 წლის 5 დეკემბერს ვ. ი. ლენინი შეეხო საქართველოში შექმნილ ვითარებას და მან თავისი მოსაზრება გამოსთქვა ქვეყნის შინა მდგომარეობაზე. ვ. ი. ლენინმა პასუხი გასცა ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომლებიც ცილს სწამებდნენ ბოლშევიკებს კონსტიტუციის დარღვევაში. კონსტიტუციის 23-ე პარაგრაფი ამბობდა, რომ რსფსრ „ხელმძღვანელობს რა მუშათა კლასის ინტერესებით საერთოდ, ცალკეულ პირებსა და ცალკეულ ჯგუფებს ართმევს იმ უფლებებს, რომელთაც ისინი სოციალისტური რევოლუციის ინტერესების საზიანოდ იყენებენ". ოპოზიცია და მათ შორის ბუნდი მოითხოვდა საერთო თანასწორობას, თავისუფლებას და არა ძალადობას. ვ. ი. ლენინი სვამდა კითხვას: ვისი თავისუფლება, როგორი თანასწორობა და ძალადობა ვისზე? კონსტიტუციაში ნათქვამია, — ამბობდა ის, — მუშებისა და უღარიბესი გლეხების დიქტატურა ბურჟუაზიის შესამუსრავად, „როცა კონსტიტუციაზე ლაპარაკობთ რატომ არ მოგყავთ ეს სიტყვები: „ბურჟუაზიის შესამუსრავად, სპეკულიანტების შესამუსრავად?" გვიჩვენეთ ასეთი ქვეყნის ნიმუში, თქვენი მშვენიერი მენშევიკური კონსტიტუციის ნიმუში. იქნებ იპოვოთ ასეთი ნიმუში

---

[7] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 645.

თუნდაც სამარის ისტორიაში, საღაც მენშევიკური ხელისუფლება იყო? ან, შეიძლება, ის იპოვოთ საქართველოში, სადაც ახლა მენშევიკური ხელისუფლებაა, სადაც ბურჟუაზიის შემუსვრა, ესე იგი სპეკულიანტების შემუსვრა სრული თავისუფლების და თანასწორობის საფუძველზე ხდება, თანამიმდევრული დემოკრატიის საფუძველზე და საგანგებო კომისიის ჩაურევლად? გვიჩვენეთ ასეთი მაგალითი, და ჩვენც ვისწავლით. მაგრამ თქვენ ამის ჩვენებაც არ შეგიძლიათ, რადგან იცით, რომ ყველგან, სადაც ბოგინობს შემთანხმებლური ხელისუფლება, მენშევიკური ან ნახევრადმენშევიკური, იქ გააფთრებული, აღვირახსნილი სპეკულაცია მძვინვარებს"[8]. აქ კარგად ჩანს, რომ ვ. ი. ლენინი იცნობდა საქართველოში შექმნილ ვითარებას. საქართველოში მძვინვარებდა სპეკულაცია და მისი მოსპობა არ ძალუძდა მთავრობას. სპეკულაციის მოსპობა არსებულ ვითარებაში შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური კანონების დამყარებით, ძალადობის (ჩაგრული კლასების ძალადობით ბურჟუაზიაზე და სპეკულანტებზე) გზით, რისი წინააღმდეგიც იყვნენ მენშევიკები.

ვ. ლენინის ეს დებულება კარგად შეითვისეს საბჭოთა ისტორიკოსებმა — 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის მკვლევრებმა და აღნიშნული შეფასება მისცეს 1917-1921 წლების საქართველოში არსებულ აღვირახსნილ სპეკულაციას.

საქართველოს ექსპლოატატორულ კლასებს ბატონობისათვის ბრძოლაში მხარს უჭერდა საერთაშორისო ბურჟუაზია, მხარს უჭერდა II ინტერნაციონალი, კ. კაუცკი, რომელიც როგორც ნამდვილი რეაქციონერი მეშჩანი სამოქალაქო ომის ხიმკაცრეზე წუწუნებდა. მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია აწყობდა სამოქალაქო ომს რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ და ამისათვის მხარს უჭერდა სხვებთან ერთად ქართველ მენშევიკებს კავკასიაში. ამ ბრძოლაში ბურჟუაზიასთან ერთად მუშათა კლასის რენეგატებიც გამოდიოდნენ მშრომელი კლასების წინააღმდეგ. ასეთია დასკვნა ვ. ლენინის ნაშრომისა „როგორ იყენებს ბურჟუაზია რენეგატებს"[9].

1920 წლის 6 დეკემბერს ვ. ი. ლენინი სიტყვით გამოვიდა რკპ(ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. ის მრავალ სხვა საკითხთა შორის შეეხო აგრეთვე კონცესიების საკითხს. ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა რუსეთი გაძლიერდა და ამას აღნიშნავენ კაპიტალისტური ქვეყნებიო. რუსეთისაგან შეიქმნა დედამიწის ჩაგრული მოსახ-

---

[8] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 30, გვ. 281.

[9] იქვე, ტ. 30, გვ. 16.

ლეობის მთელი მასის პირდაპირი წარმომადგენელი. „ხალხები მოვლენათა მსვლელობით ეჩვევიან შეხედონ რუსეთს, როგორც მიზიდულობის ცენტრს. ამას წინათ მენშევიკური გაზეთი საქართველოში წერდა: „დედამიწაზე ორი ძალაა: ანტანტა და საბჭოთა რუსეთიო“ ვინ არიან მენშევიკები? ეს ის ხალხია, რომელსაც ცხვირი ქარისაკენ აქვს აწეული. როდესაც ჩვენ საერთაშორისო მხრივ სუსტნი ვიყავით, ისინი ყვიროდნენ: „ძირს ბოლშევიკებიო“, როდესაც ჩვენ გაძლიერება დავიწყეთ, ისინი ყვიროდნენ: „ჩვენ ნეიტრალურნი ვართო“, როდესაც მტრები მოვიგერიეთ, ისინი ამბობენ: „დიახ, აქ ორი ძალაოო“[10]. აქ ვ. ი. ლენინი ახასიათებდა ქართველი მენშევიკებისა და მათი მთავრობის დამოკიდებულებას, მათ პოლიტიკას საბჭოთა რუსეთისადმი.

ეს სიტყვა პირველად 1923 წელს გამოქვეყნდა. ვ. ი. ლენინის ეს დებულება მენშევიკების საგარეო პოლიტიკისა და, კერძოდ, მათი საბჭოთა რუსეთისადმი დამოკიდებულების შესახებ, მტკიცედ შევიდა 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში.

ვ. ლენინს ჩამოყალიბებული აქვს სახელმძღვანელო დებულებები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შესახებ. 1921 წლის 28 თებერვალს, ე. ი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღეებში, ვ. ლენინი სიტყვით გამოვიდა მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის სხდომაზე. იგი შეეხო, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო საკითხებს. მან საერთაშორისო საკითხებს შორის მოიხსენია კავკასიის ამბები. ვ. ლენინი ამბობდა, რომ კავკასიაში „ამ ბოლო დროს დიდი მასშტაბების ამბები მოხდა, რომლებიც დაწვრილებით ჯერ არ ვიცით, მაგრამ რომელთა აზრი ის არის, რომ ჩვენ დიდი ომის მიჯნაზე ვიმყოფებით. სომხეთისა და საქართველოს შეტაკებას არ შეეძლო ჩვენ არ ავეღელვებინეთ, და ამ ამბებმა გამოიწვიეს ის, რომ სომეხ-ქართველთა ომი აჯანყებად იქცა, რომელშიც რუსეთის ჯარებს გარკვეული ნაწილიც მონაწილეობდა. და ეს იმით გათავდა, რომ სომხეთის ბურჟუაზიის მზაკვრობა ჩვენ წინააღმდეგ, დღემდე მაინც, მის წინააღმდეგ შებრუნდა და შებრუნდა ისე, რომ თბილისში, უკანასკნელი ცნობებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შემოწმებული, საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა“[11]. აქ ვ. ლენინი იძლეოდა იმის ახსნას, თუ ლორეს ოლქში როგორ წაეკიდნენ ერთმანეთს ქართველები და სომხები. საქმეში ჩაერია საბჭოთა

---

10 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 555.

11 ი ქ ვ ე, ტ. 32, გვ. 175—176.

რუსეთის ჯარი და სომხეთის ბურჟუაზიის მხაკვრობა დასრულდა იმით, რომ თბილისში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ვ. ლენინს სათანადო ცნობები ჰქონდა კავკასიაში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე და თავისი მოსაზრება გამოთქვა კიდეც. მაგრამ ჩვენი აზრით, ვ. ლენინის ეს მოსაზრება საბჭოთა ისტორიკოსებმა სათანადო დოკუმენტური მასალის დამოწმებით ვერ გაშალეს, ვერ გააღრმავეს.

ვ. ლენინი იქვე ახასიათებდა მენშევიკებს, საერთოდ, და ქართველ მენშევიკებს, კერძოდ. რომლებიც მსჯელობდნენ ღასავლეთის ქვეყნების განცალკევების მავნებლობაზე. მათ სჯეროდათ, რომ ანტანტის ქვეყნები ყველაზე ძლიერნი იყვნენ. მაგრამ იმას კი, რომ მოწინავე კაპიტალისტები ყველაზე მეტად ატყუებენ ყველას, ივიწყებდნენ. ვ. ლენინი შემდეგნაირად სვამდა საკითხს: ქართველ მენშევიკებს, რომელთა ხელში იყო სომხეთის სურსათის გასაღები — რკინიგზა, ან უნდა დაეთმოთ იგი საბჭოთა სომხეთისათვის, ან უნდა დაჰდგარიყვნენ იმპერიალისტების მხარეზე. აქ მენშევიკები ფიქრობდნენ, — წერდა ლენინი, — რა არის სომხეთი, სომეხი გლეხები და სხვა. „რა არის გაჩანაგებული საბჭოთა რესპუბლიკა მსოფლიოს ყველა შეერთებული იმპერიალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგო. მოწინავე კაპიტალისტები — ეს მთელი მსოფლიოს კულტურული ძალები არიან: პირი ვიბრუნეთ მათკენო. ასე ამართლებდნენ კაპიტალისტების დაცვის ბინძურ საქმეს ქართველი მენშევიკები“[12].

ვ. ლენინი ამბობდა, რომ არავის ეყოფა მოთმინება წაიკითხოს ის დეპეშები, განცხადებები, პროტესტები, რომლებითაც საბჭოთა რუსეთის მთავრობა მიმართავდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას სომხეთის საკითხზე. „ჩვენ, რომ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გვქონოდა, ჩვენ რაც შეიძლება უფრო მეტხანს უნდა გაგვეჭიანურებინა საქმე. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სომეხი გლეხობა ასე როდი უყურებდა ხელშეკრულებას, და საქმე იმით გათავდა, რომ თებერვლის დამდეგს იფეთქა საშინელმა აჯანყებამ, რომელიც საოცარი სისწრაფით გავრცელდა და მოედო არა მარტო სომეხ, არამედ ქართველ მოსახლეობასაც“[13].

ვ. ლენინი წერდა, რომ ქართველი ბურჟუაზია და ქართველი მენშევიკები ეყრდნობოდნენ არა მშრომელ მასებს, არამედ თავიანთი ქვეყნის კაპიტალისტებს. ეს კაპიტალისტები კი მიზეზს ეძებდნენ, რომ საომარი მოქმედება დაეწყოთ.“ მაგრამ ჩვენ სამი წელია ერთი ვარაუდით ვცხოვრობთ — ამბობდა ვ. ლენინი მოსკოვის მუშათა და

---

[12] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 176.

[13] ი ქ ვ ე, გვ. 176—177.

გლეხთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის სხდომაზე, — და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გვექნება ეს ვარაუდი, — ესაა ვარაუდი მშრომელი მასებისა, თუნდაც ჩამორჩენილი და ჩაგრული ქვეყნის მშრომელი მასებისა. ბოლოს და ბოლოს, რაც უნდა ფრთხილნი ვიყოთ, რაც უნდა დავძაბოთ ჩვენი ძალები წითელი არმიის განსამტკიცებლად, ჩვენ ნთელ ლონეს ვიხმართ, რათა ჩავაქროთ ხანძარი, რომელმაც კავკასიაში იფეთქა. და იმას, რაც ჩვენ შეგძელით დასაელეთისათვის გვეჩვენებინა — სადაც საბჭოთა ხელისუფლებაა, იქ ეროვნულ ჩაგვრას ადგილი არა აქვს, — ამას ჩვენ ვუჩვენებთ აღმოსავლეთსაც. უკანასკნელი ანგარიშით ამაზეა დამოკიდებული მთელი ბრძოლა და, ბოლოს და ბოლოს, მუშათა და გლეხთა ძალა კაპიტალისტურზე უფრო მაღალი და მეტი აღმოჩნდება, რადგან მუშები და გლეხები კაპიტალისტებზე გაცილებით მეტნი არიან"[14]. ვ. ლენინის ამ სიტყვებიდან ჩანდა, რომ კავკასიაში გაჩაღებულ ბრძოლას იგი მეტად სერიოზულ საერთაშორისო მოვლენად მიიჩნევდა.

1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის, მარქსისტული კონცეფციის ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ლენინის ცნობილ წერილს „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ — კომუნისტებს"[15], რომელიც დაწერილია 1921 წლის 14 აპრილს და პირველად გამოქვეყნდა გაზეთში „პრავდა გრუზიი" (1921 წ. 8 მაისი). ამ წერილში ვ. ლენინმა მოგვცა საქართველოსა და კავკასიის სოციალ-ეკონომიური დახასიათება, რომ კავკასიის რესპუბლიკები კიდევ უფრო გლეხური ქვეყნები იყო, ვიდრე რუსეთი. ვ. ლენინის ამ აზრმა გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და 1917-1921 წლებისა და მისი წინარე ისტორიის ყველა ფაქტორისა და პროცესის ახსნას საფუძვლად ეს თეზისი დაედო.

ისტორიული მეცნიერებისათვის მეტად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ლენინის ამავე წერილში მოცემულ თეზისს იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებს ბრმად კი არ უნდა ვადაელოთ რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა, არამედ დამოუკიდებლად უნდა გაეაზრებინათ მისი პირობები, შედეგები, თავისებურებანი. ვ. ლენინი კავკასიელ ბოლშევიკებს მოუწოდებდა ტაქტიკის შემუშავებისას გამოეყენებინათ 1917-1921 წლების ისტორიის გამოცდილება. ამ გამოცდილების არა ანბან-სიტყვა, არამედ სული, აზრი, გაკეე-

---

[14] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, გვ. 177.
[15] იქვე, გვ. 397—400.

თილები; რომ ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოები უნდა ერთბაშად დაყრდნობოდნენ კაპიტალისტურ საზღვარგარეთთან საქონელგაცვლას. მთელ წერილში იგრძნობა, რომ ვ. ლენინი ანგარიშს უწევდა ბურჟუაზიული რესპუბლიკების გამოცდილებას (კავკასიას შეუძლიან უფრო ადვილად მოაგვაროს „თანაცხოვრება“ და საქონელცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთანო და სხვა), რომ ეროვნული სახელმწიფოების შექმნა კავკასიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ისტორიული კონცეფციის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო აგრეთვე ვ. ლენინის მიწერ-მოწერა ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილ მოღვაწეებთან, მათთან პირად საუბარში გამოთქმული მოსაზრებები. არქივებმა შემოგვინახეს და უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც ქვეყნდება ვ. ლენინის დოკუმენტები, რომლებშიც 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიაზე, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მრავალ საკითხზეა მოცემული ლენინური დებულებები. ჯერ კიდევ 1920-იან წლებში კომუნისტური პარტიის გამოჩენილმა მოღვაწემ მ. ორახელაშვილმა თავის ნაშრომში — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს“[16], აღწერა ვ. ლენინთან შეხვედრა და მასთან საუბარი. ეს საუბარი შეეხებოდა მენშევიკების მიერ თბილისის არსენალის ხელში ჩაგდებას. საუბრიდან ირკვევა, თუ როგორ აფასებდა ვ. ლენინი თბილისსა და, საერთოდ, საქართველოში შექმნილ ვითარებას. ის უკმაყოფილო იყო არსენალის ჩაბარებით. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ საჭირო იყო 1917 წლის შემოდგომაზე ქართველ ბოლშევიკებს უფრო ენერგიულად ემოქმედათ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტული კონცეფციის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ლენინურ კრებულებში გამოქვეყნებულმა მასალამ. აქ არის მიწერ-მოწერა ს. ორჯონიკიძესთან, ს. კიროვთან, ა. მიქოიანთან და ბოლშევიკური პარტიის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან. ამ წერილებში ვ. ლენინი ეხებოდა საქართველოში შექმნილ ვითარებას.

ვ. ლენინის დიდმა მემკვიდრეობამ, მისმა ისტორიულმა კონცეფციამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ, სამოქალაქო ომის შესახებ, მის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიაზე, საქართველოში სოციალის-

---

16 მ. ორახელაშვილი, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს, თბილისი, 1917.

ტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ, გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, საერთოდ, და კერძოდ, ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში მარქსისტული ისტორიული კონცეფციის ჩამოყალიბებაში.

1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტული კონცეფციის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეების ნაშრომებმა, წერილებმა, საჯარო გამოსვლებმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მხრივ ი. სტალინის, ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

როდესაც პარტიის შიგნით ანტიპარტიულმა დაჯგუფებებმა ბრძოლა გამართეს პარტიის წინააღმდეგ, ლენინიზმის წინააღმდეგ, მათ უმთავრეს ამოცანად დაისახეს ძირი გამოეთხარათ ოქტომბრის რევოლუციის ლენინური კონცეფციისათვის. ი. სტალინის მთელი რიგი ნაშრომები, საჯარო გამოსვლები მიმართული იყო ოქტომბრის რევოლუციის ლენინური კონცეფციის დასაცავად, ლენინის იდეური მემკვიდრეობის დასაცავად. ამ დიდ ისტორიულ მოვლენებში ოქტომბრის რევოლუციის ლენინური კონცეფციის დაცვისათვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა ი. სტალინის ნაშრომებმა „რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხისათვის“ (1923 წ.), „ოქტომბრის რევოლუცია და საშუალო ფენების საკითხი“ (1923 წ.), „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ (1924 წ.), „ტროცკიზმი თუ ლენინიზმი?“ (1924 წ.), „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა“ (1924 წ.) და სხვ. ამ ნაშრომებში დაცულია და განვითარებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ლენინური ისტორიული კონცეფცია. ი. სტალინის ნაშრომებმა საერთოდ დიდი ისტორიული როლი შეასრულა მარქსისტული ისტორიული კონცეფციის შექმნასა და ჩამოყალიბებაში. ი. სტალინი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებში თავისი საქმიანობით ახლოს იდგა საქართველოსთან და მან, მაშინაც და მას შემდეგაც, არა ერთხელ გამოთქვა თავისი მოსაზრება მაშინდელი საქართველოს ვითარების შესახებ. მისი ეს დებულებები გამოქვეყნდა, ფართოდ იქნა პროპაგანდირებული და მისმა კონცეფციებმა და მოსაზრებებმა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საკითხზე, 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიაზე, გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა საბჭოთა ისტორიკოსების შრომებში.

1918 წლის იანვარში ი. სტალინი სიტყვით გამოვიდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობაზე. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ კავკასიის კომისარიატი აგრესიულ პოლიტიკას ეწეოდა საბჭოთა ორგანიზაციების მიმართ და საფრონტო საბჭოს წინააღმდეგ, რომ ამიერკავკასიის კომისარიატს კონტაქტი ჰქონდა გენერალ პრეჟავილსკისთან, კავკასიის ფრონტის სარდლობასთან. ეს იყო ბრძოლა იმისათვის, რომ განაპირა მხარეებში დამკვიდრებულიყო კოალიციური შემთანხმებლური ხელისუფლება. განაპირა მხარეების (მას მხედველობაში ჰქონდა ამიერკავკასიაც) ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კოალიციური მთავრობების განცხადება, რომ ისინი იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის „მხოლოდ ფარისევლური საფარია მშრომელი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღებული ლაშქრობისა". რუსეთის განაპირა მხარეებში არსებობდა მეორე მიმდინარეობა, რომელიც იბრძოდა სოციალისტური ხელისუფლების დამყარებისათვის, საბჭოების ძალაუფლებისათვის[17]. აქ მოცემულია ამიერკავკასიაში 1917 წლის მიწურულსა და 1918 წლის დასაწყისში მიმდინარე პროცესების ანალიზი; ქვეყნად შეიქმნა ორი დაჯგუფება, მიმდინარეობა. ეროვნულ სამოსში შენიღბული ბურჟუაზია იღწვოდა მშრომელთა დამორჩილებისათვის, ხოლო მშრომელი კლასები კი იბრძოდნენ სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ი. სტალინის ეს სიტყვა იმავე 1918 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში". საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ ამიერკავკასიაში 1917-1918 წლებში შექმნილი ვითარების სტალინისეული ეს ანალიზი სახელმძღვანელო დებულებად მიიღო.

1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტული კონცეფციის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ი. სტალინის ნაშრომმა „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით"[18] (1918 წელი, მარტი). ი. სტალინმა ამ ნაშრომში წარმოადგინა კლასთა განლაგება ამიერკავკასიაში და საქართველოში. მან გვიჩვენა, რომ მწვავე სოციალურმა ბრძოლამ მოიცვა ამიერკავკასია და მენშევიკების — ნ. ჟორდანიასა და ე. გეგეჭკორის სოციალისტობამ გამოცდას ვერ გაუძლო. ქვეყნად აგრარული შოძრაობა გაჩაღდა. მენშევიკების დაპირებები გლეხთა მასებს არ აკმაყოფილებდა. რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოცილებამ საქართველო მოწყვიტა რუსეთის პურს და ამან შექმნა ქალაქად მძიმე მდგომარეობა. ეკონომიურად გა-

---

17 ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 39.

18 იქვე.

ჭირვებული ქალაქის დაბალი ფენები ხელისუფლების სიძულვილით განიმსჭვალნენ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ექომ საბრძოლველად განაწყო ამიერკავკასიის მუშები და გლეხები. ქართველმა მენშევიკებმა, მუსლიმანთა შეიარაღებულმა რაზმებმა შამქორთან განაიარაღეს კავკასიის ფრონტის ჯარისკაცთა ეშელონები. აყრილი იარაღის ნაწილით შეაიარაღეს ეროვნული ნაწილები. ნაწილი იარაღისა კი გაუგზავნეს ჩრდილო კავკასიაში მოქმედ თეთრგვარდიელ გენერლებს. ი. სტალინის აზრით, ამიერკავკასიაში სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა ეროვნული პოლკების გარევოლუციონერების პროცესი. ამიერკავკასიაში მენშევიკებმა კავშირი შეკრეს კაპიტალისტებთან და მემამულეებთან მშრომელი კლასების წინააღმდეგ. მენშევიკები მწვავე აგრარულ ბრძოლაში მემამულეთა მხარეზე დადგნენ; ქართველი მენშევიკები შენიღბული იყვნენ — „სოციალიზმითა" და „ეროვნული თვითგამორკვევის" ნიღბით. ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდა ანტისაბჭოთა კოალიცია. არსებობდა ამიერკავკასიის კომისარიატი, სადაც გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ აზერბაიჯანელ ბეგებსა და ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენციის წარმომადგენლებს (ნ. ჟორდანია, ე. გეგეჭკორი). ეს არის ამიერკავკასიის ერთა კოალიცია. ხოლო ერებს შიგნით (ერებს ამ შემთხვევაში ი. სტალინი ნაციონალურ ჯგუფს უწოდებდა) კლასთა კოალიციისათვის შეიქმნა „ეროვნული საბჭოები". ამ საბჭოების სულის ჩამდგმელი იყო ნ. ჟორდანია.

ი. სტალინი ამ ნაშრომში აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასია ეროვნებების მხრივ ყველაზე ჭრელი მხარე იყო. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ის ამიერკავკასიის ერებს ამ ნაშრომში ეროვნულ ჯგუფებს უწოდებდა, რომლებსაც არ ჰქონდათ ეროვნული ტერიტორიის მკვეთრად მოხაზული საზღვრები, ცხოვრობდნენ დაქუცმაცებულად, ერთმანეთში შერეულად არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლადაც. ი. სტალინი არსებითად ამით ხსნიდა იმას, რომ ამიერკავკასიის ნაციონალური ჯგუფების საერთო ბრძოლა რუსეთის ცენტრის წინააღმდეგ ძალიან ხშირად იჩრდილებოდა მათი გააფთრებული ბრძოლით ერთმანეთთან.

ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების შემდეგ გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ამიერკავკასია სამეფისნაცვლოდ იქცა და ის დაყვეს, რუსეთის მსგავსად. გუბერნიებად. ასეთი დაყოფა არავითარ ანგარიშს არ უწევდა არც ერებს და არც მათ ტერიტორიებს. მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ მკვეთრად ჩამოაყალიბა ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების ეროვნული ტერიტორიების საზღვრები. ის აღრევა, რაც მოხდა ამიერკავკასიაში XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში, მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკისა და

ქვეყნად კაპიტალიზმის განვითარების შედეგი იყო. ეროვნული საზღვრების უქონლობა სრულიადაც არ იყო ამიერკავკასიის დამახასიათებელი ნიშანი. არსებობდა ქართველი ბურჟუაზიული ერი და არსებობდა ქართული ეროვნული ტერიტორია. ამ პერიოდში ქართველ ხალხს არ ჰქონდა ეროვნული სახელმწიფო და, მაშასადამე, არ ჰქონდათ სახელმწიფოებრივი მიჯნები. რომლის შექმნა-დადგენისათვის სხვადასხვა კლასების ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვა მეთოდებითა და გზებით იბრძოდნენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები. სახელმწიფოებრივი საზღვრების უქონლობა. მეფის რუსეთის საუკუნოვანი ასიმილატორული, ხალხთა ერთმანეთში ნაძალადევად აღრევის პოლიტიკა, ეროვნული შუღლისათვის რეალურ ნიადაგს ქმნიდა. ეროვნული შუღლი და უნდობლობა თავისთავად ამიერკავკასიის მრავალერიანობისგან გამოწვეული მოვლენები არ იყო. ეს კლასობრივი პოლიტიკის შედეგი იყო და მასვე კლასობრივი ბრძოლის დასაფარავად კარგად იყენებდნენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები.

ი. სტალინი ნაშრომში ამიერკავკასიის მეორე დამახასიათებელ ნიშნად ეკონომიურ ჩამორჩენილობას ასახელებდა. ამიერკავკასია (ბაქოს გარდა, რომელსაც უმთავრესად გარეშე კაპიტალი ამოძრავებდა) წარმოადგენდა აგრარულ ქვეყანას, განაპირა მხარეებში მეტ-ნაკლებად განვითარებული სავაჭრო ცხოვრებით და ცენტრში პირწმინდად ბატონყმური წყობის მტკიცე ნიშნებით. თბილისის, ელიზავეტპოლის და ბაქოს გუბერნიებში „დღემდე ბლომად არიან მებატონე თათარი ბეგები და ფეოდალი ქართველი თავადები, რომლებიც უზარმაზარ ლატიფუნდიებს ფლობენ"[19]. ი. სტალინი ამით ხსნიდა აგრარული ბრძოლის იმ შკვეთრ ფორმებს. რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიაში; ამითვე ხსნიდა მუშათა მოძრაობის სისუსტესა და ჩამოუყალიბებლობას (ბაქოს გამოკლებით).

ი. სტალინის ეს დებულება ამიერკავკასიისა და საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენილობის შესახებ, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მტკიცედ იყო დამკვიდრებული. ბოლო დროს საბჭოთა ისტორიკოსებმა დიდი კვლევითი მუშაობა ჩაატარეს საერთოდ რუსეთში და მის ე. წ. განაპირა მხარეებში კაპიტალიზმის გენეზისის შესასწავლად, ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გამოსაკვლევად. საბჭოთა რუსეთ, სომეხ, აზერბაიჯანელ და სხვა ისტორიკოსებთან ერთად, ამ მხრივ, დიდი მუშაობა გასწიეს ქართველმა საბჭოთა ისტორიკოსებმა. მათმა გამოკვლევებმა, დაფუძნებულმა დიდძალ დოკუმენტურ მასალაზე,

---

19 ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4. გვ. 56.

ეკვიჩვენა, რომ მეფის რუსეთისა და მისი ე. წ. განაპირა მხარეების ეკონომიური განვითარების დონე სრულიადაც არ იყო დამახასიათებლად ჩამორჩენილი. ქართველი ისტორიკოსები, რომლებმაც ღრმად შეისწავლეს საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისი, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში (სოციალისტურ რევოლუციამდელ ხანაში) საქართველო ეკონომიურად და სოციალურად განვითარებული ქვეყანა იყო და, საერთოდ, მეფის რუსეთის განვითარების საერთო დონეს უმნიშვნელოდ თუ ჩამორჩებოდა. თეზისი, საქართველოს, როგორც ამიერკავკასიის შემადგენელი ნაწილის, განსაკუთრებული (დამახასიათებლად) ეკონომიური და სოციალური ჩამორჩენილობის შესახებ, მარქსისტული ისტორიოგრაფიისათვის უკვე განვლილი ეტაპია.

ი. სტალინის ამ ნაშრომში გვერდი აქვს ავლილი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ეროვნული ბრძოლა კლასობრივი ბრძოლის მხოლოდ საფარველი კი არა, არამედ ქვეყნად ძიმდინარე დიდი სოციალური ბრძოლის შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი იყო. 1917-1918 წწ. ეროვნულ ბრძოლას ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკავა.

ი. სტალინის ამ ნაშრომის დებულებებმა უკლებლივ გადაინაცვლა საბჭოთა ისტორიკოსების ნაშრომებში და იქ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. მრავალმა დებულებამ, დოკუმენტური მასალით დადასტურება ჰპოვა და დღესაც 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტული კონცეფციის მთავარი შემადგენელი ნაწილია.

1918 წლის 10 მაისს ი. სტალინი სიტყვით გამოვიდა თათრეთ-ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამფუძნებელი ყრილობის მომწვევ თათბირზე[20]. ის შეეხო აქ საქართველოს საკითხებსაც, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ როგორც სხვაგან (გარდა ფინეთისა და უკრაინისა), საქართველოშიც მშრომელი ელემენტები რამდენადმე ინერტული აღმოჩნდნენ ეროვნული მოძრაობის საკითხში. მშრომელების ინერტულობა დაფარა ბურჟუაზიის აქტივობამ, რომ ეს ქვეყნები ეროვნული ბრძოლისა და შოვინიზმის ასპარეზად გადაიქცა. „ნაციონალური საბჭოები“ მიისწრაფოდნენ იქითკენ, რომ მიეღოთ ავტონომია, რათა ცენტრალური ხელისუფლება არ ჩარეულიყო მათ საქმეებში. ასეთი ავტონომია იქნებოდა ბურჟუაზიული ავტონომია, რადგან მის შიგნით მთელი ძალაუფლება ხელთ ექნებოდა არა საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ ეროვნულ ბურჟუაზიას. ი. სტალინი განარ-

---

20 ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 56.

ჩევდა ავტონომიის ორ ტიპს. ერთი ტიპი ამ ავტონომიისა ნაციონალისტური იყო. მისი საფუძვლები კი ექსტერიტორიალური. „ეროვნული საბჭოების“ არსებობამ ფიქციად აქცია საქართველოში ამიერკავკასიის კომისარიატი და დეპუტატთა საბჭოები. ავტონომიის ასეთ ტიპს ბოლშევიკები არ სცნობდნენ და ბრძოლას უცხადებდნენ. ი. სტალინი აღიარებდა საბჭოურ ავტონომიას[21]. იგი იმავე თათბირზე, 16 მაისს წარმოთქმულ სიტყვაში ჰგმობდა ეროვნულ ნიჰილიზმს, რომელსაც სოციალიზმის საქმისათვის ვნება მოჰქონდა და ეროვნული საკითხის გადაჭრის გზას საბჭოებში ხედავდა. თათბირზე წარმოთქმული ი. სტალინის ეს სიტყვები პირველად 1918 წ. გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში“.

ი. სტალინის დებულება ეროვნული მოძრაობის საკითხებში საქართველოს მშრომელების ინერტულობის შესახებ, ისევე, როგორც 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხი (ბურჟუაზიული ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, ეროვნული საკითხი და სხვა), სხვადასხვა მიზეზების გამო, ჩვენი ისტორიკოსების კვლევის ობიექტი არ გამხდარა. საკითხი ქართველი მშრომელი მასების ეროვნული თვითშეგნების ზრდისა და ეროვნული მოძრაობის სფეროში მათი ინერტულობის შესახებ, შეუსწავლელია.

1918 წელს 23 მაისს გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა ი. სტალინის ცნობილი წერილი „მდგომარეობა კავკასიაში“. ამ წერილში ი. სტალინი ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარების დახასიათებას იძლეოდა. ქართველმა მეწმენიკებმა ოქტომბრის რევოლუციისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა მათ გადააქცევს თურქი და გერმანელი იმპერიალისტების მონებად. ი. სტალინი აღწერდა ამიერკავკასიის სეიმის წინააღმდეგ ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლას. ამიერკავკასიის მოსახლეობა თბილისის „მთავრობის“ წინააღმდეგი და რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის წინააღმდეგი იყო.

1918 წლის 6 და 19 ნოემბერს გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა ი. სტალინის წერილი „ოქტომბრის გადატრიალება და ნაციონალური საკითხი“[22]. ი. სტალინი ეროვნულ საკითხს არ მიიჩნევდა თვითკმარ და ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ რამედ. ეროვნული საკითხი ნაწილია საერთო სოციალური ბრძოლისა. ეროვნულ საკითხს განსაზღვრავდა ქვეყნად არსებული ხელისუფლების ხასიათი და საზოგა-

---

21 ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 95.

22 იქვე.

დოებრივი განვითარების მთელი მსვლელობა. რუსეთში მომხდარი რევოლუციის პერიოდში ეროვნული საკითხი განაპირა მხარეებში ეთარდებოდა რევოლუციის მიმდინარეობის მიხედვით.

ი. სტალინის აზრით, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს ეროვნულ საკითხს ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ეროვნული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინტელიგენცია. შეიქმნა „ეროვნული საბჭოები" და ამის მაგალითად ი. სტალინი სხვა ქვეყნებთან ერთად ასახელებდა საქართველოსაც. მისი აზრით, „საერთო ნაციონალური" ინსტიტუტის (ამ შემთხვევაში „ეროვნული საბჭო") გარშემო ძალას იკრებდა ეროვნული ბურჟუაზია. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს და მის შემდეგაც საქმე ეხებოდა ცარიზმის უღლისაგან განთავისუფლებას და ეროვნული ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნას. ერთა თვითგამორკვევის უფლება ეროვნული ბურჟუაზიის უფლებად გამოაცხადეს და ეს ბურჟუაზია ცდილობდა თავისი სახელმწიფოს შექმნას. რევოლუციის შემდგომი განვითარება ამ ბურჟუაზიის ინტერესებში არ შედიოდა. ამასთანა, — აღნიშნავდა ი. სტალინი, — ისინი ვერ ხედავდნენ. რომ ცარიზმს ცვლიდა გაშიშვლებული იმპერიალიზმი, რომელიც მცირე ერებისათვის უფრო საშიში იყო[23]. ცარიზმის მოსპობას ეროვნულთ ჩაგვრის მოსპობა არ მოჰყოლია. ეროვნული ჩაგვრის ეხეში ფორმა დახვეწილმა ფორმამ შეცვალა. განაპირა მხარეების (და მათ შორის საქართველოს) „საერთო-ნაციონალური" ინტერესები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ტენდენციას იჩენდა. მაგრამ ისინი წაეწყდნენ რუსეთის იმპერიალისტური მთავრობის მხრივ დაუძლეველ წინააღმდეგობას. ამასთან ერთად ეს ინსტიტუტები ამკვიდრებდნენ ეროვნული ბურჟუაზიის ძალაუფლებას და ამიტომ იწვევდნენ ამ ქვეყნების მშრომელების უკმაყოფილებას. ასე, ორმაგ ცეცხლშუა აღმოჩნდნენ ბურჟუაზიულ-ეროვნული სახელმწიფოები. ჩაგრულ ეროვნებათა მშრომელი მასების განთავისუფლება და ეროვნული ჩაგვრის მოსპობა დაკავშირებული იყო იმპერიალიზმთან კავშირის გაწყვეტისა და ეროვნული ბურჟუაზიის დამხობის საკითხთან.

ი. სტალინის ამ ნაშრომში კარგად არის ნაჩვენები თუ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ როგორ გადაჭრა ყველა ზემოთ დასახელებული წინააღმდეგობა. ცენტრში დაწყებული აჯან-

---

23 ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 169.

ყება განაპირა ქვეყნებშიაც გავრცელდა. მაგრამ აქ სოციალისტურ რევოლუციას წინაღუდგა ეროვნულ-ბურჟუაზიული სახელმწიფოები. ამ სახელმწიფოებმა ომი გამოუცხადეს სოციალისტურ სახელმწიფოს და, ამგვარად, რეაქციის კერები გახდნენ. განაპირა მხარეების მუშები და გლეხები იბრძოდნენ სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ჩამოყალიბდა რუსეთის მუშებისა და გლეხების კავშირი განაპირა მხარეების ეროვნულ-ბურჟუაზიულ მთავრობათა კონტრრევოლუციური კავშირის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის „ეროვნული საბჭოები" უმწეონი აღმოჩნდნენ და მათ დახმარება სთხოვეს დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს.

ი. სტალინი ქვეყნად შექმნილი ვითარების ასეთი ანალიზის შედეგად დაასკვნიდა, რომ ეროვნული ბურჟუაზია არ მიისწრაფოდა ეროვნული თავისუფლებისაკენ, რომ მისმა საქმიანობამ განაპირობა უცხოელ იმპერიალისტთა მიერ რუსეთის ყოფილი იმპერიის განაპირა მხარეების ოკუპაცია. ერებისათვის ჭეშმარიტი ეროვნული თავისუფლების მოპოვება შეიძლებოდა მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზით.

ამ ნაშრომში მოცემულია შექმნილი ვითარების მარქსისტული ანალიზი და მან 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტული კონცეფციის შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. აქვე შევნიშნავთ, რომ ი. სტალინის ამ ნაშრომში მოცემული ზოგიერთი დებულება (მაგალითად, ბურჟუაზიული ეროვნული სახელმწიფოს შექმნის შესახებ) სათანადოდ არ იყო დაფასებული ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში. ამ ნაშრომში წამოყენებულ ზოგიერთ საკითხს (1917-1918 წლების საქართველოს ისტორიიდან) გვერდი აქვს აცილილი საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში და ისტორიკოსები მათი ღრმა მეცნიერული შესწავლის ნაცვლად მოვლენათა ზედაპირული აღწერით კმაყოფილდებოდნენ.

1920 წლის ივნისში ი. სტალინმა ყირიმის ფრონტიდან დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს[24] იმის თაობაზე, რომ ვრანგელს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებთან ერთად, საქართველოს მენშევიკური მთავრობაც ეხმარებოდა.

ი. სტალინის ეს დეპეშა პირველად გამოქვეყნდა 1935 წელს ნოემბერში გაზეთ „პრავდაში". დეპეშის იმ აზრმა, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა ეხმარებოდა ვრანგელს და ატყუებდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას, შემდეგში ასახვა ჰპოვა საქართველოში სო-

---

[24] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 169.

ციალისტური რევოლუციის გამარჯვების მარქსისტულ-ისტორიულ კონცეფციაში.

1920 წლის ოქტომბერში გაზეთმა „პრავდამ“ დაბეჭდა ი. სტალინის წერილი „საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში რუსეთში“[25]. ი. სტალინი ამ წერილში მრავალ საკითხს ეხებოდა და მათ შორის საქართველოს მაშინდელ მდგომარეობასაც. ის წერდა, რომ რუსეთისაგან გამოყოფილმა საქართველომ მოჩვენებითი დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, ნამდვილად კი ანტანტის აშკარა ვასალი გახდა[26]; აქ მოცემული მრავალი სხვა დებულება, რომელიც არაპირდაპირ საქართველოსაც ეხებოდა, საბჭოთა ისტორიკოსებმა გამოიყენეს საქართველოს მენშევიკური მთავრობის დასავლეთზე ორიენტაციის საკითხის შესწავლისას.

1920 წლის 30 ნოემბერს გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა ი. სტალინის საუბარი „პრავდის“ თანამშრომელთან. წერილში, რომელსაც ეწოდება „მდგომარეობა კავკასიაში“, დახასიათებულია 1920 წელს კავკასიაში შექმნილი ვითარება. ი. სტალინი წერდა, რომ ამ პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა ანტანტის შანსები. ეს გამოიწვია ვრანგელის განადგურებამ. საქართველოს სასურსათო და სამეურნეო მდგომარეობა კატასტროფული იყო. საქართველომ, რომელიც ანტანტის ბადეში იყო გახვეული, დაკარგა რუსეთის პური და ბაქოს ნავთი. ინგლისისა და საფრანგეთის ოპერაციების ძირითადი ბაზა საქართველო იყო და ამიტომ მან მტრული ურთიერთობა დაამყარა რუსეთთან. ი. სტალინი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის მტრულ ურთიერთობის მიზეზად ანტანტას ასახელებდა. ი. სტალინის მიერ აქ მოცემული დებულებები შემდეგში საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში დამკვიდრდა და საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის საკითხებს უცხოელი იმპერიალისტების პოლიტიკით ხსნიდნენ.

1921 წლის 6 იელისს თბილისის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ი. სტალინი. მისი მოხსენება, „კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, საბჭოთა მშენებლობის ახალ ამოცანებს უსახავდა საქართველოს კომუნისტებს.

კომუნიზმის მორიგ ამოცანების დასახვასთან ერთად, ი. სტალინი შეეხო საქართველოს უახლოესი წარსულის — 1917-1921 წლების ისტორიასაც. მან ქართველ-სომეხთა ომი ახსნა საქართველოსა და სომხეთის მაშინდელი მესვეურების ნაციონალისტური პოლიტიკით, რომ

---

25 ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 169.

26 იქვე, გვ. 384.

ამიერკავკასიაში მენშევიკების, ეუსაიტელებისა და დაშნაკების ხელისუფლების სამწლიანმა არსებობამ თავისი დაღი დაამჩნია ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების ურთიერთობის საქმეს. შემდეგში მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში ი. სტალინის მიერ ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების გამწვავებული ურთიერთობის ამ ახსნას დაემატა ის, რომ ამიერკავკასიის ერებს შორის ურთიერთობაში უარყოფით როლს ასრულებდნენ უცხოელი იმპერიალისტები.

ი. სტალინის ეს მოხსენება პირველად დაიბეჭდა თბილისის გაზეთში, „პრავდა გრუზიის“ 1921 წლის 13 ივლისის ნომერში და იმთავითვე ხელმოსაწვდომი გახდა ქართველი ისტორიკოსებისათვის.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ მარქსისტული ისტორიული კონცეფციის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეების გრ. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის სტატიებმა, წერილებმა, გამოსვლებმა. გრ. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ლიტერატული მემკვიდრეობა — სტატიები, წერილები, გამოსვლების სტენოგრაფიული თუ საოქმო ჩანაწერები, მათი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის შედეგი იყო. ისინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ. ეს მასალა საუკეთესო პირველწყაროა 1917-1921 წლების საქართველოს ისტორიის შესასწავლად. ჩვენ მათ ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობასაც ვანიჭებთ იმის გამო, რომ აქ არსებული ვითარების მარქსისტული ანალიზია მოცემული; ეს დებულებები ერთ-ერთი პირველი ისტორიული აზრი იყო საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე.

1918 წლის აპრილში რსფსრ სახკომსაბჭოს დავალებით გრ. ორჯონიკიძემ შექმნა სამხრეთ რაიონის დროებითი საგანგებო კომისარიატი. გრ. ორჯონიკიძე ყოველთვის იყო საქართველოს ამბების კურსში და ხშირად წერდა ამის თაობაზე ვ. ლენინს, გ. ჩიჩერინსა და სხვა ხელმძღვანელებს. გრ. ორჯონიკიძემ 1918 წლის 10 სექტემბერს ვ. ლენინსა და გ. ჩიჩერინს შეატყობინა, რომ საქართველოში გრძელდებოდა გლეხთა აჯანყება. გერმანელები ეხმარებოდნენ მენშევიკებს თეთრწყაროში რუსი და სომეხი გლეხების აჯანყების ჩაქრობაში; ის ატყობინებდა, რომ გერმანელები სთავაზობდნენ მენშევიკებს დახმარებას სამეგრელოს აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან ერთად, გრ. ორჯონიკიძე იუწყებოდა, რომ გენერალ მაზნიაშვილის ჯარის ნაწილები მოქმედებდნენ თეთრგვარდიელ. გენერალ ალექსეევთან ერ-

თად, მაგრამ დამარცხდნენ და სოჭში დაიხიეს[27]. გრ. ორჯონიკიძის ეს დეპეშა პირველად გამოქვეყნდა 1938 წელს ჟურნალ „კრასნი არქივის“ № 4-5.

გრ. ორჯონიკიძემ 1918 წლის 12 ოქტომბერს ვ. ლენინს გაუგზავნა დეპეშა, სადაც ახსნილი იყო ის ფაქტი, თუ რატომ ჩამოვარდა უსიამოვნება გენერალ ალექსეევსა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის. გენერალი ალექსეევის მიერ სოჭის ოლქის დაკავებამ, ხოლო შემდეგ სოხუმის ოლქის განთავისუფლების მოთხოვნამ, კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა ქართველი მენშევიკები. დასავლეთში შექმნილმა ვითარებამ აიძულა თურქები და გერმანელები დაეტოვებინათ საქართველო და მენშევიკური მთავრობა აღმოჩნდა თეთრგვარდიელი გენერლის პირისპირ. გრ. ორჯონიკიძემ ამ დეპეშით აცნობა ვ. ლენინს საქართველოს შინაური ამბებიც — მენშევიკები და ხალხი ერთმანეთისაგან შორს იდგნენ, ქართველი ხალხი, გაძარცულ-დარბეული მენშევიკების ჟანდარმერიისა და გერმანელი ოკუპანტების მიერ, მთავრობისადმი სიძულვილით იყო გამსჭვალული; ქართველი ხალხი საბჭოთა რუსეთისაგან ელოდა ხსნას[28].

გრ. ორჯონიკიძემ 1919 წლის 6 იანვარს ვ. ლენინს ვლადიკავკაზიდან დეპეშა გაუგზავნა. დეპეშაში ის იტყობინებოდა სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ, აღწერდა მის მსვლელობას და აღნიშნავდა, რომ საქართველოსა და სომხეთში მძვინვარებდა ნაციონალისტური ვნებათა ღელვანი. შემდეგ მოკავშირეებმა აიძულეს და მეომარი ქვეყნები დაზავდნენ. მდგომარეობის საერთო შეფასებისას გრ. ორჯონიკიძე წერდა, რომ ამიერკავკასიაში მოსახლეობის განწყობილება დაქვეითებულია და ხსნას ბოლშევიკებისაგან ელიანო[29].

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა გრ. ორჯონიკიძის იმ დებულებებმა, რომლებიც ეხება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის საკითხებს. ეს დებულებები ძირითადად გადმოცემულია ი. სტალინისადმი 1921 წლის 17 თებერვალს გაგზავნილ დეპეშაში. ის წერდა: მშრომელები, რომლებიც გატანჯული არიან საქართველოს მთავრობის ძალადობითა და შიმშილით, აჯანყდნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ და დაიძრნენ თბილისისაკენ, რათა დაემხოთ იქ მოძალადეები, დაემყარებინათ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. აჯანყებულებმა თხოვნით მიმართეს წი-

---

27 გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, ორ ტომად, 1956, ტ. I, გვ. 43 (რუს. ენაზე).

28 ი ქ ვ ე, გვ. 44.

29 ი ქ ვ ე, გვ. 64—65.

თელ არმიას და, ამჟამად, წითელი ტალღა თბილისთან არის მისული. ის აქ აღნიშნავდა, რომ ამ ტალღამ უნდა წალეკოს თბილისში გაბატონებული ბურჟუაზია და რუსეთის კონტრრევოლუციის ნარჩენები (ხაზი ჩვენია. უ. ს.)[30].

შემდეგში დებულება რუსეთის კონტრრევოლუციის ნარჩენების წალეკვის შესახებ დავიწყებას მიეცა. გრ. ორჯონიკიძე ამ დეპეშაში აღწერდა აჯანყების დასაწყისსა და მსვლელობას. ეს საინტერესო გამოქვეყნებული წყაროა მარქსისტულ ლიტერატურაში, სადაც აღწერილია აჯანყების მსვლელობა. აჯანყება დაიწყო ბორჩალოს მაზრაში და იქიდან გადმოვიდა საქართველოში. სოფ. ვორონცოვკაში აჯანყებას წინ უძღოდა გვარდიელების ძალადობა ადგილობრივ მოსახლეობაზე. აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს მდებარე სოფლების მცხოვრებლები, რომლებმაც გაიგეს ბორჩალოს მაზრაში ჩადენილი მზეცობის ამბავი, აჯანყდნენ. ქართველმა აჯანყებულებმა შექმნეს რევკომები. წითელი არმია მიეშველა აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს[31].

გრ. ორჯონიკიძემ „გრუზკავროსტას" თანამშრომლებთან საუბარში აღწერა წითელი არმიის საბრძოლო ოპერაციები და ფრონტის მდგომარეობის სურათი (ასე უწოდებდა გრ. ორჯონიკიძე მენშევიკების არმიისა და წითელი არმიის ბრძოლების უბნებს)[32]. მან დაახასიათა ანტანტის დამოკიდებულება მენშევიკური მთავრობისადმი, რომელიც ემიგრაციაში წასასვლელად ემზადებოდა[33]. გრ. ორჯონიკიძემ პასუხი გასცა შეკითხვაზე, თუ რატომ მოვიდა წითელი არმია საქართველოში? „წითელი არმია მოვიდა არა როგორც დამპყრობელი. მან საქართველო გამოაცხადა დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად. ის მხოლოდ დაეხმარა საქართველოს მუშებსა და გლეხებს. მენშევიკები დასავლეთში ეძებდნენ შველას. ქართველმა კომუნისტებმა კი წითელ არმიაში ჰპოვეს დახმარება[34]. წითელი არმია მოვიდა აქ იმიტომ, რომ: 1) გაანადგუროს აქ კონტრრევოლუციის კერა, ყველა ჯურის თეთრგვარდიელი გარეწრების სასტუმრო ბაკები; 2) მოსპოს საქართველოში ბურჟუაზიული ხელისუფლება, რომელმაც ის გადააქცია ანტანტის ბრმა იარაღად; 3) გადასცეს ყველა ფაბრიკა-ქარხანა მუშებს; 4) გადასცეს მთელი მიწა გლეხობას, 5)სრული შესაძლებლობა მისცეს საქართველოს მუშებსა და გლეხებს, რომ ანტანტის საქართველოს ნაცვლად შექმნას

---

30 გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ორ ტომად, 1956, ტ. I, გვ. 151.

31 იქვე, გვ. 171—3.

32 იქვე, გვ. 173.

33 იქვე, გვ. 174.

34 იქვე, გვ. 175.

ჭეშმარიტად დამოუკიდებელი მუშურ-გლეხური საქართველო[35]. ასეთი იყო პირველი მარქსისტული კონცეფცია საქართველოში წითელი არმიის მოსვლისა და მისი მისიის შესახებ.

1921 წლის 11 აპრილს გრ. ორჯონიკიძე ბაქოს საბჭოს სხდომაზე გამოვიდა სიტყვით — „ამიერკავკასიის რესპუბლიკების მდგომარეობის შესახებ". მან ილაპარაკა იმ მიზეზებზე, თუ რატომ ჩამოსცილდა საქართველო რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. გრ. ორჯონიკიძე ამბობდა, რომ 900-იან წლებში, როდესაც საქართველოში ფედერალისტები გამოვიდნენ ავტონომიის მოთხოვნით, მაშინ სოციალ-დემოკრატია — მენშევიკები და ბოლშევიკები — ავტონომიის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველი მენშევიკები კვლავ არ სვამდნენ საკითხს საქართველოს ავტონომიის შესახებ. მაგრამ როგორც კი რუსეთის მშრომელებმა მოახდინეს სოციალისტური რევოლუცია, ქართველი მენშევიკები მაშინვე გახდნენ თავგადაკლული ნაციონალისტები და მათ გაწყვიტეს ძაფი რუსეთთან. გრ. ორჯონიკიძის აზრით, საქართველოს რუსეთისაგან ჩამოცილება სულაც არ მომხდარა ეროვნული მიზეზით. ჩამოცილების მიზეზად ის მხოლოდ კლასობრივ საფუძველს ასახელებდა.

ბაქოს საბჭოს სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში გრ. ორჯონიკიძე შეეხო საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის საკითხსაც. ის აღნიშნავდა, რომ საქართველოს მოსახლეობა კარგად შეხვდა წითელ არმიას: ყველაზე თავგამოდებული მენშევიკებიც კი ამბობენ, რომ თუ ბოლშევიკები და მათი წითელი არმია შემდეგშიც ასე მოიქცევიან, მაშინ ბოლშევიკები დაუმარცხებელი იქნებითო. ინტელიგენციამ განაცხადა, რომ თუ ბოლშევიკები მართლა არ აპირებენ წაართვან საქართველოს დამოუკიდებლობა, ისინი იმუშავებენ ისე, როგორც არასოდეს (აქ ჩანს, რომ ეროვნულ საკითხს მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უ. ს.). ამისდა მიუხედავადო, — აღნიშნავდა გრ. ორჯონიკიძე, — ნაციონალიზმი ძლიერი იყო. განსაკუთრებით ძლიერი იყო თავდასხმა ჩვენზე იმის გამო, რომ ჩვენ მოვედით რუსის ჯარით. მაშინ ჩვენ განვაცხადეთ „კი, ჩვენ მოვედით რუსეთის წითელი არმიით, რათა დავანგრიოთ მთიელთა, ყუბანელ მთავრობათა კონტრრევოლუციონური ბუდეები, რათა დავამხოთ მენშევიკური მთავრობა. მაგრამ წინადაც ხომ იყო საქართველოში უცხოელთა ჯარები: ინგლისელები, გერმანელები. ამაზე ყველა გაჩუმებული იყო, ხოლო რუსეთის წითელი

---

[35] გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე. სტატიები და სიტყვები, ორ ტომად, 1956, ტ. I. გვ. 177—178.

არმიის წინააღმდეგ თქვენ ატეხეთ ხმაური. ხმაური ატეხეთ არა იმიტომ, რომ ის რუსულია, არამედ იმიტომ რომ ის „წითელია“[36].

ამიერკავკასიაში მუშაობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე ს. კიროვი. 1920 წელს რსფსრ და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ რსფსრ მთავრობამ ს. კიროვი დანიშნა რსფსრ სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში. ის კარგად იცნობდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ს. კიროვმა თბილისში ყოფნისას ვ. ლენინს მისწერა სამი წერილი. ეს წერილები გამოქვეყნდა 1930-იან წლებში. ორ წერილში ს. კიროვი ეხება საქართველოში შექმნილ ვითარებას. 1920 წლის 20 აგვისტოს მიწერილ წერილში ის აღწერდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულებას საბჭოთა რუსეთისადმი; აღწერდა, თუ ვრანგელის მარცხი ან გამარჯვება როგორ გავლენას ახდენდა ამ დამოკიდებულებაზე. პოლონეთის მარცხი, კერზონის წინადადებები და სხვა საერთაშორისო მოვლენები, საქართველოს მენშევიკური მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში მკვეთრ ასახვას პოულობდა. ს. კიროვი ამავე წერილში აღწერდა ქართველი მენშევიკების დამოკიდებულებას ბოლშევიკებისადმი, ბოლშევიკების ბრძოლას ლეგალობის შენარჩუნებისათვის. წერილიდან ჩანს, რომ საქართველოში საბჭოთა რუსეთის საელჩოსა და მისი საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთის და სომხეთის დამოკიდებულებას[38].

1921 წლის 18 აპრილს ს. კიროვი მოხსენებით გამოვიდა მთიელთა რესპუბლიკის საბჭოების დამფუძნებელ ყრილობაზე. მოხსენებაში ის შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას, ილაპარაკა ანტანტის რღვევის შესახებ. აქ მან მაგალითად მოიტანა საქართველო, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ანტანტა უნდა დახმარებოდა საქართველოს, უნდა დაეცვა მისი მენშევიკური მთავრობა აჯანყებული მუშებისა და გლეხებისაგან. მაგრამ ანტანტამ ეს დახმარება არ გაუწია საქართველოს, რადგან მას თავისი თავი გაჭირვებოდა. ეს ჭკუის სასწავლო ბაკვეთილიაო, — ამბობდა ს. კიროვი. ასეთ შეფასებას აძლევდა ს. კიროვი საქართველოსა და ანტანტის ურთიერთობას.

ვ. ლენინის, კომუნისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელების ი. სტალინის, გრ. ორჯონიკიძის, ს. კიროვის შეხედულებები 1917 —

---

36 გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, ორ ტომად, 1956, ტ. 1. გვ. 184.

37-38 ს. კ ი რ ო ვ ი, რჩეული სტატიები და სიტყვები, 1919—1934, მ.-ლ 1939, გვ. 148—149, (რუს. ენაზე).

1921 წლების საქართველოს ისტორიაზე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაზე, ვ. ლენინის ისტორიული კონცეფცია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ მტკიცედ დამკვიდრდა ისტორიულ მეცნიერებაში. 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მარქსისტული ისტორიული კონცეფციის ჩამოყალიბება ერთბაშად არ მომხდარა. ვ. ლენინის შრომების ნაწილი, ი. სტალინის, გრ. ორჯონიკიძის, ს. კიროვის ნაშრომები, სტატიები, სიტყვები გამოქვეყნდა მოგვიანებით. მათი ერთი ნაწილი კი ადრეც დაიბეჭდა გაზეთებსა და ჟურნალებში, მაგრამ მათ საფუძვლიან გაცნობას, აღქმას დიდი დრო სჭირდებოდა. წლების მანძილზე საბჭოთა ისტორიკოსები ვ. ლენინის, ი. სტალინის, გრ. ორჯონიკიძისა, ს. კიროვის დებულებებს ავითარებდნენ, ავსებდნენ ახალი მასალით, ასაბუთებდნენ საარქივო დოკუმენტებით და ასე უკაფავდნენ გზას საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მარქსისტულ ისტორიულ კონცეფციას.

ლენინური ისტორიული კონცეფციების აღქმას დიდად შეუწყო ხელი ვ. ლენინის თხზულებათა გამოცემებმა. 1920—1926 წწ. გამოვიდა ვ. ლენინის თხზულებათა პირველი გამოცემა. სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობის 1924 წლის 26 იანვრის დადგენილებით დაიწყო ვ. ლენინის თხზულებათა ახალი გამოცემა (მეორე და სტერეოტიპული მესამე გამოცემა). 1932 წელს დამთავრდა ვ. ლენინის თხზულებათა მეორე, ხოლო 1933 წელს — მესამე გამოცემა. ეს გამოცემები ამ დროისათვის ყველაზე სრული იყო. კომუნისტური პარტიის XIII ყრილობის (1924 წლის მაისი) დადგენილებით დაიწყეს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა. ნაწილი ამ შრომებისა ქართულად ითარგმნებოდა, ხოლო დიდ ნაწილს ქართველი მკვლევრები რუსულ ენაზე ეცნობოდნენ. ამ შრომების გაცნობამ მარქსისტი ისტორიკოსები ისტორიული პროცესის შესწავლის, გაგების მეცნიერული თეორიით შეიიარაღა. ამასთან აღსანიშნავია, რომ როგორც მოსკოვში, ისე აქ, საქართველოში, დიდი რაოდენობით იბეჭდებოდა პარტიული დოკუმენტები — რეზოლუციები, დადგენილებები, გადაწყვეტილებები. ყოველივე ამის გაცნობა ხელს უწყობდა ისტორიკოსებს მარქსისტული აზრის ჩამოყალიბებაში, ისტორიული პროცესის მარქსისტულ გააზრებაში.

2

რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ, საზოგადოების ცხოვრებაში სოციალური პრობლემების გვერდით, დიდი ადგილი დაიკავა ეროვნულმა საკითხმა — ეროვნული ჩაგვრისაგან თავის დახსნისათ-

ვის ბრძოლამ. XX საუკუნემ რუსეთის იმპერიაში განსაკუთრებით განავითარა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეროვნული მოძრაობა და გაამწვავა ეროვნული ბრძოლა (ვ. ლენინი). „ხალხთა საპყრობილეში" გამომწყვდეული ჩაგრული ერები თავისუფლებას ეძიებდნენ. ამასთან დაკავშირებით სახეცვლილება განიცადა პოლიტიკური პარტიების პროგრამებმა, მათი ბრძოლის მიზნებმა და მეთოდებმა, — თავიანთი კლასების ინტერესებიდან გამომდინარე დროის მოთხოვნას შეეგუა.

1914 წელს კრაკოვში წაკითხულ მოხსენებაში, ვ. ლენინმა აღნიშნა, რომ ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ყველაზე დამახასიათებელი მისწრაფებაა ეროვნული სახელმწიფოების შექმნა[39]. ბართლაც, და 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას დიდი იმედები დაუსახა.

1917 წელს საქართველოში მწვავე სოციალური ბრძოლის გვერდით მიმდინარეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ქართული ეროვნული საკითხი საზოგადოებრივი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო. საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ მოძრაობაში და ეძებდნენ ეროვნული ჩაგვრისაგან თავის დახსნის ისეთ გზას, ეროვნული ცხოვრების მოწყობის ისეთ ფორმებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა მათი კლასების ინტერესებს.

პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლაში, პოლემიკაში იქმნებოდა პირველი ისტორიული აზრი თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომდევნო ხანის ქართულ ეროვნულ საკითხზე. პირველი ისტორიკოსები, ისტორიული აზრის პირველი შემოქმედნი იყვნენ ისინი, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ ისტორიულ პროცესში.

ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიოგრაფიის ჩასახვისა და განვითარების გზების შესწავლა 1917 — 1921 წწ. საქართველოს ისტორიის ქართულ ისტორიოგრაფიაში წამყვანი საკითხია. ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ აფასებდნენ თანამედროვენი, ამ მოძრაობის მომსწრე და მისი უშუალო მონაწილენი — ქართველი მარქსისტები — ქართულ ეროვნულ საკითხს. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომი ხანის (1917 წ.) ქართული ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიაზე აქ არ შევჩერდებით და მკითხველს დავუსახელებთ ჩვენ წერილს „ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წ.)"[40], სადაც განხილულია ეს საკითხი. 1917 წლის

---

39 ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული, XVII, გვ. 228 (რუს. ენაზე).

40 ქართული ისტორიოგრაფია I, თბილისი, 1968.

შემდეგ, 1920 წლამდე, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ქართველ მარქსისტ-პუბლიცისტებს საშუალება არ ჰქონდათ გამოეთქვათ მოსაზრება ეროვნულ საკითხზე.

ეროვნულ საკითხს ბოლშევიკური პარტიის ქართველი მოღვაწეები 1917 წლის შემდეგ მხოლოდ 1920 წელს დაუბრუნდნენ. ფ. მახარაძემ[41] წერილში „საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის"[42] (პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში" 1920 წლის 8 ივნისს), მოგვცა საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების შეფასება. ფ. მახარაძე ეკამათებოდა მათ, ვინც ხელშეკრულებას ცალმხრივად უყურებდა, ვინც ამ აქტის უდიდეს მნიშვნელობად მიიჩნევდა მხოლოდ იმას, რომ საბჭოთა რუსეთმა ცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ფ. მახარაძე არ უარყოფდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მნიშვნელობას და აქვე მოაგონებდა ყველას თუ ამ ხელშეკრულებით საქართველო ვისგან ხდებოდა დამოუკიდებელი. საქართველოს მთავრობა თავს აფარებდა ჯერ გერმანიის იმპერიალიზმს, შემდეგ კი ანტანტას. საქართველო-რუსეთის ეს ხელშეკრულება მოითხოვდა საქართველოს ტერიტორიის გაწმენდას იმათგან, რომლებიც მოქმედებდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ფ. მახარაძე აღნიშნავდა, რომ ხელშეკრულების მეხუთე მუხლი ნიშნავდა „საქართველოს განთავისუფლებას ანტანტის იმპერიალისტების გავლენისაგან და სამაგიეროდ სოციალისტური რუსეთის ძლიერი პოლიტიკური, კულტურული და იდეური გავლენის ქვეშ მოყოლას[43]". ეს მთელი ისტორიული პროცესის შედეგი იყო. ვიდრე საბჭოთა რუსეთი სუსტი იყო, საქართველოს მენშევიკური პარტია ორიენტაციას იღებდა დასავლეთის სახელმწიფოებზე. მაგრამ დასავლეთში იფეთქა რევოლუციამ; ჯერ გერმანია, ხოლო შემდეგ ანტანტაც იძულებული გახდა გაეყვანა ჯარები საქართველოდან. ამასობაში საბჭოთა რუსეთმა სძლია გარეშე და შინაურ მტერს. „გამარჯვებული საბჭოთა რუსეთი ამიერკავკასიას კარზე მოადგა. საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა დაინახეს, რომ საბჭოთა რუსეთის გავლენას ვერ ასცდებოდნენ და საიდუმლოდ შეუდგნენ მასთან მოლაპარაკებით საქმის მოგვარებას[44]". ფ. მახარაძე კარგად ხედავდა, რომ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს ეს კავშირი არ ჰგავდა ძველი რუსეთისა და საქართველოს კავშირს. საქართველომ კავშირი შეჰკრა ახალ, საბჭოთა რუსეთ-

41 ი ხ. ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ფილიპე მახარაძე, ბიოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1958.

42 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებათა კრებული, ტ. IV.

43 ი ქ ე ვ ე, გვ. 141.

44 ი ქ ვ ე, გვ. 140—141.

თან. ამაში ფ. მახარაძე 1920 წლის ხელშეკრულების დიდ ისტორიულ მნიშვნელობას ხედავდა.

იმავე 1920 წლის 13 ივნისს გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ფ. მახარაძის წერილი „ყველას გასაგონად“ (სამხრეთ ოსეთის აჯანყების გამო)[45], სადაც მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა აჯანყების შეფასება იყო მოცემული. აჯანყების შეფასება გამოდიოდა კომუნისტური პარტიის პროგრამიდან — ყველა ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება სრულ გამოყოფამდე. მენშევიკები სიტყვით აღიარებდნენ სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის უფლებას, მაგრამ როცა ჯერი მიდგა საქმეზე, მაშინ აჯანყებულთა წინააღმდეგ იარაღით გამოვიდნენ. ფ. მახარაძე დაწვრილებით იხილავდა მენშევიკების მთავრობის დამოკიდებულებას აჯანყებისადმი და წერდა, რომ მენშევიკები სამხრეთ ოსეთის აჯანყებული მშრომელების წინააღმდეგ გამოსვლას შემდეგი მოსაზრებით ამართლებდნენ:“ 1) სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევა ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გალაშქრებას; 2) ოსეთის შეიარაღებული აჯანყება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დარღვევაა; 3) ოსეთის მოძრაობა ეს ჩამორჩენილი კუთხის მოძრაობაა, ისაა მოძრაობა საშუალო საუკუნეებისა — ახალი დემოკრატიის წინააღმდეგ, რასაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენდა“[46]. ფ. მახარაძის აზრით, მართალია, რომ საბჭოთა რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, უარი განაცხადა მის შინა საქმეებში ჩარევაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ოსებს თვითგამორკვევის უფლება არ ჰქონდათ. ფ. მახარაძე სამხრეთ ოსეთის აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლად მიიჩნევდა.

წერილში „ფედერალისტები ახმაურდნენ“ (გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს კომუნისტში“, 1920 წლის 18 ივნისს) ფ. მახარაძე იხილავდა ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების კლასობრივ დასაურდენს და წერდა, რომ ისინი ერთსადაიმავე დროს იცავდნენ ქართველი თავადაზნაურობის, ქართველი ბურჟუაზიის, სამღვდელოების, ეკლესიების და მუშების ინტერესებს; პარტიას სათავეში უდგა შოვინისტურად განწყობილი ინტელიგენცია, რომელიც თავადაზნაურობის ახლობელი ნათესავი იყო.

წერილში „ნაციონალური საკითხი და მენშევიკები“ (გამოქვეყნდა 1920 წლის 25 ივნისს გაზეთ „საქართველოს კომუნისტში“) ფ. მა-

---

45 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. თხზულებათა კრებული, ტ. IV.

46 ი ქ ვ ე. გვ. 146.

ხარაძე აღნიშნავდა, რომ რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და მის დროსაც მენშევიკებს მართალია, პროგრამაში ჰქონდათ ერთა თვითგამორკვევის მოთხოვნა, მაგრამ მაშინ საკითხს ასე არ აყენებდნენო. სტოლიპინის რეაქციის შემდეგ მენშევიკები ეროვნულ საკითხში სულ უფრო დასცილდნენ კლასობრივ ნიადაგს და მათმა შეხედულებებმა ნაციონალისტური ელფერი მიიღო. მენშევიკები 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ნაციონალური იდეის ნამდვილი მედროშენი გახდნენ. ფ. მახარაძემ ყურადღება გაამახვილა მენშევიკების მეორე ყრილობის მიერ ეროვნული საკითხის განხილვაზე და აღნიშნა, რომ საკითხში მენშევიკური პარტიის შიგნით დიდი აბნეულობა იყო.

1917 წელს მიმდინარე ეროვნულ მოძრაობაზე, 1917—1920 წლების ქართულ ეროვნულ საკითხზე ისტორიული აზრი იქმნებოდა პოლიტიკურ პოლემიკასა და ბრძოლაში, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. იმ ამბავმა, რომ ეროვნული მოძრაობის სვედრითი წონა გაცილებით უფრო სერიოზული იყო, ხოლო ეროვნებათა გაერთიანების გზა — გაცილებით უფრო რთული, ვიდრე ეს შეიძლებოდა ჰგონებოდათ ბოლშევიკებს პირველ მსოფლიო ომამდე ან ოქტომბრის რევოლუციამდე (ი. სტალინი), ყველაზე მეტი დაღი დაასვა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლას. ქართველ ბოლშევიკთა ერთი ნაწილი ეროვნული საკითხის, როგორც სოციალისტური რევოლუციის განუყოფელი, შემადგენელი ნაწილის შეუფასებლობას იჩენდა. ასეთმა შეუფასებლობამ განაპირობა წვრილბურჟუაზიული პარტიების დროებითი წარმატება საქართველოში სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამიტომ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დაგვიანების ერთ-ერთი მიზეზიც აქ უნდა ვეძიოთ.

ყოველივე ზემოთქმულმა ასახვა პოვა ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიაში, ყველა იმ ლიტერატურასა და დოკუმენტში, რომელშიც გარკვეული როლი შეასრულა ისტორიული აზრის ჩამოყალიბებაში. ქართული ეროვნული საკითხის მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში იმ ძირითადის გვერდით, რომ მთავარის — სოციალისტური რევოლუციის საკითხის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია ეროვნული საკითხი, რომ მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეეძლო გადაეჭრა ჩაგრულ ერთა განთავისუფლების საკითხი, თავს იჩენდა, და არც თუ იშვიათად, ქართული ეროვნული მოძრაობის შეუფასებლობა, ამ მოძრაობის მნიშვნელობისა და როლის სათანადო გაგება-დაფასება.

1917—1921 წწ. საქართველოში ეროვნულ საკითხთან ერთად მწვავედ იდგა, მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი — აგრარული საკითხი.

საქართველო თავისი ეკონომიური განვითარებით ბევრად არ ჩამოუვარდებოდა რუსეთს, მაგრამ ისევე, როგორც რუსეთში, აქაც გლეხობა მიწის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. საქართველოს სოფელში ჯერ კიდევ ბევრი იყო ამ ხანად ბატონყმობის გადმონაშთები.

საქართველოს სოფელში 1917 წლის აღწერის მასალებით ერთ გლეხურ მეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 2,4 დესეტინა სახმარი მიწა; აქედან 1,4 დესეტინა სანნავი, 0.2 დესეტინა სამოსახლო და სხვა სახის სახმარი მიწა იყო[47]. იმის უკეთ დასანახავად, თუ როგორ უპირდა გლეხობას, აქვე მოვიტანთ სტატისტიკურ მასალას საზოგადოების მეორე ნაწილის — მემამულეების მიწით უზრუნველყოფის შესახებ. იმავე 1917 წლის სტატისტიკური აღწერით საქართველოს ერთ მემამულურ მეურნეობაზე მოდიოდა 59 დესეტინა სახმარი მიწა, ე. ი. მემამულეებს 24-ჯერ მეტი მამულები ჰქონდათ გლეხებთან შედარებით[48].

სტატისტიკური მონაცემები ერთი სული გლეხის მიწით უზრუნველყოფის შესახებ უფრო ნათელ სურათს იძლევა გლეხთა მცირე მიწიანობაზე. საქართველოში 100 სულ გლეხზე მოდიოდა 41,6 დესეტინა სახმარი მიწა[49]. ამავე დროს კი 100 ქართველი მემამულე ფლობდა 824 დესეტინა მიწას. მემამულე თითქმის 20-ჯერ უკეთესად იყო უზრუნველყოფილი მიწით, ვიდრე ქართველი გლეხი. ამას უნდა დაემატოს ტყეები, საძოვრები და სხვა, რომლითაც მემამულეები გაცილებით ჭარბად იყვნენ უზრუნველყოფილნი, ვიდრე გლეხები. სტატისტიკური მასალის გაცნობის შემდეგ უკვე გასაგები გახდება ის მწვავე აგრარული მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1917—1921 წწ. საქართველოში.

გლეხობა მიწის საკითხის გადაწყვეტას რევოლუციისაგან ელოდა. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ აგრარული საკითხი ვერ გადაჭრა, მან პრობლემის გადაწყვეტის მხოლოდ იმედები დასახა. 1917 წელს საქართველო აგრარულმა ბრძოლამ მოიცვა. გლეხები მემამულეთა სახლ-კარს არბევდნენ, მიწებს იტაცებდნენ, აგრარულ ტერორს მიმართავდნენ; თვითნებურად ჩეხდნენ ტყეებს, იტაცებდნენ საძოვრებსა და სათიბებს.

აგრარული მოძრაობა ვერ შეაჩერა დროებითი მთავრობისა და მისი ადგილობრივი ორგანოს — „ოზაკომის“ (კავკასიის განსაკურთე-

---

47 სტატისტიკური კრებული, 1909—1920 წწ., თბ., 1921.

48 იქვე.

49 იქვე.

ბული კომიტეტის) ღონისძიებებმა — დეკრეტებმა, კანონებმა, დებულებებმა.

კავკასიელი ბოლშევიკები უპასუხოდ არ ტოვებდნენ მაშინდელ ცხოვრების ასეთ საჭირბოროტო საკითხს. ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდებოდა აგრარული საკითხისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური წერილები. ამ წერილებში მოცემული იყო შექმნილი ვითარების ახსნა, აგრარული მოძრაობის შეფასება. ეს იყო პირველი ისტორიოგრაფიული შეხედულებები საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მეტად აქტუალურ საკითხზე.

ცნობილი ქართველი ბოლშევიკი ფ. მახარაძე დიდ ყურადღებას უთმობდა აგრარულ საკითხს. მისი წერილები, რომლებიც აგრარული საკითხისადმი იყო მიძღვნილი შედარებით მოგვიანო ხანას განეკუთვნება. მანამდე კი 1917 წლის 15 ოქტომბერს გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩიმ“ გამოაქვეყნა ფ. მახარაძის მოხსენება აგრარულ საკითხზე. ფ. მახარაძემ ეს მოხსენება გააკეთა რსდმპ (ბ) კავკასიის პირველ საოლქო (სამხარეო) ყრილობაზე. მოხსენება ზოგადი ხასიათისა იყო. მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა აგრარული საკითხის მდგომარეობა რუსეთში და ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა ამ საკითხში. ფ. მახარაძემ მენშევიკებისა და ესერების აგრარულ პოლიტიკას გარკვეული შეფასება მისცა. ეს პოლიტიკა ბურჟუაზიისა და მემამულეების მხარდაჭერის პოლიტიკა იყო[50].

1917 წლის 16 დეკემბერს გაზეთმა „ბრძოლამ“ გამოაქვეყნა ფ. მახარაძის წერილი „ამიერკავკასიის კომისარიატი და მიწის საკითხი“. ამ წერილში ფ. მახარაძემ ამიერკავკასიის კომისარიატი დაახასიათა, როგორც მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბლოკი მენშევიკებთან და მემარჯვენე ესერებთან. აქედან გამომდინარე, ამიერკავკასიის კომისარიატის აგრარული პოლიტიკა მემამულეებისა და ბურჟუაზიის მხარდაჭერის პოლიტიკად იყო შეფასებული. ავტორის აზრით, გლეხობამ დაუჯერა მენშევიკებსა და ესერებს და, მიწის საკითხი რევოლუციური გზით კი არ გადაჭრა, არამედ დამფუძნებელ კრებას დაუწყო ლოდინი. რუსეთში გლეხობამ, რომელიც გონს მოვიდა დაამხო მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბატონობა და მიწა მიიღო. ამიერკავკასიაში ასეთი რამ არ მომხდარა. მენშევიკებსა და ესერებს არ შეეძლოთ გლეხობის დაკმაყოფილება[51].

ფ. მახარაძემ წერილში „ესეც დეკრეტია“ (გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“, 1917 წ. 21 დეკემბერი) განიხილა ამიერკავკასიის კომისარია-

---

50 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებათა კრებული, ტ. VII, თბ., 1930.
51 ი ქ ვ ე.

ტის“ დებულება საადგილმამულო კომიტეტების ხელში სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მიწის მფლობელთა მიწების გადაცემის შესახებ“. ფ. მახარაძემ ეს დეკრეტი შეადარა საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს მიწის დეკრეტს და უჩვენა, რომ ამიერკავკასიის კომისარიატი შორს იდგა გლეხთა ინტერესებისაგან. ეს „დებულება“ გვერდს უვლიდა მიწის ნაციონალიზაციას. ის მიწები, რომლებიც გარკვეული ნორმის ზევით ექნებოდა კერძო მიწისმფლობელებს, უნდა გადასულიყო საადგილმამულო კომიტეტების ხელში. ამ კომიტეტებს ხალხი არ ირჩევდა. მათ ზემოდან ნიშნავდნენ; დებულება კერძო მიწათმფლობელთა საკითხს ძველებურად სტოვებდა. ამიერკავკასიის კომისარიატი, ავტორის აზრით, შესანიშნავად იცავდა „მხოლოდ შეძლებული კლასების ინტერესებს“[52].

ამავე დებულებას შეეხო ფ. მახარაძე წერილში „როგორ სწადიათ მენშევიკებს და მემარჯვენე ესერებს მიწის საკითხის გადაჭრა ამიერკავკასიაში“ (გაზეთი „ბრძოლა“, 1917 წ., 22 დეკემბერი). ფ. მახარაძე წერდა, რომ რუსეთში გამოსულმა მიწის დეკრეტმა აიძულა ადგილობრივი ხელისუფალნი გამოეცათ „დებულება“. ამით მენშევიკები და ესერები გლეხების მიმართ დათმობაზე წავიდნენ. ეს „დებულება“ გლეხებისათვის თვალის ახვევის ცდა იყო. ფ. მახარაძე აქვე კვლავ იძლეოდა ამიერკავკასიის კომისარიატის პოლიტიკური სახის დახასიათებას და წერდა, რომ კომისარიატი კერენსკის კოალიცური მთავრობის გაგრძელება იყო[53].

ფ. მახარაძე წერილში „მენშევიკები და მიწის საკითხი“ (გაზეთი „ბრძოლა“, 1917 წ., 30 დეკემბერი და 1918 წ. 1 იანვარი) წერდა, რომ მენშევიკებსა და ესერებს მიწის საკითხის გადაჭრა სურდათ მემამულეებთან შეთანხმებით და ბურჟუაზიული რეფორმების გზით. ასეთი გზით რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი, აგრარული საკითხი ვერ გადაიჭრებოდა. ფ. მახარაძის აზრით, მენშევიკები ებრძოდნენ რევოლუციას; ცდილობდნენ როგორმე მოერიგებინათ გლეხები და მემამულეები და ამით მიწის მსხვილი მფლობელები დაეხსნათ განსაცდელისაგან[54].

ამ „დებულების“ იმავე შეფასებას იმეორებს ფ. მახარაძე წერილში „ამიერკავკასიის კომისარიატის ერთი ვითომდა „დეკრეტის“ ბედიღბალის შესახებ“ (გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“, 1918 წ., 9 იანვარი).

---

52 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებათა კრებული. ტ. VII, თბ., 1930. გვ. 62.
53 *იქვე*, გვ. 65.
54 *იქვე*, გვ. 70.

აგრარული საკითხისადმი იყო მიძღვნილი ფ. მახარაძის წერილი „მიწის საკითხი და რევოლუცია“ (გაზეთი „ჩვენი ბრძოლა“, 1918 წ., 9 და 10 მარტი).

ფ. მახარაძე საქართველოში აგრარული მოძრაობის საკითხებს კვლავ დაუბრუნდა 1920 წელს. მან გამოაქვეყნა წერილი „აგრარული საკითხი მმართველი პარტიის ყრილობაზე“ (გაზეთი „საქართველოს კომუნისტი“, 1920 წ. 27 ივნისი). ფ. მახარაძე საქართველოს მთავრობის აგრარულ პოლიტიკას აკრიტიკებდა უმთავრესად იმის გამო, რომ მიწის საკითხის გადაწყვეტა სურდათ ზემოდან, გლეხობის მონაწილეობის გარეშე. მიწის მთელი კანონმდებლობა (1917 წლის დეკემბრის „დებულებიდან“ მოყოლებული) გლეხობის დაუკითხავად ტარდებოდა. საქართველოს გლეხობას მიწა არ მიუღია. ჩამორთმეულ მიწებს დაეპატრონა სახელმწიფო და თვითმმართველობები, რომლებიც მიწას მძიმე პირობებში იჯარით იძლეოდნენ. ასეთი იყო მენშევიკების მთავრობის თითქმის სამწლიანი მიწის კანონმდებლობის მარქსისტული შეფასება.

ეროვნული და აგრარული საკითხების გარდა, 1917—1921 წლების საქართველოში მრავალი (— პოლიტიკური ხელისუფლების, მუშათა და სხვა), საკითხი იდგა. ამ პრობლემებზე მარქსისტული ისტორიული აზრის შემუშავებაში კვლავ დიდი როლი შეასრულა ფ. მახარაძის პუბლიცისტურმა მოღვაწეობამ. 1920 წელს, ოქტომბრის რევოლუციის სამი წლისთავზე, ფ. მახარაძემ დაწერა წერილი „ოქტომბრის რევოლუცია და ქართველი სოციალ-გამცემლები“. წერილი შესულია ფ. მახარაძის თხზულებათა კრებულის IV ტომში, რომელიც 1924 წელს გამოვიდა. ფ. მახარაძე ქართველ მენშევიკებს (ნ. ჟორდანიას, ე. გეგეჭკორს, ა. ჩხენკელს და სხვებს) რუსეთის დროებითი მთავრობის ერთგულ მოკავშირეებად მიიჩნევდა. ვიდრე არსებობდა დროებითი მთავრობა ქართველი მენშევიკები ერთგულად ემსახურებოდნენ მას და ცდილობდნენ მისი ძალაუფლება შეენარჩუნებინათ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მათ საქართველო გამოჰყვეს საბჭოთა რუსეთისაგან. მენშევიკების ასეთ საქციელს ფ. მახარაძე ხსნიდა იმით, რომ ისინი მომხრენი იყვნენ ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ რუსეთთან კავშირისა, მაგრამ სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ საბჭოთა რუსეთისა. 1917 წლის 11 ნოემბრის აქტს — ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნას, ფ. მახარაძე ახასიათებდა როგორც კონტრრევოლუციურ-სეპარატულ აქტს. ქართველი მენშევიკები შოვინისტურ გზაზე დადგნენ და დასცილდნენ ინტერნაციონალიზმს. მათ უარი თქვეს გაეგზავნათ წარმოსადგენელი ბრესტ-ლიტოვსკში გერმანელებთან მოლაპარაკებაზე და სე-

პარატული მოლაპარაკება დაიწყეს ოსმალეთთან, რაც ფორმალურად რუსეთისაგან განდგომას მოასწავებდა. ეს კარგად იცოდნენ მენშევიკებმა და საბჭოთა რუსეთზე ათასგვარ ცილისმწამებლურ ჭორს ავრცელებდნენ: საბჭოთა რუსეთმა თვითონ აიღო ხელი საქართველოზეო და სხვ.[55].

ფ. მახარაძის აზრით, მენშევიკებმა დემაგოგიურად გამოიყენეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც ბათუმისა და ყარსის ოლქებს შეეხებოდა. მენშევიკები ქართველ ხალხს ეუბნებოდნენ, რომ საბჭოთა რუსეთმა გერმანელებისაგან ზავი ამიერკავკასიის მშრომელების ინტერესების ღალატის საფასურად მიიღოო.

ფ. მახარაძე ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს იმით ხსნიდა, რომ ამას დაჟინებით მოითხოვდა თურქეთი. ამ აქტმა საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი საბჭოთა რუსეთთან. ამასთან ერთად, საქართველომ სავალდებულოდ არ ცნო ბრესტის ხელშეკრულება. ავტორის აზრით ქართველმა მენშევიკებმა რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილების საქმეში დროებითი წარმატებები მოიპოვეს, ხოლო ბრესტის ხელშეკრულების უგულებელყოფის საქმეში მარცხი განიცადეს. საქართველოს, რომელმაც არ ცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, შემოესია თურქეთის ჯარი. ამჯერად მენშევიკები ევედრებოდნენ თურქეთს დაეცვა ბრესტის ის ხელშეკრულება, რომელზეც თვითონ თქვეს უარი. თურქეთსა და საქართველოს შორის დაიდო ისეთი სამარცხვინო ზავი, რომელთან შედარებით ბრესტის ზავი საპატიო იყო. ფ. მახარაძის აზრით, ეს არ მოხდებოდა საქართველო რუსეთს რომ არ გამოჰყოფოდა. ქართველი მენშევიკები მოტყუებულნი დარჩნენ. თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულების შედეგად საქართველოს ოკუპაცია მოახდინეს გერმანელებმა. გერმანელების დამარცხების შემდეგ მოვიდნენ ახალი ოკუპანტები — ინგლისელები. ქართველი მენშევიკები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ღონისძიებას სათავეში უდგნენ.

ფ. მახარაძის აზრით, 1920 წლისათვის ქართველი მენშევიკების პარტია უკვე წარმოადგენდა „ახლადჩასახული საქართველოს იმპერიალისტური ბურჟუაზიის პარტიას"[56]. მენშევიკები ეყრდნობოდნენ უკვე არა იმდენად წვრილბურჟუაზიულ წრეებს, რამდენადაც კულაკურ და ბურჟუაზიულ საშუალო და მსხვილ ელემენტებს. ღარიბი გლეხობა უკვე დაშორდა მენშევიკებს. ეს დაშორება მოხდა მაშინ, რო-

---

55 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებათა კრებული, ტ. IV, გვ. 200.

56 ი ქ ვ ე, გვ. 203.

ცა. საქართველო საბჭოთა რუსეთს ჩამოსცილდა. ქართველი გლეხების დამოკიდებულება მენშევიკებისადმი გამომჟღვანდა იმ აჯანყებაში, რომლებიც 1918 წლის დასაწყისიდან 1919 წლის ბოლომდე საქართველოში იყო. მენშევიკების გავლენას ფ. მახარაძე ხსნიდა იმით, რომ მათ დასაყრდენი ჰქონდათ მუშებში. მაგრამ მუშებიც გამოფხიზლდნენ და თანდათან სცილდებოდნენ მენშევიკებს. ბურჟუაზიის სამსახურში მხოლოდ მუშათა ზედაფენა, ე. წ. არისტოკრატია რჩებოდა.

1920 წლისათვის მენშევიკებს უკვე აღარ ჰქონდათ სოციალური დასაყრდენი. მათდამი მტრულად იყვნენ განწყობილი ეროვნული უმცირესობანი. მენშევიკური პარტიის წევრთა 75%-ს კულაკები, შოვინისტური ინტელიგენცია, მეფის ყოფილი მოხელენი და პოლიციელები შეადგენდნენ და, მაშასადამე, მუშებისათვის უცხონი იყვნენ.

ასეთ პირობებში იბადება კითხვა: მაშ როგორ არსებობდა მენშევიკური მთავრობა თუ არ ჰქონდა მას არავითარი გავლენა საქართველოში? ფ. მახარაძე ამ კითხვას გვერდს არ უვლიდა და წერდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის დროს და მის შემდეგაც, მენშევიკებს მართლაც ჰქონდათ გავლენა საქართველოს მოსახლეობის უმრავლეს ნაწილზე. 1920 წელს, მშრომელები უკვე მტრულად იყვნენ განწყობილნი მენშევიკური მთავრობისადმი და აჯანყებებს აწყობდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ. მენშევიკების დასაყრდენი უკვე უცხოელთა ხიშტები იყო. ამასთან ერთად მენშევიკებმა სასტიკ ტერორს მიმართეს ბოლშევიკების წინააღმდეგ. ეს ზომები ახანგრძლივებდა მენშევიკების ბატონობას. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკების პარტია მაინც ძლიერდებოდა. ჩრდილო კავკასიაში და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. საქართველოს მშრომელები მოელიან, რომ უახლოეს მომავალში დაემხობა მენშევიკური მთავრობა.

ფ. მახარაძე ამ წერილში შეეხო საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ ფაქტმა გაახანგრძლივა საქართველოს მენშევიკური მთავრობის არსებობა — წერდა ფ. მახარაძე. ავტორი ცდილობდა აეხსნა ის, თუ საქართველოსთან რატომ დადო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთმა. ხელშეკრულების უპირველესი მიზანი ის იყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ანტისაბჭოთა ორგანიზაციები მოესპო, პირობები შეექმნა კომუნისტური პარტიის ლეგალური მუშაობისათვის. მაგრამ მენშევიკები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს არ ასრულებდნენ. ლეგალობამ კომუნისტურ პარტიას დიდი ზიანი მოუტანა. მან მენშევიკებს გაუადვილა ბოლშევიკებთან ბრძოლაო. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების აქტის ასეთი ახსნა ცალმხრივია და არ იძლევა სრულ სურათს. ეს ხელშეკრულება შე-

დეგი იყო საბჭოთა რუსეთის სამშვიდობო პოლიტიკის, ლენინური ეროვნული პოლიტიკისა, რომელიც აღიარებდა ერთა თვითგამორკვევას.

წერილის ავტორი აფასებდა რა შექმნილ ვითარებას, როგორც საერთაშორისოს, ისე საქართველოს საშინაო მდგომარეობას, წერდა, რომ „საქართველოს მენშევიკები ისე ახლოს არასოდეს მდგარან აღსასრულთან, როგორც ეხლა, ოქტომბრის რევოლუციის მესამე წლისთავზე“[57].

როგორც ვნახეთ, ფ. მახარაძის ეს წერილი 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის მრავალ საკითხზე იძლევა ისტორიულ აზრს და მისი პირველი ცდაა, რომ ფართოდ, მრავალმხრივად მოიცვას საქართველოს ამ პერიოდის ისტორია. ადრინდელი წერილები კი უფრო მეტად პუბლიცისტური ხასიათისა იყო, მოწინააღმდეგესთან საპოლემიკოდ დაწერილი და, უმთავრესად, ისტორიის ერთ მხარეს, ან ერთ ისტორიულ ფაქტს შეეხებოდა. ფ. მახარაძის წერილი „ოქტომბრის რევოლუცია და ქართველი სოციალ-გამცემლები“, უფრო მეტად ისტორიული ხასიათისაა; მასში უხვად იყო წარმოდგენილი ისტორიოგრაფიული შეხედულებები ისტორიის მრავალ საკითხზე, თუმცა ამ წერილის დაწერის მიზანიც ისევ მოწინააღმდეგესთან პოლემიკაა. ყველაფერი იქითკენაა მიმართული, რომ ახსნას, თუ რატომ დაიგვიანა საქართველოში სოციალისტურმა რევოლუციამ და ისტორიული ფაქტების ანალიზის შედეგად მოგვცეს დასკვნები, რომ სოციალისტური რევოლუცია უკვე კარსაა მომდგარი. ეს აიძულებს ავტორს ცალმხრივად მიუდგეს საქართველო-რუსეთის 1920 წლის ხელშეკრულებას, წინ წამოსწიოს ხელშეკრულების დადების მეორეხარისხოვანი მიზეზები, ძირითადი მიზეზები კი სრულიადაც არ მოიხსენიოს. ფ. მახარაძემ ეს წერილი 1920 წლის ოქტომბერ-ნოემბერში დაწერა.

მეორე, ასეთივე ხასიათის ნაშრომი, მაგრამ გაცილებით ვრცელი და უფრო მრავალმხრივი, ფ. მახარაძემ 1920 წლის დეკემბერს და 1921 წლის იანვარში, მოსკოვში ყოფნისას დაწერა. ნაშრომის სათაურია „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში“[58].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1920 წლის მეორე ნახევარში ფ. მახარაძემ უკვე სცადა შეექმნა ისეთი ნაშრომი, სადაც მოცემული იქნებოდა 1917—1920 წლების საქართველოს ისტორიის ყოველმხრივი

---

57 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1930, გვ. 206.

58 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში, თარგმანი რუსულიდან, თბ., 1921.

ანალიზი. 1920 წლის ზაფხულში კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესისათვის ფ. მახარაძემ დაწერა მოხსენება საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებით მან უცხოელ დელეგატებს მიაწოდა ცნობები საქართველოზე. შემდეგში მოხსენების ხელნაწერი დაიკარგა და მოხსენება ვერ გამოსცეს. ამის შემდეგ, ოქტომბრის რევოლუციის მესამე წლისთავზე ფ. მახარაძემ დაწერა ზევით განხილული წერილი „ოქტომბრის რევოლუცია და ქართველი სოციალ-გამცემლები". ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების წინახანებში დაწერა „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში". ამ ნაშრომის გამოცემა თავის დროზე ვერ მოხერხდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გახდა ეს შესაძლებელი. ნაშრომი ჯერ გამოვიდა რუსულად, შემდეგ ქართულად და, ბოლოს, სომხურადაც იქნა გამოცემული.

ფ. მახარაძემ ამ ნაშრომით განიზრახა მოსკოველი კომუნისტებისათვის გაეცნო საქართველოში შექმნილი ვითარება. არც ევროპულ და არც რუსულ ენებზე არ არსებობდა ლიტერატურა, საცაც გაშუქებული იქნებოდა 1917—1920 წლების საქართველოს ისტორია. ფ. მახარაძის ამ ნაშრომს უნდა შეევსო ეს ხარვეზი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოში მენშევიკების გამარჯვება, ფ. მახარაძის აზრით, არსებითად ნიშნავდა საქართველოში ბურჟუაზიის დიქტატურის დასაწყისს. ფ. მახარაძე ნაშრომში სპეციალურად განიხილავდა მენშევიკების დამოკიდებულებას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი. მისი აზრით, ქართველი მენშევიკები, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე უკვე იყვნენ კონტრრევოლუციონერები, მაგრამ მათ ვერ გაებედათ თავიანთი ბედი აშკარად დაეკავშირებინათ ბურჟუაზიისათვის. ავტორი ქართველი მენშევიკების ოქტომბრის რევოლუციამდელ საქმიანობას განიხილავდა, როგორც რუსეთისა და საერთაშორისო კონტრრევოლუციის აგენტების საქმიანობას. ფ. მახარაძე განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ქართველი მენშევიკების შოვინისტობასა და უკიდურეს ნაციონალისტობას. ფ. მახარაძეს მენშევიკების ის პოლიტიკა, რომლითაც მრეწველობისა და მუშათა კლასის ინტერესები თანასწორად უნდა დაეცვათ, ბურჟუაზიული პარტიის პოლიტიკად აქვს დახასიათებული.

ფ. მახარაძის აზრით, ამიერკავკასიის არაპროლეტარული პარტიების (მენშევიკების, მუსავატელების, დაშნაკების) მთელი საქმიანობა იქითკენ იყო წარმართული, რომ განედევნათ რუსეთის ჯარი, შეეცვალათ ის ადგილობრივი ეროვნული ჯარის ნაწილებით. ავტორი წერდა, რომ ამიერკავკასიის ხალხებს შორის ეროვნული შუღლის გაძლიერე-

ბა შედეგი იყო ამიერკავკასიის კომისარიატის პოლიტიკისა. ფ. მახარაძე ამიერკავკასიის ერთა შორის შუღლის მიზეზად მხოლოდ კომისარიატის ამ პოლიტიკას ხედავდა და არა იმ ღრმა მიზეზებს, რომელიც მეფის რუსეთის ასიმილატორულმა პოლიტიკამ შექმნა.

1917—1918 წლებში, როდესაც დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოს აღდგენა, ბევრი რამ ხელახლა გასარკვევი გახდა, ეროვნული შუღლის მიზეზი კი მრავლად წარმოიშვა. ამას დაემატა უცხოელი იმპერიალისტების ურთიერთზე წასისიანების პოლიტიკა, ამიერკავკასიის კომისარიატის საქმიანობა და ეროვნულმა შუღლმა და უნდობლობამ მწვავე ხასიათი მიიღო.

ავტორის აზრით, საქართველოში 1918—1920 წლებში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. ამას იგი ადასტურებდა იმით, რომ მენშევიკებმა ალექსანდრეს ბაღში მშვიდობიანი მიტინგი დახვრიტეს, შამქორში რუსეთის არმიის ჯარისკაცების ეშელონებს სროლა აუტეხეს, პრესას სდევნიდნენ. ამასთან ერთად, ფ. მახარაძის აზრით, ეს სამოქალაქო ომი ყველაზე მახინჯ ფორმას — ეროვნული ბრძოლის ფორმას ატარებდა.

ნაშრომში ნათქვამია, რომ 1918 წლის დასაწყისში საქართველოში, მენშევიზმსა და ბოლშევიზმს შორის ბრძოლაში, სასწორი მენშევიზმის სასარგებლოდ გადაიხარა. მენშევიკების ამ წარმატებას ავტორი იმით ხსნიდა, რომ მენშევიკებმა დაამყარეს ტერორი. ეს არ არის საქმის ღრმა ახსნა. იმავე ნაშრომში ფ. მახარაძე წერდა, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართველმა მენშევიკებმა შეითვისეს სამოქალაქო ომის დროს მტერთან ბრძოლის ბოლშევიკების ყველა მეთოდი. ამ მეთოდებს ბოლშევიკები ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ მიმართავდნენ, მენშევიკებმა კი ეს მეთოდები მუშებისა და გლეხების დასამორჩილებლად გამოიყენესო. აქ ავტორი თანამიმდევრული არ არის. სხვა ადგილას ის წერდა, რომ მუშები მენშევიკების მხარეზე იყვნენ; გლეხებიც გარკვეულ მომენტამდე მენშევიკებს თანაუგრძნობდნენ. მაშასადამე, 1918 წლის დასაწყისში რომელი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ გამოიყენეს მენშევიკებმა ეს მეთოდები? ე. ი. მენშევიკების წარმატების მიზეზები სხვაგან უნდა ვეძიოთ, სხვა მიზეზები უნდა ვნახოთ.

ეროვნული სახელმწიფოს შექმნა პროგრესული მოვლენა, ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება იყო და ამ საკითხის გადაჭრამ, თუნდაც ბურჟუაზიული მეთოდებით, გარკვეული წარმატება მოუპოვა მენშევიკებსა და საქართველოს სხვა არაპროლეტარულ პარტიებს.

ფ. მახარაძემ მოგვცა საქართველოს დამფუძნებელი კრების შეფასება. მისი აზრით, დამფუძნებელ კრებას არაფერი არ ჰქონდა გასა-

კეთებელი. ყველაფერი უკვე გაკეთებული იყო ეროვნული საბჭოს მიერ, რომ ყველა საკითხს მენშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი წყვეტდა. დამფუძნებელი კრების საქმიანობის ასეთი შეფასება რამდენადმე ცალმხრივია. დამფუძნებელმა კრებამ, მართალია, არსებითი თითქმის არაფერი გააკეთა, მაგრამ მას გასაკეთებელი ბევრი ჰქონდა — მას უნდა შეექმნა ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი, ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობისათვის ფორმა უნდა მიეცა.

ნაშრომის ავტორი სამართლიანადაც წერდა, რომ მენშევიკები ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აშენებდნენ. მისი აზრით, ქართული ბურჟუაზიული პარტიების საქმიანობა გაიოლებული იყო იმის გამო, რომ მათ საქმეს მენშევიკები აკეთებდნენ. მენშევიკები რომ არ ყოფილიყვნენ, ამ პარტიებს მუშათა კლასი დაუყოვნებლივ ბოლოს მოუღებდა.

ფ. მახარაძე ფიქრობდა, რომ საქართველოს ეროვნული ბურჟუაზია გაძლიერდა. ეს პროცესი მოხდა უმთავრესად მსოფლიო ომისა და მენშევიკების ბატონობის დროს. ამასთან ერთად, მენშევიკების დასაყრდენ ბაზად ფ. მახარაძე მუშათა არისტოკრატიას ასახელებდა. ჩვენი აზრით, აქ ავტორი აჭარბებდა. მას საქართველოს მიმართ გადმოჰქონდა დასავლეთ ევროპის ქარგა. კომუნისტური პარტიების სისუსტეს ინგლისში და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში იმით ხსნიდნენ, რომ იქ მუშათა არისტოკრატია ბურჟუაზიას ჰყავდა მოსყიდული. ფ. მახარაძეც ამასვე ხედავდა ჩვენში, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. საქართველოში არ ყოფილა ისეთი ძლიერი მუშათა არისტოკრატია, ზედაფენა, რომ მას შესძლებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე რაიმე არსებითი გავლენის მოხდენა.

ფ. მახარაძე მენშევიკების გავლენას საქართველოს გლეხობაზე რამდენადმე პრიმიტიულად ხსნიდა. რევოლუციის წინა ხანებში მენშევიკები ლეგალურ მუშაობას ეწეოდნენ, სახელმწიფო სათათბიროში იყვნენ არჩეულნი, ბევრს მოგზაურობდნენ საქართველოს სოფლებში, ვითომ ზრუნავდნენ ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობაზე. ამან ადამიანების თვალში შექმნა ილუზია, რომ მენშევიკები მშრომელების ინტერესებს იცავდნენ. ავტორი ამით ცდილობდა აეხსნა ის ფაქტი, რომ თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ მენშევიკებმა მასებში დიდი გავლენა მოიპოვეს.

ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის აგრარულ კანონმდებლობას ფ. მახარაძე იხილავდა როგორც მემამულეთა საკუთრების დაცვას. ამას ასახელებდა გლეხთა აჯანყების მიზეზად. ასეთივე შეფასებას აძლევდა ფ. მახარაძე 1919 წლის 28 იანვარს გამოცემულ კანონს

„მიწის სახელმწიფო ფონდიდან მცხოვრებლებისათვის მიწების კერძო საკუთრებად გადაცემის შესახებ“ და კანონს „მიწის სახელმწიფო ფონდიდან გლეხების მიერ შეძენილი მიწების გაყიდვის შესახებ“.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ აკრძალა მიწების ყიდვა-გაყიდვა. მენშევიკების მთავრობის არსებობას საფუძვლად ედო მიწაზე კერძო საკუთრების პრინციპი და ამიტომ მათ მიწის ვაჭრობის ნება დართეს. ფ. მახარაძის აზრით, მენშევიკების აგრარულმა პოლიტიკამ სარგებლობა მხოლოდ მსხვილ და საშუალო მიწისმფლობელებს მოუტანა. ნაშრომის ავტორის აზრით, მენშევიკური აგრარული პოლიტიკა 1861 წლის რეფორმაზე უარესი იყო.

საინტერესოდ უდგება ფ. მახარაძე მენშევიკებისა და მუშათა კლასის ურთიერთობის საკითხს. რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ. საქართველოს მუშათა კლასი თანდათან განიმსჭვალა ოპორტუნიზმით. მან დაჰკარგა რევოლუციური აღტყინება და ის მენშევიკების გავლენის ქვეშ მოექცა. ბევრიო, — წერდა ფ. მახარაძე, — ამას ხსნიდა იმით, რომ საქართველო წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა, აქ არ არის ნამდვილი პროლეტარიატიო. ავტორს აქვე მოჰყავდა ინგლისის მაგალითი, სადაც მუშათა კლასი ძლიერია, მაგრამ ასევე ძლიერია ოპორტუნიზმიც. აქედან ფ. მახარაძე აკეთებდა დასკვნებს, რომ საქართველოს წვრილბურჟუაზიულობა, მისი ჩამორჩენილობა არ განსაზღვრავდა მუშათა კლასის ოპორტუნიზმსო. მაშასადამე, საქართველოს ჩამორჩენილობით (ნამდვილად კი საქართველო სულაც არ იყო ჩამორჩენილი) არ ხსნიდა ფ. მახარაძე მენშევიკების დიდ გავლენას მასებში. ავტორის აზრით, მენშევიკების გავლენა მასებზე იმის შედეგი იყო, რომ მათ ბოლშევიკებზე ადრე შეძლეს მასებზე ზემოქმედება. ამასთან ერთად, გარკვეული როლი შეასრულა ზოგიერთი მენშევიკი ლიდერის პირადმა ავტორიტეტმაც. მუშათა მასამ ადვილად შეითვისა მენშევიკების მეშჩანური და წვრილბურჟუაზიული ფილოსოფია, რომელიც ქადაგებდა კლასობრივ შერიგებას, რეფორმიზმს, ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს. ამის გამო, მასა მენშევიკებს გაჰყვა. ცხადია, ფ. მახარაძის მიერ დასახელებული მიზეზები, მართლაც არსებობდა, მათ გარკვეული როლი შეასრულეს მენშევიკების გავლენის გაზრდაში, მაგრამ ეს მაინც მეორეხარისხოვანი იყო. ჩვენი აზრით (და ეს არაერთხელ უკვე აღვნიშნეთ), მენშევიკების გავლენის გაზრდაში დიდი როლი შეასრულა მათ შემობრუნებამ ეროვნულ საკითხში. ქვეყნად, სადაც ძლიერი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მასებზე დიდ გავლენას ახდენდა სოციალიზმის იდეებთან ერთად, ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისა და სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის იდეების ქადაგება. ამან მენშევიკებს დიდი პოპულარობა მოუხვე-

ჭა; მაგრამ, შემდეგ, როცა მათ სოციალური თავისუფლება ვერ მისცეს მშრომელებს, მოხდა 1918—1919 წლების რევოლუციური გამოსვლები. ფ. მახარაძე წერდა, რომ „საქართველოში მუშები დაეხმარნენ მენშევიკებს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, ამ ხელისუფლების განსამტკიცებლად“[59].

შემდეგში, მარქსისტულ ისტორიულ მეცნიერებაში ფ. მახარაძის ეს თეზისი შერბილებული იქნა; უფრო ხშირად მენშევიკების გაელენის საკითხს გვერდს უელიდნენ და ამით ბევრი რამ ძირითადი 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიაში აუხსნელი რჩებოდა. ასევე თითქმის დავიწყებას მიეცა ის დებულება, რომ მენშევიკებმა დიდი როლი შეასრულეს ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნაში.

ფ. მახარაძის ზემოთ მოყვანილი ორივე დებულება ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება და ისტორიოგრაფიაში მეტად ანგარიშგასაწევია. ფ. მახარაძე აღნიშნავდა, რომ ამ ახალ, ბურჟუაზიულ სახელმწიფოში გაბატონებული მწვერვალი ეკავა ბურჟუაზიას და არა მუშათა კლასს, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები სოციალ-დემოკრატობას ჩემულობდნენ.

ფ. მახარაძე ეხებოდა მუშათა მოძრაობის საკითხებს და წერდა, რომ მენშევიკებმა წარმართეს მუშათა კლასის დამონების პოლიტიკა და შექმნეს მომრიგებელი კამერები, სატარიფო კამერები; ამავე საქმეს ემსახურებოდნენ პროფკავშირები. ე. ი. შექმნეს ისეთი ორგანოები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის ერთიანი ინტერესების გამომუშავებას, რაც შეუძლებელი იყო. მუშათა მოძრაობიდან ფ. მახარაძე შეეხო თბილისის მუნიციპალიტეტის მუშა-მოსამსახურეთა 1919 წლის გაფიცვას და ის დაახასიათა, როგორც ეკონომიური გაფიცვა. ნამდვილად კი ეს გაფიცვა პოლიტიკური გაფიცვა იყო და მას მხოლოდ გარეგნულად ჰქონდა ეკონომიური ბრძოლის ფორმა[60].

ფ. მახარაძე აღნიშნავდა, რომ მენშევიკებს გლეხობა უფრო განუდგა, ვიდრე მუშები. აქ ავტორი კვლავ დაუბრუნდა მენშევიკების პარტიის სოციალურ შემადგენლობას და წერდა, რომ მენშევიკების პარტიაში 25% ჩამორჩენილი მუშა და მუშათა არისტოკრატია იყო. 1920 წელს მუშათა კლასი უკვე განუდგა მენშევიკებსო — აღნიშნავდა იგი.

ფ. მახარაძე ამ ნაშრომში შეეხო აგრეთვე ეროვნულ საკითხსაც.

---

59 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში, გვ. 61.
60 იხ. წიგნი „თბილისის რევოლუციური წარსული“, თბ., 1959.

ადრე ის გამოდიოდა თვითგამორკვევის წინააღმდეგ, საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის წინააღმდეგ. ამ ნაშრომში მენშევიკებს კვლავ ახასიათებდა როგორც შოვინისტებს, ნაციონალისტებს, მაგრამ სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევისა და, მით უმეტეს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის წინააღმდეგ ის უკვე აღარ გამოდიოდა. ქართული ეროვნული სახელმწიფოს (თუმცა ბურჟუაზიულის) არსებობა უკვე ფაქტია და ფ. მახარაძე მას რეალობად იღებდა. ამჯერად ის გამოდიოდა საქართველოში მოსახლე მცირე ერების მოსარჩლედ და მენშევიკების შოვინიზმსა და ნაციონალიზმს უკვე, ძირითადად, ამ ერებთან დამოკიდებულებაში ხედავდა. „საქართველო ქართველებისათვის“ — ამ ლოზუნგს ებრძოდა ფ. მახარაძე. ის აღნიშნავდა, რომ საქართველოში ხდება არაქართველების დევნა. ამ ნიადაგზე მენშევიკები გაერთიანდნენ ეროვნულ-დემოკრატებთან.

ფ. მახარაძე განიხილავდა აგრეთვე ქართველებისა და არაქართველი მოსახლეობის ურთიერთობის საკითხებს.

ნაშრომის ავტორი შეეხო ქართველ-სომეხთა ურთიერთობას, მათ შორის ომს და ამაში ბრალი დადო მენშევიკებს, დაშნაკებსა და ინგლისელ იმპერიალისტებს. ფ. მახარაძე თავის ადრინდელ წერილებში ქართველ-სომეხთა ომის გამჩაღებლად ინგლისელებს არ ასახელებდა. შემდეგში, ქართველ-სომეხთა ომში ინგლისის როლის შესახებ ბევრი ითქვა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (გ. ღამბაშიძე და სხვები). დებულება, რომ ეს ომი ინგლისის ხელშეწყობით, მისი წაქეზებებით დაიწყო და შემდეგ მანვე შეაწყვეტინა მეომარ მხარეებს საომარი მოქმედება, ქართულ მარქსისტულ ლიტერატურაში პირველად ფ. მახარაძემ გრ. ორჯონიკიძესთან ერთად წამოაყენა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ფ. მახარაძის ეს ნაშრომი 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის, ქართული ბურჟუაზიული სახელმწიფოს ცხოვრების მრავალ მხარეს ეხებოდა. ავტორს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია იმ დროისათვის ისეთი აქტუალური საკითხი, როგორიც ქართული ეკლესიის საკითხი იყო. ფ. მახარაძე, განსხვავებით 1917 წელს გამოთქმული მოსაზრებისა[61], ამჯერად წერდა, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია ეროვნულ თავისუფლებასთან კავშირში იყო. ამასთან ერთად, ავტორი ეკლესიის საკითხისადმი უფრო კლასობრივ მიდგომას იჩენდა. რევოლუცია მოხდა იმიტომ, რომ ექსპლოატატორული კლასები დაემხოთ. მაგრამ მოხდა პირიქით, გაბატონდა

---

[61] იხ. ქართული ისტორიოგრაფია, 1.

სამღვდელობა, ეკლესია. ქართულმა სამღვდელოებამ ახალი პრივილეგიები მიიღო, შარავანდედით შეიმოსა, „როგორც თავის უფლებებში აღდგენილი ნაციონალური სამღვდელოება, რომელიც მას ჩამორთმეული ჰქონდა მეფობის დროს"[62]. ავტორი განიხილავდა მენშევიკებისა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხს და აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატიამ, ნაცვლად ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისა, მასთან შეკრა კავშირი.

ფ. მახარაძე აქვე განიხილავდა სასამართლოს, განათლებისა და ჯარის საკითხს. იუსტიციის მინისტრის 1919 წლის 21 თებერვლის ცირკულარის თანახმად, საქართველოში, სოხუმის ოლქის გამოკლებით, სასამართლო სახელმწიფო ენაზე წარმოებდა, მაგრამ იგი ისევ ძველი, მეფისდროინდელი დარჩა. ის ვერ აკმაყოფილებდა დროის მოთხოვნებს და დროდადრო იქმნებოდა ახალი ტიპის სასამართლოები (საგანგებო, სამხედრო-საგანგებო, საველე და სხვა). ამ სასამართლოებში მართლმსაჯულება მეფის კანონებით ხდებოდა. განათლების საქმე მძიმე მდგომარეობაში იყო. არ არსებობდა სახელმძღვანელოები, მასწავლებლები ხელმოკლეობის გამო სკოლებს სტოვებდნენ. უნივერსიტეტის სტუდენტები სწავლის ნაცვლად საგანგებო რაზმებსა და მილიციაში მსახურობდნენ.

ნაშრომის ავტორის აზრით, მენშევიკების ერთმა მუჭა პარტიულმა ზედაფენამ დიქტატურა დაამყარა მუშათა კლასზე. ეს დიქტატურა ბურჟუაზიისა და მემამულეების სასარგებლო იყო. საადგილმამულო რეფორმამ იხსნა მემამულეები და მათი საკუთრება; ქვეყანა მოიცვა ეროვნულმა შუღლმა და სამოქალაქო ომმა. საქართველო ეკონომიური კატასტროფის პირას იყო მისული, გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა სოფლად და ქალაქად. მენშევიკების პოლიტიკა გაკოტრდა, გაკოტრდა ბურჟუაზიისა და მუშების შერიგების პოლიტიკაც. ყოველივე ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ საქართველოში მალე მოხდებოდა სოციალისტური რევოლუცია.

ფ. მახარაძის წიგნი „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში" ისტორიული ხასიათის ნაშრომია, თუმცა პუბლიცისტურის ელფერი ძლიერ დაჰკრავს. ავტორი პოლემიკას ეწეოდა იდეურ მტრებთან, არ ერიდებოდა არაკადემიურ ტონს მოწინააღმდეგის მიმართ, ნაკლებად იძლეოდა დასკვნებს; მოვლენების ანალიზს აკლდა სიღრმე. სუსტი იყო ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ნაშრომი დაიწერა საქართველოდან შორს, მოსკოვში. საქართველოს მაშინდელი პრესისა და მენშევიკთა ლიდერების საჯარო გამოსვლების გარდა, ავტორს სხვა

---

62 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 103.

წყაროები არ ჰქონდა ხელთ. პირადად კარგად იცნობდა 1917 — 1920 წლების საქართველოს ისტორიას და ქვეყნის ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა. პირადი შთაბეჭდილებები ნაშრომის წერისას, უდაოდ, მნიშვნელოვანი წყარო იყო. ნაშრომს კვლევით ხასიათზე პრეტენზია არა აქვს. ის მიმოხილვითი ხასიათისაა; 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში ასეთი სახის (ისტორიული და მრავალმხრივი) ნაშრომი პირველია. აქ განხილული იყო საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარე — სოციალური, პოლიტიკური, კულტურული. ნაშრომი იძლეოდა რამდენადმე თანამიმდევრულ წარმოდგენას საქართველოს ამ პერიოდის ისტორიაზე.

ნაშრომის ავტორის შეხედულებებში ევოლუცია მომხდარა. ის უკვე სხვა თვალით უყურებდა, როგორც ქართული სახელმწიფოს არსებობას, ისე მრავალ სხვა საკითხს. ასეთი სახის ნაშრომი თავის დროზე მარქსისტული ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო და მან ბევრით წინ წაწია 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიაზე მარქსისტული კონცეფციის ჩამოყალიბების საქმე. ამ ნაშრომში მოცემულმა ბევრმა დებულებამ შემდეგში თავისი ადგილი და განვითარება ჰპოვა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ბევრი მოძველდა, ბევრ დებულებას კი გვერდი აუარა ჩვენმა ისტორიოგრაფიამ (სახელმწიფოს, ეკლესიის, სამართლისა და სხვა საკითხებს).

1917—1921 წლების საქართველოს ისტორიაზე მარქსისტული კონცეფციის ჩასახვის წლებში ზემოთ განხილული წერილებისა და ნაშრომების გვერდით, გამოქვეყნდა მრავალი საგაზეთო წერილი, საჟურნალო სტატია. ასე, მაგალითად, ფ. მახარაძის წერილები „რსდმპ თბილისის ორგანიზაციის წევრთა დამფუძნებელი კრების შესახებ“[63], „ჩვენი პლატფორმა“[64], „არამკითხე ჭირისუფლები“[65], მ. ცხაკაიას წერილი „კომუნისტების მუშაობა საქართველოში“, რომელიც ჯერ გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა. მისივე სტატიები, რომლებიც 1920 წელს ჟურნალში — „კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალში“ გამოქვეყნდა. ეს წერილები ცალკე წიგნად გამოიცა თბილისში 1925 წელს სათაურით „საქართველო და სომხეთი იმპერიალისტების უღელქვეშ. ძენწევიკები და დაშნაკები 1920—1921 წწ.“. მ. ცხაკაიას ამ წერილებში განსხვავებული და ახალი არაფერია არც ისტორიული პროცესების შეფა-

---

63 გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“, 1917, 28 მარტი.

64 იქვე, 1917 წ., 8 აპრილი.

65 გაზეთი „კომუნისტი“, 1920, 10 ივნისი.

სებისა და არც ფაქტობრივი მასალის თვალსაზრისით. ეს წერილები პროპაგანდისტული მიზნითაა დაწერილი.

ამ პერიოდის (1917—1921 წწ.) წყაროთმცოდნეობითი ბაზა ძლიერ ვიწროა. მარქსისტებს ხელი არ მიუწვდებოდათ არქივებზე. მათი ძირითადი წყარო პრესა და პირადი შთაბეჭდილებები იყო. მარქსისტი პუბლიცისტები, ბოლშევიკური პრესა შეძლებისდაგვარად აქვეყნებდნენ მნიშვნელოვან პარტიულ და სახელმწიფოებრივ დოკუმენტებს— პარტიული ორგანიზაციების დადგენილებებს, რეზოლუციებს, საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმებას (გაზეთი „კომუნისტი", 1920 წ., 8 ივნისი) და სხვ. ცხადია, ყოველივე ეს სრულიადაც არ იყო ის, რაც საჭირო იყო 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის ღრმა, მეცნიერული შესწავლისათვის.

ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ისტორიაში 1917—1921 წლები არის საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის, 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტული კონცეფციის ჩასახვისა და პირველი ნაბიჯების წლები. ამ ხანებში საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების იმდროინდელმა შეფასებამ შემდეგში ბევრით განსაზღვრა ისტორიული აზრის განვითარების გზები; მარქსისტულ ისტორიულ კონცეფციას ამ წლებმა თავისი კვალი დაამჩნია.

§ 2. 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტული კონცეფციის შედგომი განვითარება

1.

საქართველოში რევოლუციური მოძრაობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის შესასწავლად დიდი მუშაობა ჩატარდა 1921—1936 წწ. თავდაპირველად უნდა მოვიხსენიოთ ის ორგანიზაციული ღონისძიებები, რომელთა გატარებამ ხელი შეუწყო მარქსისტულ-ისტორიული მეცნიერების ჩასახვა-განვითარებას. მარქსისტული ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ჩატარებული დიდი მუშაობა იზოლირებული არ იყო იმ დიდი საქმიანობისაგან, რასაც ამ მიმართულებით საკავშირო კპ(ბ) და საბჭოთა მთავრო-

ბა, საერთოდ, საბჭოთა კავშირის მასშტაბით ეწეოდა. პირიქით, მარქსისტულ ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ასეთი ზრუნვა საკ. კპ(ბ) და მთავრობის მიერ ისტორიული მეცნიერების დარგში ჩატარებული მუშაობის შემადგენელი ნაწილი იყო. 1917—1921 წწ. საქართველოს ისტორიის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის შესწავლა კომუნისტური პარტიის მზრუნველობის უპირველესი ობიექტი იყო.

მარქსისტული ისტორიული კონცეფციის ჩამოყალიბებას, მარქსისტული ისტორიული მეცნიერული აზრის განვითარებას ხელი შეუწყო ისტორიული მეცნიერების ფრონტზე ჩატარებულმა ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა, რამაც თავისი ღრმა კვალი დაამჩნია ქართული ისტორიული მეცნიერების ისტორიას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეუძლებელია საბჭოთა ისტორიული მეცნიერების საერთო განვითარებისათვის გვერდის ავლა, უფრო ზუსტად კი, ამჯერად შეუძლებელია საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების აღმშენებლობის ისტორიისათვის გვერდის ავლა. ეს საკითხი ქართული საბჭოთა მეცნიერების ისტორიის პირველ პერიოდში (1921—1936 წწ.) ძალზე მჭიდრო კავშირში იყო 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის ქართულ ისტორიოგრაფიასთან.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერება ახალ საზოგადოებრივ წყობასთან ერთად იშვა და შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ახალი ქსელი. ამან შედარებით გააადვილა ისტორიულ მეცნიერებაში კვლევის მარქსისტული მეთოდების დანერგვა, მარქსისტული ისტორიული კონცეფციის ჩასახვა-განვითარება. პროლეტარიატს არ ჰყავდა პროფესიონალ ისტორიკოსთა კადრები. გამოჩენილ რევოლუციონერთა შორის მცირე იყო იმათი რიცხვი, ვინც ჯერ კიდევ რევოლუციამდე სწავლობდა ისტორიას. ახლად შექმნილმა სამეცნიერო დაწესებულებებმა მარქსისტ ისტორიკოსთა ახალგაზრდა კადრების აღზრდაში უდიდესი როლი შეასრულა.

1918 წელს საბჭოთა რუსეთში დაარსდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სოციალისტური აკადემია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სპეციალურ ჰუმანიტარულ სამეცნიერო დაწესებულებებს. ამ დაწესებულებებმა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა. სოციალისტურ აკადემიას, რომელიც მ. პოკროვსკისა და მ. რეისნერის ინიციატივით შეიქმნა, ოთხი განყოფილება ჰქონდა, მათ შორის იყო სოციალურ-ისტორიული და პოლიტიკურ-

იურიდიული განყოფილებები. აკადემია ამზადებდა მარქსისტ ისტორიკოსებს. 1923 წელს სოციალისტურ აკადემიაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის სექცია ჩამოყალიბდა[66].

1920 წლის აგვისტოში ვ. ლენინის წინადადებით სახელმწიფო გამომცემლობასთან პარტიის ისტორიის კომისია შექმნეს. იმავე წლის 25 სექტემბერს ვ. ლენინის ხელმოწერით გამოიდა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი „ოქტომბრის რევოლუციისა და კომუნისტური პარტიის ისტორიის მასალების შესაკრებად და შესასწავლად კომისიის დაარსების შესახებ"[67]. 1928 წლამდე ოქტომბრის რევოლუციისა და კომუნისტური პარტიის ისტორიის კომისია (პარტისი) ფაქტიურად ერთადერთი ცენტრი იყო, რომელიც კომუნისტური პარტიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიას სწავლობდა.

1921 წლის დეკემბერში პარტისი რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს განყოფილების უფლებით გადაეცა. ამის შემდეგ მისი მუშაობა შესამჩნევად გააქტიურდა. 1921—1923 წლებში პარტისის ქსელმა მთელი საბჭოთა ქვეყანა დაფარა. 1923 წელს პარტისის ფილიალების რიცხვი 100 აღწევდა[68].

1920 წელს პროფსაბჭომ პროფესიონალური მოძრაობის ისტორიის შემსწავლელი კომისია (პროფისი) შექმნა. ასევე შეიქმნა კომკავშირის ისტორიის შემსწავლელი კომისია (კომისი). ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ხელმძღვანელობდნენ პარტისის, პროფისისა და კომისის მუშაობას. პარტისის მუშაობას დიდ ყურადღებას აქცევდნენ; ამის მოწმობაა ის, რომ კომუნისტური პარტიის IX კონფერენციამ მოისმინა მ. ოლმინსკის ინფორმაცია პარტისის მუშაობის შესახებ, ხოლო პარტიის X ყრილობამ ამ საკითხზე სპეციალური მოხსენება მოისმინა და სათანადო ღონისძიებებიც დასახა. პარტისის მუშაობაზე იმსჯელა პარტიის XII ყრილობამ და მისი მუშაობის გასაუმჯობესებლად სათანადო რეზოლუციაც მიიღო.

რკპ (ბ) XII ყრილობის შემდეგ, პარტისის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრალურმა კომიტეტმა პარტისის ქსელი გადასინჯა და 100 განყოფილების ნაცვლად 19 ყველაზე სიცოცხლისუნარიანი განყოფილება დატოვა[69].

---

66 ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, მოსკოვი, 1966, გვ. 201—202 (რუს. ენაზე).

67 იქვე, გვ. 214.

68 გ. ალექსეევა, ოქტომბრის რევოლუცია და ისტორიული მეცნიერება, 1917—1923, მოსკოვი, 1968, გვ. 22—23 (რუს. ენაზე).

69 ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 215.

1927 წელს პარტიის XV ყრილობამ პარტისს ახალი ამოცანები დაუსახა. პარტიის ისტორიისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შემსწავლელ სამეცნიერო ორგანიზაციას ამიერიდან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობაც ევალებოდა. კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ორი სამეცნიერო ორგანიზაცია არსებობდა. ეს ორგანიზაციები — პარტისი და ვ. ლენინის ინსტიტუტი — მუშაობის ხასიათით ურთიერთთან ახლო იდგნენ, ბევრი საერთო ჰქონდათ. ამიტომ 1928 წლის მაისში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ეს დაწესებულებები გააერთიანა და ერთიან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შექმნა.

1930 წლის აპრილსა და მაისში საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტისების ერთი ნაწილი — მეცნიერული კადრებით უკეთესად უზრუნველყოფილი ნაწილი — პარტიისა და რევოლუციის ისტორიის ინსტიტუტებად გარდაქმნა[70].

1929 წელს მთელ საბჭოთა კავშირში ერთიანი პარტიული არქივის შექმნის ღონისძიება გაატარეს. ისტორიული ფრონტის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, განუწყვეტლივ ხდებოდა სამეცნიერო დაწესებულებების რეორგანიზაციები. ეძებდნენ მუშაობის საუკეთესო ფორმას. ცხოვრება მოითხოვდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სულ უფრო სრულყოფილ სისტემას, ისტორიკოსთა კადრების თავმოყრასა და მათ მაქსიმალურად გამოყენებას. ამ რეორგანიზაციების ჯაჭვში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წლის ნოემბრის დადგენილება სსრკ ცაკ-თან არსებული კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ინსტიტუტისა და ვ. ლენინის ინსტიტუტის გაერთიანების თაობაზე. მათ ბაზაზე საკ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი შეიქმნა.

უნდა აღინიშნოს დამსახურება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ინსტიტუტისა, რომელიც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1921 წელს შეიქმნა. ამ ინსტიტუტმა დიდი როლი შეასრულა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ჩამოყალიბებასა და მარქსისტული თეორიისა და მეთოდოლოგიის დანერგვაში[71].

მარქსისტულ-ლენინური ისტორიული კონცეფციის გამარჯვების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა რკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის ინიციატივით 1923—1924 წლებში შექმნილმა ვ. ლენინის ინსტიტუტმა.

---

70 ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 225.

71 იხ. გ. ა ლ ე ქ ს ე ე ვ ი ს ზემოდასახელებული წიგნი.

ასეთივე მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ზრდა-განვითარებაში წითელი პროფესურის ინსტიტუტის როლი. ინსტიტუტი 1921 წლის 11 თებერვალს შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით. მისი უმთავრესი ამოცანა იყო მეცნიერ-ისტორიკოსთა კადრების მომზადება. ძირითადად ამ ინსტიტუტის ბაზაზე გაზრდილი მეცნიერების მეშვეობით შესაძლებელი გახდა საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში არაპროფესიონალ ისტორიკოსთა პუბლიცისტური ხასიათის ნაშრომების მარქსისტ პროფესიონალ ისტორიკოსთა სერიოზულ მეცნიერული გამოკვლევებით შეცვლა.

1929 წელს ისტორიკოსთა მარქსისტი პროფესორების მოსამზადებლად გაიხსნა წითელი პროფესურის ისტორიის ინსტიტუტი, რომელიც გამოეყო წითელი პროფესურის ინსტიტუტს. წითელი პროფესურის ისტორიის ინსტიტუტს ოთხი — რუსეთისა და სსრ კავშირის ისტორიის, დასავლეთის ისტორიის, აღმოსავლეთის ისტორიისა და მუშათა და პროფკავშირის ისტორიის — განყოფილება ჰქონდა[72].

1921 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტთან ისტორიის ინსტიტუტი შეიქმნა. ხოლო 1924 წლის მაისში ძველი, ბურჟუაზიული პროფესურის მუშაობაში ჩაბმის მიზნით, განათლების სახალხო კომისარიატმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (სულ 6 ინსტიტუტის) ასოციაცია შექმნა. ასოციაცია 1926 წლამდე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებობდა, შემდეგ კი გამოეყო და სახელიც შეეცვალა. მას საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რუსეთის ასოციაცია (РАНИОН) ეწოდეს. ასოციაცია ძირითადად სამოქალაქო ისტორიაში, არქეოლოგიაში, აღმოსავლეთმცოდნეობაში მუშაობდა. აქ იზრდებოდა ისტორიკოსთა მაღალკვალიფიციური კადრები. 1929 — 1930 წლების ისტორიული ფრონტის სამეცნიერო დაწესებულებების რეორგანიზაციის დროს ასოციაცია გაუქმდა. 1919 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოლოგიის განყოფილების არქეოლოგიური კომისიის ბაზაზე პეტროგრადში მატერიალური კულტურის ისტორიის რუსეთის აკადემია (ГАИМК) შეიქმნა. ამ აკადემიაში, რომლის პრეზიდენტი ნ. მარი იყო, არქეოლოგიასთან ერთად, ენათმეცნიერებას, ფოლკლორისტიკას, კლასიკურ ფილოლოგიასა და

---

72 ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 230.

წინაკაპიტალისტური ფორმაციების ისტორიას შეისწავლიდნენ. პეტროგრადში არსებული ეს აკადემია პირველი სამეცნიერო დაწესებულება იყო, რომლის სტრუქტურაც ისტორიის მარქსისტულ პერიოდიზაციას შეესაბამებოდა. 1930 წელს მატერიალური კულტურის ისტორიის რუსეთის აკადემიის ბაზაზე წინაკლასობრივი საზოგადოების, ანტიკური და ფეოდალური საზოგადოებების ინსტიტუტები შეიქმნა[73].

ისტორიული მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი საარქივო საქმის წესრიგში მოყვანამ შეასრულა. 1918 წლის ივლისში ვ. ლენინის ხელმოწერით გამოიცა დეკრეტი „საარქივო საქმის ცენტრალიზაციისა და რეორგანიზაციის შესახებ". ამით საფუძველი ჩაეყარა ახალ, საბჭოთა საარქივო სისტემას. 1924 — 1932 წლებში მოკავშირე რესპუბლიკებში შეიმუშავეს საარქივო სამმართველოების დებულება. ამავე დროისათვის საარქივო საქმის რეორგანიზაციის პროცესიც დამთავრდა. საარქივო სისტემამ ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

20-იან წლებში საბჭოთა მშრომელი მასები დიდ ინტერესს იჩენდნენ თავიანთი ქვეყნის წარსულისადმი, რევოლუციური ბრძოლის ისტორიისადმი. ახლად ფეხადგმული საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების სისტემა ამ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ იყო, რომ რევოლუციური ბრძოლის ისტორიის შესწავლაში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. 1921 წელს, მარტში, ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოება შეიქმნა. ეს საზოგადოება დიდ მუშაობას ეწეოდა ისტორიული ცოდნის ფართო მასებში შესატანად. ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებამ განყოფილებები გაიჩინა პერიფერიებში და მათ შორის თბილისშიც. 1924 წელს საზოგადოება სრულიად საკავშირო საზოგადოებად გარდაიქმნა და მან 1935 წლამდე იარსება. 1921 წლიდან საზოგადოება კრებულ „კატორგა ი სილკას" სცემდა, რომელიც შემდეგ ჟურნალად გადაკეთდა.

1922 წელს მოსკოვში შეიქმნა ძველი ბოლშევიკების საზოგადოება, რომელიც ჯერ პარტისის, შემდეგ კი ვ. ლენინის ინსტიტუტის უწყებაში შევიდა. ძველი ბოლშევიკების საზოგადოებამ ისტორიული დოკუმენტების შეგროვებაში პარტისს დიდი დახმარება გაუწია. 1931 წელს ძველი ბოლშევიკების საზოგადოება სრულიად საკავშირო •სა-

---

73 ო. ვაინშტეინი, საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ჩამოყალიბება, (20-იანი წლები), ჟურნალი „ვოპროსი ისტორიი", 1966, № 7, გვ. 41—42.

ზოგადოებად გადაკეთდა. მას 24 განყოფილება ჰქონდა, აქედან სამი ამიერკავკასიის რესპუბლიკებში[74].

1925 წელს კომუნისტური აკადემიის შემადგენლობაში მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოება ჩამოყალიბდა. ამ საზოგადოებამ ისტორიული მეცნიერების პროპაგანდის დარგში მთელი სამეცნიერო მუშაობა შეაკავშირა; საზოგადოებაში თავდაპირველად 29 წევრი და 11 წევრ-კორესპონდენტი იყო[75]. საზოგადოებას ჰქონდა რევოლუციური ომებისა და შეიარაღებული აჯანყების ისტორიის კომისია, რუსეთის პროლეტარიატის ისტორიის კომისია და სხვა. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ საზოგადოება ძირითადად რევოლუციური ბრძოლის ისტორიას სწავლობდა. მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 10 წლისთავი და ამასთან დაკავშირებით დიდძალი მასალა გამოაქვეყნა.

1926 წლიდან საზოგადოება ჟურნალს „ისტორიკ მარქსისტ" სცემდა, ხოლო 1931 წლიდან მისი სახელით პოპულარული ჟურნალი „ბორბა კლასოვ" გამოდიოდა.

1928 წლის დეკემბერ—1929 წლის იანვარში, მოსკოვში, კომუნისტურ აკადემიასთან არსებული მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოების ინიციატივით, მარქსისტ-ისტორიკოსთა პირველი საკავშირო კონფერენცია იქნა მოწვეული. კონფერენციის მიზანი საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების შედეგების დაჯამება და შემდგომში ისტორიული კვლევის პროგრამის დასახვა იყო. ამასთან ერთად, კონფერენციას მარქსისტ-ისტორიკოსების სრულიად-საკავშირო გაერთიანება უნდა შეექმნა. კონფერენციაზე კარგად გამოჩნდა ამიერკავკასიის მარქსისტ-ისტორიკოსთა მიერ გაწეული შრომა.

საზოგადოების შექმნის დღიდან — 1925 წლიდან 1929 წლამდე, მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოება 9-ჯერ გაიზარდა. საზოგადოების თავმჯდომარემ მ. პოკროვსკიმ კონფერენციაზე აღნიშნა, რომ ამ დროისათვის მეცნიერული კვლევის ფორმით უკვე არსებობდა მარქსისტული ისტორიული მეცნიერება.

მარქსისტ-ისტორიკოსთა კონფერენციაზე ვ. ნევსკიმ წაიკითხა მოხსენება „პარტიის ისტორია როგორც მეცნიერება". მოხსენებიდან და კამათში გამოსულთა სიტყვებიდან კარგად ჩანდა, რომ 20-იანი წლების ბოლოსათვის კომუნისტური პარტიის ისტორია უკვე ისტორიული მეცნიერების ცალკე დარგად იყო ჩამოყალიბებული.

---

74 ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკვევები, ტ. IV.

75 მარქსისტ-ისტორიკოსთა პირველი სრულიად საკავშირო კონფერენციის შრომები, მოსკოვი, 1930, სამანდატო კომისიის მოხსენება (რუს. ენაზე).

კონფერენციის მუშაობაში ქართველი ისტორიკოსები აქტიურად მონაწილეობდნენ. საქართველოდან ოთხი დელეგატი იყო და კონფერენციამ ქართველ-ისტორიკოსთა ორი მოხსენება მოისმინა[76].

მარქსისტ-ისტორიკოსთა პირველი კონფერენციის გადაწყვეტილებით, საზოგადოება სრულიად საკავშირო საზოგადოებად გადაკეთდა და მან თავისი განყოფილებები მოკავშირე რესპუბლიკებშიც გახსნა. 30-იანი წლების შუა ხანებში მარქსისტ ისტორიკოსთა საზოგადოების მუშაობა შეიკვეცა და ბოლოს ისე ჩაკვდა, რომ ფორმალურად არც კი გაუუქმებიათ[77].

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების საკითხებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებში განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას ბურჟუაზიის იდეოლოგიასთან ბრძოლის საკითხებზე. კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად ცენტრალურმა კომიტეტმა მარქსისტ-ისტორიკოსთა მუშაობის გასაძლიერებლად არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა. 1931 წლის 15 მარტს საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა კომუნისტური აკადემიის მუშაობის თაობაზე სპეციალური დადგენილება მიიღო. დადგენილებაში განსაკუთრებით იყო აღნიშნული, რომ სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლების მშენებლობის ეტაპის დამთავრებასთან დაკავშირებით, მთელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გარდაქმნა იყო საჭირო. უნდა შექმნილიყო კომუნისტ-მეცნიერ მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრები, სამეცნიერო მუშაობა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ახლოს უნდა ყოფილიყო.

საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოითხოვდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სამეცნიერო საზოგადოებების ამოცანებისა და მუშაობის მკვეთრ გამიჯვნას. სამეცნიერო საზოგადოებების ამოცანა უნდა ყოფილიყო მასებში მუშაობა, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, მეცნიერების მიღწევების პოპულარიზაცია. საზოგადოებებს კადრების აღზრდაზეც უნდა ეზრუნა. ამას განსაკუთრებული ყურადღება მოკავშირე რესპუბლიკებში უნდა მიქცეოდა. ცენტრალური კომიტეტის იმავე დადგენილებით კომუნისტურ აკადემიას წითელი პროფესურის ინსტიტუტი შეუერთეს. კომუნისტური აკადემიის კომპეტენციაში შედიოდა მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაგეგმვისა და მუშაობის კონტროლი, სა-

---

76 მარქსისტ- ისტორიკოსთა პირველი სრულიად საკავშირო კონფერენციის შრომები, მოსკოვი, 1930, სამანდატო კომისიის მოხსენება (რუს. ენაზე).

77 ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 204.

ზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში გაწეული მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა[78].

ცოტა უფრო ადრე, იმავე წლის თებერვალში, მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოების კომუნისტურმა ფრაქციამ გამოაქვეყნა „მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოების საბჭოს ფრაქციის თეზისები რეკონსტრუქციულ პერიოდში მარქსისტული ისტორიული მეცნიერების ამოცანების შესახებ". თეზისებში ნათქვამი იყო, რომ მარქსისტი ისტორიკოსი ბურჟუაზიული მეცნიერების გზის უბრალო გამგრძელებელი ვერ იქნებოდა. მათ შორის თემატიკური და მსოფლმხედველობრივი განსხვავება უნდა ყოფილიყო[79].

მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოების კომუნისტური ფრაქცია მთავარ ამოცანად ისტორიულ მეცნიერებაში ლენინური კონცეფციის დანერგვას და პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირს ისახავდა. ეს უკანასკნელი გულისხმობდა ისტორიული მეცნიერებისა და სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებს შორის კავშირს, მშრომელი მასებისათვის ისტორიული ცოდნის მიწოდებას[80].

ამავე საკითხზე, ისტორიული მეცნიერების პრაქტიკულ ამოცანებზე ყურადღება გაამახვილა მ. პოკროვსკიმაც თავის წერილში „რეკონსტრუქციის პერიოდში მარქსისტული ისტორიული მეცნიერების ამოცანების შესახებ". ისტორიული მეცნიერების პრაქტიკული ამოცანა უნდა ყოფილიყო ისტორიული ცოდნის მასებში შეტანა და მასებისათვის კლასობრივი ბრძოლის, კლასობრივი წინააღმდეგობის ფესვების ჩვენება, არსებული პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიული ანალიზი, რაც შექმნილ ვითარებაში გარკვევის საშუალებას იძლეოდა. მ. პოკროვსკის ისტორიული მეცნიერების ეს ამოცანები მიაჩნდა მის სპეციფიურ ფორმად, თეორიისა და პრაქტიკის შეერთებად. „ისტორია არის კონკრეტული საზოგადოებრივი საკითხების კონკრეტული კვლევა" — წერდა ის[81].

30-იანი წლების დასაწყისიდან ცხადი გახდა, რომ ისტორიული მეცნიერება ვ. ლენინის ისტორიულ კონცეფციას კარგად დაეუფლა. ამ დროისათვის მეცნიერებამ საკმარისი ფაქტიური მასალა დააგროვა, შეიქმნა კარგი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, შეიქმნა ისტორიული ნაშრომების წერის ტრადიცია, აღიზარდა მარქსისტ-ისტორიკოსთა ახალგაზრდა კადრები — პროფესიონალ ისტორიკოსთა კადრები.

---

78 კომუნისტური აკადემიის მოამბე, 1931, № 2—3, გვ. 3—5.

79 ჟურ. „ისტორიკ მარქსისტ", 1931, ტ. 21.

80 იქვე.

81 იგივე ჟურნალი, გვ. 7.

საბჭოთა ისტორიკოსები მეთოდოლოგიურ მუშაობას მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ. ღრმად სწავლობდნენ მარქსისტული მეთოდოლოგიის დანერგვის ისტორიას. ეს კი ხელს უწყობდა მარქსისტული ისტორიული კონცეფციის შემუშავებას.

გამოჩენილმა ისტორიკოსმა მ. პოკროვსკიმ საფუძველი ჩაუყარა ვ. ლენინის როგორც ისტორიკოსის შესწავლის საქმეს. მან 1931 წელს გამოაქვეყნა წერილი „ლენინი და ისტორია"[82], სადაც წარმოჩინებულ იქნა ვ. ლენინის — ისტორიკოსის დიდი როლი მარქსისტული ისტორიული კონცეფციის ჩამოყალიბებაში.

მარქსისტი ისტორიკოსების ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო ისტორიული მეცნიერების ლენინური ეტაპი, ლენინური ისტორიული კონცეფციის ჩამოყალიბება-განვითარების ისტორიის შესწავლის საკითხი. 1932 წელს საბჭოთა ისტორიკოსმა ი. ტოკინმა წერილში „ისტორიულ მეცნიერებაში ბოლშევიკური პარტიულობის შესახებ"[83], პირველმა დასვა საკითხი მარქსისტულ ისტორიულ მეცნიერებაში ლენინური ეტაპის შესახებ. მისი აზრით, ლენინური ეტაპისათვის ახალი თემატიკა იყო დამახასიათებელი და, აქედან გამომდინარე, ლენინური ისტორიული მეცნიერების ცენტრალური საკითხი ბოლშევიზმის ისტორია უნდა ყოფილიყო. ისტორიული მეცნიერების ამოცანებიც სულ ახლებურად დადგა. ისტორიული მეცნიერება უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა პრაქტიკას, სოციალიზმის მშენებლობის საქმეს. ისტორიული მეცნიერების ლენინური ეტაპი მსოფლიოს ისტორიისა და პროლეტარიატის ბრძოლის ახალ ფაქტებსა და გამოცდილებასაც გულისხმობდა. ი. ტოკინის ამ წერილის ამოსავალი ი. სტალინის 1931 წელს გამოქვეყნებული წერილია — „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ", რომლის დიდი გავლენა აშკარად ჩანდა.

1934 წელს კი არკ. ლომაკინმა გამოაქვეყნა წერილი „ისტორიულ მეცნიერებაში ლენინური ეტაპისა და ბოლშევიკი ისტორიკოსების ამოცანების შესახებ"[84]. ავტორი ამ წერილში განარჩევდა მარქსისტული ისტორიული მეცნიერების განვითარების ორ ეტაპს. პირველი საფეხური ისტორიულ მეცნიერებაში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მეცნიერული მონაპოვარია. ლენინურ ეტაპსა და მარქს-ენგელსის ეტაპს შორის ოპორტუნიზმი ბატონობდა. არკ. ლომაკინი წერდა, რომ ისტორიულ მეცნიერებაში ლენინური ეტაპი პროლეტარიატის რევო-

---

82 ჟურნალი „ბორბა კლასოვ", 1931, № 1.

83 იგივე ჟურნალი, 1932, № 9—10.

84 ჟურნალი „ისტორიკ მარკსისტ", 1934, № 1.

ლუციური თეორიის განვითარების ლენინური ეტაპის განუყოფელი ნაწილი იყო. ავტორი ისტორიულ მეცნიერებაში ლენინური ეტაპის დამახასიათებელ ნიშნად ახალ, განსხვავებულ თემატიკას, პრობლემატიკას, გეგმიან მეცნიერულ კვლევა-ძიებას, ფართო მასებისათვის მისაწვდომი ისტორიული ნაშრომების წერასა და სხვას ასახელებდა.

30-იანი წლების დასაწყისიდან შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ისტორიული მეცნიერების ფრონტზე ბევრმა უარყოფითმა ფაქტმა იჩინა თავი. სამეცნიერო მუშაობაში უნდა დაენერგვათ დამკვრელი ბრიგადების მეთოდები, სოციალისტური შეჯიბრება, ჭეშმარიტად საბრძოლო ტემპები, ამ გზით უნდა უზრუნველყოთ სამეცნიერო გეგმების შესრულება საზოგადოებრივი მეცნიერების შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში[85].

ამავე ხანებში ისტორიული ნაშრომების აკადემიური, მეცნიერული სტილით წერის ნაცვლად ფეხი მოიკიდა მუქ ფერებში აღგზნებული წერის მანერამ. ასეთ ვითარებაში ზომიერების დაცვა ჭირდა და ხშირი იყო მოწინააღმდეგე იდეოლოგიის წარმომადგენლის, უფრო ხშირად კი თანამედროვე ისტორიკოსების უბრალო, დაუსაბუთებელი ლანძღვა-გინება. წერის ასეთი მანერა დღესაც ზოგიერთი ისტორიკოსის, უფრო ხშირად კი არაპროფესიონალი ისტორიკოსის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ეს 30—40-იანი წლების გადმონაშთია ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

1936 წლის თებერვალში საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ გააუქმა კომუნისტური აკადემია და მისი დაწესებულებები გადაეცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას. 30-იანი წლების დასაწყისში უკვე შეიმჩნეოდა და შემდეგ უფრო მკვეთრად გამოიხატა ისტორიულ ნაშრომთა თემატიკის შეზღუდვა, ნაშრომთა საერთო რიცხვის საგრძნობლად შემცირება.

პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ორგანიზაციული ღონისძიებები ხელს უწყობდნენ მარქსისტული ისტორიული მეცნიერების განვითარებას. იდეოლოგიურ ბრძოლაში ჩამოყალიბდა როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სამოქალაქო ომის, ისე საერთოდ საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხებისა და მსოფლიო ისტორიის მარქსისტული ისტორიული კონცეფცია, საბოლოოდ დამკვიდრდა ლენინური ისტორიული კონცეფცია.

20-იან წლებში მცირენი იყვნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას

---

85 ჟურნალი „კომუნისტური აკადემიის მოამბე", 1931, № 2—3.

დაუფლებული ისტორიკოსები. 30-იანი წლების დასაწყისიდან ასეთთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ესენი იყვნენ ძირითადად ახალგაზრდა პროფესიონალი ისტორიკოსები, რომელთაც წრთობა 20-იან წლებში პარტიისა და მთავრობის მიერ სპეციალურად შექმნილ სამეცნიერო დაწესებულებებში და საზოგადოებებში მიიღეს (წითელი პროფესურის ინსტიტუტი, კომუნისტური აკადემია, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რუსეთის ასოციაცია, მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოება და სხვ.).

ლენინური ისტორიული კონცეფცია 30-იანი წლებისათვის უკვე დამკვიდრდა საბჭოთა ისტორიკოსთა ნაშრომებში. კონცეფციის დაუფლებას თან სდევდა დიდი რაოდენობის კონკრეტული ისტორიული მასალის დაგროვება, მანამდე დაგროვილი მასალის ახლებურად გააზრება. საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ამ დროის მნიშვნელოვანი წარმატება ის იყო, რომ გაიზარდა მთელი თაობა ახალგაზრდა პროფესიონალი ისტორიკოსებისა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ისტორიის საკითხების შესწავლაში დასპეციალდა.

2

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ფართოდ გაიშალა მუშაობა ისტორიულ მეცნიერებაში გეგმაზომიერი და მიზანდასახული მეცნიერული კვლევის მოსაწყობად. პირველი რიგის ამოცანად საქართველოს მშრომელი კლასების რევოლუციური მოძრაობის ისტორიის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლა დადგა. პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვა ისტორიულ მეცნიერებაზე, საერთოდ, მეცნიერების განვითარებაზე ზრუნვის შემადგენელი ნაწილი იყო.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა და საქართველოს მთავრობა დიდ მუშაობას ეწეოდა იმისათვის, რომ ქართველი მეცნიერები ახალი საზოგადოების მშენებლობის სამსახურში ჩაეყენებინა. 1922 წლის აპრილში საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველო დაარსდა. ამ სამმართველოს ხელში თავი მოუყარეს მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებებსა და საზოგადოებებს. მათ შორის ბევრი იყო ისეთი სამეცნიერო დაწესებულება თუ საზოგადოება, რომელიც საქართველოს წარსულის შესწავლას ემსახურებოდა. კერძოდ, ამ სამმართველოში გაერთიანებულ იქნა საქართველოს მუზეუმი და საჯარო ბიბლიოთეკა, საქართველოს საისტორიო და ეთნოგრაფიული მუზეუმი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-

არქეოლოგიური ინსტიტუტი. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება, საარქივო საქმეთა მმართველობა, სიძველეთა და ძეგლთა დამცველი მუზეუმი, რევოლუციის მუზეუმი, ცენტრალური აკადემიური ბიბლიოთეკა, სამეგრელოს მუზეუმი, ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება და სხვა.

საქართველოს სამეცნიერო მთავარმართველობაში შესული სამეცნიერო დაწესებულებებიდან საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაარსდა საარქივო საქმეთა მმართველობა, ხელოვნების ძეგლთა და სიძველეთა დაცვის კომიტეტი, სარევოლუციო მუზეუმი, ქუთაისის მუზეუმი[86].

ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარებაში უდიდესი როლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეასრულა. აქ ქართველ პროფესიონალ ისტორიკოსთა ძლიერი კადრები იყო თაყმოყრილი. უნივერსიტეტის დაარსებისთანავე შეიქმნა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომლის შემადგენლობაში საისტორიო დარგი შედიოდა. უნივერსიტეტი დიდ მუშაობას ეწეოდა რუსეთის მუზეუმებში, არქივებსა და წიგნთსაცავებში ქართული ეროვნული კულტურის ფასეულობათა გამოსაელინებლად და დასაბრუნებლად.

იმ დროისათვის ძირითადი ამოცანა პროფესიონალ ისტორიკოსთა კადრების აღზრდა იყო. ამ საქმეში სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურება დიდია. 1922 წელს, უნივერსიტეტის დაარსების მეოთხე წელს, საპროფესოროდ მოსამზადებლად ს. ჯანაშია დატოვეს. ს. ჯანაშია პირველი ისტორიკოსი იყო, რომელმაც განათლება მთლიანად ჩვენს უნივერსიტეტში მიიღო. საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვებულ იქნა თ. ლომოური, რომელიც ადრე სხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა, მაგრამ კურსი თბილისში დაამთავრა.

1921 წელს თბილისის უნივერსიტეტი 15 ისტორიკოსმა დაამთავრა, 1924 წელს — შვიდმა, 1925 წელს — ცხრამ, 1926 წელს —ექვსმა, ხოლო 1927 წელს — შვიდმა ისტორიკოსმა. ეს ციფრები იმ დროისათვის მნიშვნელოვანი იყო და ისტორიული მეცნიერების წინსვლას მოწმობდა[87].

20-იან წლებში დიდმნიშვნელოვანი საკითხი იყო მშრომელთა წარმომადგენლების, მუშებისა და გლეხების სწავლა-განათლებაში მიზიდვა. საბჭოთა ხელისუფლებას მუშათა და გლეხთა წრიდან

---

86 ვ. ბერიძე, რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის მოღვაწეობა, ჟურ. „ჩვენი მეცნიერება", 1923, № 1.

87 ტფილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტი, 1918—1928. ტფილისი, 1928, გვ. 88—89.

გამოსული სპეციალისტები სჭირდებოდა. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობამ და პარტიამ დიდი მუშაობა გაშალა. ამ სამუშაოში სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობდა. 1922 წელს უნივერსიტეტში შეიქმნა ქართული მუშათა ფაკულტეტი. პირველსავე წელს ფაკულტეტზე 280 მუშა და გლეხი ახალგაზრდა იქნა ჩარიცხული. 1926—1927 წლებში მუშათა ფაკულტეტზე 1 270 კაცი სწავლობდა, ხოლო 1927—1928 სასწავლო წელს 1040 კაცი[88].

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას, რომ უფრო დემოკრატიული გაეხადა უმაღლესი სასწავლებლები, რომ მეცნიერებაში შეეზიდათ მშრომელი კლასების წარმომადგენლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქმით უპასუხა და მუშა და გლეხი ახალგაზრდების — მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა საუკეთესო ნაწილი სამეცნიერო მუშაობაში ჩაება.

1930 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია მოხდა. მის ბაზაზე ოთხი სპეციალური სასწავლო ინსტიტუტი შეიქმნა. მაგრამ რეორგანიზაციამ გამართლება ვერ პოვა და მალე, 1933 წელს, იანვარში უნივერსიტეტი კვლავ აღადგინეს. უნივერსიტეტში სხვა ფაკულტეტთა შორის ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტიც შეიქმნა: ფაკულტეტი საქართველოს ისტორიის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის, ლენინიზმისა და საკ. კპ(ბ) ისტორიის კათედრებს აერთიანებდა.

1934 წლის მაისში გამოვიდა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ არსებული სქემატური სახელმძღვანელოებით მოსწავლეები ისტორიულ ცოდნას ვერ იძენდნენ. საჭირო იყო ისტორიის სწავლების ძველ მეთოდზე ხელის აღება და ახალი ხერხებით. ახალი სახელმძღვანელოებით სკოლებში ისტორიის სწავლების გადაჭრით გაუმჯობესება[89]. ამ დადგენილების შესასრულებლად საჭირო იყო საერთოდ მარქსისტული ისტორიული ნაშრომების წერის მანერის მთლიანი გარდაქმნა; მასწავლებელთა და მარქსისტ ისტორიკოს-მკვლევართა ახალი კადრების მომზადების პრაქტიკის გარდაქმნა. ამ დადგენილების პასუხი იყო ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტი ჩამოყალიბდა სამი — საქართველოს ისტორიის, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიისა და მსოფ-

---

[88] ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1918—1928, ტფილისი, გვ. 248—249.
[89] ისტორიის შესწავლისათვის, კრებული, თბილისი, 1937, გვ. 42—43.

ლიო ისტორიის სექციით[90]. 1934 წელს უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი კაბინეტი შეიქმნა. კაბინეტს სათავეში ს. ჯანაშია ჩაუდგა[91].

30-იანი წლებიდან თბილისის უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ისტორიის ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლას. ყურადღების ცენტრში XIX—XX სს. საზოგადოებრივი პოლიტიკური მოძრაობისა და რევოლუციური ბრძოლის საკითხები მოექცა. ამ საქმეში განსაკუთრებით ს. ხუნდაძის დამსახურებაა აღსანიშნავი[92]. ს. ხუნდაძე იყო პირველი პროფესიონალი ისტორიკოსი, რომლის ნაშრომებშიც მარქსისტულად იყო გააზრებული საქართველოს ახალი ისტორიის მთელი რიგი საკითხები.

როდესაც ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებაზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ, არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ თავის დროზე — 20-იან წლებში და 30-იანი წლების პირველ ნახევარში, ჩვენი უნივერსიტეტი ბევრჯერ დაუმსახურებელი კრიტიკის ობიექტი გამხდარა. მარქსისტული მეცნიერების შექმნა, მარქსიზმის დანერგვა, მარქსისტ მეცნიერთა კადრების შექმნა არსად უმტკივნეულოდ, უბრძოლველად არ ხდებოდა. ეს ასე იყო ჩვენშიც. ამ იდეოლოგიური ბრძოლის დროს ზომიერების დაცვა მეტად ჭირდა. ხშირი იყო შემთხვევები, როცა სახელმწიფო უნივერსიტეტს კონტრრევოლუციის ბუდედ აცხადებდნენ, კარჩაკეტილობასა და სქოლასტიკას სწამებდნენ, რომ უნივერსიტეტის რექტორის ივ. ჯავახიშვილის თ. ღლონტით შეცვლასა და ზოგიერთ სხვა გადახალისებას უნივერსიტეტის ისტორიაში ახალ ფურცელს უწოდებდნენ. უნივერსიტეტის კრიტიკის დროს ზოგიერთი უნივერსიტეტის არაკეთილმოსურნე იქამდე მიდიოდა, რომ სამკურნალო ფაკულტეტზე ანატომიის, ფიზიოლოგიის, ბაქტერიოლოგიისა და რეცეპტურის სწავლებასაც კი თითქმის დანაშაულად თვლიდა; უნივერსიტეტის მიმართ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იჩენდნენ, ცდილობდნენ დაემცირებინათ იგი[93].

---

90 ს. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბილისი, 1968, გვ. 61—62.

91 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავზე. აკად. ნ. მარრის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. 1. ტფ. 1937, გვ. XXXIII.

92 თბილისის უნივერსიტეტი, 1918—1968. თბილისი, 1968.

93 იხ. გაზ. „კომუნისტი", 1926 წ. 22 ივნისი. შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, უმაღლესი სკოლის საკითხისათვის (პასუხი გ. ხაკაპურიძის წერილის გამო),. გაზ. „კომუნისტი", 1923, 25 ნოემბერი.

30-იანი წლების დასაწყისში მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის პროცესში უნივერსიტეტიდან წავიდნენ გამოჩენილი მეცნიერები: ივ. ჯავახიშვილი, გრ. წერეთელი, მ. პოლიევკტოვი, ა. ბენაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, გ. გეხტმანი, ლ. ანდრონიკაშვილი და სხვები[94]. შემდეგში ეს შეცდომები გამოსწორდა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ისტორიული მეცნიერების ისტორიამ კი ყველა ეს ფაქტი უნდა აღნუსხოს და ახსნას.

ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში თავის დროზე დიდი როლი შეასრულა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც 1907 წელს დაარსდა. საზოგადოების თავმჯდომარედ ექვთ. თაყაიშვილი იყო. 1921 წელს, ექვთიმე თაყაიშვილის საზღვარგარეთ წასვლის გამო, საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე დ. კარიჭაშვილი. 1924 წელს თებერვალში საზოგადოებისა და მისი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ივ. ჯავახიშვილი[95]. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას 500-ზე მეტი წევრი ჰყავდა. მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აკ. შანიძე, კ. კეკელიძე, გ. ჩუბინაშვილი, ს. ჯანაშია, გ. ნათაძე, ალ. წერეთელი, მ. პოლიევკტოვი და სხვები. საზოგადოება აწყობდა კრებებს, სადაც ისმენდნენ მოხსენებებს საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ლიტერატურის, ხელოვნებათმცოდნეობის საკითხებზე. საზოგადოებას მდიდარი მუზეუმ-ბიბლიოთეკა ჰქონდა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ეს ბიბლიოთეკა შეივსო რუსეთიდან დაბრუნებული საარქივო დოკუმენტებით, ხელნაწერებით, განძეულობით. მუზეუმ-ბიბლიოთეკას სიგელ-გუჯრებისა და სხვა საქმიანი ქაღალდების მდიდარი კოლექცია ჰქონდა.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება უპირველეს მიზნად ისახავდა პროვინციებში სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვას. ამ საქმეს სპეციალურად ემსახურებოდა 1924 წელს დაარსებული საარქეოლოგიო სექცია. საზოგადოება ხშირად აწყობდა სამეცნიერო ექსპედიციებს. ამ ექსპედიციების მიზანი იყო საქართველოს წარსულის, ხელოვნების ძეგლების, ენისა და ფოლკლორის შესწავლა. ადრე საზოგადოება ახერხებდა ნაბეჭდი პროდუქციის გამოცემას. შემდეგში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადო-

---

94 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 3902, ფ. 90.

95 ჩვენი მეცნიერება, ყოველთვიური სამეცნიერო კრებული, 1924, № 1.

ება მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდა და ნაშრომთა გამოცემას, წყაროთა პუბლიკაციებს ვერ ახერხებდა[96].

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობა 20-იანი წლების ბოლოსათვის დაღმავალი ხაზით წავიდა. შემდეგში საზოგადოება გაუქმებულ იქნა.

საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოში გაერთიანებულ ორგანიზაციათა შორის დასახელებული იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც თბილისში 1917 წლის ივლისში დაარსდა. ეს ინსტიტუტი განუწყვეტლივ განიცდიდა რეორგანიზაციას. მას ჯან ამიერკავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი, ხან კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტი ერქვა. ერთხანს ამიერკავკასიის ცაკთან არსებულ კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტს უწოდებდნენ. ინსტიტუტი თავდაპირველად გამიზნული იყო როგორც კავკასიის მასშტაბის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. მაგრამ მისი მუშაობა სულ უფრო უფერული ხდებოდა; დაბოლოს, ის ჩამოქვეითდა პატარა დაწესებულების დონემდე. ყოველივე ამის მიზეზი კი მისი თბილისის სამეცნიერო საზოგადოებისაგან სრული მოწყვეტა იყო[97].

შემდეგში ინსტიტუტში ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფი მოვიდა; ამ ჯგუფის მეცადინეობით ინსტიტუტის საქმიანობაში ძირეული გარდატეხა მოხდა. დაწესებულების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად დაისახა საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა. 1936 წლის იანვარში ინსტიტუტში საქართველოს ისტორიის სექტორი შეიქმნა. ინსტიტუტის ამ ხაზით მუშაობას ხელმძღვანელობდნენ დიდი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ივანე ჯავახიშვილი — მთავარი სწავლული კონსულტანტი, სიმონ ჯანაშია, რომელიც საქართველოს ისტორიის სექტორს ედგა სათავეში და ნიკოლოზ ბერძენიშვილი, როგორც უფროსი სწავლული სპეციალისტი. ინსტიტუტში, რომელიც სწავლობდა ამიერკავკასიის ხალხების ენას, ლიტერატურას, ეთნოგრაფიას და არქეოლოგიას, სხვა სექტორთა შორის არსებობდა საქართველოს ისტორიისა და მატერიალური კულტურის, ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის სექტორები. იმავე 1936 წლის ზაფხულში კვლავ მოხდა

---

96 ჩვენი მეცნიერება, ყოველთვიური სამეცნიერო კრებული, 1923, № 6—7, 1926, № 17—18.

97 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, მოკლე ანგარიში აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობის 1936—1944; აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. XIV, თბ. 1944, გვ. 381.

ინსტიტუტის რეორგანიზაცია. ამჯერად მისი პროფილი უფრო გაირკვა და ინსტიტუტის ამოცანები ძირითადად საქართველოს წარსულის შესწავლით შემოიფარგლა[98].

საბჭოთა ხელისუფლებამ საარქივო საქმის მოსაწესრიგებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა. 1921 წლის 1 ივლისს საქართველოს რევკომმა საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის თაობაზე სათანადო დეკრეტი გამოსცა. ამ დეკრეტით საუწყებო არქივები გაუქმდა და ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდი შეიქმნა. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატთან სახელმწიფო საარქივო ფონდის საგამგეოდ საარქივო საქმეთა სამმართველო შეიქმნა. ამავე დეკრეტით ყველა საქმე და მიწერ-მოწერა, რომელიც 1921 წლის 25 თებერვლისათვის დამთავრებული იყო, საარქივო საქმეთა სამმართველოს გადაეცა[99]. ამგვარად, სახელმწიფოს ხელში თავი მოიყარა და ისტორიკოსებისათვის შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი გახდა ისტორიული დოკუმენტები და მასალა, რომელიც ეხებოდა 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიას, საქართველოს რევოლუციურ წარსულს. შემდეგში, 1922 წლის დასაწყისში სახალხო განათლების კომისარიატის უწყებიდან საარქივო სამმართველო გამოიყო და რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობას გადაეცა. 20-იან წლებში და შემდეგაც დიდი ყურადღება ექცეოდა საარქივო საქმის მწყობრი სისტემის შექმნას. 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და მიიღო დებულება საარქივო სამმართველოს შესახებ.

1921—1930 წწ. ქართველმა არქივისტებმა რევოლუციამდელი პერიოდის დოკუმენტური მემკვიდრეობის, სახელმწიფო არქივებში კონცენტრაციის პრობლემა გადაჭრეს. 1930—31 წლებიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა არქივებში კონცენტრირებული დოკუმენტური მასალის აღრიცხვა, კლასიფიკაცია, სისტემატიზაცია და მისი სამეცნიერო-ტექნიკურ წესრიგში მოყვანა[100].

მარქსისტული ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის, მისი ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიულ მეცნიერებასთან ბრძოლაში გამარჯვებისათვის, მარქსისტული ისტორიული ცოდნის მასებში შე-

98 ს. ჯანაშია, მოკლე ანგარიში აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობის 1936—1944; აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. XIV, თბ., 1944, გვ. 381.

99 ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საქართველოში (დოკუმენტები და მასალები), (1921—1925 წწ.), თბ., 1959 (რუს. ენაზე), გვ. 500—501.

100 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, № 15—16, თბ., 1967.

ტანისათვის საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს და დეკრეტებს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს რევკომის 1921 წლის 5 ივლისის დეკრეტი სტამბებისა და ლითოგრაფიის ნაციონალიზაციის თაობაზე[101]. ამ დეკრეტის ძალით სახელმწიფოს ხელში გადავიდა და სახელმწიფო კონტროლი დაწესდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა სტამბასა და ლითოგრაფიაზე. საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გატარებული ეს ღონისძიება თუ ერთი მხრით გზას უხშობდა ბურჟუაზიულ ისტორიულ მეცნიერებას, უმთავრესად, ანტისაბჭოთა ლიტერატურის ბეჭდვას, მეორე მხრით, დიდად ეხმარებოდა მარქსისტ ისტორიკოსებსა და პუბლიცისტებს მათი შემოქმედების მასებამდე მიტანის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელოვანი ღონისძიება, საქართველოში სამუზეუმო საქმის რეორგანიზაციის თაობაზე, 1923 წლის 12 ნოემბერს გამოცემული დეკრეტი იყო[102]. ამ დეკრეტმა საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ასეთივე მნიშვნელობა ენიჭებოდა მას მასებში ისტორიული ცოდნის შეტანისა და პროპაგანდის საქმეში.

1921 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიძველეთა მუზეუმი შეიქმნა, ხოლო 1924 წელს ნუმიზმატიკის კაბინეტი დაარსდა; კაბინეტს სათავეში თ. ლომოური ჩაუდგა.

20-იან წლებში თბილისში საქართველოს რევოლუციური მუზეუმი შეიქმნა. მას საქართველოს რევოლუციური მოძრაობის მასალების შეგროვება და სისტემატიზაცია ევალებოდა. მუზეუმმა დაკისრებულ ამოცანას თავი კარგად გაართვა; შეკრებილ იქნა დიდძალი ისტორიული დოკუმენტი, არალეგალური ლიტერატურა, რევოლუციურ მოღვაწეთა ფოტოსურათები და სხვ. მუზეუმმა მასებში ისტორიული ცოდნის შესატანად დიდი მუშაობა გასწია. ამ მიზნით რამოდენიმე გამოფენა მოაწყო. ერთი ასეთი გამოფენა, 1926 წელს, იმდენად პოპულარული იყო, რომ ერთი თვის განმავლობაში ხუთი ათასმა კაცმა დაათვალიერა. გამოფენაზე მარქსიზმის წინა ხანის, 1905 წლის რევოლუციის, რეაქციის პერიოდის, თებერვლის რევოლუციის, 1917—1921 წლების ისტორიის, საბჭოთა ისტორიის ამსახველი ექსპონატები იყო წარმოდგენილი[103].

30-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა მთავრობა და კო-

---

101 ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის საქართველოში (დოკუმენტები და მასალები), (1921—1925 წწ.), გვ. 502—503.

102 იქვე, გვ. 507.

103 გაზ. „კომუნისტი", 1926, 11 მარტი.

მუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებასა და ზრუნვას იჩენდა ისტორიული მეცნიერებისადმი. ისტორიის ფრონტზე ადრე მოპოვებული წარმატებები ცხოვრებას ველარ აკმაყოფილებდა. ხალხთა მასების ინტერესი ისტორიისადმი სულ უფრო იზრდებოდა. საჭირო იყო ძალზე ქმედითი ღონისძიებები, რომ მასების მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინათ მარქსისტული ისტორიული ცოდნის პროპაგანდით. 1934 წელს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ. იმავე წელს დაწყებით და არასრულ საშუალო სკოლებში სსრ კავშირის ისტორიის კურსი შემოიღეს; გამოქვეყნდა ი. სტალინის, ს. კიროვისა და ა. ჟდანოვის შენიშვნები სსრ კავშირის ისტორიისა და ახალი ისტორიის სახელმძღვანელოების კონსპექტების შესახებ. 1936 წელს გამოცხადდა კონკურსი ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოზე და სხვა მრავალი; ყოველივე ამან დიდი როლი შეასრულა ისტორიული ცოდნის მასებში შეტანისა და ქვეყნის წარსულის მეცნიერული კვლევა-ძიების მაღალ დონეზე აყვანის საქმეში.

ყველა ეს ღონისძიება, ცხადია, გამოძახილს პოულობდა ქართულ ისტორიულ მეცნიერებაშიც. საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ისტორიის სწავლებისა და ისტორიის დარგში კვლევა-ძიების გასაუმჯობესებლად, მარქსისტული ისტორიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების პირველი პერიოდის დასასრულს საქართველოში გატარებულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიება. ეს ღონისძიება, რომლის შესახებაც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი, უნდა ჩაითვალოს ჩვენთან მარქსისტული ისტორიული მეცნიერების ჩასახვისა და ჩამოყალიბების პირველი პერიოდის დასასრულად, რადგან შემდეგ უკვე საქართველოს ისტორიის, საქართველოს სოციალური ისტორიის, რევოლუციური მოძრაობის ისტორიის კვლევა არსებითად, ძირეულად განსხვავდებოდა წინა წლებში (1936 წლამდე) ჩატარებული მუშაობისაგან.

1936 წლის 23 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ მოისმინა და განიხილა უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, ცნობილი პარტიული მუშაკის კ. ორაგველიძის მოხსენება „საქართველოს ისტორიის საკითხი-

სათვის"[104]. მოხსენებაში შეჯამებულ იქნა საქართველოს ისტორიის შესწავლისა და ისტორიულ მეცნიერებაში მარქსისტული იდეოლოგიის დანერგვის საქმეში ჩატარებული მუშაობა. ამ დროს უკვე მეტად მწვავედ იდგა საშუალო სკოლისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის საკითხი. ასეთი სახელმძღვანელოს, მარქსისტული წიგნის შექმნა ქართველ ისტორიკოსთა უპირველესი ამოცანა იყო.

მოხსენებაში საქართველოს ისტორიის პროფესიონალ და არაპროფესიონალ მკვლევართა მიმართ მრავალი სამართლიანი შენიშვნა იყო გამოთქმული. ამ შენიშვნებიდან ყურადსაღებია შენიშვნა საქართველოს ისტორიის უგულებელყოფის, მისდამი ნიჰილისტური დამოკიდებულების შესახებ. არაპროფესიონალ მარქსისტ მკვლევართა ერთ ჯგუფში საქართველოს წარსულისადმი იმთავითვე გულგრილი, ნიჰილისტური დამოკიდებულება იყო გაბატონებული. მათთვის გაუგებარი იყო, რომ საქართველოს ძველი ისტორია მის ახალ ისტორიასთან, რევოლუციური მოძრაობის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში იყო და, რომ რევოლუციური წარსულის ღრმა მეცნიერული შესწავლა საქართველოს ისტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია. მომხსენებელმა ამ მხრივ ცნობილი ქართველი მარქსისტი პუბლიცისტი ფ. მახარაძე სამართლიანად გააკრიტიკა. გამახვილებულ იქნა ყურადღება საქართველოს სოციალური ისტორიისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლის აუცილებლობაზე. მოხსენების ძირითადი იდეა ის იყო, რომ უნდა შექმნილიყო საქართველოს ისტორიის ერთიანი მარქსისტული კონცეფცია. ამ იდეასთან კავშირში მწვავედ დადგა პროფესიონალ მარქსისტ ისტორიკოსთა კადრების, წყაროთმცოდნეობის ბაზის შექმნის, დამხმარე ისტორიული დისციპლინების განვითარების, მეცნიერული კვლევის და სხვა პროფესიულ ჩვევათა დაუფლების საკითხები, ძველი და მეზობელი ხალხების ენათა დაუფლების საკითხი. მრავალი ამათგანის სწავლა ახალგაზრდა მარქსისტ ისტორიკოსებს მხოლოდ უფროსი თაობის ე. წ. ძველი თაობის ისტორიკოსებთან შეეძლოთ.

კ. ორაგველიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორიის კვლევის პროცესში მარქსისტულ-ლენინური თეორია ჯერ კიდევ საფუძველი არ გამხდარიყო, ის ჯერ კიდევ არ გაბატონებულიყო ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში. საქართველოს ისტორიის მრავალი საკვანძო საკითხი მონოგრაფიულ დამუშავებას საჭიროებდა.

---

104 ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, პირველი სერია, საზოგადოებათმეცნიერებანი, თბ., 1936.

თუ მოხსენებაში და, საერთოდ, ამ ღონისძიების პროცესში, ერთი მხრით, მთელი რიგი საკითხების დაყენება დროული და აუცილებელი იყო (მაგალითად, როგორც აღვნიშნეთ, ბრძოლა ნიჰილიზმთან, საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლის სახელმძღვანელოს შექმნა, ისტორიის საკვანძო საკითხების მონოგრაფიული შესწავლა, წყაროთმცოდნეობის განვითარება და სხვ.), მეორე მხრით, ადგილი ჰქონდა ქართული ისტორიული მეცნიერების მონაპოვრის ხელაღებით უარყოფას. მომხსენებელი სამართლიანად საყვედურობდა ზოგიერთ მკვლევარს საქართველოს ისტორიისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, მაგრამ იქვე თვითონვე იჩენდა ისეთსავე და, შეიძლება უფრო უხეშ, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ქართული არამარქსისტული ისტორიული მეცნიერებისადმი.

დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ ივანე ჯავახიშვილმა თვალსაჩინო ღვაწლი დადო ქართულ ისტორიულ მეცნიერებას, საქართველოს წარსულის ღრმა და ყოველმხრივი შესწავლის საქმეს. ივანე ჯავახიშვილის კრიტიკისას კ. ორაგველიძის მთავარი შეცდომა მომდინარეობდა იქიდან, რომ ის ისტორიული მეცნიერების განვითარების კანონებს არ იცნობდა. მისთვის გაუგებარი იყო ის, რომ ისტორიული მეცნიერებაც მემკვიდრეობითობის, მონაცვლეობის პრინციპებს ეყრდნობა. რომ მისი განვითარების შინაგანი კანონები აუცილებლივ გულისხმობენ წინაპარ მკვლევარს, ისტორიკოსს. დიდი წინაპარი ისტორიკოსი ისტორიული მეცნიერების დიდ აწმყოსა და მომავალს გულისხმობს.

ივანე ჯავახიშვილი, — დემოკრატი შემოქმედი, მეცნიერული კვლევის პროცესში იმ დონემდე იყო ასული, რომ ისტორიული მეცნიერების განვითარების შემდგომი ეტაპი აუცილებლად მარქსისტული უნდა ყოფილიყო. მისი მოწაფეები ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი პროფესიონალ ისტორიკოსთა შორის პირველნი იყვნენ, რომლებმაც მარქსისტული მეთოდოლოგია დანერგეს ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქართული მარქსისტული ისტორიული მეცნიერების, საქართველოს ისტორიის მარქსისტული შესწავლის დიდი წარმატებები ძალზე ბევრით განაპირობა ივანე ჯავახიშვილის დიდმა, იდეურად დემოკრატიულმა მემკვიდრეობამ.

საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებას წარმატებებს ვერ მოუტანდა ვერც საქართველოს ისტორიის კათედრაზე სამუშაოდ კომკავშირელების გაგზავნა (როგორც ფიქრობდა კ. ორაგველიძე) და ვერც მარქსისტი არაპროფესიონალი ისტორიკოსები, მარქსისტი პუბლიცისტები, რომლებიც არ იცნობდნენ ქართულ წყაროთმცოდნეობას, დამხმარე ისტორიულ დისციპლინებს — პალეოგრაფიას და სხვას. ყოვე-

ლივე ამის სწავლა შეეძლოთ მხოლოდ პროფესიონალ მარქსისტ-ისტორიკოსებს და ისიც მხოლოდ უფროსი თაობის ისტორიკოსებისაგან.

კ. ორაგველიძის ამ არსებითი შეცდომის ფესვები უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ქართველი მარქსისტების ერთი ჯგუფი საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეს ვულგარული მარქსიზმის პოზიციებიდან უდგებოდა.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ისტორიული მეცნიერების პირველ ეტაპზე — 20-იან წლებში და 30-იანი წლების პირველ ნახევარში უპირველეს და ძირითად მიზნად დასახეს საქართველოს მშრომელების მდიდარი რევოლუციური წარსულის, ექსპლოატირებულთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიის შესწავლა. ამოცანად იდგა: ისტორიული დოკუმენტებისა და მასალების შეგროვება და დაცვა, წყაროთმცოდნეობის ბაზის შექმნა; მემუარული ლიტერატურის შექმნა; მეცნიერული კვლევა-ძიების წარმოება.

პროფესიონალ ისტორიკოსთა კადრების მწვავე ნაკლებობის გამო, საქმეში აქტიურად უნდა ჩაებათ თვით რევოლუციური ბრძოლების მონაწილენი, ბოლშევიკური პარტიის წევრები, ვისაც კი კალამი ემარჯვებოდა და საამისო უნარი შესწევდა. პირველ რიგში კი ისტორიული კვლევა-ძიება უნდა ეწარმოებინათ მარქსისტ პუბლიცისტებს, რომლებსაც ლიტერატურული და ისტორიული კვლევისა და მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ.

ისტორიული კვლევა-ძიებით სამუშაოს ჩატარებას დიდი პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. საქართველოს რევოლუციური წარსულის ისტორიაზე, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ტრადიციაზე უნდა აღეზარდათ საბჭოთა საქართველოს მშრომელები. რევოლუციური წარსულის ისტორიის შექმნა გააადვილებდა ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მშრომელ მასებზე მისი გავლენის წინააღმდეგ. რევოლუციური ბრძოლის ისტორიის შესწავლა აუცილებელი იმიტომაც იყო, რომ უფრო ფართოდ გაეშალათ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლა.

ასეთი ამოცანების შესრულება მთელ რიგ ორგანიზაციული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას მოითხოვდა. ერთეული მკვლევრები საქმეს თავს ვერ გაართმევდნენ. საჭირო იყო სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სისტემის შექმნა და მართლაც, საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების პირველი

პერიოდის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ასეთი სისტემის შექმნაა. წლების მანძილზე მიმდინარეობდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ჩამოყალიბება, მათი მუშაობის გაუმჯობესება, რეორგანიზაციები, მუშაობის უკეთესი ფორმების ძებნა. რევოლუციური წარსულის შესწავლას, სამეცნიერო-კვლევით მუშაობას გეგმიანი ხასიათი უნდა მისცემოდა და ასეთი რამის მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ კვლევითი დაწესებულებების მწყობრი სისტემის შექმნით თუ იქნებოდა შესაძლებელი.

ამ ორგანიზაციული ღონისძიებებიდან პირველი იყო საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტისის შექმნა. 1922 წლის 13 ნოემბერს საქ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტისის კოლეგია შექმნა, რომლის მდივნად ს. თალაკვაძე დანიშნეს[105]. ხოლო 1922 წლის დეკემბერში პარტისი უკვე შეუდგა საქმიანობას. პარტიის ისტორიის კომისიას (პარტისს) უნდა გაეერთიანებინა საქართველოს კომპარტიის ისტორიისა და რევოლუციის ისტორიის შემსწავლელი მთელი ძალები და მათი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის გეგმიანი, მიზანდასახული სახე მიეცა. პარტისი სცემდა პერიოდულ ორგანოს, ჟურნალს „რევოლუციის მატიანეს". ჟურნალის პირველ ნომერში, რომელიც 1923 წლის მარტში გამოვიდა, პარტიის ისტორიის კომისიის წერილი გამოქვეყნდა. ამ წერილით მკითხველს პარტისის დანიშნულებასა და ამოცანებს აცნობდნენ. წერილში ნათქვამი იყო, რომ „რევოლუციის მატიანემ" უნდა შეძლოს საქართველოს მდიდარი რევოლუციური წარსულის ყოველმხრივი დასაბუთება და რევოლუციის ენაზე მეტყველი მაგალითებით გადმოშლა; „რევოლუციის მატიანემ" უნდა მისცეს ახალი ქვეყნის საშენებლად ჩაბმულ ხალხს რევოლუციისა და მისი ხელმძღვანელი პარტიის გაშუქებული ისტორია..."

პარტიის ისტორიის კომისია მოუწოდებდა რევოლუციის ყველა მონაწილეს მიეწოდებინა ყოველგვარი წერილობითი საბუთები რევოლუციური მუშაობის შესახებ, პირადი მიწერ-მოწერა, ვრცელი მოგონებები, ბრძოლაში დაღუპული რევოლუციონერების ფოტოსურათები და ბიოგრაფიები[106]. აქ კარგად ჩანს, თუ რა ამოცანებს ისახავდა პარტისი და რა სახის სამუშაოს ჩატარებას აპირებდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პარტიის ისტორიის კომისიის მუშაობას, რევოლუციის ისტორიის შესწავლის საქმეს. ამიტომ იყო

---

105 ...პარტიული არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 28.

106 რევოლუციის მატიანე, ისტორიული ჟურნალი, 1923, № 1, გვ. 3—4.

რომ 1923 წელს საქ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტს ცირკულარული წერილით მიმართა. ამ წერილით ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს პარტიის ისტორიის კომისიის შექმნა აუწყა და მისი დანიშნულება განუმარტა. ცენტრალური კომიტეტი საოლქო და სამაზრო ბიუროებს სთხოვდა აქტიურად დახმარებოდნენ პარტიის ისტორიის შესწავლის საქმეს. ამასთან ერთად, ადგილებზე, პარტიულ კომიტეტებთან 'პარტიის ისტორიის ბიუროები შეიქმნა, რომლის უფლება-მოვალეობანი ცენტრალური კომიტეტის ცირკულარული წერილით იყო განსაზღვრული[107].

პარტისის მუშაობის პირველ საეე წელს გამოვიდა „რევოლუციის მატიანე"-ს ხუთი ნომერი. პარტისმა გამოსცა საგანგებო ქაღალდზე დაბეჭდილი დიდი ფორმატის 92 გვერდიანი ალბომი „1917 წლის რევოლუციამდე დაღუპული ამხანაგების ხსოვნას". ალბომში დაბეჭდილი იყო ეგ. ნინოშვილის, ლ. კეცხოველის, ალ. წულუკიძის, მ. ჩოდრიშვილის და სხვათა ფოტოსურათები ბიოგრაფიების დართვით. პარტისმა კავშირი დაამყარა არქივებთან, კავშირი გააბა რუსეთის ქალაქების პარტისის ბიუროებთან და მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და მასალების გაცვლით ისტორიული დოკუმენტების დიდი რაოდენობა მოაგროვა და სისტემაში მოიყვანა.

თავდაპირველად ჟურნალ „რევოლუციის მატიანეს" სარედაქციო კოლეგიაში ს. თალაკვაძე და ს. ჩიხლაძე შედიოდნენ. ამასთან ს. თალაკვაძე პარტისის მდივანი იყო. მალე ჟურნალის რედაქცია გადახალისებულ იქნა. ს. ჩიხლაძე ფ. მახარაძემ და მ. ცხაკაიამ შეცვალეს[108]. შემდეგში ჟურნალის რედაქცია არაერთხელ იქნა შეცვლილი. პირველ წლებში ჟურნალი 1500 ტირაჟით გამოდიოდა. პარტისი ფიქრობდა „რევოლუციის მატიანე" რუსულ ენაზეც გამოეცა, მაგრამ ამის განხორციელება არ მოხერხდა.

პარტისის მუშაობას პირველ წლებში ის ნაკლი ჰქონდა, რომ მასში არ იყვნენ ჩაბმული პროფესიონალი ისტორიკოსები. ამიტომ მუშაობის მთელი სიმძიმე პუბლიცისტ ბოლშევიკებსა და ისეთ პირებს დააწვათ, რომელთაც წერის დიდი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ გამოცდილება და სპეციალური განათლება აკლდათ. ჟურნალს არ ჰყავდა დახელოვნებული ჟურნალისტები. უმთავრესად მუშები მუშაობდნენ; ისინი ვერ ახერხებდნენ ნააზრევის ლიტერატურულად გაფორმებას[109].

---

107 რევოლუციის მატიანე, ისტორიული ჟურნალი, 1923, № 2, გვ. 3.

108 გაზ. „კომუნისტი", 1924 წ. 4 იანვარი.

109 იქვე.

მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში წერილბურჟუაზიული სტიქია თავის გავლენას, ასახვას იდეოლოგიურ სფეროშიც პოულობდა. ამიტომ იყო, რომ სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობა ყოველთვის სასურველ სახეს ვერ იღებდა. მუშაობაში წუნი ხშირი იყო. ამ მხრივ სხვა დაწესებულებებს არც პარტისი ჩამორჩებოდა. 30-იანი წლების დასაწყისში მრავალგზის მწვავედ, შეიძლება უფრო მეტადაც, ვიდრე იმსახურებდა, გაკრიტიკებულ იქნა პარტისის მუშაობა. მეცნიერული კრიტიკა საჭირო იყო. მაგრამ იმ დროს მხოლოდ კრიტიკას არ სჯერდებოდნენ. პარტისის მიმართ მიღებულ იქნა მკაცრი ორგანიზაციული ზომები. ჯერ პარტისის ხელმძღვანელობიდან თ. ყღენტი გაათავისუფლეს[110], ხოლო შემდეგ, 1932 წლის 14 აპრილს, პარტისის მუშაობის საკითხი განიხილა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და პარტისის მთელი მუშაობა სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

აღნიშნულ იქნა, რომ პარტისმა დაკისრებულ ამოცანას თავი ვერ გაართვა, ვერ დაწერა ნამდვილად მეცნიერული ისტორია. პარტისის მუშაობა, მისი შეცდომები საქ. კპ(ბ) ცკ-ის ადრინდელი ხელმძღვანელობის მუშაობას დაუკავშირეს და პარტისი პარტიის ისტორიის კვლევის დარგში დაშვებულ მენშევიკურ-ტროცკისტულ და ნაციონალ-უკლონისტურ შეცდომათა კერად გამოაცხადეს. მკაცრად იქნა გაკრიტიკებული თ. ყღენტის შრომები, „რევოლუციის მატიანეს" მთელი რიგი ნომრები. ასეთ მკაცრ ბრალდებას მკაცრი ორგანიზაციული ზომები მოჰყვა. პარტისი სტალინის ისტორიულ-სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტად გარდაქმნეს. ადრე, იმავე წლის 23 თებერვალს საქ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ სტალინის ინსტიტუტი შეექმნათ[111]. ორი თვის შემდეგ სტალინის ინატიტუტად პარტისი გარდაქმნეს. ცენტრალურმა კომიტეტმა სათანადო დადგენილებაში აღნიშნა, რომ რეორგანიზებული ინსტიტუტის საქმიანობა პარტიის ყოველდღიურ პოლიტიკას უნდა დაკავშირებოდა. ინსტიტუტს საარქივო მასალა უნდა შეეგროვებინა და რევოლუციური მუზეუმის ხელმძღვანელობა უნდა უზრუნველეყო[112].

პარტისის მიმართ საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება უკვე პარტიული მუშაობის სტილის შეცვლას მოწმობდა. უარყოფილ იქნა ყოველივე ის, რაც წლების მანძილზე გააკეთა პარტისმა საქართველოს რევოლუციური წარსულისა და პარტიის ისტო-

---

110 ...პარტარქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 4237, ფ. 24.

111 იქვე, ფ. 39.

112 იქვე, ფ. 155—156.

რიის შესწავლის საქმეში. სიმპტომატური იყო ისიც, რომ პარტიისის ინსტიტუტის რეორგანიზაცია მოხდა და, კერძოდ, ის, რომ ეს დაწესებულება სტალინის ინსტიტუტად გარდაქმნეს.

1932 წლის დეკემბერში საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ სტალინის ინსტიტუტის დებულება დაამტკიცა. სტალინის ინსტიტუტის განკარგულებაში გადავიდა პარტიული არქივის ისტორიულ-რევოლუციური განყოფილება და პარტისის არქივი, ინსტიტუტს დაექვემდებარა საქართველოს რევოლუციური მუზეუმი[113].

სტალინის ინსტიტუტს, გარდა სტალინის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლისა და სტალინის თხზულებათა გამოცემისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის საკვანძო პრობლემებისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის, ამიერკავკასიაში და საქართველოში სამოქალაქო ომის ისტორიის, ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შესწავლა დაევალა[114]. შემდეგში სტალინის ინსტიტუტი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს შეუერთდა.

საქართველოს რევოლუციური წარსულის შესწავლას ხელს უშლიდა ის, რომ არ ჰყავდათ პროფესიონალ ისტორიკოსთა კვალიფიციური კადრები. მარტო ისტორიის ფრონტი როდი განიცდიდა მაშინ კადრების უკმარისობას. ეს ნაკლი იდეოლოგიის მთელ ფრონტზე იგრძნობოდა. პარტიის წინაშე ამოცანად დადგა მარქსისტული მეთოდოლოგიით შეიარაღებული კადრების აღზრდა. საჭირო იყო შესაფერისი დაწესებულების შექმნა. მარქსიზმის და ლენინიზმის ინსტიტუტის გახსნის აუცილებლობა და მისი ამოცანები კარგად იყო ნაჩვენები კ. გორდელაძის წერილში „მარქსიზმის და ლენინიზმის ინსტიტუტის დაარსებისათვის საქართველოში"[115]. კ. გორდელაძე მაშინ პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი სელმძღვანელი იყო. ამ წერილში ის საქართველოში მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის გახსნის აუცილებლობას ასაბუთებდა. ცხოვრება მარქსისტ მეცნიერთა მრავალრიცხოვან კადრებს მოითხოვდა. ადრე ამ კადრებს საქართველოსათვის სსრ კავშირის ცენტრებში ამზადებდნენ. მაგრამ, მიუხედავად წითელი პროფესურის ინსტიტუტისა და კომუნისტური აკადემიის დიდი დახმარებისა, მაინც საჭირო გახდა ადგილზე ისეთი სამეცნიერო ცენტრის შექმნა, რომელიც ეროვნულ კადრებს მოამზადებდა. კ. გორდელაძის აზრით, მარქსიზმისა და ლენი-

---

113. პარტარქივი, ფ. 14, აღწ. 1, ს. 4259, ფ. 133.

114 იქვე, ფ. 148.

115 გაზ. „კომუნისტი", 1930, 19 ოქტომბერი.

ნიზმის ინსტიტუტის ზრუნვის საგანი არა მარტო საზოგადოებრივი მეცნიერებები იქნებოდნენ, არამედ ბუნებისმეტყველების დარგებიც. მარქსიზმის დღევანდელი ამოცანაა, — წერდა კ. გორდელაძე, — ისეთივე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვოს ბუნებისმეტყველებაში, რა მდგომარეობაც მას დღეს აქვს საზოგადოებრივ მეცნიერებაში. მისი აზრით, ინსტიტუტში ბუნებისმეტყველების შესწავლისათვის სათანადო განყოფილება უნდა შექმნილიყო, ხოლო კადრების უკეთ აღზრდისთვის ასპირანტურა უნდა გაეხსნათ. კ. გორდელაძე ვულგარულ მარქსისტულად უდგებოდა მეცნიერების განვითარების მრავალ საკითხს. მისი აზრით, მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის გახსნის შემდეგ საჭირო აღარ იქნებოდა მეცნიერებათა აკადემიის დაარსება, რადგან მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტი შეასრულებდა მის ფუნქციებს.

30-იანი წლების დასაწყისში დიდი ყურადღება ექცეოდა მეცნიერთა კადრების აღზრდას. მეცნიერთა კადრების აღზრდის ყველაზე კარგ ფორმად ასპირანტურა იქნა აღიარებული. ასპირანტურაში სასწავლებლად ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი იქნა მიზიდული. საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა მდგომარეობას, მათ მუშაობას ღრმად სწავლობდა და მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სისტემატურად ზრუნავდა.

მაღალ კვალიფიცირებულ მეცნიერთა კადრების აღზრდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანად იდგა პარტიის წინაშე[116]. უნდა აღეზარდათ მარქსისტული მეთოდოლოგიით შეიარაღებული მეცნიერები, იდეურად გამოწრთობილნი, კლასობრივად საიმედონი. ამიტომ იყო, რომ საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით ასპირანტურაში ჩარიცხულთა სიებს პარტიის ხელმძღვანელი ორგანო ამტკიცებდა[117]. ასპირანტურის ინსტიტუტი არსებობდა უნივერსიტეტში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, 1931 წლის იანვარში, მარქსიზმის და ლენინიზმის ინსტიტუტი შეიქმნა. ინსტიტუტის დირექტორად ფ. მახარაძე იქნა დამტკიცებული. საქართველოს სსრ კაკმა ინსტიტუტის წევრებად გამოჩენილი პარტიული მუშაკები და მეცნიერები — ნ. მარი, მ. ორახელაშვილი, მ. ცხაკაია, კ. ორაგველიძე, გ. დევდარიანი, თ. ყლენტი

---

116 ...პარტიული არქივი, ფ. 14, აღწ. 1, ს. 3902, ფ. 261.

117 იქვე.

და სხვები დაამტკიცა[118]. ფ. მახარაძემ, რომელიც მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტის საზეიმო გახსნაზე (1931 წლის 10 მარტი) მოხსენებით გამოვიდა, ინსტიტუტის წინაშე დასახა შემდეგი ამოცანები: მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს ხელი უნდა შეეწყო რევოლუციურ პრაქტიკასა და რევოლუციურ თეორიას შორის კავშირის განმტკიცებისათვის; სპეციალისტებისათვის აუცილებელი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი საფუძვლების შესწავლა, რათა მათ შეძლებოდათ დიალექტიკური მეთოდის გამოყენება მეცნიერულ კვლევა-ძიებაში. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს მშრომელ მასებში უნდა შეეტანა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა. ინსტიტუტის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა უნდა ყოფილიყო სასტიკი ბრძოლა ანტიმარქსისტულ, მენშევიკურ ან რეფორმისტულ ფილოსოფიასთან ყველა სფეროში, მეცნიერების ყველა დარგში; მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტს თავისი იდეური გავლენის ქვეშ უნდა დაეყენებინა საქართველოს მთელი იდეოლოგიური ფრონტი, ყველა სასწავლებელი, ყველა ინსტიტუტი და სამეცნიერო საზოგადოება, ყველა მეცნიერი და სპეციალისტი[119].

1932 წელს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ხელში თავმოყრილი იყო მეცნიერ მუშაკთა მომზადების საქმე. 26 ნოემბერს საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დაადგინა, რომ მეცნიერ მუშაკთა, პედაგოგებისა და პარტიულ მუშაკთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით, ისტორიაში, ფილოსოფიაში და ეკონომიკაში ასპირანტების მომზადება მთლიანად მარქსიზმ-ლენინიზმის ინატიტუტს დავალებოდა[120]. როგორც ჩანს, ვერ გაამართლა მიზანი ფართო პროფილის ინსტიტუტის შექმნამ და იმავე 1932 წელს უკვე ჩანს მისწრაფება იქითკენ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქმიანობა კადრების მომზადების მხრივ ფილოსოფიით, ეკონომიკითა და ისტორიით შემოიფარგლოს[121].

1932 წლის 8 დეკემბერს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ იმსჯელა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის პროფილის შესახებ. ამჯერად გადაწყდა, რომ პარტიული, პედაგოგიური და სამეცნიერო კადრებით უკეთ მომზადების მიზნით, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტისათვის რეორგანიზაცია ექნათ. შექმნილიყო მარქსიზმ-ლენინიზმის უმაღლესი ტიპის პარტიული სკოლა,

---

118 გაზ. „კომუნისტი", 1931 წელი, 6 იანვარი.

119 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, მარქსზმის და ლენინიზმის ინსტიტუტის ამოცანები, თბ., 1931, გვ. 42—43.

120 პარტარქივი, ფ. 14, ს. 4259, ფ. 102.

121 ი ქ ვ ე, ფ. 48.

სადაც კადრების მომზადება სამ დარგში — ეკონომიკაში, ისტორიაში და ფილოსოფიაში იწარმოებდა. ასევე, ამ სამ დარგში უნდა ეწარმოებინა ინსტიტუტს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

საქ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეუწონლად ჩათვალა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში ისეთი სამეცნიერო-კვლევითი სექციების შენარჩუნება, რომლებიც არ ემსახურებოდნენ კადრების აღზრდის საქმეს. ასეთი სექციები იყო პედაგოგიური, სამართლის, ენისა და მატერიალური კულტურის ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკა-მათემატიკის, ტექნიკის, გეოლოგიისა და მინერალოგიის. ეს სექციები სათანადო ინსტიტუტებს გადასცეს[122]. საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი რომ ჩვეულებრივი უმაღლესი ტიპის პარტიულ სკოლად კი არ გარდაქმნეს, არამედ მას ევალებოდა კვალიფიციური კადრების მომზადება და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, და ამ მხრივ ის წითელი პროფესურის ინსტიტუტს უტოლდებოდა, ეს სამდივნოს დადგენილებიდან ჩანს. საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნო თხოვნით მიმართავდა ხელმძღვანელ ორგანოებს, რომ საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი შეეტანათ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთა იმ რიცხვში, რომლებსაც სსრ კავშირის ცაკ-ი აფინანსებდა. ეს ინსტიტუტები კი იყო წითელი პროფესურის ინსტიტუტის ტიპის ინსტიტუტები[123].

რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლასა და ისტორიული ცოდნის პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოებამ შეასრულა. საქართველოს მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოება დაარსდა როგორც საკავშირო საზოგადოების განყოფილება და მისი მუშაობა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან მჭიდრო კავშირში უნდა წარმართულიყო. მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოების საორგანიზაციო ბიუროში შეყვანილ იქნენ თ. ჟღენტი, გ. ნათაძე, გ. დევდარიანი, მ. ტოროშელიძე, ფ. მახარაძე და სხვები.

1931 წლის 2 იანვარს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მარქსისტ-ისტორიკოსთა საქართველოს საზოგადოების წესდება დაამტკიცა და საზოგადოებას უპირველეს ამოცანად ყველა იმ მეცნიერ მუშაკისა და მასწავლებლის აღრიცხვა დაუსახა, რომლებიც მსოფლიო ისტორიას, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიას, საკ. კპ(ბ) ისტორიას, ლენინიზმს, საზოგადოებათმცოდნეობას, საქართვე-

---

122 ...პარტარქივი, ფ. 14, ს. 4259, ფ. 135.

123 იქვე.

ლოს ისტორიას ასწავლიდნენ და იკვლევდნენ. საზოგადოების წევრებად მხოლოდ იმათ იღებდნენ, ვინც თავის მეცნიერულ მუშაობაში და პედაგოგიურ მოღვაწეობაში მარქსიზმის პოზიციებზე იდგა[124].

მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოების დაარსებიდან რამდენიმე თვის შემდეგ — 1931 წლის 30 ნოემბერს, თბილისში მარქსისტ-ისტორიკოსთა საერთო საქალაქო კრება გაიმართა. კრებამ ფ. მახარაძისა და გ. ხაჭაპურიძის მოხსენებები მოისმინა. ფ. მახარაძემ კრებაზე აღნიშნა, რომ მარქსისტები ისტორიულ ფრონტს ჯერ კიდევ ვერ დაუფლებოდნენ[125]. საქართველოს ისტორიკოსთა მრავალ ნაკლთა შორის კვლავ მკვეთრად იქნა დაგმობილი ნაციონალისტურ-შოვინისტურად განწყობილი ისტორიკოსები და მათი ბატონობა ისტორიულ ფრონტზე. ვფიქრობთ, რომ მომხსენებლებმა მეტად მუქ ფერებში დახატეს ამ მხრივ არსებული ვითარება. ქართული ისტორიული ფრონტის ასეთი შეფასება ქართველ კომუნისტთა ერთი ჯგუფის მიერ ეროვნულ საკითხში ადრე დაშვებული შეცდომების გამოძახილი იყო.

მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოებამ ადგილებზე, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში საზოგადოების დამხმარე ჯგუფები შექმნა. საზოგადოებას მიზნად ჰქონდა დასახული სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივ-მასობრივი მუშაობა. მაგრამ საზოგადოების მუშაობაში არსებითი ნაკლი აღინიშნებოდა — მისი საქმიანობა არ იყო კონცენტრირებული, არ არსებობდა მტკიცე კავშირი თეორიასა და პრაქტიკას შორის და სხვ. საქართველოს მარქსისტ ისტორიკოსთა საზოგადოებამ თავი ვერ დაიზღვია იმ საერთო შეცდომებისაგან, რაც მაშინ საერთოდ ჰქონდა საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებას. ერთ-ერთი ასეთი შეცდომა იყო სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ბრიგადული სისტემების, სოციალისტური შეჯიბრების, დამკვრელობისა და სხვათა შემოღება. ე. ი. საწარმოოს მუშაობის მეთოდები პირდაპირ იქნა გადატანილი გონებრივი მუშაობის ფრონტზე. ცხადია, ასეთ ექსპერიმენტს არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოებამ ისტორიული მეცნიერების განვითარებაში გარკვეული როლი შეასრულა. შემდეგში მისი საქმიანობა ძალზე შეზღუდეს და 30-იანი წლების შუა ხანებისათვის ეს საზოგადოება თანდათან, შეუმჩნეველად ჩაკვდა.

საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლას, ისტორიული ცოდნის მასებში შეტანის საქმეს თავისი წვლი-

---

124 ...პარტარქივი, ფ .14, ს. 3902, ფ. 2—3.

125 გაზ. „კომუნისტი", 1931 წ. 5 დეკემბერი.

ლი შემატა ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებამ. 1927 წელს საქართველოში ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების დასაარსებლად დიდი მუშაობა გაჩაღდა. ასეთი საზოგადოებები უკვე არსებობდნენ მოსკოვში, ლენინგრადში და სხვაგან. საზოგადოების უმთავრესი ამოცანა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ფაქტობრივი მასალის დაგროვება და შესწავლა უნდა ყოფილიყო. ყველაფერი ეს კი ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის უნდა გამოეყენებინათ. ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებაში შესვლისათვის 18 წლის პარტიული სტაჟი იყო საჭირო[126]. 1928 წლის 1 იანვარს მთავრობის სასახლეში მოწვეულ იქნა ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების დამფუძნებელი კრება. ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რევოლუციური მოღვაწე და პარტიის ძველი წევრი მალაქია ტოროშელიძე[127]. 30-იანი წლების შუა ხანებში ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების საქმიანობა, მსგავსად მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოების საქმიანობისა, თანდათან შეზღუდეს. შემდეგ ეს საზოგადოება შეუმჩნეველად გაქრა.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების პირველ პერიოდში (1921—1936 წწ.) დიდი მუშაობა ჩატარდა იმისათვის, რომ ისტორიის კვლევას მისცემოდა გეგმიანი, მიზანდასახული სახე. ამის საწინდარი იყო მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და საზოგადოებების შექმნა, რისთვისაც საქართველოს საბჭოთა ორგანოებმა და კომპარტიის ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს.

3

1921 წელს, თებერვალში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ქართულ საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში და, კერძოდ, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის შესწავლის საქმეში ახალი ეტაპი დაიწყო. თუ ამის წინ — 1917—1921 წლებში ჩაისახა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მარქსისტული კონცეფცია, ახლა, 20-იან წლებში მიმდინარეობდა ამ კონცეფციის ჩამოყალიბება — 1917—1921 წწ.-ის საქართველოს ისტორიის მარქსისტული ისტორიოგრაფიის შექმნა.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფია კვალიფიცირებულ, პროფესიონალ ისტორიკოსთა მწვავე ნაკლებობას განიცდიდა და, ამიტომ, საბჭოთა ისტორიული

---

126 გაზ. „კომუნისტი", 1927 წ., 21 დეკემბერი.

127 იქვე, 1928, 3 იანვარი.

მეცნიერების განვითარების პირველ ეტაპზე მთელი სამუშაო არა-პროფესიონალებს, მარქსისტ-პუბლიცისტებს, რევოლუციურ მოღვაწეებს უნდა ეკისრათ. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე დღეებიდან ფ. მახარაძე და სხვა რევოლუციური მოღვაწეები პრესაში, ისტორიულ ჟურნალებში გამოდიოდნენ და ცდილობდნენ მარქსისტულად აეხსნათ 1917—1921 წწ. საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესები, საბჭოთა ხელისუფლების ასე დაგვიანებით გამარჯვების მიზეზები. ამ დროს საქართველოს მშრომელებს ბევრი საკითხი აწუხებდა, ბევრი გზააბნეული იყო; ძველთან კავშირი ვერ გაეწყვიტა, ახალ ცხოვრებას ვერ შეგუებოდა; ბევრს საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს მომავალი აფიქრებდა.

ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით, საინტერესოა ფ. მახარაძის გამოსვლა ნაძალადევის სახლში 1921 წლის 13 მარტს. მისი ეს გამოსვლა გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1921 წლის 16—17 მარტს. წერილის სათაურია „რისთვის შემოვიდა ჩვენში წითელი არმია“[128].

ამ წერილში ფ. მახარაძე იმდროინდელი ქართველი საზოგადოებისათვის მრავალ მტკივნეულ საკითხზე აძლევდა პასუხს. მენშევიკებმა მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში უცხოელი იმპერიალისტები და დენიკინელები დაიხმარეს. მშრომელი კლასების ინტერესების გამომხატველმა ბოლშევიკების პარტიამ წითელი ჯარი შემოიყვანა. „დიახ ჩვენი ნება-სურვილით მოვიდნენ საქართველოში წითელარმიელები. ჩვენ მოუძღოდით მათ. ნურავის ჰგონია, რომ ისინი თავისი ძალაუფლებით მოქმედებდნენ. ჩ ვ ე ნ რ ო მ ვ უ თ ხ რ ა თ ი ს ი ნ ი დ ღ ე ს ვ ე დ ა ტ ო ვ ე ბ ენ საქართველოს, მაგრამ მერწმუნეთ, რომ წითელარმიელები ჯერ კიდევ საჭირონი არიან ჩვენში“[129]. ფ. მახარაძე აქ შეეხო საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობას. საბჭოთა რუსეთმა პირველმა ცნო საქართველოს იურიდიული დამოუკიდებლობა, მაგრამ მენშევიკური საქართველო მაინც განაგრძობდა საბჭოთა რუსეთის მტრობას. აქვე გვხვდება ტერმინი „მენშევიკური საქართველო“, რომელიც შემდეგ თითქმის ყველა ნაშრომსა თუ წერილში იხმარებოდა. ეს ტერმინი არ იყო მართებული, სწორად არ ასახავდა 1917—1921 წწ. საქართველოს ვითარებას. ტერმინი „მენშევიკური საქართველო“ ქართველ ხალხსა და მენშევიკურ მთავრობას ერთმანეთთან აიგივებ-

---

128 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებათა კრებული, ტ. IV.
129 ი ქ ვ ე. გვ. 213.

და, იმ დროს, როცა საქართველოში სხვა აქტიურად მოქმედი ძალებიც იყო.

ფ. მახარაძე კვლავ დაუბრუნდა სამხრეთ ოსეთის აჯანყებას და ამბობდა, რომ ისეთი გაშმაგებული ბრძოლა, როგორსაც ქართველი მენშევიკები ეწეოდნენ ოსების წინააღმდეგ, დაუშვებელი იყო. აჯანყდნენ აგრეთვე ბორჩალოსა და ლორეს მაზრაში. დადგა დრო, როდესაც წითელ არმიას თავისი მისია უნდა შეესრულებინა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხებს, წითელი არმიის შემოსვლის საკითხებს შეეხო ფ. მახარაძე თავის წერილში „რისთვის გაიქცნენ" (გაზეთი „კომუნისტი", 1921 წლის 21 მარტი); „საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობა" (გაზეთი „კომუნისტი", 1921 წლის 8 ივლისი), ხოლო წერილში „საქართველოს ხალხის არამკითხე აპეკუნები" (გაზეთი „კომუნისტი", 1922 წლის 14 და 15 თებერვალი) იგი შეეხო საქართველოში უცხოელთა ინტერვენციის საკითხებს[130].

1923 წელს გამოვიდა სტატიების კრებული „ოქტომბრის რევოლუცია და საქართველო"[131]. ამ კრებულში დაიბეჭდა ფ. მახარაძის ორი წერილი — „მენშევიკების დამოკიდებულება თებერვლის და ოქტომბრის რევოლუციასთან" და „ოქტომბრის რევოლუცია და ქართველი სოციალ-გამყიდველები"[132].

1923 წლის მარტში გამოვიდა „რევოლუციის მატიანეს" პირველი ნომერი. ამ ნომერში სხვა მრავალ წერილთა შორის დაიბეჭდა წერილები 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიიდან. ჟურნალმა დაბეჭდა ქართველი რევოლუციონერების ბიოგრაფიები და ავტობიოგრაფიები, სადაც მოცემული იყო მასალა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიისათვის.

ჟურნალმა „რევოლუციის მატიანემ" ფ. მახარაძის წერილი „ახალი ოინბაზობა" (მენშევიკების „მუშების დელეგაციის" გამო) დაბეჭდა. ეს წერილი ფ. მახარაძემ 1920 წელს დაწერა, მაგრამ მისი გამოქვეყნება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხერხდა. ავტორი წერდა, რომ საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფამ „აუცილებელი გახადა რუსეთის და საქართველოს მუშათა კლასის ერთი მთლიანი ოჯახის ორ რაზმად გაყოფა". მაგრამ ეს დროებითი,

---

130 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებათა კრებული, ტ. IV. ყველა ეს საგაზეთო წერილი ისტორიულ აზრს ქმნიდა, რადგან შემდეგში თავმოყრილი იქნა ფ. მახარაძის თხზულებათა კრებულში, IV ტომში, რომელიც 1924 წელს გამოვიდა.

131 ოქტომბრის რევოლუცია და საქართველო, წერილების კრებული, ტფ. 1923.

132 ეს წერილი დაიბეჭდა აგრეთვე ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციაში" 1922, № 10.

შოვლენა იყო და გაერთიანების აუცილებლობას გრძნობდა ყველაო[133].

1923 წლის აპრილში ჟურნალ „რევოლუციის მატიანეს“ მეორე ნომერი გამოვიდა. ჟურნალში მოგონებები დაიბეჭდა. მათ შორის იყო ფ. მახარაძის მოგონება „კომპარტიის ისტორიისათვის ამიერკავკასიაში“[134]. ამ მოგონებებში იგი 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიასაც შეეხო და საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა. მაგალითად, ის წერდა, რომ 1917 წელს, თებერვალ-მარტის თვეებში, მენშევიკები მოკალათებულნი იყვნენ თბილ ადგილებში. მაგრამ ამ დროს ესერების პარტიაც ჩნდება. მათ თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკების წინააღმდეგ ჩუმი ბლოკი მოაწყვეს. ამ პერიოდში ბოლშევიკების ორგანიზაციები ძველი ორგანიზაციების ნამსხვრევებს წარმოადგენდა. ბოლშევიკების ნამდვილი ორგანიზაციები მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში იყო. სხვა ადგილებში მხოლოდ ბოლშევიკთა ჯგუფები არსებობდა. ის წერდა იმ გაერთიანებულ ორგანიზაციებზე, რომლებიც საქართველოში არსებობდა. რუსეთისაგან მოწყვეტილი ქართველი ბოლშევიკები გადაწყვეტილებებს თვითონ იღებდნენ. ყველამ ერთხმად დაადგინა, რომ „ჯერჯერობით შესულიყვნენ მენშევიკებთან ერთად საერთო ორგანიზაციაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გვეთქვა უარი ჩვენ შეხედულებებზე“. თბილისში ბოლშევიკებმა საკუთარი ბიურო, გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“, ფრაქციის კრებების გამართვის უფლება შეინარჩუნეს. ფაქტიურად თბილისში არავითარი გაერთიანებული ორგანიზაცია არ ყოფილაო — წერდა ფ. მახარაძე. აქ ფ. მახარაძე არ ლაპარაკობდა ქართველი ბოლშევიკების, მათი ხელმძღვანელების შეცდომებზე. ის მხოლოდ აღნიშნავდა ფაქტს — 1917 წლის 30 ნოემბერს მენშევიკებისათვის არსენალის ჩაბარების შესახებ. ჩვენ კი ვიცით, რა შეხედულების იყო ამ ფაქტზე ვ. ი. ლენინი. ეს იყო ქართველი ბოლშევიკების შეცდომის შედეგი.

ფ. მახარაძე თავის მოგონებებში პარტიული მუშაობის მრავალ მხარეს ეხებოდა. აქ ყურადღების ღირსია ერთი ამბავი — 1920 წლის გაზაფხულ-ზაფხულის ისტორია. ამ დროსო, — წერდა ფ. მახარაძე. — საქართველოსათვის მძიმე დღეები დადგაო. მენშევიკები სამი მხრიდან ალყაში აღმოჩნდნენ. მაგრამ უფრო კატასტროფული იყო მდგომარეობა თვით საქართველოში, ერთი მხრივ, გლეხების უკმაყოფილების გამო, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილი გართულებების გამო. „ამ დროს მენშევიკებს უშველა

133 რევოლუციის მატიანე, ისტორიული ჟურნალი, ტფ., 1923, № 1, მარტი.

134 იქვე, 1923, № 2, აპრილი.

ურუტაძემ, რომელმაც შესძლო გაუხმაურებლად წასულიყო მოსკოვში და საჩქაროდ დაედო ხელშეკრულება ამხ. ჩიჩერინთან. ეს მოხდა 1920 წლის 7 მაისს. ეს ხელშეკრულება სავალდებულო იყო როგორც მენშევიკებისათვის, ისე ჩვენთვისაც, როგორც რუსეთის კომპარტიის წევრებისათვის"[135].

ფ. მახარაძის ადრინდელ ნაშრომში ჩანდა, რომ ის აღფრთოვანებით არ შეხვდა საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას, რომელიც მასთან შეთანხმების გარეშე მოხდა. ის წინააღმდეგი იყო ასეთი ხელშეკრულებისა. ამ წერილში ჩანს, რომ ჩიჩერინიცა და ურუტაძეც „ვიღაცის" ჩუმად მოქმედებდნენ.

ჟურნალ „რევოლუციის მატიანეს" 1925 წლის ნომერში გამოქვეყნდა ფ. მახარაძის წერილი „ბოლშევიკების მუშაობა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს. პოლიტიკური მეძალობა"[136], 1923 წელს „რევოლუციის მატიანემ" „პარტიულ არქივში" დაბეჭდა ფ. მახარაძის წერილი „მუშების და გლეხების რევოლუციის უტყუარი ნიშნები საქართველოში"[137]. როგორც წერილიდან ჩანს ის 1919—1920 წლებშია დაწერილი. ავტორს იმ დროის საქართველოში სოციალისტური რევოლუციის საკითხი მომწიფებულად მიაჩნდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ხუთი წლისთავზე ჟურნალმა „რევოლუციის მატიანემ" გამოაქვეყნა გამოჩენილი ბოლშევიკის შ. ელიავას[138] წერილი „საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლისთავი"[139]. შ. ელიავა წერდა, რომ საქართველოს მენშევიკების პარტიაში 80000-მდე წევრი იყო და, რომ თვითმპყრობელობის დამხობისთანავე ეს პარტია ნაციონალისტურ პარტიად გადაიქცა. ავტორი იხილავდა საკითხს, თუ როგორ ეძებდნენ ქართველი მენშევიკები საზღვარგარეთ მფარველებს. აქ განსაკუთრებით ვრცლად (პირველად ასე ვრცლად) არის განხილული გერმანელი ინტერვენტების შემოსვლა საქართველოში, ქართველი მენშევიკების ორიენტაცია გერმანიაზე; შემდეგ გერმანიის შეცვლა ინგლისით. შ. ელიავა წერდა, რომ ქართველი მენშევიკები „როგორც თავიანთი ბატონობის დროს საქართველოში, ისე ემიგრანტობის გაჭირვებულ ხანაში, თავიანთი თავის ერთგულნი დარჩნენ და ნირი არ იცვალეს. ისინი მზად იყვნენ საქართველოს ფორმალური დამოუკიდებლობი-

---

135 რევოლუციის მატიანე, ისტორიული ჟურნალი, ტფ., 1923, № 1, მარტი, გვ. 66.

136 იქვე, 1925, № 1.

137 იქვე, 1923, № 4—5.

138 ლ. თოიძე, შალვა ელიავა (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1965.

139 რევოლუციის მატიანე, პარტიის ისტორიული ჟურნალი, 1926, № 1.

სათვის გაეცათ ყველა მისი ინტერესები და ეს მოსდებოდა არა მარტო იმით, რომ თავიანთ ევროპიულ მოკავშირეებს გადასცემდნენ საქართველოს ეკონომიური ცხოვრების კონტროლს, არამედ იმითაც, რომ საქართველო უნდა გაეხადათ დასაყრდენ სიმაგრედ, რათა უცხოელთა ხელში ჩაეგდოთ ბაქოს ნავთი და სატრანზიტო გზები, რომლებიც მათ წინა და შუა აზიის ბაზრების დაპყრობისაკენ წაიყვანდა"[140].

ავტორი — შ. ელიავა ერთ-ერთი პირველთაგანი განიხილავდა 1917—1921 წლების საქართველოს ეკონომიკას — ფინანსებს, სოფლის მეურნეობას, მრეწველობას. ამას იგი პრაქტიკული საჭიროებით აკეთებდა — ადარებდა მას საბჭოთა ხელისუფლების წარმატებებს. მაგრამ ეს მაინც ერთ-ერთი პირველი ცდა იყო, როცა ფაქტებით, ციფრებით იყო ნაჩვენები მენშევიკების ეკონომიკის დაცემა.

საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის შესწავლის ამ ეტაპზე (1921 — 1926 წწ.) და შემდეგაც, აქტიურად მოღვაწეობდა ძველი რევოლუციონერი რაჟდენ კალაძე.

რაჟდენ თომას ძე კალაძე 1871 წელს დაიბადა. პროფესიით ჟურნალისტი იყო. პარტიაში 1898 წელს შევიდა. სასულიერო სემინარიაში სწავლობდა; 1891 წელს ეგნატე ნინოშვილსა და მიხა ცხაკაიას გაეცნო. ისინი გახდნენ მისი პირველი მასწავლებლები. რ. კალაძე ახალგაზრდა ინტელიგენტ-სოციალისტების წრეში შევიდა, რომელსაც ეგ. ნინოშვილი და მ. ცხაკაია ხელმძღვანელობდნენ. შემდეგ ასეთ წრეებს თვითონ რ. კალაძე ხელმძღვანელობდა. რ. კალაძე 1893—1894 წწ. სტამბაში მუშაობდა. „მესამე დასში" მისი დაარსებიდანვე შედიოდა. 1898 წელს ის სოციალ-დემოკრატების პირველ საინიციატივო რევოლუციურ კომიტეტში შევიდა. ამ კომიტეტში იყვნენ სილიბისტრო ჯიბლაძე, ზაქრო ჩოდრიშვილი, არაქელა ოქუაშვილი და სხვები. 1898 წელს რ. კალაძე, ლ. კეცხოველის მეშვეობით, ი. სტალინს გაეცნო. რ. კალაძე ამ დროს თბილისის ობსერვატორიაში მეთვალყურედ მუშაობდა. აქვე მოწყო სამუშაოდ ი. სტალინი. 1900 წ. ლ. კეცხოველთან ერთად რ. კალაძემ თბილისის ტრამვაის მუშათა პირველი პოლიტიკური გაფიცვა მოაწყო. გაფიცვის შემდეგ ბაქოში წავიდა და იმავე წელს ბალახანის ნავთის სარეწებზე, შემდეგ მექანიკურ სახელოსნოში მუშაობდა. 1901 წლიდან რ. კალაძე სოციალ-დემოკრატიულ პრესაში თანამშრომლობდა, როგორც მთარგმნელი. შემდეგ ქუთაისის ციხეში იჯდა. იქ მძიმედ დაავადდა და ამის გამო აქტიურად ვეღარ მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. 1905 წელს რ. კალაძე სამტრედიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა. 1907 წლიდან რ. კალაძე სოციალ-დემოკრატიულ ლეგალურ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობდა და 1917 წლამდე მუშათა წრეებში პროპაგანდას ეწეოდა.

1915 წელს რევოლუციური საქმიანობისათვის დააპატიმრეს და გადაასახლეს.

---

140 რევოლუციის მატიანე, პარტიის ისტორიული ჟურნალი, 1926, № 1, გვ. 7.

1917—1918 წწ. რ. კალაძე ეურ. „პირველ ნაბიჯს“ რედაქტორობდა და თან ბოლშევიკურ გაზეთ „ბრძოლაში“ თანამშრომლობდა. 1919 წ. რ. კალაძე გენერალ ბარათოვზე ტერორისტული აქტის ორგანიზატორებთან ახლო კავშირისათვის შენაშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა. 1920 წ., ივნისში, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით ციხიდან გაათავისუფლეს იგი. 1921 წელს რ. კალაძე მენშევიკებმა კვლავ დააპატიმრეს. ციხიდან მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გამოვიდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჯერ განაგებდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ს საგამომცემლო განყოფილებას (1921 წ.), შემდეგ მუშაობდა იმავე განყოფილებაში და საქართველოს სსრ განათლების სახკომატში კოლეგიის წევრად (1922—1925 წწ.). 1922 წ. საქართველოს კპ ცკ-მა პარტიის საორგანიზაციო კომისიის წევრად დაამტკიცა. 1925 წელს საქ. კპ ცკ-მა რ. კალაძე რევოლუციური მუზეუმის განყოფილების გამგედ დანიშნა და თან ცენტრარქივში მუშაობდა. 1926 წელს ის პარტიის საბჭოს წევრად შეიყვანეს. 1927 წელს ცენტრარქივიდან გაათავისუფლეს და განათლების სახალხო კომისარიატში გაგზავნეს სამეცნიერო საბჭოს წევრად. 1927—1928 წელს რ. კალაძემ „83“ პლათფორმას მოაწერა ხელი. 1921 წლიდან მას ქართველ უკლონისტთა ჯგუფის მიმხრობილად აცხადებდნენ და ბრალად სდებდნენ ნაციონალისტურ გადახრას. 1923 წელს რ. კალაძე პროლეტარული მწერლობის გაზეთის „ქარხნის ჰანგებში“ მონაწილეობისათვის პროლეტკულტიდან მოხსნეს, ხოლო 1927 წელს ოპოზიციაში მონაწილეობისათვის საქართველოს კომპარტიის V ყრილობამ პარტიიდან გარიცხა. რ. კალაძე გარდაიცვალა 1937 წელს[141]. რ. კალაძე აქტიურად მონაწილეობდა, როგორც პარტისა, ისე საქართველოს არქივების მშენებლობაში. მან ბევრი გააკეთა საქართველოს რევოლუციური მოძრაობის შესწავლისათვის.

1925 წელს რ. კალაძემ გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდა წერილების სერია სათაურით „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის (კრიტიკული შენიშვნები ამხ. ფ. მახარაძის და ს. თალაკვაძის საისტორიო ნაწერების შესახებ)“[142].

ამ წერილში, რომელიც საკმაოდ დიდი მოცულობისაა, გადმოცემული იყო რ. კალაძის შეხედულება საერთოდ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა სწავლობდნენ საქართველოს რევოლუციურ წარსულსა და პირველ რიგში პარტიის ისტორიას. რ. კალაძის აზრით, გარკვეულ უნდა იქნეს ის თავისებურება, რაც საქართველოს კომპარტიის ისტორიას, ქართველი ხალხის რევოლუციურ მოძრაობას აქვს. ავტორის აზრით, საქართველოს თავისი ნიშანდობლივი თავისებურება აქვს და ამიტომ მისი ისტორიაც თავისებურია. ცალკე ერის კომპარტიის ისტორია ამ თავისებურებების ახსნაა. საქართველოს კომპარტიის ისტორია რუსეთის კომპარტიის ისტორიისაგან განსხვავდე-

---

141 პარტარქივი, ფ. 8, ს. 8.

142 გაზ. „კომუნისტი“, 1925, 14, 15, 17 და 18 ნოემბერი.

ბა და ისტორიკოსმა ეს განსხვავება უნდა დაინახოს. რ. კალაძე ფ. მახარაძეს საყვედურობდა იმას, რომ ის ვერ ხედავდა საქართველოს ეროვნულ მოძრაობას. რუსეთში ასეთი მოძრაობა არ ყოფილა. საქართველოში ეს მოძრაობა მნიშვნელოვანი იყო და ისტორიკოსებმა ამას ყურადღება უნდა მიაქციონ. ამ შეცდომასთან მჭიდრო კავშირშია ისიც, რომ ფ. მახარაძე უგულებელყოფდა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობის წანამძღვრებს. ფ. მახარაძე უარყოფდა ყველა იმ მოძრაობას, რაც მანამდე არსებობდა და, ცხადია, უარს ამბობდა მათ მემკვიდრეობაზე. რ. კალაძის აზრით, ამ მოძრაობათა უგულებელყოფის გამო, ფ. მახარაძეს აუხსნელი დარჩა, თუ რატომ მოხდა საქართველოში პოლიტიკური ან კლასობრივი თვითშეგნების შედარებით სწრაფი გაღვივება.

რ. კალაძე ეკამათებოდა ფ. მახარაძეს ჩვენში მუშათა თვითშეგნების განვითარების საკითხებზე და საყვედურობდა, რომ იგი ვერ ხედავდა ქართველი მუშის ორმაგ უღელს. თვითმპყრობელობის პირობებში ის (მუშა) განიცდიდა ორმაგ ჩაგვრას — როგორც მუშა და როგორც დაპყრობილი ქვეყნის შვილი.

რ. კალაძე უარყოფდა ს. თალაკვაძის იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში რევოლუციური მოძრაობის დასაწყისსა და პარტიების წარმოშობას ისეთივე ისტორიული წარსული აქვს, როგორც მათ რუსეთში ჰქონდათ. ის აკრიტიკებდა ს. თალაკვაძის მოსაზრებას, რომ რაკი საქართველომ თავისი ბედი რუსეთს დაუკავშირა, ამიტომ საქართველოს რევოლუციური მოძრაობის პროცესი და რევოლუციური პარტიების წარმოშობის ხასიათიც ისეთივეა, როგორც რუსეთში. რ. კალაძე აღნიშნავდა, რომ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წარმოშობის ერთი მთავარი მომენტთაგანი ეროვნული მოძრაობა იყო, რაც რუსეთის ისტორიაში ადგილი არ ჰქონია. რ. კალაძე ფიქრობდა, რომ რუსეთში და საქართველოში რევოლუციური მოძრაობა ანტიმონარქისტული იყო, მაგრამ მათი რევოლუციური პარტიების წარმოშობილობა და წარსული ურთიერთისგან განსხვავდებოდა; ასევე განსხვავდებოდა მათი მიზნებიც.

რ. კალაძე წერდა, რომ სოციალისტ-ფედერალისტებს მიზნად საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა ჰქონდათ დასახული. სოციალისტ-ფედერალისტების პარტია წვრილბურჟუაზიული პარტია იყო. მისი ეროვნული პროგრამა — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ფედერაცია — დღეს განხორციელებულია. საქართველოს სხვა პარტია — სოციალ-დემოკრატიული პარტია, ასევე, რევოლუციური, ანტიმონარქისტული პარტია იყო, მაგრამ ის

მიზნად საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას თითქოსდა არ ისახავდა. ქართველი მენშევიკების მიზანი რუსეთის ხალხთან ერთად რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობა და „სრულიად რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის" დაარსება იყო.

რ. კალაძე წერდა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ გამოააშკარავა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიზანი. ამ პარტიას სურდა არა მარტო რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის, არამედ მასთან ერთად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებაც ე. ი. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

რ. კალაძე განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა ეროვნულ საკითხს, მის წონას საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეროვნული საკითხი ისეთი სერიოზული რამ იყო, რომ მან მენშევიკების ნაციონალისტებად გარდაქმნაც კი შეძლოო — წერდა ის. ისტორიკოსებმა ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა ახსნან. ბოლშევიკები იმთავითვე დიდ ყურადღებას მიაქცევდნენ ეროვნულ საკითხს, ქართველი ავტორები კი მას გვერდს უვლიდნენ და ამ საკითხისადმი უყურადღებობას რ. კალაძე, ფ. მახარაძისა და ს. თალაკვაძის ნაშრომების ნაკლად თვლიდა.

საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული რ. კალაძეს საქართველოს ისტორიის. სხვა, უფრო კონკრეტულ საკითხებზე. ილია ჭავჭავაძეზე, საქართველოში ნაროდნიკულ მოძრაობაზე, სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებაზე და სხვ. მთავარი მაინც ის არის, რომ რ. კალაძე ისტორიკოსებისაგან მოითხოვდა ისტორიის წერისას ქართული თავისებურების გარჩევას და, აქედან გამომდინარე, საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების ახსნას; ქართული ეროვნული საკითხისათვის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ისტორიაში თავისი ადგილის მიჩენას. ასეთი ისტორიული კონცეფციის წამოყენება მაშინდელ ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. რ. კალაძე თითქმის ერთადერთი მარქსისტი პუბლიცისტი იყო, ვინც მაშინ ამ საკითხზე წერდა.

პარტისის ისტორიულ ჟურნალში „რევოლუციის მატიანეში" გამოქვეყნდა რ. კალაძის წერილების სერია „მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთების ისტორია". ის წერილი, რომელიც შეეხებოდა 1917—1921 წლებში ქართული ჟურნალ-გაზეთების ისტორიას, დაიბეჭდა 1924 წლის პირველ ნომერში სათაურით „დემოკრატიული (მენშევიკური) რესპუბლიკა და მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთების მდგომარეობა 1918—1920 წწ."[143].

143 რევოლუციის მატიანე, ისტორიული ჟურნალი, 1924, № 1.

რ. კალაძე 1918 წლის 26 მაისის აქტს — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს — ორი კუთხით აფასებდა. ის ამ მოვლენაში ერთდროულად პროგრესულს და რეაქციულს, კონტრრევოლუციურს ხედავდა. ამ აქტით, ერთი მხრით, მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ისტორიული უფლების აღდგენა, ხოლო მეორე მხრით, ამ აქტით საქართველოს მუშათა კლასი პროლეტარულ რევოლუციას ჩამოშორდა. ამ აქტით საქართველოში გაბატონდა ბურჟუაზია, — კლასი, რომელიც ამ დროს რუსეთიდან თაქუზმოვლეჯილი გარბოდა.

საკითხისადმი რ. კალაძის ასეთი მიდგომა სწორია. მაგრამ რ. კალაძე ამ ფაქტს — ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას, არ უკავშირებდა ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად იყო შესაძლებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. სამწუხაროდ, ისტორიულ ლიტერატურაში ამ მოსაზრებამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

რ. კალაძე საკითხს აყენებდა არა ისე, რომ კლასებს შორის ბრძოლა გაიშალა საქართველოს შიგნით, არამედ, პირიქით, ბრძოლა გაიშალა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. იგი წერდა, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკური მთავრობა რუსეთის თვითმპყრობელობისა და მისი ბიუროკრატიის მიერ საქართველოში მიტაცებულ ავლა-დიდებას დაეპატრონა“[144].

ამნაირად. — წერდა რ. კალაძე, რუსეთის დიდი რევოლუციის პროცესში ; ბურჟუაზია — პროლეტარიატს, კონტრრევოლუცია — რევოლუციას, ერთი მხრით, რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ხოლო მეორე მხრით, საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკა“ ერთი მეორეს დაუპირისპირდა. ახლა ორი მოპირდაპირე მოსისხლე კლასი და მისი ხელმძღვანელი პარტია ორი სხვადასხვა სახელმწიფოს სახით ერთი მეორეს დაემუქრა. ან რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა, ან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მათი ერთი-მეორის გვერდით, მეზობლად არსებობა შეუძლებელი გახდა.

აქედან გაჩაღდა ბრძოლა, მაგრამ რადგან „დემოკრატიული რესპუბლიკა“ თავს მეტად მცირედ და სუსტად გრძნობდა რუსეთთან შედარებით, ამიტომ მას „პარტიზანული ომი“ უნდა ეწარმოებინა და ფარულად, „ჩასაფრებით“ და სხვა ფანდებით ემოქმედნა. ასედაც იქცეოდა იგი: ხან დენიკინს უმეგობრდებოდა, ხან კიდევ

---

144 რევოლუციის მატიანე, ისტორიული ჟურნალი, 1924, № 1, გვ. 79.

გენერალ ალექსეევს უკავშირდებოდა. შინ კომუნისტების წინააღმდეგ რეპრესიებს მიმართავდა, რომ კომუნისტების პროპაგანდას ქართველი მუშების ყურამდე არ მიეღწია.

ამ სახით მენშევიზმსა და ბოლშევიზმს შორის ბრძოლამ ახალი ფორმა მიიღო. ახლა მენშევიზმის გამტარებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო, ხოლო ბოლშევიზმის ანუ კომუნიზმისა — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. გაიმართა ამ ორ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ბრძოლა, რაც ამავე დროს კლასობრივ ბრძოლას მოასწავებდა, და, ცხადია, ამ ბრძოლაში ის გაიმარჯვებდა, რომლის მხარეზეც ორივე მებრძოლი სახელმწიფოს მუშათა კლასი დადგებოდა[145]. ასე წერდა 1924 წელს რ. კალაძე, ასე ესმოდა მას კლასთა დაჯგუფება, კლასთა ბრძოლა.

რ. კალაძე წერდა აგრეთვე ბოლშევიკების მუშაობაზე საქართველოში და ამბობდა, რომ „საქართველოს კომუნისტები საკუთარი ძალით ამ პერიოდში ისეთს არაფერს აწყობდნენ, რომ მკვდარ წერტილს გაშორებოდნენ და მუშათა მასაში შეჭრილიყვნენ, რომ საქართველოს მუშათა მასა აემოძრავებინათ და ამ მოძრაობას დაყრდნობოდნენ“.

რ. კალაძე ბევრს წერდა ქართული ბოლშევიკური პრესის შესახებ. ის აღნიშნავდა, რომ გაზეთი „ბრძოლა“ აღდგა არა საქართველოს მუშების საკუთარი გავლენითა და ენერგიით, არამედ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ძალით.

1927 წელს „რევოლუციის მატიანეში“ გამოქვეყნდა რ. კალაძის წერილი „რატომ დაიგვიანა საქართველოში ოქტომბერმა“[146]. ავტორის ისტორიული კონცეფცია იგივეა, მაგრამ სხვა წერილებისაგან განსხვავებით, აქ დამოწმებულია ისტორიული დოკუმენტები, პრესა; ავტორი არ იყო დაუფლებული წყაროებისადმი კრიტიკულ მიდგომას. ეს ავტორის, პუბლიცისტისა და მკვლევრის ბრალი არ იყო. მარქსისტული ისტორიული მეცნიერება მაშინ იდგამდა ფეხს და ისტორიკოსის პროფესიონალური ჩვევები შეთვისებული ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. რ. კალაძის წერის მანერისათვის დამახასიათებელი იყო საკითხების ახსნისას ღრმა ისტორიული ექსკურსები. მოვლენის, ფაქტის ღრმა ფესვების ძებნა; ის ისტორიის განვითარების ერთიან პროცესს გრძნობდა და, ამიტომ, ისტორიულ მოვლენებს სხვა, უფრო ადრინდელ, მოლენებთან კავშირში განიხილავდა.

---

145 რევოლუციის მატიანე, ისტორიული ჟურნალი, 1924, № 1, გვ. 80.

146 იგივე ჟურნალი, 1927, № 2.

1924 წლის აგვისტოში გამოვიდა ს. გოდაბრელიძის ნაშრომი „მუშათა საკითხი მენშევიკების და საბჭოთა ხელისუფლების დროს“[147].

სიმონ ასლანის ძე გოდაბრელიძე დაიბადა 1897 წელს. კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1919 წლიდან. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც 1913—1915 წლებში იატაკქვეშა წრეების მუშაობაში მონაწილეობდა. ს. გოდაბრელიძის აქტიური მონაწილეობით გამოდიოდა ლითოგრაფიული წესით დაბეჭდილი გაზეთი „იდეალი“. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1916 წელს, საქველმოქმედო სპექტაკლით შეგროვილი ფულით ტომსკში გაემგზავრა ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სასწავლებლად. აქ ს. გოდაბრელიძე ჯარში გაიწვიეს და მოსკოვის ერთ-ერთ სამხედრო სკოლაში ჩარიცხეს.

თებერვლის რევოლუციის დროს ს. გოდაბრელიძე ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობდა. იმავე 1917 წელს ის ფრონტზე გაგზავნეს. 1918 წელს საქართველოში დაბრუნდა, ჯერ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მუშაობდა, შემდეგ თბილისში ჩამოვიდა და სწავლა განაგრძო. პარალელურად თბილისის გუბერნიის შრომის კომისართან საქმის მწარმოებლად მუშაობდა. მენშევიკურმა ხელისუფლებამ ს. გოდაბრელიძე დააპატიმრა, შემდეგ ციხიდან გამოუშვა და ჯარში გაიწვია.

1920 წლის შემოდგომაზე ს. გოდაბრელიძე დემობილიზებულ იქნა არმიიდან და კვლავ თბილისში ბოლშევიკურ ორგანიზაციაში მუშაობდა, ამასთან შრომის სამინისტროში საქმის მწარმოებელი იყო. 1920 წ. მიწურულს ის კვლავ დააპატიმრეს, ციხიდან საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გამოვიდა.

1921—1924 წწ. ს. გოდაბრელიძე შრომის სახალხო კომისარიატში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 1925 წელს ამ კომისარიატის კოლეგიის წევრი და ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მეცნიერი მუშაკი იყო. 1928—1930 წწ. მას მთელი რიგი პოსტები ეკავა სამეურნეო ორგანოებში. ამასთან იყო ჟურნალ „აგიტატორის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. შემდეგ წლებში ის მუშაობდა ჟურნალების „საქართველოს სოციალისტური მეურნეობის“, „ეკონომისტის“, „საქართველოს ეკონომისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად, იყო საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ძძიმე მრეწველობის სახკომატის რწმუნებული საქართველოში, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ტექნიკური გაზეთის რედაქტორი, საქართველოს სსრ მეორე ხუთწლედის გეგმის შემდგენი კომისიის წევრი და სხვ.

1935 წლიდან ს. გოდაბრელიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო და ამასთან საქართველოს საწარმოო ძალების შემსწავლელ სექციას ხელმძღვანელობდა. ეს სექცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ფილიალთან არსებობდა.

ს. გოდაბრელიძე 1937 წელს გარდაიცვალა[148].

ს. გოდაბრელიძე მენშევიკების შრომის სამინისტროში მუშაობისას, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ შრომის

---

147 ს. გ ო დ ა ბ რ ე ლ ი ძ ე, მუშათა საკითხი მენშევიკების და საბჭოთა ხელისუფლების დროს, თბ., 1924.

148 პარტარქივი, ფ. 12798, ს. 667, ფ. 170—174.

სახალსო კომისარიატში პასუხისმგებელ პოსტებზე ყოფნის დროს, კარგად გაეცნო შრომის საკითხებს, საქართველოს მუშათა კლასის მდგომარეობას და ამ საკითხს მცირე ფორმატის, მაგრამ მეტად საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა. ს. გოდაბრელიძის წიგნი „მუშათა საკითხი მენშევიკების და საბჭოთა ხელისუფლების დროს", პირველი სპეციალური მარქსისტული ნაშრომია, რომელიც 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიაში მუშათა საკითხს ეხება. ნაშრომი მრავალ საინტერესო საკითხს მოიცავს. ავტორის მიზანი იყო ისეთი ნაშრომის შექმნა, რომელიც მუშათა ფართო წრეებს მენშევიკების მუშათა პოლიტიკის ნამდვილ არსს დაანახვებდა. ავტორი შედარებით მეთოდს მიმართავდა და მენშევიკების პოლიტიკას მუშათა საკითხში საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას ადარებდა. ამ შედარებისას საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის უპირატესობა ჩანდა. ს. გოდაბრელიძე ნაშრომში ასაბუთებდა, რომ მენშევიკებს ამ დარგში 1920 წლამდე არაფერი გაუკეთებიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1917 წელს გამოცემულ დეკრეტს 8 საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ, დადგენილებას მუშა-მოსამსახურეთა მიღებადათხოვნის შესახებ და კონფლიქტების გარჩევის ახალ წესს. დანარჩენში მენშევიკები მეფისდროინდელ კანონებს ემყარებოდნენ. ს. გოდაბრელიძე ნაშრომში იხილავდა მენშევიკების მიერ 1920 წელს გამოცემულ შრომის ხელშეკრულების კანონს, რომელიც ეხებოდა შრომის ურთიერთობის მცირე ნაწილს და არ ვრცელდებოდა ყველა დაქირავებულზე გამოუკლებლივ.

ნაშრომში ავტორი ასაბუთებდა, რომ მენშევიკების მუშათა კანონის ერთ-ერთი პუნქტი, სადაც ნათქვამი იყო, რომ „თუ დაქირავებული ძალმომრეობას იხმარს ან ძალმომრეობით დაემუქრება დამქირავებელს"[149], მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლიან ასეთი მუშა დაითხოვოს, ეს რევოლუციურად განწყობილ მუშებს ეხებოდაო. ამგვარად. მენშევიკების შრომის კანონი შრომაზე უფლებას ართმევდა რევოლუციურად განწყობილ მუშებს. ამასთან ერთად დამქირავებელს უფლება ეძლეოდა დაეთხოვა მუშა იმ შემთხვევაშიც, თუ ის დამქირავებლის ნდობას ბოროტად გამოიყენებდა. ასეთი მაგალითებით ს. გოდაბრელიძე დაასკვნიდა, რომ მენშევიკების შრომის კანონმდებლობის ეს მუხლები ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა და მის ხელუსლებლობაზე ზრუნავდა. „ვერ ნახავთ მათი შრომის კანონმდებლობის ვერც ერთ ნაწილს, რომ ეს ტენდენცია არ გამოსჭეიოდეს ან ფარულად, ან ცხადად".

149 ს. გ ო დ ა ბ რ ე ლ ი ძ ე მუშათა საკითხი მენშევიკების და საბჭოთა ხელისუფლების დროს, თბ., 1924, გვ. 9.

ავტორი პროფკავშირებს მენშევიკების შრომის კანონების თვალსაზრისით იხილავდა და წერდა, რომ მენშევიკების დროს არ ყოფილა დაკანონებული პროფკავშირების არსებობა. აქვე განხილული იყო შრომის ხელფასის საკითხი და ნაჩვენები იყო, რომ კოლექტიური ხელშეკრულების დადება აკრძალული იყო სახელმწიფო წარმოებადაწესებულებებში; რომ მენშევიკების დროს არ არსებობდა შრომის ხელფასის მინიმუმი; რომ მენშევიკების შრომის კანონმდებლობა სრულიად არ იცავდა წვრილ წარმოებაში მომუშავე მუშებს და მათ დამქირავებლების კლანჭებში აგდებდა. ავტორი წერდა. რომ სამუშაო ხელფასის საკითხში მენშევიკებმა კრახი განიცადეს. ს. გოდაბრელიძე სატარიფო პალატის არსის ახსნას იძლეოდა. სატარიფო პალატა 1919 წლის აგვისტოში გაიხსნა. მისი მიზანი შრომის ხელფასის საკითხის მოგვარება იყო. იგი წარმოადგენდა პარიტეტულ კომიტეტს, სადაც შედიოდნენ პროფკავშირების საბჭოსა და, მეორე მხრივ, მწარმოებელთა წარმომადგენლების თანასწორი რიცხვი. ავტორი ასაბუთებდა, რომ სატარიფო პალატამ სიძვირის ზრდას ვერ უშველა და შემდეგში იგი ცდილობდა მუშათა ეკონომიური მოძრაობა ჩაეკლა. სატარიფო პალატის დაარსების შემდეგ პროფკავშირებს კოლექტიური ხელშეკრულების დადების უფლება წაერთვა, ავტორი ნაშრომში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა მუშათა სოციალური დაზღვევის საკითხებს. მენშევიკებმა მეფის დროინდელი დაზღვევის კანონი ძალაში დატოვეს და საქართველოში დაზღვევა ყველა მუშა-მოსამსახურეზე არ ვრცელდებოდა. ამასთან ერთად დაზღვევა იყო მხოლოდ ორი სახის — ავადმყოფობისა და დასაბიჩრების შემთხვევაში. ს. გოდაბრელიძე მენშევიკების დროინდელ სოციალურ დაზღვევას ადარებდა საბჭოთა დაზღვევას და დაასკვნიდა, რომ „საბჭოთა სოციალური დაზღვევა სრულიად და ყოველმხრივად უზრუნველყოფს მომუშავეს და მის ოჯახს ავადმყოფობისა და სხვადასხვა უბედური შემთხვევების დროს“[150].

ავტორი მენშევიკების პოლიტიკას მუშათა საკითხში ადარებდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას და ამით წარმოადგენდა ე. წ. „მუშათა პარტიის“ — მენშევიკების ანტიმუშურ პოლიტიკას. ს. გოდაბრელიძე ნაშრომში განიხილავდა მომრიგებელ კამერებს, რომლებიც არჩევდნენ კონფლიქტებს დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის (წერდა, რომ „საერთოდ დაქირავებულ შრომაზე აღმოცენებული კონფლიქტების გარჩევის საქმეში დიდი გაუგებრობა სუფევდა მენშევიკების ხელისუფლების დროს“) და უმუშევრო-

150 ს. გ ო დ ა ბ რ ე ლ ი ძ ე, მუშათა საკითხი მენშევიკების და საბჭოთა ხელისუფლების დროს, თბ., 1924, გვ. 26.

ბის საკითხსაც (წერდა, რომ მენშევიკებს წესად არ ჰქონდათ „მუშა-შევართა დაზღვევა). ფაქტიური მასალის გაანალიზების შედეგად ს. გოდაბრელიძე ფიქრობდა, რომ მენშევიკების შრომის კანონმდებლობა ყოველმხრივ ზრუნავდა ბურჟუაზიულ კლასის ხელუხლებლობაზე, „იცავდა მათ ინტერესებს და ამავე დროს ბღალავდა მუშების ინტერესებს. პრაქტიკაში შრომის მოწესრიგების საკითხები ყოველთვის იჭრებოდნენ ბურჟუაზიული კლასის დაცვის თვალსაზრისით. მომუშავეს აიძულებდნენ მორიგეობით და შეთანხმებით დაეთმო დამქირავებლისათვის ისიც, რაც მას არსებული შეკვეცილი შრომის კანონმდებლობით უდაოდ ერგებოდა. მენშევიკების ხელისუფლების დროს გამეფებული იყო დამქირავებლის განუსაზღვრელი თვითნებობა შრომის საკითხების გადაჭრაში“[151].

ს. გოდაბრელიძის ეს ნაშრომი 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მუშათა კლასის საკითხი აქ შედარებით ღრმად იყო გაშუქებული; ავტორი ფაქტიურ მასალას კარგად ფლობდა. ნაშრომს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა მუშათა გათვითცნობიერებაში, რისთვისაც ნაშრომის წერისას შედარებითი მეთოდი იყო შერჩეული. ასეთი ხასიათის ნაშრომები საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე, საერთოდ, ცოტა იწერებოდა.

ამავე ხანებში გამოვიდა თ. ღლონტის ორი ნაშრომი „მენშევიკური და საბჭოთა საქართველო“[152] და „ეროვნული საკითხი და საქართველოს ფინანსები“[153].

თევდორე (თედო) ზურაბის ძე ღლონტი დაიბადა 1888 წელს ლანჩხუთში; ლანჩხუთის ორწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ფოთის საქალაქო სასწავლებელში განაგრძო. 1903—1904 წლებში თედო ღლონტი ბათუმის გიმნაზიაში ექსტერნის წესით სწავლობდა. ის აქვე გაეცნო მარქსისტულ ლიტერატურას. 1905—1907 წლებში თედო ღლონტი რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობდა და მენშევიკურ პრესაში თანამშრომლობდა. რევოლუციის დამარცხების შემდეგ პეტერბურგის უმაღლეს კომერციულ კურსებზე სწავლობდა. 1912—1913 წლებში. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ბაქოში მუშაობდა; ბაქოდან ქართულ გაზეთებში თანამშრომლობდა. რეაქციის ხანაში თედო ღლონტი ეროვნულ საკითხში დასცილდა სოციალ-დემოკრატებს და სოციალისტ-ფედერალისტი გახდა. 1912—1923 წლებში ის სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო. 1919 წელს თედო ღლონტი თბილისში ჩამოვიდა და გაზეთ „სახალხო ფურცლის“ თანარედაქტორი იყო (1921 წლამდე). 1915—1916 წწ. სოციალისტ-ფედერალისტების ხელმძღვანელობაში იქნა არჩეული და პარტიის მემარცხენე

151 ს. გ ო დ ა ბ რ ე ლ ი ძ ე, მუშათა საკითხი მენშევიკების და საბჭოთა ხელისუფლების დროს, თბ., 1924, გვ. 40.

152 თ. ღ ლ ო ნ ტ ი, მენშევიკური და საბჭოთა საქართველო, ტფ., 1923.

153 თ. ღ ლ ო ნ ტ ი, ეროვნული საკითხი და საქართველოს ფინანსები, ტფ., 1926.

ფრთას ჩაუდგა სათავეში. რევოლუციური მოღვაწეობისათვის არაერთხელ იყო დაპატიმრებული. თებერვლის რევოლუციის შემდეგ თედო ღლონტი პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა. 1918—1920 წლებში ის ეროვნული საბჭოს, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრი იყო. 1919 წელს თ. ღლონტმა გაზეთი „ზეირთი" დააარსა. ამავე ხანებში თედო ღლონტი სულ უფრო იხრებოდა ბოლშევიკებისაკენ და თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და პუბლიცისტურ მოღვაწეობაში საბჭოთა რუსეთის ორიენტაციისა ხდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ის შემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას, გაზეთ „ტრიბუნას" ჯეფს მეთაუროობდა. 1921 წელს და შემდეგ წლებში საქართველოს და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი იყო. 1922 წელს თედო ღლონტმა თბილისის საფინანსო განყოფილება შექმნა. ის აქტიურად მონაწილეობდა ზაპესის მშენებლობაში და ერთხანს მისი საფინანსო განყოფილების გამგე, ხოლო 1925 წლიდან ზაპესის კომიტეტის წევრი იყო. 1923 წელს თედო ღლონტი სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებული იყო საქართველოში. 1924 წელს კომუნისტურ პარტიაში შევიდა. 1925 წელს თედო ღლონტი ამიერკავკასიის სფსრ წარმომადგენლის მოადგილედ მუშაობდა მოსკოვში. 1926—1928 წწ. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი იყო, ამავე დროს 1924 წლიდან კითხულობდა ლექციებს. 1928 წელს თედო ღლონტი გადაყვანილ იქნა მოსკოვში ამიერკავკასიის სფსრ მუდმივ წარმომადგენლად სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან. იქიდან ბერლინში გადაიყვანეს მარგანეცის საექსპორტო საზოგადოების გამგეობის წევრად. 1930 წელს თედო ღლონტი კვლავ თბილისში დაბრუნდა. მუშაობდა ჯერ ცეკავშირის გამგეობის წევრად, შემდეგ ამიერკავკასიის სფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრად. 1932 წელს თედო ღლონტი საქართველოს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრად გადაიყვანეს. ამავე წლებში ის მთელი რიგი ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი და რედაქტორია. 1933—1936 წწ. თედო ღლონტი საფინანსო ორგანოებში მუშაობდა ჯერ კომუნალური ბანკის დირექტორად, ხოლო შემდეგ ფინანსთა სახალხო კომისრად[154]. გარდაიცვალა 1937 წელს.

სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში მოღვაწეობისას თედო ღლონტი საქართველოს ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ წარსულს სწავლობდა. ამ მხრივ მისი ყურადღება განსაკუთრებით საქართველოს XIX—XX სს.-ის ისტორიამ მიიპყრო. თ. ღლონტის ნარკვევები მაშინდელ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა. თავის დროზე ის ცნობილი პუბლიცისტი იყო და ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით მისი შემოქმედება მეტად საინტერესოა. თედო ღლონტის მოღვაწეობაში ორი პერიოდია და ამის მიხედვით მისი ნაშრომებიც ურთიერთისაგან განსხვავდება. ერთი რიგი ნაშრომებისა იდეურად წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულია, ხოლო მეორე რიგი — მარქსისტული.

---

154 პარტარქივი, ფ. 12798.

აქ განვიხილავთ თედო ღლონტის იმ ნაშრომებს, სადაც მოცემულია მარქსისტული ისტორიული აზრი 1917—1921 წლების ისტორიულ პროცესებზე.

თედო ღლონტის ნაშრომი „მენშევიკური და საბჭოთა საქართველო“ რუსულად გამოვიდა, შემდეგ მისი ქართული თარგმანიც გამოქვეყნდა.

დასავლეთ ევროპელმა სოციალისტმა ბრუმენტაილმა საბჭოთა საქართველოში იმოგზაურა და ევროპაში დაბრუნების შემდეგ გამოქვეყნებულ შთაბეჭდილებებში საბჭოთა საქართველო ძალზე მუქ ფერებში დახატა. თ. ღლონტის ეს, არც თუ მცირე ფორმატის წიგნი, პასუხია ბრუმენტაილის შთაბეჭდილებებზე. ნაშრომში, რომელიც დაფუძნებულია ფაქტიურ მასალაზე, თ. ღლონტი ადარებდა ორ საქართველოს — 1917—1921 წლების საქართველოს და საბჭოთა საქართველოს. ეკონომიურად საბჭოთა საქართველომ ბევრად გაუსწრო იმ საქართველოს, რომლის ხელისუფლების სათავეში მენშევიკები იდგნენ. ბრუმენტაილი საქართველოში მოგზაურობის დროს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ხელმძღვანელობასაც სწვევია და გაზეთი „ტრიბუნას“ რედაქციაში თ. ღლონტს შეხვედრია. თ. ღლონტს ბრუმენტაილისათვის საქართველოს შესახებ სათანადო სტატისტიკური მასალა მიუწოდებია. ეს მასალა ბრუმენტაილმა და მასლოვმა თ. ღლონტისა და საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენეს.

თ. ღლონტი წერდა, რომ თბილისში, სადაც ნოე რამიშვილი 30 ათას მენშევიკ მუშას ითვლიდა, ყველაზე უავტორიტეტო მენშევიკური პარტია იყო და აქ საბჭოთა ხელისუფლება ისე დამყარდა, რომ მენშევიკებმა უბრალო დემონსტრაციის მოწყობაც ვერ მოახერხეს.

საქართველოს გეოგრაფიულ და პოლიტიკურ მდგომარეობას თვლიდა თ. ღლონტი იმის მიზეზად, რომ ის ყოველთვის ომის ასპარეზი იყო. რუსეთზე ორიენტაციით საქართველოს უდიდესი ისტორიული მოსვენება მიეცა. XIX ს. საქართველოს დაუბრუნდა თავისი ისტორიული კუთხეები — ახალციხე, ახალქალაქი, არტაანი, ბათუმი, ფოთი. ხოლო, როცა საქართველო რუსეთს ჩამოსცილდა (1918 წ.), ძველი დრო კვლავ აღდგა. საქართველო გამუდმებულ ომში იყო და შეუძლებელი იყო რაიმე აღმშენებლობითი მუშაობა.

ბოლშევიკებმა საქართველოს ზავი მოუტანეს. საქართველოს ეღირსა ეროვნული მშვიდობა. ეროვნული შუღლის მიზეზად თ. ღლონტი იმას ასახელებდა, რომ საქართველოში მრავალი ერი

მოსახლეობდა. ამ შუღლს მეფის რუსეთი ხელს უწყობდა. კომუნისტებმა ამ ეროვნულ შუღლს ბოლო მოუღეს. თ. ღლონტის მთელი მსჯელობის დასკვნა ის იყო, რომ რუსეთზე ორიენტაციასა და კომუნისტების პოლიტიკას შეუძლიან ფართოდ გაუღოს კარი საქართველოს ეროვნულ-ეკონომიურ აღორძინებას.

თ. ღლონტი დიდ ყურადღებას საქართველოს ეკონომიურ ვითარებას მიაქცევდა და 1917—1921 წწ. მძიმე სასურსათო მდგომარეობას აღნიშნავდა; აკრიტიკებდა ნ. ჟორდანიას იმ განცხადებას, რომ ის დასავლეთის ორიენტაციის იყო და სტატისტიკური მასალით ასაბუთებდა, რომ სწორედ მენშევიკების დროს ჩამოსცილდა საქართველო დასავლეთს, რომ მენშევიკთა ხელისუფლება საქართველოს ეკონომიური დაცემის განსახიერება იყო. კვლავ სტატისტიკური მასალის საფუძველზე ამბობდა თ. ღლონტი, რომ მენშევიკები საქონლის გატანის მხრიდანაც დასცილდნენ არა თუ დასავლეთს, არამედ აზიასაც. ფაქტებით უსაბუთებდა ბრუმენტაილს თ. ღლონტი იმას, რომ 1917—1921 წლებში მანეთის მყიდველობითი უნარი სისტემატურად ქვეითდებოდა და ეს მუშათა მდგომარეობას აუარესებდა. 1917—1921 წლების საქართველოს ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მინუსად თედო ღლონტი ასახელებდა აგრარული საკითხის გადაუჭრელობას და საბჭოთა ხელისუფლების დიდ გამარჯვებად სწორედ მიწის ნაციონალიზაციას მიიჩნევდა.

თ. ღლონტი იხილავდა მენშევიკთა საფინანსო, მუნიციპალურ, მუშათა პოლიტიკას და მის უარყოფით შეფასებას იძლეოდა; მენშევიკები ფაქტიურად მუშათა კლასის უმაგალითო ჩაგვრას ეწეოდნენ. 1918—1921 წლები საქართველოს მუშათა კლასისათვის ყველაზე მძიმე ხანა იყო.

თ. ღლონტი ეკამათებოდა ბრუმენტაილს ეროვნულ საკითხშიც. მენშევიკებმა ეროვნული საკითხი ვერ გადაჭრეს, მცირე ერები ააჯანყეს და ამით ძალზე დაასუსტეს სახელმწიფო. მენშევიკები საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამოდიოდნენ და ამით ქართულ ეროვნულ ინტერესებს ზიანს აყენებდნენ. მხოლოდ იმისათვის, რომ ხელისუფლება შეენარჩუნებინათ მენშევიკებმა თურქეთს არტაანი და მესხეთი დაუთმეს, მათ ქემალ-ფაშას ბათუმი შესთავაზეს. 1918—1921 წწ. მენშევიკები არასოდეს არ გამოსულან საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად და გამოაცხადეს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მათთვის მიზანი კი არა, არამედ ტაქტიკური ნაბიჯი იყო, და რომ მენშევიკური გაელენის გაფართოებისთანავე სო-

ციალ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას დაშორდებიან.

თ. ღლონტი მოსწრებულად შენიშნავდა, რომ მენშევიკების ძალა ანტანტის მოწყალება და საერთაშორისო უფლება იყო, მაგრამ საერთაშორისო უფლებას რეალური ძალის გარეშე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ნაშრომში ყურადღება იყო გამახვილებული 1917—1921 წლების საქართველოში საზოგადოებრივ ძალთა კოალიციაზე. მენშევიკთა ხელისუფლების დროს დამფუძნებელ კრებაში შეიქმნა მენშევიკთა და ეროვნულ-დემოკრატთა კოალიცია. ეს იყო სოციალ-დემოკრატების კავშირი ქართველი საზოგადოების ყველაზე მემარჯვენე წრეებთან და ამან ძალზე დასცა მენშევიკების ავტორიტეტი.

ეროვნულ საკითხს შეეხო თ. ღლონტი ნაშრომში „ეროვნული საკითხი და საქართველოს ფინანსები (საბჭოთა ხელისუფლების 5 წლისთავი)". ავტორი ისტორიის მოკლე მიმოხილვით ასაბუთებდა, რომ მეფის რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში ადგილობრივი ერებისათვის მომაკვდინებელი იყო. ის განიხილავდა მეფის რუსეთის ასიმილატორულ პოლიტიკას და ფაქტებით უჩვენებდა, რომ კოლონისტების დიდი რაოდენობით ჩამოსახლება საფუძველს უქმნიდა მწვავე ეროვნულ შუღლს. ადგილობრივი მოსახლეობა მიწის ნაკლებობას განიცდიდა, კოლონისტებს კი მიწა ჭარბად ჰქონდათ. თ. ღლონტის აზრით, ეროვნული საკითხი ენის საკითხი კი არ არის, არამედ საფინანსო-ეკონომიური საკითხია. ამ კუთხით იხილავდა იგი, როგორც მენშევიკების ხელისუფლების, ისე საბჭოთა ქვეყნის ფინანსებს.

თ. ღლონტის აზრით, მენშევიკების მთავრობას არავითარი ბიუჯეტი არ ჰქონია და თუ კი რამ იყო ისიც პარაზიტული, უარყოფითი იყო. მენშევიკების მთავრობის დროს ბიუჯეტის მდგომარეობა სულ უარესი და უარესი ხდებოდა. თ. ღლონტი 1918—1920 წლების საქართველოს ფინანსების განხილვისას დაასკვნიდა, რომ ამ დროს საფინანსო მეურნეობის დაცემის გასაოცარი პროცესი მიდიოდა.

თ. ღლონტი 1917—1921 წლების საქართველოს სოფლის მეურნეობას, მრეწველობას, ფინანსებს, ეროვნული საკითხის მდგომარეობას კარგად იცნობდა, ის 1918—1921 წლების პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა და ქვეყნის ცხოვრების ამ სფეროებში ჩახედული იყო. მთელი მისი მსჯელობა ფაქტიურ მასალასა და ხშირად პირად შთაბეჭდილებებსაც ეყრდნობოდა. ის შედარებით მეთოდს მიმართავდა—1917—1921 წლების საქართვე-

ლოს პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებას საბჭოთა საქართველოს პირველი წლების ცხოვრებას ადარებდა. ეს პრაქტიკული ამბებით იყო გამოწვეული. ამ წიგნების დაწერას მეცნიერული მიზანი არ ჰქონდა; ისინი პოლიტიკური მოსაზრებით იყო დაწერილი და საბჭოთა საქართველოს არაკეთილმოსურნეების წინააღმდეგ იყო მიმართული.

თ. ღლონტის ეს ნაშრომები პუბლიცისტურია და აქედან გამომდინარე აკადემიურ მსჯელობას ხშირად მენშევიკებისა და მათი პოლიტიკის ლანძღვა-გინება ენაცვლება. ეს იმ დროის პუბლიცისტიკისათვის და, საერთოდ, ისტორიული მეცნიერებისთვისაც მეტად დამახასიათებელი იყო. ამ ნაშრომებში მოცემული ისტორიული კონცეფციები 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიაზე ყურადსაღებია იმიტომ, რომ სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების მრავალ მხარეს შეეხება. ხოლო ავტორი საფინანსო და, საერთოდ, ეკონომიური საკითხების კარგი მცოდნე იყო.

1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის სამეურნეო ცხოვრების ასეთი კვალიფიციური მიმოხილვა ქართულ მარქსისტულ ლიტერატურაში პირველია.

1917—1921 წლების საქართველოს სამეურნეო ცხოვრებას, მუშათა საკითხებს, შრომის კანონმდებლობასა და სხვა მსგავს პრობლემებს სწავლობდნენ სხვა ავტორებიც. 1926 წელს გამოვიდა ქს. კვანტრეს წიგნი „საქართველოს სამთომადნო მუშათა მოძრაობის ისტორია"[155]. ამ წიგნში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშების რევოლუციურ მოძრაობას 1917—1921 წლებში.

1921—1926 წლებში ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფია ქმნიდა საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის შესწავლისათვის წყაროთმცოდნეობით ბაზას. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა პარტიის ისტორიულმა ჟურნალმა „რევოლუციის მატიანემ". წყაროდ ყველა გამოქვეყნებული დოკუმენტი ითვლება. მაგრამ დოკუმენტების თემატიკურად გამოქვეყნება უკვე მეცნიერული ბაზის შექმნის მოწმობაა. საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის წყაროთმცდნეობის ბაზის შექმნის საქმეს უკვე მეცნიერული საფუძვლები აქვს. ჟურნალმა „რევოლუციის მატიანემ",

---

155 ქს. კ ვ ა ნ ტ რ ე, საქართველოს სამთომადნო მუშათა მოძრაობის ისტორია. ტ.ფ., 1926.

გარდა იმისა, რომ ცალკეული დოკუმენტები გამოაქვეყნა (ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი), დოკუმენტთა თემატური პუბლიკაციაც დაიწყო. ისტორიული დოკუმენტების ეს თემატური პუბლიკაცია თავისი მეცნიერული დონით უკვე მაშინვე ჩამოუვარდებოდა საქართველოს სხვა ხანის ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაციას, მაგრამ ეს იყო ახლადდაწყებული საქმე და ამ საქმეს არაპროფესიონალები აკეთებდნენ. საქართველოს რევოლუციური მოძრაობის დოკუმენტების თემატურ პუბლიკაციას დიდი ამაგი დასდო ამ საქმის დამწყებმა პ. საყვარელიძემ.

პავლე მიხეილის ძე საყვარელიძე, პროფესიონალი რევოლუციონერი, დაიბადა 1885 წელს. პარტიის წევრი იყო 1903 წლიდან. პ. საყვარელიძე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა და აქვე ეზიარა რევოლუციურ ლიტერატურას. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ქუთაისის გუბერნიის გლეხთა შორის არალეგალურ მუშაობას ეწეოდა. რევოლუციური მოღვაწეობისათვის მეფის რუსეთის ხელისუფლებამ რამდენჯერმე დააპატიმრა და კატორღაში გაგზავნა. 1906 წელს, საქართველოდან გადასახლებული პ. საყვარელიძე თებერვლის რევოლუციამდე. ციხეებსა და გადასახლებაში იმყოფებოდა. სამშობლოში მხოლოდ 1921 წელს დაბრუნდა.

1921—1922 წწ. პ. საყვარელიძე მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილედ, გაზეთების „მუშისა" და „მიწის მუშის" რედაქტორად მუშაობდა. შემდეგ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ის პარტიაში გაგზავნა სამუშაოდ.

1923 წელს პ. საყვარელიძე რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გამომცემლობის ქვეგანყოფილების გამგედ მუშაობდა. 1924—1925 წწ. ის გაზეთების „ახალი სოფლის", „მუშის" რედაქტორი, სახკინმრეწვის რედკოლეგიის წევრი იყო. 1925 წელს პ. საყვარელიძე საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებაში იმყოფებოდა.

1926—1929 წწ. პ. საყვარელიძე საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ, პარტიის გამგედ, ვ. ლენინის თხზულებათა ქართული გამოცემის რედაქტორად, „პრავდის" თბილისის კორესპონდენტად და სხვ. მუშაობდა.

1930—1939 წლებში პ. საყვარელიძე სახკინმრეწვის მმართველი იყო. 1933 წელს ის გამომცემლობა „ფედერაციის" გამგედ და საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშნეს. იყო ლიტფონდის თავმჯდომარეც[156].

პ. საყვარელიძე გარდაიცვალა 1944 წელს.

პ. საყვარელიძე პუბლიცისტი და მწერალი იყო. მან დატოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა — ისტორიული ნარკვევები: „ათი წელი", „კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში", „შეიარაღებული აჯანყება შორაპნის მაზრაში 1905 წელს"; რომანები, პუბლიცისტური წერილები და სხვ.

პარტიის ისტორიულმა ჟურნალმა 1926 წელს გამოაქვეყნა 1917 წლის გაზეთებიდან ამონაწერები სათაურით „ოქტომბრის რე-

---

156 პარტარქივი, ფ. 12798, ს. 670, ფ. 78—82.

ვოლუცია და ქართველი მენშევიკები"[157]. გაზეთებიდან მოტანილი მასალიდან ჩანდა, თუ როგორ უცებ, პროლეტარული რევოლუციის შესახებ ცნობის მოსვლისთანავე იცვალეს ფერი მენშევიკებმა. აქვე იყო დაბეჭდილი მასალა იმისა თაობაზე, თუ როგორ შეხვდნენ რევოლუციას თბილისში. დაბეჭდილი იყო აგრეთვე თბილისის მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოს აღმასრულებული კომიტეტის 25 ოქტომბრის სხდომის ოქმი. მოტანილი იყო დოკუმენტები, საგაზეთო ცნობები ქუთაისის შესახებაც. ამ დოკუმენტებს თან ერთოდა კომენტარები, რომლებიც, დღევანდელი გაგებით, ძალზე განსხვავდება წყაროთა პუბლიკაციის დროს თანმხლები კომენტარებისაგან. მასალის ეს პუბლიკაცია პ. საყვარელიძემ მოამზადა.

მან პირველმა გამოაქვეყნა აგრეთვე დოკუმენტები საქართველოში ინგლისელთა ინტერვენციის შესახებ. ამ საკითხზე, როგორც ზევით არაერთხელ აღვნიშნეთ, ქართველი მარქსისტი ისტორიკოსები წერდნენ და ისტორიულ კონცეფციას ქმნიდნენ; მაგრამ ამ ისტორიკოსთა კონცეფციებს საფუძვლად უფრო მეტად იმდროინდელი პრესა და პირადი შთაბეჭდილებები ედო. ისტორიული დოკუმენტები ისტორიკოსებისათვის ნაკლებ ხელმისაწვდომი იყო. 1927 წელს ჟურნალმა „რევოლუციის მატიანემ" გამოაქვეყნა რიგი დოკუმენტებისა სათაურით „მენშევიკების „დამოუკიდებელი საქართველოს" ნამდვილი სახე"[158].. ეს დოკუმენტები იმ საუბრების სტენოგრაფიული ოქმების ნაწყვეტებია, რომელიც სხვადასხვა დროს ჰქონდათ მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებსა და ინგლისელ ოფიცრებს. დოკუმენტებს თან ერთოდა კომენტარები. ამ დოკუმენტებს (სულ 9 საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერია; ინგლისელ ოფიცრებსა და ქართველ მენშევიკებს შეხვედრები ჰქონდათ 1918 წლის 14 სექტემბრიდან 1919 წლის 6 ივნისამდე) უნდა მიეცათ იმის სურათი, „თუ რა რიგად სძულდათ მენშევიკებს მუშათა კლასი... მენშევიკებს ნიღაბიც კი აღარ აქვთ აფარებული. მათი კონტრრევოლუციური და ანტიპროლეტარული სახე სულ ადვილად დასანახია"[159].

ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რევოლუციურ ძოღვაწეთა მოგონებებსა და ავტობიოგრაფიებს. ჟურნალი „რევოლუციის მატიანე" დიდი ხალისით ბეჭდავდა მემუარული ხასიათის სტატიებს, ს. თალაკვაძის, ვ. ნუცუბიძის, აპ. იმნაიშვილის, ს. თოდ-

---

157 რევოლუციის მატიანე, პარტისის ისტორიული ჟურნალი, ტფ., 1926, № 2.
158 იქვე, 1927, № 2.
159 იქვე, გვ. 4—5.

რიას, ვ. სტურუას. პ. ჯანაშიას, ვ. გეგეშიძის, ს. კუხალეიშვილისა და სხვათა მოგონებებს. ეს მოგონებები მხოლოდ და მხოლოდ პირად შთაბეჭდილებებს ეყრდნობოდა. მოგონებათა წერისას პირველწყაროებით შთაბეჭდილებების გადახალისება, როგორც წესი, არ ხდებოდა. გამოქვეყნდა რ. კალაძის, ვ. ძნელაძისა და სხვების ავტობიოგრაფიები.

ჟურნალ „რევოლუციის მატიანეს" ცალკე განყოფილება ჰქონდა რუბრიკით „პარტიული არქივი". ამ განყოფილებაში ქვეყნდებოდა პარტიული დოკუმენტები. წყაროთა ამ პუბლიკაციას არ ახლდა სამეცნიერო აპარატი (კომენტარები და სხვა). უმთავრესად აქვეყნებდნენ პროკლამაციებს („სათადარიგო ჯარისკაცს", „ქ. თბილისის ყველა მუშას" „ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის გამო" და სხვა), ჯარისკაცთა და გვარდიელთა კრებების ბოლშევიკურ რეზოლუციებს. 1924 წელს „რევოლუციის მატიანემ" გამოაქვეყნა მასალა ჯარში, გვარდიაში, პროფკავშირებში ბოლშევიკთა მუშაობის შესახებ 1917—1921 წწ., იმდროინდელი ბოლშევიკური ლოზუნგები და სხვ.[160]. ჟურნალმა 1925 წელს გამოაქვეყნა „რეზოლუციები მიღებული რსდმპ(ბ) დასავლეთ ამიერკავკასიის კონფერენციაზე, რომელიც მოხდა ქუთაისში 1918 წ. თებერვლის 20—23 რიცხვებში". ეს რეზოლუციები 1918 წ. ქუთაისში გამოქვეყნდა, მაგრამ მცირე ტირაჟით. ამ პუბლიკაციის შედეგად კი ეს რეზოლუციები ისტორიკოსთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი გახდა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1917—1921 წლების ისტორიის შესწავლისას ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის კვლევას მარქსისტი მეცნიერები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ. ამასთან დაკავშირებით, მეცნიერთათვის კარგი შენაძენი იყო „ამიერკავკასიის ფინანსიურ-სტატისტიკური კრებული 1918—1923 წწ."[161] გამოცემა.

საერთოდ, 1921—1926 წლებში გამოქვეყნდა ისტორიული წყაროების გარკვეული ნაწილი და 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტულ შესწავლას წყაროთმცოდნეობითი ბაზა შეექმნა. მაგრამ მასალათა პუბლიკაციის დონე ძალზე დაბალი იყო.

ისტორიული მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე საქართველოში სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის ისტორიოგრაფიის შექმნაში გარკვეული როლი ქართულმა პრესამაც შეასრულა. ამ დროს ქართული პრესა აქტიურად აშუქებდა 1917—1921

---

160 რევოლუციის მატიანე, 1924, № 4—5.

161 ამიერკავკასიის ფინანსურ-სტატისტიკური კრებული 1918—1923 წწ. ნაწ. I, ტფ., 1924, (რუს. ენაზე).

წლების საქართველოს ისტორიის საკითხებს, აღნიშნავდა საიუბილეო თარიღებს (მაგალითად, ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დახვრეტას, დუშეთის აჯანყებას და სხვ.) და ამასთან დაკავშირებით მოგონებებს, დოკუმენტებს (გაზეთმა „კომუნისტმა“ პირველმა გამოაქვეყნა ისტორიული დოკუმენტი — წითელი არმიის სარდლობის და მენშევიკურ მთავრობას შორის სამხედრო მოქმედების შეწყვეტის თაობაზე დადებული შეთანხმების ტექსტი[162]), სათანადო სტატიებს აქვეყნებდა. ყოველივე ეს ისტორიული კონცეფციის შექმნას უწყობდა ხელს; ამ წერილებში მოცემული იყო პირველი მარქსისტული ისტორიული აზრი 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის მრავალ მნიშვნელოვან მოვლენაზე, ისტორიულ ფაქტზე.

ისტორიულ ნაშრომებში, მემუარულ ლიტერატურაში სათანადო წყაროთა გამოუყენებლობის გამო, ცხადია, ხშირად ხდებოდა ისტორიული სინამდვილის დამახინჯება; ავტორები ზოგჯერ ტენდეხციურად, თანამედროვეობის პრიზმაში გარდატეხვით აშუქებდნენ ამა თუ იმ მოვლენას, ფაქტს. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში კრიტიკის საგანი გახდა ზოგიერთი ავტორის ასეთი არაობიექტურობა, ისტორიული სინამდვილის აღდგენისას დაშვებული შეცდომები. რ. კალაძის წერილების სერია „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის (კრიტიკული შენიშვნები ამხ. ფ. მაჰარაძის და სევასტი თალაკვაძის საისტორიო ნაწერების შესახებ)“ და მ. ორახელაშვილის „პარტიის ისტორიიდან ზღაპრული ელემენტი უნდა განდევნილ იყოს“[163], ისტორიული ობიექტურობისაკენ მოუწოდებდა საქართველოს კომუნისტური პარტიისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიკოსებსა და მემუარისტებს. ასე ჩაისახა ქართულ საბჭოთა მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში ისტორიული ლიტერატურის კრიტიკა.

ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მარქსისტული კონცეფცია ყალიბდებოდა. ამ კონცეფციის შემუშავებაში დიდი წვლილი ქართველმა რევოლუციონერებმა, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლების აქტიურმა მონაწილეებმა, მარქსისტმა პუბლიცისტებმა, კომუნისტური პარტიის მოღვაწეებმა შეიტანეს.

რა დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა საქართველოში სოცია-

---

162 გაზეთი „კომუნისტი“, 1921, 22 მარტი.
163 „ 1923, 7 სექტემბერი.

ლისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის შესწავლას 1921—1926 წლებში? პირველი ნიშანი ის იყო, რომ ყველაფერი, რაც კი ამ პერიოდში დაიწერა, გამსჭვალული იყო ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან, მათ მოღვაწეებთან, ისტორიკოსებთან, პუბლიცისტებთან ბრძოლის სულისკვეთებით. ყველა ნაშრომის, წერილის უმთავრესი დანიშნულება მენშევიკებისა და სხვა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიების საქმიანობის მკაცრი კრიტიკა, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გარდუვალობის დასაბუთება იყო. ამით აიხსნებოდა მარქსისტული ისტორიული ნაშრომების პოლემიკური ხასიათი. მეორე დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ ნაშრომების ავტორები იშვიათად იყენებდნენ საარქივო მასალას; მათი ძირითადი წყარო პირადი შთაბეჭდილებები იყო. მართალია, ამ ეტაპზე გადადგმულ იქნა პირველი ნაბიჯები წყაროთა პუბლიკაციის დარგში, მაგრამ წყაროთმცოდნეობის ბაზა ჯერ კიდევ სუსტი იყო. საბჭოთა ისტორიული მეცნიერული ისტორიის ამ ეტაპის მესამე ნიშანი საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის მეცნიერული შესწავლის გასაღრმავებლად და ისტორიკოსთა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად, პირველი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება იყო.

4

ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი (1927—1936 წწ.) დაიწყო იმით, რომ დიდი ზეიმით აღნიშნეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავი. საიუბილეო თარიღს მრავალი გამოცემა მიეძღვნა. იუბილე ისტორიკოსებმაც აღნიშნეს და რევოლუციის ათი წლისთავზე ისტორიული ხასიათის მრავალი ნაშრომი გამოვიდა. საიუბილეო თარიღს სოციალისტური რევოლუციის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომების გამოცემა შეეფერებოდა და ქართველმა მარქსისტმა პუბლიცისტებმა, ისტორიკოსებმაც არ დააყოვნეს.

1927 წელს გამოვიდა ფ. მახარაძის წიგნი „საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში"[164]. ამ ნაშრომის გამოსვლა თავის დროზე სერიოზული შენაძენი იყო ისტორიოგრაფიისათვის და მას მეცნიერული ღირებულება დღესაც არ დაუ-

---

164 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, ტფ., 1927.

კარგავს. ფ. მახარაძის ამ წიგნმა 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა.

ამ ნაშრომში გადმოცემულია საბჭოების ისტორია საქართველოში თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ ხანებში. საქართველოში მენშევიკების დროს საბჭოები არსებობდნენ და აქ გასაკვირი არაფერია, — წერდა ფ. მახარაძე — თუ შესაძლებელი იყო საბჭოების არსებობა თებერვლის რევოლუციის ხანაში რუსეთში, სადაც ამ დროს მენშევიკები და ესერები ბატონობდნენ, რატომ არ შეიძლება ყოფილიყო საბჭოები საქართველოშიც. მაგრამ ეს საბჭოები ანხორციელებდნენ სახელმწიფო ძალაუფლებას, ეხმარებოდნენ და ხელს უწყობდნენ ბურჟუაზიას და მემამულეებს რევოლუციის ჩაქრობაში. საქართველოს ამ პერიოდის საბჭოები გაჟღენთილი იყო ბურჟუაზიული სულით, ბურჟუაზიული აზროვნებითა და ბურჟუაზიული შეხედულებით სახელმწიფოზე და სახელმწიფო ძალაუფლებაზე.

ფ. მახარაძე ნაშრომში აღწერდა საბჭოების პირველ ორჩევნებს თბილისში. მუშათა დეპუტატების საბჭოს პარალელურად დაარსდა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. ეს საბჭოები პირველ ხანებში ურთიერთისაგან დამოუკიდებლად არსებობდა. ეს იყო არანორმალური მდგომარეობა, მიღებულ იქნა დადგენილება ამ საბჭოების გაერთიანების შესახებ, მაგრამ ეს დადგენილება ცხოვრებაში ვერ განახორციელეს.

ავტორი ანალიზს უკეთებდა საბჭოების ოქმებსა და დადგენილებებს და დაასკვნიდა, რომ მენშევიკები და ესერები „არ უყურებდნენ საბჭოებს, როგორც ხალხის უზენაესი ნებისყოფის ორგანოებს. პირიქით, ისინი ხედავდენ საბჭოებში ადმინისტრატიულ ორგანოებს, და ამათ მაღლა იმათი შეხედულებით უთუოდ უნდა მდგარიყო სულ სხვაგვარი ორგანო, რომელიც ბურჟუაზიისათვის მისაღები იქნებოდა. საბჭოები კი იმათ ესახებოდათ მხოლოდ როგორც დროებითი ორგანოები, რომლებიც დამფუძნებელი კრების მოწვევისთანავე თავისთავად უნდა გაუქმებულიყვნენ“[165]. საბჭოს გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო მხოლოდ ჯარისკაცებისა და თბილისის მუშებისათვის. საბჭოები ბურჟუაზიული ორგანოების დანამატად იქცა.

---

165 ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, ტფ., 1927, გვ. 51.

ფ. მახარაძე ნაშრომში იხილავდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის, ამიერკავკასიის კომისარიატის, საქართველოს ეროვნული ორგანოების საქმიანობას. მოკლედ გვაცნობდა ამიერკავკასიის სეიმის მუშაობას.

ნაშრომში მოცემული იყო კლასობრივი და პოლიტიკური ბრძოლის სურათი ამიერკავკასიაში. ფ. მახარაძე წერდა, რომ ამიერკავკასიაში თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს სუსტი იყო ბოლშევიკური ორგანიზაციები. თბილისში ამ დროს იყო მხოლოდ ბოლშევიკების მცირე ჯგუფი, რომელიც არალეგალურად მუშაობდა. სხვაგან ასეთი ჯგუფები არ არსებობდა. იყვნენ მხოლოდ ცალკე პიროვნებები, რომლებიც ბოლშევიზმის მიმართულებას იზიარებდნენ. აქ ფ. მახარაძე განსხვავდებოდა მ. ორახელაშვილისაგან ბოლშევიკური ორგანიზაციების რაოდენობის შეფასებისას. თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციიდან ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე პერიოდში ბოლშევიკური ორგანიზაციები იზრდებოდა, მაგრამ მენშევიკებთან შედარებით ისინი მაინც სუსტ ძალას წარმოადგენდა. ავტორი აღწერდა ბოლშევიკების ბრძოლას საბჭოებისა და მასებისათვის.

ფ. მახარაძე წერდა, რომ მენშევიკებმა თითქმის სავსებით მიიღეს თავადაზნაურობის პროგრამა და ფეხქვეშ გაეგენენ მათ. მალე დიდი აქტიურობით მოამზადეს პირველი ეროვნული ყრილობა; არ დაუტოვებიათ არც ერთი დაწესებულება, არც ერთი წოდება, რომელთა წარმომადგენლები ყრილობაზე არ მოეწვიათ. მაგრამ გამორჩათ მხოლოდ მუშები და გლეხები. ავტორი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა გლეხთა აჯანყებებს მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ 1918—1921 წლებში. მასალები ამ საკითხზე მას ნაკლებად ჰქონდა და გამოთქვამდა სურვილს, რომ როდისმე დაწერილიყო ამ აჯანყების ვრცელი ისტორია. 1918 წ. და 1919 წლების გლეხთა აჯანყებების მთავარ დამახასიათებელ ნიშნად ფ. მახარაძე მიიჩნევდა შემდეგს: „1918 წლის მოძრაობას განსაკუთრებით სტიქიური ხასიათი ჰქონდა, მას ან სრულებით არ ეტყობოდა ორგანიზაციის ნიშანწყალი, ან მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, და ისიც ძალიან სუსტად. ამ მხრით სრულიად სხვა სურათს წარმოადგენდა 1919 წლის აჯანყებები. ყველა ეს აჯანყება, ავად თუ კარგად, მოწყობილი იყო თანახმად წინდა წინ გამომუშავებული გეგმისა. მაგრამ, როგორც 1918 წლის, ისე 1919 წლის აჯანყებები ერთსა და იმავე ნიადაგზე იყვნენ აღმოცენებული, ეს იყო უკმაყოფილება მენშევიკური ხელისუფლებისადმი და შეიარაღებული ბრძოლა ამ ხელი-

სუფლების დასანგრევად"[166]. გლეხობამ დაკარგა მენშევიკებისადმი ნდობა, მობეზრდა ლოდინი. მას სურდა მიწის მიღება. ამასთან ერთად, საქართველოს გლეხობა სოლიდარობას არ უცხადებდა მენშევიკებს საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის საკითხშიც. გლეხკაცობა გადაჭრით წინააღმდეგი იყო რუსეთთან კავშირის გაწყვეტისა. ის ინსტინქტურად გრძნობდა, რომ რუსეთთან კავშირის გაწყვეტა მთელ საქართველოს უბედურებას უმზადებდა, რადგანაც პატარა საქართველო თავისი ძალებით გარეშე მტრების გამკლავებას ვერ შეძლებდა და გლეხობა ამაში არ ცდებოდა. „ამიტომ სრულებით გასაკვირი არაა, თუ ბოლშევიკური ლოზუნგები საბჭოთა ხელისუფლების, მიწისა და ზავის შესახებ ახლა უკვე დიდ თანაგრძნობას პოულობდნენ გლეხკაცობაში"[167]. აქ ფ. მახარაძის მსჯელობა თანმიმდევრული არაა. თავისთავად ბოლშევიკური ლოზუნგები საბჭოთა ხელისუფლებისა, მიწისა და ზავის შესახებ მშრომელი კლასებისათვის იყო გამიზნული. გლეხობას არ შეეძლო თავისი კლასობრივი არსის გამო არ დამდგარიყო ამ ლოზუნგების პოზიციებზე. რუსეთისაგან ჩამოცილება კი ამ ლოზუნგებისაგან ჩამოცილებას ნიშნავდა. რუსეთთან კავშირის გაწყვეტის საშიშროების გამო კი არ გახდა გლეხებისათვის ბოლშევიკების ლოზუნგი — საბჭოთა ხელისუფლება, ზავი და მიწა — მისაღები. პირიქით, საბჭოთა ხელისუფლების, ზავისა და მიწის გამო იყო ქართველი გლეხობა წინააღმდეგი რუსეთისაგან ჩამოცილებისა.

ფ. მახარაძე ზევით ასაბუთებდა, რომ 1918 წელს გლეხთა აჯანყებები არ იყო ორგანიზებული. როცა ლაპარაკობს დუშეთის გლეხობის 1918 წლის აჯანყებაზე, აქ, იგი წერდა, რომ ბოლშევიკებმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩავატარეთო[168].

ფ. მახარაძე ნაშრომში დაწვრილებით აღწერდა ბოლშევიკების მუშაობას საქართველოში, იმ ვითარებას რაც შეიქმნა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის მაისში დადებული საზავო ხელშეკრულების შემდეგ; მოგვითხრობდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიას და წერდა; „ამ ისტორიის მოკლე მიმოხილვამ ჩვენ დაგვანახვა, რომ 1918 წ. დაწყებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ჩვენში არ შეწყვეტილა მანამდე, სანამ ის აქ დამყარებული არ იქნა და რომ ამ ბრძოლაში საქართველოს მუშებმა და გლეხებმა აუარებელი მსხვერპლი გაიღეს. თუ შედარე-

166 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, ტფ., 1927, გვ. 147.

167 ი ქ ვ ე, გვ. 149.

168 ი ქ ვ ე, გვ. 164.

ბით დიდი ხნის განმავლობაში მათ ვერ მიაღწიეს თავის მიზანს, ამაში ისინი ოდნავადაც დამნაშავენი არ იყვნენ. ეს იყო უფრო მათი უბედურება, რადგანაც ისინი მოხვდნენ მეტად არახელსაყრელ პირობებში, — ერთის მხრით, ევროპის მტაცებელი იმპერიალისტების კლანჭებში და, მეორეს მხრით, მუშათა კლასის მოღალატეთა და გამცემელთა, ე. ი. ქართველი მენშევიკების ხელში. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარის დაუხმარებლად საქართველოს მუშებს და გლეხებს ძლიერ უჭირდათ თავისი მიზნის განხორციელება"[169]. ეს წიგნის დასკვნაც იყო.

შემდეგში, საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში 1917—1921 წწ. საქართველოს ისტორიას საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდი, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდი უწოდეს. ფ. მახარაძის დებულება, რომ 1918 წელს დაწყებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის არ შეწყვეტილა მის გამარჯვებამდე, ზემოდასახელებული კონცეფციის პირველი ჩანასახია. ნაშრომს არ ჰქონდა სამეცნიერო აპარატი, ავტორი არ იყენებდა ჩვენს არქივებში დაცულ მასალას. იგი უმთავრესად მოგონებებს და პრესას ეყრდნობოდა. ნაშრომის ყველაზე დადებითი ის არის, რომ აქ არის კიდევ ერთი ცდა, თანამიმდევრულად, ნახევრად პოპულარულ ფორმაში გადმოგვცეს 1917—1921 წლების საქართველოს ისტორია, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

1931 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ათი წლისთავთან დაკავშირებით გაზეთმა „კომუნისტმა" დაბეჭდა ფ. მახარაძის წერილი „ეროვნული საკითხი საბჭოთა საქართველოში"[170]. ფ. მახარაძე წერდა, რომ 1917—1921 წლებში საქართველოში აგრარულ საკითხთან ერთად მეტად მწვავედ იდგა ეროვნული საკითხიც. ის სამართლიანად შენიშნავდა, რომ ეროვნული საკითხის ასეთი აქტუალობა მეფის რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკისა და ჩაგრული ერების ეკონომიური და კულტურული განვითარების ხელოვნურად შეფერხების ცდის შედეგი იყო.

საინტერესოა ფ. მახარაძის ერთი დებულება. ადრე ფ. მახარაძე საქართველოს კაპიტალისტურ ხანამდე ისტორიას მაინცდამაინც არ ცნობდა. ამჯერად ის XIX—XX სს. შექმნილ ვითარების ფესვებს შუასაუკუნეების საქართველოში ეძებდა და სამართლიანადაც. ამიერკავკასიის „ეროვნულ სიჭრელეს" (ეს ტერმინი ქართულ ის-

169 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, ტფ., გვ. 1927, გვ. 241.

170 გაზეთი „კომუნისტი". 1931 წ., 25 თებერვალი.

ტორიოგრაფიაში რუსული პუბლიცისტიკიდან შემოვიდა და ბშირად იყო ხმარებაში) ის წარსულით ხსნიდა. ამიერკავკასიაში ეროვნული მრავალფეროვნება სათავეს XI საუკუნის ბოლოდან იღებს, — წერდა ფ. მახარაძე, როდესაც ამიერკავკასიას თავს ესხმოდნენ დამპყრობნი და აქ სტოვებდნენ თავიანთ თვისტომებს თუ მოყვანილ ხალხებს. ეს ადრე ეროვნულ შუღლს არ იწვევდა, მაგრამ როგორც კი რუსეთი დამკვიდრდა ამიერკავკასიაში, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალაო; ერთა შორის შუღლს დიდად შეუწყო ხელი ამიერკავკასიაში კოლონისტების ჩამოსახლებამ. 1905 წლამდე ეროვნულმა შუღლმა ფეხი ვერ მოიკიდა მშრომელ კლასებში, შემდეგში, რეაქციის წლებში მათი ინტერნაციონალური სულისკვეთება შესუსტდა, ხოლო იმპერიალისტური ომის დროს ამიერკავკასიის მუშებში და გლეხებში ნაციონალისტურმა გრძნობებმა რამდენადმე ადგილი მოიპოვეო.

ფ. მახარაძე აღწერდა ერთა შორის შუღლს 1917—1921 წლებში და ამ შუღლში და, საერთოდ, ამიერკავკასიაში შექმნილი სახელმწიფოების პოლიტიკაში დიდ როლს ანიჭებდა თურქეთის დიქტატს; თითქოსდა ამიერკავკასიაში ერთა სახელმწიფოებრიობის აღდგენა თურქეთის კარნახით მომხდარიყო. თურქებთან ერთად ამ აქტში გერმანელებიც მოქმედებდნენ. ფ. მახარაძეს კვლავ არ სურდა დაენახა, რომ თვით ერებს სურდათ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, მაგრამ შექმნილი სახელმწიფოები ბურჟუაზიული სახელმწიფოები იყო და ეს არ პასუხობდა მშრომელი კლასების ინტერესებს. ეს საქმის სხვა, და ამასთან, მეტად არსებითი მხარე იყო.

ფ. მახარაძე აღწერდა ბურჟუაზიულ ეროვნულ სახელმწიფოთა შორის დავასა და ქიშპს საზღვრებისათვის. ამას დამამცირებელ და სამარცხვინო აქტს უწოდებდა. ავტორი არ ხსნიდა თუ რამ გამოიწვია ეროვნული საზღვრების აღდგენისას ასეთი აქციები. ამის ფესვები ისევ მეფის რუსეთის კოლონიზატორულ და ასიმილატორულ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. ფ. მახარაძე ამ წერილში ვრცლად შეეხო საქართველოში მოსახლე ერებისადმი მენშევიკური ხელისუფლების დამოკიდებულების საკითხს.

1931 წელს, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ათი წლისთავზე, პარტისმა გამოსცა „რევოლუციის მატიანეს“ მორიგი სიიუბილეო ნომერი. ჟურნალს წამძღვარებული ჰქონდა ფ. მახარაძის წერილი „საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირობები საქართველოში“[171]. ამ წერილში ფ. მახარაძე კვლავ

---

[171] რევოლუციის მატიანე, 1931, № 1.

უბრუნდებოდა საკითხს, თუ რატომ ვერ გაიმარჯვა საქართველოში სოციალისტურმა რევოლუციამ 1917 წლის შემოდგომაზე. ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები ძლიერნი იყვნენ და მათ მასებზე გავლენა ჰქონდათ. აქედან გამომდინარე სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად უნდა გამოეყენებინათ ჯარი. მაგრამ კავკასიის არმია ერთთავად არაადგილობრივი ელემენტებისაგან შედგებოდა, ამიტომ მასზე სრულად დაყრდნობა შეუძლებელი იყო. საბჭოების გზით ხელისუფლების აღება შეუძლებელი იყო იმის გამო, რომ იქ მენშევიკები და ესერები ბატონობდნენ. ფ. მახარაძე აქ იმეორებს იმ თეზისს, რომ 1917 წლიდან საქართველოს ბოლშევიკები არალეგალურ მუშაობას ეწეოდნენ და იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. შემდეგში ეს თეზისი გაშალა და 1917—1921 წლებს უწოდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის პერიოდი.

1932 წელს გამოვიდა ფ. მახარაძისა და გ. ხაჭაპურიძის წიგნი „ნარკვევები საქართველოში მუშათა და გლეხთა მოძრაობის ისტორიიდან"[172]. იგი თავის დროზე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მეტად მნიშვნელოვანი წიგნი იყო. ქართული და რუსული საბჭოთა ისტორიოგრაფია ასეთი ხასიათის ნაშრომების მეტად დიდ ნაკლოვანებას განიცდიდა და საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ისტორიაში ამ წიგნმა სათანადო ადგილი დაიკავა. წიგნის მერვე თავი „მუშათა მოძრაობა საქართველოში თებერვლის რევოლუციის შემდეგ და მენშევიზმის ბატონობის პერიოდში", ფ. მახარაძის მიერ იყო დაწერილი. ფ. მახარაძე წერდა, რომ 1917 წლამდე მუშათა კლასის უმთავრესი მტერი თვითმპყრობელობა იყო. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ხელისუფლება ქართველი მენშევიკების ხელში გადავიდა და მუშებმაც მთავრობის მიმართ დამოკიდებულება შეცვალეს. მენშევიკებმა კი მიზნად დაისახეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობის განმტკიცება. შემდეგში გამეორებულია თითქმის ყველა ის დებულება, რაც მას ჰქონდა თავის წიგნში „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში" (1921 წ.). საარქივო მასალას არ იმოწმებდა, ძირითადად პრესას ეყრდნობოდა. ფ. მახარაძის აზრით, 1918 და 1919 წლებში საქართველოში მუშათა მოძრაობა ძირითადად ეკონომიური ხასიათის იყო. თავის დროზე — 1918 და 1919 წლებში მუშათა მოთხოვნები ეკონომიური ხასიათისა იყო და აქედან გამომდინარე გაფიცვებიც გარეგნულად ასეთსავე ხასიათს

---

172 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე და გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოში მუშათა და გლეხთა მოძრაობის ისტორიიდან, მოსკოვი, 1932, (რუს. ენაზე).

ატარებდა. ეს ხდებოდა იმის გამო, რომ რეპრესიებისგან თავი დაეზღვიათ. ამიტომ ისტორიოგრაფიაშიც ამ მოძრაობამ ასეთი შეფასება დაიმსახურა. შემდეგ მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ მუშათა გაფიცვების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი (მაგალითად, 1919 წლის თბილისის საქალაქო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა) პოლიტიკური ხასიათის იყო. ფ. მახარაძის აზრით, მენშევიკებმა მუშების შეკავება 1920 წლის ბოლომდე შეძლეს, შემდეგ კი მუშათა გამოფხიზლება დაიწყო.

ფ. მახარაძის მიერ ამ წიგნისათვის დაწერილ სხვა თავებში გამოყენებულია შედარებით ბევრი საარქივო დოკუმენტი, ისტორიულ წყაროთა დიდი რაოდენობა. როგორც ჩანს, 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიას ის უფრო მეტად პირადი შთაბეჭდილებებით წერდა. უნდა დაუმატოთ აქვე, რომ ეს ხდებოდა ინერციით, რადგან ამ დროისათვის უკვე შექმნილი იყო სათანადო წყაროთმცოდნეობითი ბაზა და საარქივო დოკუმენტების დამოწმების ჩვეულებაც შემუშავებული იყო.

1927 წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოვიდა აგრეთვე კომუნისტური პარტიის ცნობილი მოღვაწის მ. ორახელაშვილის[173] წიგნი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს“[174]. ავტორმა ნაშრომი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავს მიუძღვნა. წიგნში განხილული იყო საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების საქმიანობა 1905—1907 წლების რევოლუციიდან მოყოლებული 1917 წლის ჩათვლით. ავტორი აღწერდა თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის პირველ დღეებს თბილისში და საქართველოში და აღნიშნავდა, რომ მენშევიკებს არ სურდათ „საბჭოსათვის აღმასრულებელი ფუნქციის მიცემა, მათ გაილაშქრეს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გამოყოფის წინააღმდეგ ე. ი. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ არა მარტო საბჭოს განუყოფელი ხელისუფლების, არამედ ამ ხელისუფლების გაორებასაც არ თანხმდებოდნენ: ხელუხლებლად თავის ადგილზე სტოვებდნენ როგორც მეფის ადმინისტრაციას, ისე ცენზიანი ქალაქის გამგეობასაც“[175]. მ. ორახელაშვილი საბჭოს აღმასკომში მენშევიკების გამარჯვებას ხსნიდა იმით, რომ მენშევიკებს არჩევნებში გამოცდილება ჰქონდათო. ამიერკავკასიის კომისარიატის დროს

---

173 ს. კვაჭაძე, ივანე (მაჭია) დიმიტრის ძე ორახელაშვილი (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1965.

174 მ. ორახელაშვილი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს, ტფ., 1927.

175 იქვე, გვ. 36.

ბოლშევიზმის წინააღმდეგ არსებობდა წვრილი ბურჟუაზიის, მემამულეების და ნაციონალური პარტიების ბლოკი. „მენშევიკები, ესერები, დაშნაკელები, მუსავატელები, ნაციონალ-დემოკრატები, სოც-ფედერალისტები (რომ აღარ ვილაპარაკოთ სხვადასხვა ჯურის ლიბერალებზე) მათი სოციალური და ეროვნული სხვადასხვაობის მიუხედავად — მაინც მტკიცე დუღაბით იყვნენ გაერთიანებულნი მთლიან ანტიბოლშევიკურ ბლოკში“ და რომ ამ ბლოკს აშკარად ბურჟუაზიული სახე და შინაარსი ეძლეოდა.

მ. ორახელაშვილი თავის ნაშრომში იძლეოდა იმის ახსნას, თუ რატომ მოხდა, რომ საქართველოში ძალაუფლება ხელთ ჩაიგდეს მენშევიკებმა. ბოლშევიკები იატაკქვეშეთიდან გამოდიოდნენ, მათი ორგანიზაციები დარბეული იყო, არ ჰქონდათ ცენტრთან კავშირი, რის გამოც ვერ იღებდნენ დირექტივებს და სწორ ინფორმაციას. და „ამიტომ მენშევიკებთან საერთო ორგანიზაციაში შესვლის საკითხი ყველგან დადებითად წყდებოდა. ახლად გადაყირავებული მეფის ტახტის წინაშე მეტად ძლიერი იყო ასეთი მთლიანობისაკენ მისწრაფება“[176] მაგრამ ავტორი აქვე აღნიშნავდა, რომ ფაქტიურად ეს „გაერთიანება მხოლოდ მოკლე გარდამავალი საფეხური იყო ბოლშევიკების, არა მარტო იდეურ-პოლიტიკურად, არამედ ორგანიზაციულად გამოყოფის წინ“.

მ. ორახელაშვილი აღწერდა ბოლშევიკური ორგანიზაციების მდგომარეობას კავკასიის პირველი საოლქო (სამხარეო) ყრილობის დროს და წერდა, რომ ამიერკავკასიის ბოლშევიკებს არ შეეძლოთ იერიშით მოეხდინათ ძალთა გადაჯგუფება და გამოეგლიჯათ ძალაუფლება ბლოკისათვის, მათ არ შეეძლოთ განემტკიცებინათ და შეენარჩუნებინათ ძალაუფლება ფიზიკურად და პოლიტიკურად. „ერთი სიტყვით — წერდა მ. ორახელაშვილი, — არ იყო პეტროგრადის მსგავსი მდგომარეობა, ე. ი. ისეთი მდგომარეობა, როცა საკმარისია წასაქცევად განწირულისთვის ხელისკვრა და ამით ძალაუფლების ხელში ჩაგდების საკითხის გადაწყვეტა. საოლქო კომიტეტს შეგნებული ჰქონდა ეს და ოქტომბრის პროლეტარული გადატრიალების შესახებ ცნობების მიღების შემდეგ არ ცდილა შეიარაღებული გამოსვლა მოეწყო“[177] — ე. ი. საქართველოში არ იყო რევოლუციური სიტუაცია. ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთი ჯგუფი მკვლევრებისა საწინააღმდეგო მოსაზრებისა იყო.

მ. ორახელაშვილი აღწერდა მენშევიკების მიერ თბილისის არ-

---

176 მ. ორახელაშვილი, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს; ტფ., 1927, გვ. 39.

177 იქვე. გვ. 51—52.

სენალის ხელში ჩაგდებას და წერდა, რომ ეს თავდასხმა, რომელიც მაშინ შესაფერისად ვერ შევაფასეთ, იყო გამოსავალი პუნქტი ბლოკის მიერ საჭირო მომენტებში სისტემატური შეიარაღებული თავდასხმების მოსახდენად, რომ დაეუძლურებინა და სამხედრო ბაზისათვის ჩამოეცილებინა ბოლშევიზმი, რომელიც იმ დროს ისე გაფართოვდა, რომ ბლოკისათვის საფრთხეს და მუქარას წარმოადგენდა[178].

ავტორი წერდა არსებული რთული ვითარების შესახებ და ამბობდა. რომ ჩვენი შეცდომებიც რომ არ ყოფილიყო, ჩვენ მაინც ვერ უზრუნველვყოფდით საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასო.

მ. ორახელაშვილი ნაშრომში არ მიუთითებდა წყაროებს. სამაგიეროდ, ნაშრომს დაურთო ე. წ. „დამატებანი" და აქ გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც მაშინ დაცული იყო თბილისის რევოლუციურ მუზეუმში. ეს დოკუმენტებია რსდმპ(ბ) საოლქო კომიტეტის ყრილობის რეზოლუციები მიმდინარე მომენტის, დამფუძნებელი კრების არჩევნების, ეროვნული საკითხის, აგრარული საკითხის შესახებ. აქვეა დაბეჭდილი რსდმპ(ბ) კავკასიის ოლქისა და ფრონტის სამხედრო ორგანიზაციების წესდების პროექტი. მ. ორახელაშვილმა გამოაქვეყნა რსდმპ(ბ) კავკასიის საოლქო ყრილობის რეზოლუცია „მენშევიკებთან გაერთიანების შესახებ" და ყრილობის მისალმება ვ. ლენინისადმი.

მ. ორახელაშვილის „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს" ერთ-ერთი პირველი ნაშრომია საქართველოს პარტიული ორგანიზაციების 1917 წლის ისტორიაში. იგი კარგად არის დაწერილი, იხილავს მრავალ საინტერესო საკითხს, მაგრამ ძირითადად ეყრდნობა პირად მოგონებებს. ნაშრომში გამოქვეყნებული პარტიული დოკუმენტები თავისადროისათვის დიდმნიშვნელოვანი შენამატი იყო საქართველოს კომპარტიის ისტორიის წყაროთმცოდნეობისათვის.

ამ ეტაპზე სულ უფრო მეტი ნაშრომები იწერებოდა პარტიის ისტორიაში. საკ. კპ (ბ) ისტორია, საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორია ისტორიული მეცნიერების ცალკე დარგად ყალიბდებოდა. პროფესიონალი ისტორიკოსების ნაკლებობის გამო, ამ საქმეს კვლავ პარტიის მოღვაწენი, ბოლშევიკი პუბლიცისტები უყრიდნენ საფუძველს.

1931 წელს გამოვიდა თ. ედენტის წიგნი „ბოლშევიკური ბრძო-

---

178 მ. ორახელაშვილი, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს, ტფ., 1927, გვ. 53.

ლის ათი წელი (1917—1927 წწ.), საქართველოს კომპარტიის (ბ) მოკლე ისტორიული მიმოხილვა"[179].

თენგიზ გიგოს ძე ყელენტი დაიბადა 1887 წელს ჩოხატაურის რაიონში. პარტიაში შეევიდა 1903 წელს და პარტიის დავალებით ჩოხატაურში ქმნიდა მეაბრეშულე რაზმებს. მისი მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას, აწყობდა მიტინგებს და სხვა. 1903 წელს თ. ყელენტი დააპატიმრეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ კვლავ არალეგალურ მუშაობას ეწეოდა ჩოხატაურსა და ბათუმში. ის აქტიურად მონაწილეობდა 1905—1907 წწ. რევოლუციაში; თეორიულ დისკუსიებს აწყობდა მენშევიკების წინააღმდეგ. თ. ყელენტი რევოლუციური საქმიანობისათვის დაპატიმრებულ იქნა 1907, 1911 და 1913 წლებში. თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ მას ირანში მოუსწრო. აქ ის აირჩიეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარედ, კავკასიის არმიის მეორე ყრილობის დელეგატად. ხოლო ყრილობამ კი არმიის სამხარეო საბჭოს შემადგენლობაში აირჩია.

1918 წ. თ. ყელენტი თბილისში ჩამოვიდა და მ. ცხაკაიას ეხმარებოდა არალეგალური ბიულეტენების გამოცემაში. მალე ლ. ქართველიშვილთან ერთად, თ. ყელენტი უკრაინაში გაემგზავრა. კიევში ის დ. მანუილსკის დაუკავშირდა და აქტიურად იბრძოდა პეტლურას წინააღმდეგ. 1918 წელს თ. ყელენტი ოდესაში აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ის იყო ოდესის რევკომის წევრი, ელზაველეტგრადის გარნიზონის უფროსი და სამხედრო კომისარი; იბრძოდა გრიგორიევისა და დენიკინის წინააღმდეგ. მუშაობდა ოდესის გუბერნიის სამხედრო კომისრის მოადგილედ. 1919 წელს თ. ყელენტი თბილისში ჩამოვიდა. ის აქ მონაწილეობდა აჯანყებისათვის სამზადისში, მაგრამ იძულებული გახდა ბაქოში გახიზნულიყო. ბაქოდან მალე დაბრუნდა საქართველოში. მენშევიკებმა თ. ყელენტი დააპატიმრეს და მხოლოდ 1920 წლის მაისში გაათავისუფლეს ციხიდან. ერთხანს. თ. ყელენტი გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის მდივნად მუშაობდა, მაგრამ კვლავ დააპატიმრეს, საბჭოთა ხელისუფლებამ მას ბათუმის ციხეში მოუსწრო. იბრძოდა თურქეთის ჯარის წინააღმდეგ, რომელსაც ბათუმის დაკავება სურდა.

1921—1922 წწ. თ. ყელენტი იყო ბათუმის ოლქის სამხედრო კომისარი, გაზეთის რედაქტორი, რევკომის პრეზიდიუმის წევრი. 1922 წელს ის ქართული დივიზიის შტაბის უფროსად დანიშნეს. 1925—1926 წწ. თ. ყელენტი აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად მუშაობდა. 1927 წელს დანიშნეს საქ კპ(ბ) ცკ-ს ბუკდეკოი სიტყვისა და პარტიის განყოფილების გამგედ. 1930—1931 წლებში თ. ყელენტი, გარდა იმისა, რომ პარტიის გამგე იყო, მუშაობდა ავრეთვე მარქსისტ-ისტორიკოსების საზოგადოების გამგეობაში, ვ. ლენინის თხზულებათა ექსტრემეულის სარედაქციო კომისიის წევრად და ქართული ენციკლოპედიის კომისიის წევრად.

1931 წელს თ. ყელენტმა პარტიული სასჯელი მიიღო ნაციონალისტური გამოხდომისათვის, რაც ამაერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ გამოსვლაში გამოიხატებოდა. 1932 წელს თ. ყელენტი გაანთავისუფლეს პარტიის გამგეობიდან, ხოლო პარტიის მუშაობა ძალზე უარყოფითად იქნა შეფასებული. 1932 წ. თ. ყელენტი ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიუროს წევრად დამტკიცეს. 1933 წლიდან თ. ყელენტი საქართველოს ცაკის მდივნად აირჩიეს.

---

179 თ. ყ ე ლ ე ნ ტ ი, ბოლშევიკური ბრძოლის ათი წელი (1917—1927), საქართველოს კომპარტიის (ბ) მოკლე ისტორიული მიმოხილვა, ტფ., 1931.

1937 წელს საქართველოს კპ(ბ) X ყრილობაზე თ. ჟღენტს ნაციონალიზმი დაწყვეს ბრალად და მკაცრად გააკრიტიკეს[180].

თ. ჟღენტი გარდაიცვალა 1937 წელს.

თ. ჟღენტი მრავალი ისტორიული ნარკვევის ავტორი იყო. მის კალამს ეკუთვნოდა „1905 წ. გურიაში", „რევოლუციური მოძრაობა სამეგრელოში 1905 წ.", „რევოლუციური მოძრაობა შორაპნის მაზრაში (1905 წ.)" და სხვ. მრავალი.

თ. ჟღენტი მენშევიკების ძლიერების წყაროდ „საქართველოს კაპიტალისტურ ჩამორჩენილობას", პროლეტარიატის სისუსტეს, ქვეყნის წვრილბურჟუაზიულობას ასახელებდა. ამასთან ერთად, მენშევიკების გავლენას მშრომელებზე იმით ხსნიდა, რომ პარტიული უთანხმოების საკითხები პარტიულ ორგანიზაციებში ცალმხრივად იყო გაშუქებული. ამის შედეგი იყო, რომ როცა კომუნისტები 1917 წლის ნოემბერში ამიერკავკასიაში ძალაუფლების ხელში აღებას შეეცადნენ, დამარცხდნენ. პარტია საამისოდ მზად არ იყო. თ. ჟღენტი აღწერდა თუ მენშევიკები, თანდათან როგორ კარგავდნენ მასებზე გავლენას. მენშევიკების მარცხის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ გლეხობა ვერ დააკმაყოფილა მენშევიკების აგრარულმა პროგრამამ. მიწის „მუნიციპალიზაცია" მიწის უფასოდ ჩამორთმევას გულისხმობდა, მაგრამ არა უფასოდ დარიგებას გლეხებისათვის. 1918 წლის თებერვალში უკვე აღინიშნა, რომ გლეხობამ მენშევიკებს ზურგი შეაქცია. თ. ჟღენტი შამქორის ტრაგედიას, გლეხთა 1918 წლის მოძრაობას, დუშეთის აჯანყებას დაწვრილებით განიხილავდა პარტიის ისტორიის თვალსაზრისით, ე. ი. თუ როგორ ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები მასებს ამ ისტორიული მოვლენების პროცესში. ავტორის ყურადღება დენიკინთან მენშევიკების ურთიერთობამაც მიიპყრო. თ. ჟღენტი ფაქტიური მასალით იძლეოდა იმის სურათს, თუ როგორ ცდილობდნენ ბოლშევიკები ხელი შეეშალათ მენშევიკებისა და დენიკინის დაახლოებისათვის. 1918 წელს, თ. ჟღენტის აზრით, ბოლშევიკური პარტია ისე გაძლიერდა, რომ გაზაფხულზე უკვე ნახევრად ლეგალურად არსებობდა. ავტორის აზრით, 1918 წელს გლეხთა აჯანყებებს პარტია სუსტად ხელმძღვანელობდა, სამაგიეროდ 1919 წლის აჯანყებისათვის სერიოზულად ემზადებოდა.

თ. ჟღენტი საგანგებოდ შეჩერდა 1919 წლის აჯანყებაზე და მისი მარცხის მიზეზები განიხილა. ამ წიგნში ავტორი 1919 წლის აჯანყების მნიშვნელობის შესახებ არაფერს წერდა. 1928 წლის მაისში სა-

---

180 ...პარტარქივი ფ. 12748, ს. 48 ფ. 62—70; თ ო ი ძ ე, პარტიის რიგითი, გაზეთი „ზარია ვოსტოკა", 1967 წ. 7 თებერვალი; გაზეთი „კომუნისტი", 1933 წ., 1 მარტი.

ქართველოს კპ(ბ) ცკ-მა თ. ჟღენტის მიერ დაშვებულ შეცდომებზე სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო. ეს შეცდომები ეხებოდა მის მიერ 1919 წლის აჯანყების შეფასებას; თ. ჟღენტმა 1919 წლის აჯანყებას ავანტიურა უწოდა, შემდეგ აღიარა თავისი შეცდომა და პარტიულ სასჯელად მხოლოდ მითითება აკმარეს[181]. წიგნში განხილული იყო კომკავშირის შექმნის ისტორიისა და 1920—1921 წლებში მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ მშრომელთა ბრძოლის ისტორიის საკითხები.

თ. ჟღენტი საქართველოს კპ(ბ) ისტორიას მიმოიხილავდა 1927 წლამდე, ე. ი. ათი წლის ისტორიას (1917—1927 წწ.). საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდგომი ხანის პარტიის ისტორიას თითქმის წიგნის ნახევარი აქვს დათმობილი.

თ. ჟღენტის ეს წიგნი შესანიშნავია იმით, რომ ასეთი თანამიმდევრული ისტორია საქართველოს კომპარტიისა პირველი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ბევრი რამ აქ პირადი შთაბეჭდილებებითაა დაწერილი და ახსნილი. მაგრამ დებულებების უმეტესი ნაწილი დოკუმენტურად არის დასაბუთებული. ავტორი საარქივო მასალას სრულიად არ იყენებდა. სამაგიეროდ პრესის მასალები, პარტიული დოკუმენტები, მოგონებები უხვად იყო დამოწმებული. ავტორის წერის მანერისათვის მეტად დამახასიათებელია ამბის, მოვლენის თხრობა წყაროებით. ე. ი. თვითონ კი არ აღწერდა ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტს, მოვლენას, არამედ დოკუმენტებიდან მოჰქონდა სათანადო ციტატები ისეთი თანამიმდევრობით, რომ წარსულის სურათი ნათელი ხდებოდა. ავტორის დასკვნაც ამ დოკუმენტებიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა.

თ. ჟღენტის წიგნი თავის დროზე წარმატება უნდა ყოფილიყო კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლის საქმეში, რომ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს მისი მრავალი ნაკლოვანი მხარე არ აღენიშნა. თ. ჟღენტი ხშირად იყო პარტიული კრიტიკის ობიექტი. უმთავრესად მას ეროვნული საკითხისათვის მნიშვნელოვანი როლის მინიჭების გამო აკრიტიკებდნენ. ამიტომ ამ წიგნში, რომელშიც საქართველოს კომპარტიის ისტორიაა გადმოცემული, აბსოლუტურად გამორიცხულია ეროვნული საკითხი. როგორც ჩანს, კრიტიკამ თავისი გაიტანა და თ. ჟღენტი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს იმ თავისებურებას, რაც ჰქონდა საქართველოს კომპარტიის ისტორიას, იმას, რომ ეს კომპარტია საქართველოს კომპარტია იყო და მის პოლიტიკურ საქმიანობას ბევრად განსაზღვრავდა ეროვნული მომენტი.

---

181 ...პარტარქივი, ფ. 12748, ს. 48, ფ. 64.

თ. ელენტის წიგნში პარტიის ისტორიის მთელი რიგი საკითხი არასასურველად იყო გაშუქებული. ეს ეხება უმთავრესად 1921 წლის შემდგომ ხანას. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1932 წლის თებერვალში დაადგინა, რომ თ. ელენტი გაეთავისუფლებინა პარტიისის გამგეობიდან, ხოლო მისი წიგნი „ბოლშევიკური ბრძოლის ათი წელი", რადგანაც პარტიის ისტორიის მთელ რიგ საკითხებს არასწორად აშუქებდა, ხმარებიდან ამოეღოთ[182]. თ. ელენტს ბრალად დადეს, რომ პარტიის ისტორიის საკითხების განხილვისას მას ჰქონდა მენშევიკურ-ტროცკისტული და ნაციონალ-უკლონისტური შეცდომები[183].

1927 წელს ჟურნალ „რევოლუციის მატიანე"ში[184] თ. ელენტმა გამოაქვეყნა მოგონება „მუშაობა ოქტომბრისათვის". მოგონება შეიცავდა წყაროებს, უფრო სწორად კი ავტორი ცდილობდა პირადი შთაბეჭდილებები წყაროებით გადაეხალისებინა, თავისი მოსაზრებანი წყაროებით დაესაბუთებინა. თ. ელენტის ასეთი სახის მოგონება მემუარული ლიტერატურის წინსვლას მოწმობდა. თ. ელენტი მოგონებაში წერდა, რომ 1919 წლის შემოდგომის აჯანყება, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი თვითონ იყო, სუსტად იყო მომზადებული, აჯანყებულებს არ ჰქონდათ სამოქმედო გეგმა. აქედან გამომდინარე თ. ელენტი დაასკვნიდა, რომ ეს აჯანყება წესწყობილების შეცვლის იმედებს არ იძლეოდა, რადგან მოუმზადებელი იყოო. 1919 წელს აჯანყების ასეთი შეფასებისათვის საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ თ. ელენტს მიუთითა. მან აღიარა შეცდომები. ამის შესახებ ჩვენ ზევით გვქონდა საუბარი. იმავე ჟურნალის 1928 წლის მეორე ნომერში[185] გამოქვეყნდა ფ. მახარაძის წერილი „საჭირო განმარტება". ავტორი ასაბუთებდა თ. ელენტის მოსაზრების მცდარობას, აკრიტიკებდა მას და ხსნიდა აჯანყების მარცხის მიზეზებს.

1929 წელს „რევოლუციის მატიანემ"[186] დაბეჭდა თ. ელენტის წერილი „კავკასიის ფრონტის არმია ოქტომბრის დღეებში". ავტორი დოკუმენტებზე დაყრდნობით აღწერდა კავკასიის არმიაში ბოლშევიკების მუშაობას და ამის შედეგად მოპოვებულ წარმატებებს.

ისტორიული მეცნიერების ამ ეტაპზე უკვე ხშირი იყო საქართ-

---

182 ...პარტარქივი, ფ. 14, აღწ. 2, ს. 4237, ფ. 24.
183 ი ქ ვ ე, ფ. 155.
184 „რევოლუციის მატიანე", 1927, № 2.
185 ი ქ ვ ე, 1928, № 2.
186 ი ქ ვ ე, 1929, № 1.

ველოს რევოლუციური მოძრაობის, კომუნისტური პარტიის ისტორიის გაბმული თხრობით დაწერილი წიგნები. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო წიგნი იყო ბ. ბიბინეიშვილის „მეოთხედი საუკუნის მანძილზე“[187].

ბართლომე (ბარონ) ექვთიმეს ძე ბიბინეიშვილი დაიბადა 1883 წელს სოფ. სურებში. ოზურგეთის მაზრაში. ბ. ბიბინეიშვილი სპეციალობით ბუხჰალტერი იყო, პარტიაში 1899 წელს შევიდა.

ბ. ბიბინეიშვილმა 1896 წ. დაამთავრა ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელი, 1898 წელს კი ბუხჰალტრის კურსები თბილისში და ვეტცელის ლუდის ქარხნის კანტორაში მუშაობდა. თბილისში ის დაუახლოვდა რევოლუციურად განწყობილ მუშებსა და სამრეწველო სასწავლებლის სტუდენტებს; აქვე გაეცნო პ. ჯაფარიძეს. 1900 და 1901 წელს ბ. ბიბინეიშვილმა მონაწილეობა მიიღო მაისობაში. 1902 წელს ის დააპატიმრეს და რამდენიმე თვე მეტეხის ციხეში ამყოფეს. ბ. ბიბინეიშვილი იძულებული გახდა ქუთაისში გადასულიყო, სადაც პ. ჯაფარიძესთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში; 1907 წელს მონაწილეობდა ქუთაისის ციხეში გვირაბის გაყვანაში, რისთვისაც ორენბურგის გუბერნიაში გაასახლეს. ამის შემდეგ რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული რევოლუციური მუშაობისათვის. თებერვლის რევოლუციამ მას ფრონტზე მოუსწრო. 1918 წელს ბ. ბიბინეიშვილი ქუთაისში ჩავიდა და მ. ორახელაშვილთან ერთად არალეგალურად მუშაობდა; იმავე წელს თბილისში დაბრუნდა და აქტიურად იბრძოდა მენშევიკების წინააღმდეგ. მენშევიკებმა ის რამდენჯერმე დააპატიმრეს.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, ბ. ბიბინეიშვილი, 1922 წლამდე, თბილისის რევკომის თავმჯდომარის მოადგილე იყო, შემდეგ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველად მუშაობდა. 1922 წელს ის ამიერკავკასიის სფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილედ გადაიყვანეს, იყო აქვე კომისრის რწმუნებული საქართველოში.

1923 წელს ბ. ბიბინეიშვილი სახელმწიფო ბანკის, ხოლო შემდეგ სასოფლო ბანკის დირექტორად მუშაობდა.

1926 წლის შემდეგ ბ. ბიბინეიშვილი სახელგამის გამგედ, რევოლუციის მუზეუმის დირექტორად, ბეჭდვითი ტექნიკუმის დირექტორად, განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად მუშაობდა. უკანასკნელ წლებში კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი იყო[188].

ბ. ბიბინეიშვილი გარდაიცვალა 1938 წელს. მან მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. მის კალამს ეკუთვნის „ლადო კეცხოველი“, „საიდუმლო გვირაბი“ და სხვა ისტორიული ხასიათის ნაშრომები.

ბ. ბიბინეიშვილის წიგნი „მეოთხედი საუკუნის მანძილზე“ ძირითადად მემუარული ხასიათის ნაშრომია, სადაც მოთხრობილია რევოლუციონერის მთელი მოღვაწეობა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე და ამ ფონზეა გადმოცემული საქართველოში რევოლუცი-

---

187 ბ. ბიბინეიშვილი, მეოთხედი საუკუნის მანძილზე, მეოთხე შევსებულ—შესწორებული გამოცემა, ტფ. 1932.

188 ...პარტარქივი, ფ. 12798, ს. 215, გვ. 39—46.

ური მოძრაობის ისტორია, კომუნისტური პარტიის ისტორია. ავტორი ოსტატურად უკავშირებდა პირად შთაბეჭდილებებს დოკუმენტურ მასალას და ასე აშუქებდა მრავალ საინტერესო ისტორიულ საკითხს. ასეთივე ხერხით გადაწყვიტა მან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამოჩენილ რევოლუციურ მოღვაწეთა წამყვანი როლის ჩვენება. წიგნში საუკეთესო ფურცლები აქვს დათმობილი ი. სტალინის, ლ. კეცხოველის, ალ. წულუკიძის, ა. ენუქიძისა და სხვათა რევოლუციური საქმიანობის დახასიათებას. წიგნი ისე საინტერესოდ და პოპულარულად იყო დაწერილი, რომ ის ოთხჯერ გამოიცა; გამოვიდა აგრეთვე რუსულად და სომხურად.

იმ ხანებში 20-იანი წლების მიწურულსა და 30-იანი წლების დასაწყისში მწვავედ იდგა სკოლებისათვის ისტორიის სახელმძღვანელოს საკითხი. არ არსებობდა სათანადო წიგნები, რომლითაც შეიძლებოდა მოსწავლეები გაცნობოდნენ ქართველი ხალხის რევოლუციურ წარსულს. ასეთ ვითარებაში ბ. ბიბინეიშვილის ეს წიგნი დამტკიცებულ იქნა სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის და მეორე საფეხურის სკოლების საზოგადო მეცნიერების დამხმარე წიგნად.

თავის დროზე ბ. ბიბინეიშვილის წიგნი „მეოთხედი საუკუნის მანძილზე" მეტად პოპულარული იყო. ცხადია, ასეთ წიგნში, მემუარული ხასიათის ნაშრომში, რომელშიც უხვად იყო დამოწმებული არქივებიდან და პრესიდან მოტანილი დოკუმენტური მასალა, ავტორისეული ისტორიული კონცეფციაც იყო.

ბ. ბიბინეიშვილი 1919 წლის აჯანყების წინააღმდეგი იყო. აჯანყების შედეგებზე კი ისეთი ტონით წერდა, რომ თითქოს მისი წინასწარმეტყველება გამართლდა.

ბ. ბიბინეიშვილმა მოგვცა მენშევიკების ხელისუფლების დროს საქართველოს ეკონომიკის, სამეურნეო ცხოვრების ზოგადი დახასიათება. ქვეყნის მძიმე მდგომარეობას, შრომის ნაყოფიერებისა და საწარმოო ძალების კატასტროფულ დაქვეითებას ავტორი მენშევიკების მთავრობის მიერ კერძო საკუთრების პრინციპების აღიარებისა და ჩარჩ-სპეკულანტების ინტერესების დაცვის შედეგად თვლიდა.

საინტერესოა ბ. ბიბინეიშვილის შეხედულება ქართველი ბურჟუაზიის საქმიანობაზე. ავტორი წერდა, რომ სუსტმა ქართველმა ბურჟუაზიამ მენშევიკების დროს ფრთა შეისხა. მისი იდეალი განხორციელდა — შეიქმნა ეროვნული ქართული სახელმწიფო და ამით ჩამოიშორა მეზობლების, უმთავრესად სომხის ბურჟუაზიის კონკურენცია. ქართულმა ბურჟუაზიამ მუშათა კლასის ზედა ნაწილი მოიშინაურა და „ყოველივე ეს კი კარგ გავლენას ახდენდა ქართველი ბურჟუაზიის ჯიბესა და გუნებაზე, რომელიც მენშევიკური დიქტა-

ტურის უაღრესად საიმედო დასაყრდენი იყო მისი არსებობის მთელ მანძილზე".

ბ. ბიბინეიშვილის წიგნი ახლაც ინტერესით იკითხება. მას დამატების სახით თან ერთვის ბ. ბიბინეიშვილის პუბლიცისტური წერილები, რომლებიც 1920 წელს ბოლშევიკურ გაზეთებში დაიბეჭდა. თავის დროზე ეს წიგნი სკოლის მოსწავლეებს სათანადო წარმოდგენას მისცემდა საქართველოს რევოლუციურ წარსულზე.

ნაშრომი შეცდომებისაგან არ იყო დაზღვეული. ჩვენ აქ მხოლოდ ერთ მეტად არსებით შეცდომას აღვნიშნავთ. ბ. ბიბინეიშვილი ქართველი ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენციის იდეოლოგად მიიჩნევდა ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ვითომდა აგრარული არეულობის ნიადაგზე მოჰკლეს. ილია ჭავჭავაძის და მისი მოღვაწეობის ასეთი შეფასება მენშევიკებთან იღებდა ფესვებს და მარქსისტული ისტორიული კონცეფციისათვის ყოვლად მიუღებელი იყო.

მარქსისტი მკვლევრები 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიას უკვე მრავალი მხრით სწავლობდნენ. უმთავრესი მაინც რევოლუციური ბრძოლის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიის შესწავლა იყო. მაგრამ თვით ამ ბრძოლაში წინა პლანზე იყო აგრარული საკითხი. ამიტომ იყო რომ ახალგაზრდა მარქსისტ მკვლევართა ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი ეკონომისტი კ. ორაგველიძე აგრარულ ურთიერთობას იკვლევდა. კ. ორაგველიძემ 20-იანი წლების ბოლოს საქართველოსა და ამიერკავკასიის აგრარულ საკითხზე ორი ნაშრომი გამოსცა — „ქართველი მენშევიკების აგრარული „რეფორმა" და „კაპიტალიზმის განვითარება ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში"[189].

კარლო შევარდენის ძე ორაგველიძე დაიბადა 1902 წელს. კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1919 წლიდან. 1916 წელს კ. ორაგველიძე ხონში შეეიდა ახალგაზრდა მარქსისტების წრეში, რომლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა. 1918—1919 წლებში კ. ორაგველიძე რუსი ინტერნაციონალისტების პოზიციაზე იდგა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ქართველ მენშევიკთა პოზიციაზე დადგა. ამისდა მიუხედავად კ. ორაგველიძე მენშევიკების პარტიაში არ შესულა. 1919 წელს ის ბოლშევიკურ ლიტერატურას გაეცნო. კომკავშირში შევიდა და კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მდივანი იყო. პარტიაში შესვლის შემდეგ პარტიულ და კომკავშირულ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა: იყო პროპაგანდისტი, სცემდა ჰექტოგრაფზე დაბეჭდილ არალეგალურ ჟურნალს „კომუნისტს", იყო კომკავშირის საგუბერნიო კომიტეტის წევრი და სხვ.

---

189 კ. ორაგველიძე, ქართველი მენშევიკების აგრარული „რეფორმა", ტფ., 1927; მისივე, კაპიტალიზმის განვითარება ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში, ტფ., 1930.

მენშევიკებმა კ. ორაგველიძე რამდენჯერმე დააპატიმრეს. უკანასკნელად საპატიმროდან ის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გამოვიდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კ. ორაგველიძე კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა გაზეთის რედაქტორად და ბეჭდვითი სიტყვის ქვეგანყოფილების გამგედ.

1921 წელს კ. ორაგველიძე რუსეთის კომკავშირის მეოთხე ყრილობის დელეგატი იყო. მოსკოვში ყოფნისას ის აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში დატოვეს სასწავლებლად; იქიდან 1922 წლის თებერვალში კ. ორაგველიძე სვერდლოვის კომუნისტურ უნივერსიტეტში გადავიდა.

1923 წელს კ. ორაგველიძემ დაამთავრა კომუნისტური უნივერსიტეტი, მუშაობდა ამიერკავკასიის პარტიის სამხარეო კომიტეტში პროპაგანდის ქვეგანყოფილების გამგედ და საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს ბეჭედვითი სიტყვის ქვეგანყოფილების გამგედ. შემდეგ წითელი პროფესურის ინსტიტუტში სწავლობდა.

1928—1929 წწ. კ. ორაგველიძე მონაწილეობდა მარქსისტ-ისტორიკოსების I ყრილობისა და მარქსისტ-აგრარიკოსების კონფერენციის მუშაობაში.

1929 წლიდან კ. ორაგველიძე ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი და ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი იყო; 1930 წლიდან ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის კათედრის გამგედ, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. 1932-1935 წწ. კ. ორაგველიძე საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე და ჟურნალების „პროპაგანდისტის“ და „ბოლშევიკის“ რედაქტორი იყო; 1933 წელს კ. ორაგველიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტ-ეკონომიის კათედრის გამგედ დანიშნეს. 1935 წლიდან 1937 წლის სექტემბრამდე უნივერსიტეტის რექტორად, პარტიის ისტორიისა და პოლიტეკონომიის კათედრების გამგედ, ჟურნალ „საბჭოთა მეცნიერების“ რედაქტორად. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარედ (1936 წლიდან) და სხვა თანამდებობებზე მუშაობდა.

კ. ორაგველიძე გარდაიცვალა 1938 წელს[190]. ?

თავის დროზე კ. ორაგველიძე ცნობილი ეკონომისტი იყო. მის კალამს ეკუთვნის მრავალი საინტერესო ნაშრომი, მაგალითად, „სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პრობლემები“, „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია“, „რეალიზაციის თეორიის საკითხისათვის“, „ბურჟუაზიული ეკონომისტები საბჭოთა ეკონომიკის შესახებ“ და სხვ.

წითელი პროფესურის ინსტიტუტში სწავლისას კ. ორაგველიძე კაპიტალიზმის განვითარების საკითხებს იკვლევდა. იმ დროისათვის დამახასიათებელი მიდგომა, პრაქტიკული მოსაზრება ჰქონდა მის მიერ ამ არსებითი საკითხის შესწავლას. სოციალისტური მშენებლობის დროს საჭირო იყო მეცნიერულად დასაბუთებულიყო სამეურნეო პერსპექტიული გეგმები. ამის გაკეთება კი საკითხის ისტორიული გააზრების გარეშე შეუძლებელი იყო. საჭირო იყო გაერკვიათ, თუ რა დონეზე იდგა კაპიტალიზმის განვითარება ამიერკავკასიაში და რა ბაზაზე შეიძლებოდა სოციალისტური მშენებლობის დაწყება.

---

190 ...პარტარქივი, ფ. 8, აღწ. 1, ს. 8.

კ. ორაგველიძე საქართველოში გლეხის ჩაგვრის ორმაგ უღელს ცნობდა — ეკონომიურსა და ეროვნულს. ამის გამო იყო, რომ საქართველოში მეფის რუსეთი პრივილიგირებულ მდგომარეობაში აყენებდა მიწათმფლობელებს. კ. ორაგველიძე იმეორებდა დებულებას: საგლეხო რეფორმის შემდეგ საქართველოში გლეხობა მასიურად გაღატაკდა და სათანადო მასალის მოტანით უჩვენებდა, რომ საქართველოს გლეხობა პროლეტარიზაციის გზას დაადგა.

სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით კ. ორაგველიძე ასაბუთებდა, რომ საქართველო მსხვილი და ძლიერ მსხვილი მიწათმფლობელობის ქვეყანა იყო. მართალია, საქართველოში უმეტესობას შეადგენდა წვრილი მემამულეები, მაგრამ მიწის ფართობის მიხედვით მათ გაცილებით სჭარბობდა მსხვილი მემამულეები. თავის მეორე წიგნში კი იმავე გზით — სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით მიდიოდა დასკვნამდე, რომ ჩვენში ძალიან ძლიერი და ძალიან მრავალრიცხოვანი იყო წვრილი თავად-აზნაურობა, წვრილი სამფლობელოები[191].

1905—1907 წლების რევოლუციაში აგრარული საკითხი მეტად მწვავედ იდგა. საქართველოსა და ამიერკავკასიაში ეს გაპირობებული იყო იმითაც, რომ მეფის რუსეთი აქ კოლონიურ პოლიტიკას ატარებდა. გლეხობა ძალზე ღატაკი, ხოლო ქვეყნად კაპიტალიზმი განუვითარებელი იყო. აქედან გამომდინარე მწვავე 1905 წელი შემთხვევითი არ იყო საქართველოში. კ. ორაგველიძის ნაშრომებისათვის დამახასიათებელი ის იყო, რომ საქართველოს როგორც განვითარებულ კატალისტურ ქვეყანას XX საუკუნეში, არ ცნობდა. მისი აზრით, საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კაპიტალიზმის განვითარება აღმავალი ხაზით მიდიოდა, მაგრამ ქვეყანა მაინც განუვითარებელი კაპიტალიზმით ხასიათდებოდა და ეს იყო მწვავე რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთი მიზეზი. კ. ორაგველიძე საქართველოში ცნობდა მდიდარ მიწათმფლობელებს, ბობოლა გლეხებს[192], (რომელთა ხელში მიწის დიდი ფართობი იყრიდა თავს) გაღატაკებულ გლეხებს (რომლებიც გლეხთა მასის დიდ ნაწილს წარმოადგენდა) და, ცხადია, ამათ გარდა უნდა არსებულიყო კიდევ საშუალო გლეხთა მცირე ფენა. XX საუკუნის საქართველოს სოფლის კლასობრივ დი-

---

191 კ. ორაგველიძე, კაპიტალიზმის განვითარება ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში, გვ. 28, მისივე, ქართველი მენშევიკების აგრარული „რეფორმა", ტფ., 1935, გვ. 39.

192 კ. ორაგველიძე, კაპიტალიზმის განვითარება ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში, გვ. 28.

ფერენციაზე კ. ორაგველიძის ეს შეხედულება ვ. ლენინის მოძღვრებიდან გამომდინარეობდა[193].

კ. ორაგველიძე რევოლუციაში გლეხთა მასების მაღალი აქტივობის მიზეზებად გლეხთა უმიწაწყლობას, კაპიტალიზმის განუვითარებლობას, მაღალ საიჯარო ფასს, შრომის ნაყოფიერების დაცემას, მრეწველობაში კოლონიურ პოლიტიკას ასახელებდა.

კ. ორაგველიძე არ უარყოფდა საქართველოში კაპიტალიზმის არსებობას, მაგრამ ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ ჩვენში კაპიტალიზმი განუვითარებელი იყო. ამის მიზეზად კი მეფის რუსეთის საგადასახადო პოლიტიკასა და ფეოდალური წყობის გადმონაშთებს ასახელებდა. ეს მოსაზრება ქართული ისტორიოგრაფიისათვის უკვე განვლილი ეტაპია. 1905—1907 წლების რევოლუცია იმიტომ იყო საქართველოში ასე მღელვარე და ღირსშესანიშნავი, რომ ქვეყნად არსებული ფეოდალიზმის გადმონაშთები და კაპიტალიზმის განვითარების საკმარისად მაღალი დონე (ის რუსეთის შიდა გუბერნიებს ბევრით არაფრით ჩამოუვარდებოდა) მწვავე წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ.

კ. ორაგველიძის დებულებიდან, რომ კაპიტალიზმი საქართველოში განუვითარებელი იყო, გამომდინარეობს მისი დებულება, რომ საქართველო XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეკონომიურად დაქუცმაცებული იყო, რომ კარჩაკეტილი მეურნეობა გვქონდა და მოწყვეტილი ვიყავით არა თუ მსოფლიო, არამედ სომხეთისა და აზერბაიჯანის ბაზრებსაც კი. ავტორის აზრით, ასეთ კარჩაკეტილ მეურნეობას რკინიგზების გაყვანამ მოუღო ბოლო. ხოლო რკინიგზების გაყვანის მიზეზად რუსეთის მიერ ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისების აუცილებლობას და სამხედრო-პოლიტიკურ მომენტს ასახელებდა. ამის შემდეგ უკვე ლოგიკური იყო კ. ორაგველიძის ის მსჯელობა, რომ რკინიგზებს კაპიტალიზმი შემოჰყავდა საქართველოში. რკინიგზებმა დააჩქარეს საქართველოს მეურნეობის საქონლიზაციის პროცესი (ე. ი. გასაქონლიანება)[194], ახალი ქალაქების გაჩენა. რკინიგზების გაყვანამდე, კ. ორაგველიძის აზრით, საქართველო არ იცნობდა საქალაქო ცხოვრებას. რომ რკინიგზებმა შექმნეს მსხვილი მრეწველობისა და პროლეტარიატის ცენტრები.

კ. ორაგველიძის დებულებათა ეს სქემა სწორი იქნებოდა იმ შემთხვევაში, საქართველო დაბალგანვითარებული, წმინდაწყლის კოლონიური ქვეყანა რომ ყოფილიყო. XIX საუკუნის 70-იან წლებში სა-

---

193 ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი. გამოცემა მეოთხე, ტ. 13, გვ. 275.
194 კ. ო რ ა გ ვ ე ლ ი ძ ე, ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 85.

ქართველოში მოსდა კაპიტალიზმის მანუფაქტურული პერიოდიდან მსხვილ მანქანურ წარმოებაზე, საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე გადასვლა. ეს კაპიტალიზმის განვითარების მაღალ სტადიას ნიშნავდა. აქედან გამომდინარე, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგი უნდა ყოფილიყო რკინიგზების გაყვანა[195]. რკინიგზებს კი არ შემოჰყვა კაპიტალისტური ურთიერთობა, პირიქით, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ მოითხოვა რკინიგზების გაყვანა. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ რკინიგზების მშენებლობას ჰქონდა სამხედრო-პოლიტიკური დანიშნულება (ასეთი დანიშნულება გზებს ყველა ეპოქაში აქვთ) და რომ რკინიგზებმა საქართველო უფრო მჭიდროდ დააკავშირა მსოფლიო ბაზარს. კ. ორაგველიძის ასეთი მოსაზრება XX სს. საქართველოს ისტორიაზე საერთოდ მიღებული იყო მაშინდელ ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში.

კ. ორაგველიძე ყურადღებას მიაქცევდა იმ ფაქტს, რომ რუსეთის პურმა ბაზარზე დაამარცხა საქართველოს მარცვლეულის წარმოება და ამიტომ ჩვენში სოფლის მეურნეობამ ტექნიკურ კულტურებზე იწყო დასპეციალება. მაგრამ მემამულეთა ლატიფუნდიები არსებითად ფეოდალურ ლატიფუნდიებს წარმოადგენდა. აქ მისდევდნენ ისეთ კულტურებს, რომლებიც სარგებელს მცირეს იძლეოდა. მემამულეები მაღალი საიჯარო გადასახადით კმაყოფილდებოდნენ. მოიჯარადრეები კი მამულს პირველყოფილი მეთოდებით ამუშავებდნენ, რაც უფრო დიდი იყო მამული, მით უფრო მცირე შემოსავალს იძლეოდა ის. კაპიტალიზმის განვითარებამ სოფლად მემამულეთა მეურნეობების დაშლა მოითხოვა და ქვეყნის „საქონლიზაციის" სწრაფმა ზრდამ ეს პროცესი დააჩქარა[196]. ამ პროცესს გლეხთა დიფერენციაცია მოსდევდა. მემამულეთა მიწათმფლობელობა თანდათან იშლებოდა. სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ თავადაზნაურობის კოლოსალური დავალიანება გამოიწვია. მემამულეთა მიწები ვაჭრებსა და სოფლის შეძლებულ ფენებს უვარდებოდათ ხელში. ასე მსჯელობდა კ. ორაგველიძე საქართველოს სოფელში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ. ის ხედავდა ბობოლა გლეხების ფენას, რომელსაც ხელთ ჩაუვარდა მიწის დიდი ფართობი და გლეხთა ძირითად მასას ექსპლუატაციას უწევდა. სოფლის ბურჟუაზიამ განსაკუთრებული სწრაფი განვითარება 1905—1907 წლებში, რევოლუციის შემდეგ დაიწყო.

ავტორი 1917 წლის რევოლუციის ცენტრალურ საკითხად აგრა-

---

195 იხ. საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1962.

196 კ. ო რ ა გ ვ ე ლ ი ძ ე. ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 112.

რულ რევოლუციას მიიჩნევდა. რომლის დროსაც გლეხთა მიწათსარგებლობის გაფართოება მემამულეთა მიწების ხარჯზე აგრარული რევოლუციის მხოლოდ ერთი მხარე უნდა ყოფილიყო. მეორე მხარე კი ის იყო, რომ აგრარული რევოლუცია ბოლომდე უნდა მისულიყო და მიწაზე ბურჟუაზიული კერძო საკუთრება უნდა მოესპო, მიწის ნაციონალიზაცია უნდა გამოეცხადებინა.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მიწის საკითხი გადაჭრა, მაგრამ ქართველმა მენშევიკებმა ამ რევოლუციას ზურგი შეაქციეს. დროებითი მთავრობა უმთავრესად იმიტომ დამარცხდა, რომ მან მიწის საკითხი ვერ გადაჭრა. კ. ორაგველიძემ განიხილა მენშევიკთა აგრარული პოლიტიკა, მათი მიწის კანონმდებლობა. მენშევიკთა ხელისუფლებამ მემამულეებს მიწის დიდი ნორმა დაუტოვა. ამასთან მემამულეთა ხელში დარჩა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა ჩამორთმეული მამულები ისევ თავადაზნაურობისათვის მიეცა იჯარით. კანონით მემამულეებს მიწა უსასყიდლოდ უნდა ჩამორთმეოდათ. მათ მიწის დიდი ნაწილი ბანკებში ჰქონდათ დაგირავებული. რეფორმის შედეგად მათ ეს მიწები, რომელთა გამოსყიდვა არ შეეძლოთ, ჩამოართვეს. ამგვარად, მემამულეებმა ვალის გადახდაზე უარი თქვეს და მიწები მთავრობას გადასცეს[197]. ხოლო ამ ჩამორთმეულ მამულებს მთავრობა გლეხებზე ჰყიდდა და ამით, ფაქტიურად, მემამულეთა ვალებს იხდიდა. გამოვიდა დახშული წრე: უსასყიდლოდ ჩამორთმეულ მიწებში მემამულეებმა ფული მიიღეს (ვალები მოეხსნათ). გლეხებმა კი ეს მამულები იყიდეს. ასეთი იყო კ. ორაგველიძის მსჯელობა მენშევიკთა მიწის კანონმდებლობის შესახებ.

მიწა გლეხებმა საკუთრებაში მიიღეს და ამით ბურჟუაზიული საკუთრება დაკანონდა. მამულების გლეხებისათვის მიყიდვა შემოსავლის წყარო იყო. ეს კი ქვეყნად ბურჟუაზიულ საკუთრებას აკანონებდა.

ბურჟუაზიული საკუთრების დაკანონებას სოფლის ბურჟუაზიული კლასის გაძლიერება-განმტკიცების პროცესიც თან ახლდა. ჩამორთმეული მიწის თითოეული დესეტინა უნდა გაეყიდათ 400—1000 მანეთად. ფული წინდაწინ უნდა შეეტანათ. ამის გაკეთება მხოლოდ შეძლებულ გლეხს შეეძლო. ამგვარად, მამულები თავს იყრიდა კვლავ ბობოლა გლეხების ხელში და სოფლის ბურჟუაზია ძლიერდებოდა.

აქაც მემამულეებმა გაიმარჯვეს მენშევიკების რევოლუციაზე.

---

197 კ. ორაგველიძე. ქართველი მენშევიკების აგრარული „რეფორმა" გვ. 57.

შედეგმაც მალე იჩინა თავი. გლეხთა აჯანყებები ძირითადად აგრარულ ნიადაგზე ხდებოდა. კომუნისტები ამ აჯანყებებში აქტიურად მონაწილეობდნენ, მაგრამ აჯანყებები კომუნისტების მიერ კი არ იყო გამოწვეული. არამედ მათ საფუძვლად ღრმა ეკონომიური მიზეზები ედო. გლეხებმა მიწის გამო მემამულეებზე მიიტანეს იერიში. მემამულეებს მთავრობა გამოესარჩლა და აგრარული მოძრაობა დიდ პოლიტიკურ აქტად გადაიქცა. ეს აქტი ბატონყმობის ნაშთებისა და მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. აფხაზეთსა და ოსეთში აგრარულ მოძრაობას ეროვნული მომენტი ერთვოდა თან. კ. ორაგველიძის ასეთი მსჯელობა მარქსისტულ ისტორიულ კონცეფციას ქმნიდა მენშევიკ-ხელისუფალთა აგრარული კანონმდებლობისა და 1918—1920 წლებში საქართველოს გლეხთა აჯანყებების შესახებ.

კ. ორაგველიძე წერდა, რომ ქართველი მენშევიკების აგრარული თვალსაზრისი ქართველი გლეხკაცობის შეძლებული ნაწილისა და მრავალრიცხოვანი წვრილი და საშუალო თავადაზნაურის თვალსაზრისი იყო. მთელი მათი კანონმდებლობა ამ სოციალური ჯგუფების ინტერესებს ემსახურებოდა, ე. ი. მენშევიკები სოფლად გამოხატავდნენ კაპიტალისტური ელემენტების ინტერესებს. სოფლის ღარიბ-ღატაკნი რადიკალური აგრარული რევოლუციით იყვნენ დაინტერესებულნი. 1918—1920 წლების აგრარული რევოლუცია მიმართული იყო როგორც ბატონყმობის ნაშთების, ისე სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

30-იანი წლების შუა ხანებში კ. ორაგველიძემ თავის წიგნი მენშევიკების აგრარული რეფორმის შესახებ, მეორედ გამოსცა[198]. პირველ (1927 წ.) და მეორე (1935 წ.) გამოცემას შორის განვლილ პერიოდში, საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ დიდი გზა განვლო. ლენინური ისტორიული კონცეფცია საბჭოთა ისტორიკოსების მიერ ღრმად იქნა შეთვისებული. კ. ორაგველიძის ნაშრომის მეორე შესწორებული გამოცემაც იმას გულისხმობს, რომ ავტორი ვ. ლენინის ლიტერატურულ მემკვიდრეობას გაეცნო და სათანადოდ გამოიყენა. ამ პერიოდში ვ. ლენინის თხზულებანი რამდენიმეჯერ გამოვიდა. ისტორიკოსების და ეკონომისტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ვ. ლენინის ნაშრომი „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში“, რომელიც პირველად მხოლოდ 1917 წელს გამოვიდა და მის აღქმა-ათვისებას დიდი დრო დასჭირდა.

---

198 კ. ორაგველიძე, ქართველი მენშევიკების აგრარული „რეფორმა“, მეორე შესწორებული გამოცემა, ტფ., 1935.

ლენინურ დებულებას სოფლად კაპიტალიზმის განვითარების ორი გზის შესახებ კ. ორაგველიძე უკვე კარგად იცნობდა და სცადა იგი შეეფარდებინა საქართველოს სოფლის განვითარებისათვის. ავტორის აზრით, მენშევიკების მიერ განხორციელებული აგრარული პროგრამა ბურჟუაზიული აგრარული პროგრამა იყო. მათ მიერ გატარებული „რეფორმა" სოფლის მეურნეობის ბურჟუაზიული განვითარების ამერიკულ გზას უარყოფდა. ქართველმა მენშევიკებმა სოფლად ბურჟუაზიული განვითარების მეორე, პრუსიული გზა ამოირჩიეს[199].

ქვეყნად მსხვილი მემამულური ლატიფუნდიები არსებობდა. კ. ორაგველიძე წერდა, რომ ის ნორმები, რაც ჩვენში თავადაზნაურობას ეჭირა, მენშევიკების მიერ დაკანონებულ ნორმებზე ნაკლები იყო[200]. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სრულიადაც არ არსებობდა იმის საფუძველი, რომ საქართველოს სოფელში კაპიტალიზმი პრუსიული გზით განვითარებულიყო. განვითარების პრუსიული გზისათვის უპირველესად საჭიროა ქვეყნად მსხვილ მემამულურ მეურნეობათა არსებობა[201]. განვითარების ამერიკული გზა, სოფლად გლეხის ბურჟუაზიულ ფერმერად გადაზრდა მხოლოდ რევოლუციის შედეგად უნდა მომხდარიყო. ასეთი რევოლუცია იყო თებერვლის ბურჟუაზიულ-დამოკრატიული რევოლუცია და ოქტომბრის რევოლუციის ექო, რომლის შედეგადაც ქვეყნად გაჩაღდა აგრარული რევოლუცია და 1917, 1918—1920 წწ. საქართველოს გლეხთა აჯანყებების დროს გლეხებმა დაიტაცეს მემამულეთა მიწები, დააქუცმაცეს ისინი. მენშევიკთა აგრარული რეფორმა, რომელიც 1917 წელს დაიწყო და 1921 წლამდე გრძელდებოდა, ამ აგრარული მოძრაობის შედეგების დაკანონება, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მიტაცებას გადარჩენილი მსხვილი მემამულეების შეკვეცა იყო. აქედან გამომდინარე, მენშევიკთა აგრარული რეფორმა სოფლის მეურნეობაში ბურჟუაზიის განვითარების ამერიკულ გზას უწყობდა ხელს.

კ. ორაგველიძე თავის მსჯელობაში არსებულ შეუსაბამობას თვითონვე გრძნობდა და ამიტომ იყო, რომ მენშევიკების აგრარულ რეფორმას განვითარების პრუსიული გზის ვარიანტს უწოდებდა[202]. 1927 წელს კ. ორაგველიძე ამბობდა, რომ 1905—1907 წლების რევო-

---

199 კ. ორაგველიძე, ქართველი მენშევიკების აგრარული „რეფორმა", მეორე შესწორებული გამოცემა, ტფ., 1935, გვ. 86.

200 იქვე, გვ. 38.

201 ვ. ლენინი, თხზულებანი, მეოთხე გამოცემა, ტ. 13, გვ. 291.

202 კ. ორაგველიძის ამ დებულებას სამართლიანად აკრიტიკებს კ. ჩარკვიანი წიგნში „ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ", თბ., 1962, გვ. 93—95.

ლუციის დროს ძირითადი საკითხი აგრარული საკითხი იყო. მეორე გამოცემაში — რვა წლის შემდეგ უკვე წერდა. რომ ძირითადი ამ რევოლუციაში ძალაუფლების საკითხი იყო, ხოლო აგრარულ საკითხს საპატიო ადგილი ეჭირაო. კ. ორაგველიძეს წიგნში დებულებების დასადასტურებლად მოჰყავდა ი. სტალინის ციტატები. რაც ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში პირველი იყო. აქ უკვე კარგად ჩანდა, რომ ახალი ხანა იწყებოდა ისტორიული მეცნიერების ისტორიაში.

კ. ორაგველიძის ეს ნაშრომები პროფესიონალი ავტორის მიერაა დაწერილი. მოვლენათა ანალიზს ავტორის კვალიფიციურობა და პროფესიონალობა აშკარად ეტყობა. ავტორი ეყრდნობოდა სტატისტიკურ კრებულებს, პრესას, კანონთა კრებულებს, მენშევიკ მოღვაწეთა ნაშრომებს, საჯარო გამოსვლებს და სხვ. ვფიქრობთ, რომ აგრარული საკითხის მარქსისტული კონცეფციის ჩამოყალიბების საქმეში კ. ორაგველიძის ამ ორმა ნაშრომმა მნიშვნელოვანი, არსებითი როლი შეასრულა.

1931 წელს გამოვიდა წიგნი „მენშევიკების უკანასკნელი დღეები". წიგნის ავტორი იყო ბოლშევიკი, რევოლუციური ბრძოლების აქტიური მონაწილე ს. ლეკიშვილი[203]. ავტორი პირადი შთაბეჭდილებებითა და დოკუმენტური მასალით აღწერდა საქართველოში XI წითელი არმიის შემოსვლასა და ქვეყნად ხელისუფლების გამარჯვებას.

სტეფანე იოსების ძე ლეკიშვილი დაიბადა 1891 წელს ქუთაისში. სწავლობდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. აქვე რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება და გიმნაზიიდან გარიცხეს. 1909—1918 წლებში მენშევიკური პარტიის წევრი იყო. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მას რუსეთში მოუსწრო. 1917 წელს ს. ლეკიშვილი თბილისში ჩამოვიდა და ჯერ ცენზორად, ხოლო შემდეგ მიწათმოქმედების ორგანოებში მუშაობდა. მენშევიკების მთავრობამ ის უკრაინაში გაგზავნა დავალებით. ს. ლეკიშვილი ოდესაში თ. ჟღენტსა და ლ. ქართველიშვილს გაეცნო, 1918 წელს კომუნისტურ პარტიაში შეევიდა და რევოლუციურ მოძრაობაშიც ჩაება. რევოლუციური საქმიანობისათვის დენიკინელებმა ს. ლეკიშვილი ოდესაში დააპატიმრეს, სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ დასჯას გადაურჩა და საქართველოში დაბრუნდა. თბილისში ს. ლეკიშვილი რსფსრ-ს საელჩოში მდივნად მუშაობდა. 1920 წელს მენშევიკებმა დააპატიმრეს და შემდეგ ბაქოში გადაასახლეს. 1921 წლის თებერვალში XI წითელ არმიას თბილისში ჩამოჰყვა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ს. ლეკიშვილი 1921—1922 წ. საქართველოს რევკომის მდივნად, ხოლო 1922—1923 წწ. ამიერკავკასიის სფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს მდივნად მუშაობდა. შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა ადგილებზე (საქართველოს უმაღლეს საბჭოში, სამტრესტში). 1939—1942 წწ. ს. ლეკიშვილი

---

203 ს. ლ ე კ ი შ ვ ი ლ ი. მენშევიკების უკანასკნელი დღეები. ტფ., 1931, (რუს. ენაზე).

ამბატერო ფონდის დირექტორი იყო. დიდი სამამელო ომის დროს ფრონტზე იბრძოდა. მონაწილეობდა ქერჩის ბრძოლებში.

გარდაიცვალა 1942 წელს თბილისში.

ს. ლეკიშვილი ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. წერდა უმთავრესად მეჩუარული ხასიათის ნაშრომებს.

ს. ლეკიშვილს თავის ნაშრომში 1918 წლის 26 მაისის აქტი მენშევიკების და გერმანელ-თურქი იმპერიალისტების ერთობლივი მოქმედების ნაყოფად მიაჩნდა. ის რატომღაც ივიწყებდა იმ დროის საქართველოში მოქმედ სხვა აქტიურ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა მოქმედების პროგრამებში ეროვნულ საკითხს უფრო არსებითი ადგილი ეჭირა, ვიდრე მენშევიკებთან.

ს. ლეკიშვილი მკაცრად აკრიტიკებდა ნ. ჟორდანიას დასავლურ ორიენტაციას. საქართველოს სუვერენული უფლებები ფორმალურად არ ყოფილა იგნორირებული არც გერმანელებისა და არც მენშევიკების მიერ, მაგრამ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყნის დასახმარებლად ისინი არაფერს არ აკეთებდნენ. ის წერდა, რომ ქართველი მენშევიკები თეთრგვარდიელებთანაც კარგად იყვნენ და ერთიანი ფრონტით ებრძოდნენ ბოლშევიკებს.

ს. ლეკიშვილი 1920 წლის 7 მაისის საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის ხელშეკრულებას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა. მენშევიკები მიხვდნენ, რომ მათი მდგომარეობა მძიმე იყო და ამიტომ დათანხმდნენ საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულებასო. ბევრს წერდა ავტორი საქართველოში გამეფებულ კორუფციაზე, მენშევიკების ანტისახელმწიფოებრივ საქციელზე. ქართველი მენშევიკების გახარწნამ ეროვნულ-დემოკრატების აღშფოთებაც კი გამოიწვიაო. ამ უკანასკნელთ კი ს. ლეკიშვილი ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიის პარტიად მიიჩნევდა.

წიგნის ავტორი ბოლშევიკური პარტიის ისტორიასაც არ ტოვებდა უყურადღებოდ. მისი აზრით, 1920 წელს, როდესაც მ. ორახელაშვილი იძულებული გახდა საქართველოდან ბაქოში გადასულიყო, ძალზე შესუსტდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობა. ავტორი წერდა, რომ მოხდა საქართველოს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლიკვიდაციაო[204]. ბოლშევიკური ორგანიზაციები საქართველოში აღარ არსებობდნენ. ცხადია, ავტორი მ. ორახელაშვილის როლს გადაჭარბებით იფასებდა და საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციების ლიკვიდაციაც არ მოხდარა.

---

204 ს. ლ ე კ ი შ ვ ი ლ ი, მენშევიკების უკანასკნელი დღეები, ტფ., 1931. (რუს. ენაზე). გვ. 21.

ს. ლეკიშვილი აღწერდა წითელი არმიის შემოსვლასა და საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებს საქართველოში. ის იყო საქართველოს რევკომი მდივანი და ამიტომ ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა — პირველი დეკრეტების გამოცემა, რევკომის შექმნა, რევკომის მიერ ხელისუფლების ხელში აღება, პ. იაშვილის „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის“ გაუქმება. „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის“ საქმიანობას ს. ლეკიშვილი დადებით შეფასებას აძლევდა.

ავტორს აღწერილი ჰქონდა, თუ საქართველოს მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა როგორ დამახინჯებულად გაიგო საქართველოში წითელი არმიის მოსვლა და როგორ სცადა ქართული წარწერებისა, თუ ქართულად საქმის წარმოების ლიკვიდაცია. აქვე ნაჩვენები იყო ბოლშევიკური პარტიის ის ღონისძიებები, რომელმაც ასეთი მოქმედებანი ძირში აღკვეთა.

ს. ლეკიშვილი სათანადო ადგილს უთმობდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების შეთანხმებას, რომელიც 1921 წლის 18 მარტს დაიდო ქუთაისში. წიგნში შეთანხმების ტექსტი სრულად იყო მოყვანილი. ქართველ მენშევიკებთან ასეთი შეთანხმება გამომდინარეობდა ვ. ლენინის მითითებიდან, რომ გამოგვეძებნა მათთან ბლოკის შესაძლებლობაო, — წერდა ს. ლეკიშვილი.

ავტორი აღწერდა ბათუმის ამბებს, იქ რევკომის შექმნასა და ბრძოლას თურქების წინააღმდეგ. ყურადღებას მიაქცევდა ამ საქმეში გენერალ გ. მაზნიაშვილის როლს.

ს. ლეკიშვილის წიგნი საინტერესოა; ძირითადად დაწერილია პირადი შთაბეჭდილებებით, დამოწმებულია დოკუმენტებიც. მენშევიკების უკანასკნელ დღეებზე ასეთი შინაარსის წიგნი, სადაც ასე დეტალურად არის აღწერილი მოვლენები, ამ დროს პირველი იყო. ავტორი ბევრ ისეთ რამეზე წერდა და თანაც სიმპატიით, რაზეც ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში არც მანამდე და არც მის შემდეგ არაფერი არ დაწერილა. ამ წიგნში დასმულ მრავალ საკითხს. (საბჭოთა რუსეთსა და ქართველ მენშევიკთა 1921 წ. 18 მარტის შეთანხმება, „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი“, თბილისის მცხორებთა ერთი ნაწილის ანტიქართული გამოხდომები და სხვ.) ჩვენი ისტორიკოსები გვერდს უვლიდნენ. ს. ლეკიშვილის ნაშრომს თანდართული ჰქონდა 11 დოკუმენტი. ეს გარკვეული წვლილი იყო პრობლემის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნაში.

ამ ეტაპზე დიდი ბრძოლა გაიშალა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ტროცკიზმის, ნაციონალიზმისა და ანტიპარტიული მიმდინარეობების წინააღმდეგ. ქართველი კომუნისტები, ისინი, ვინც სწავლობდნენ სა-

ქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიას, ეძებდნენ და პოულობდნენ წარსულში ქართველი ტროცკისტების, ნაციონალ-უკლონისტების შეცდომათა სათავეებს. ქართველი მარქსისტი ისტორიკოსები ამ ეტაპზე — 1927—1936 წლებში გამოდიოდნენ ისტორიული ხასიათის ნაშრომებით, სადაც ამხელდნენ ტროცკისტებს, ნაციონალ-უკლონისტებს და სხვებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ამბერკი ურუშაძის ნაშრომი „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1918 წლებში და ქართველ უკლონისტ-ტროცკისტული ოპოზიციონურ ბელადების შეცდომათა სათავეები"[205].

ამბერკი ქრისტეფორეს ძე ურუშაძე დაიბადა 1893 წელს ოზურგეთის მაზრის სოფ. ლიხაურში. სწავლობდა ჯერ სოფლის სკოლაში, შემდეგ სამტრედიის რკინიგზის სასწავლებელში. 1914 წელს გამოცდები ჩააბარა ოდესის უნივერსიტეტში ფარმაცევტის ხარისხზე. 1908 წელს კომუნისტურ პარტიაში შევიდა. 1908—1912 წლებში სამტრედიის პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობდა, ხოლო 1913 წელს გურიაში იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო ომის დროს არმიაში იყო; მისი თაოსნობით სოხუმში ჯარის ნაწილებში ჩამოყალიბდა პარტიული ორგანიზაცია. თებერვლის დღეებში ის არჩეულ იქნა სოხუმის ჯარისკაცთა საბჭოს პირველ თავმჯდომარედ. 1917 წლის დამლეგიდან ამბ. ურუშაძე რევოლუციურ საქმიანობას გურიაში ეწეოდა და 1918 წელს დასავლეთ ამიერკავკასიის კომიტეტის წევრად აირჩიეს. იმავე წელს ლეჩხუმის მაზრის აჯანყებას ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგ აფხაზეთში იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მენშევიკურმა ხელისუფლებამ რამდენჯერმე დააპატიმრა. უკანასკნელად პატიმრობიდან საბჭოთა ხელისუფლებამ გაათავისუფლა ბათუმში 1921 წლის მარტში; იბრძოდა თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იყო აჭარის ასსრ-ს ცაკის თავმჯდომარის მოადგილე, დასავლეთ საქართველოს ტრიბუნალის თავმჯდომარე, პროკურორი. ამბ. ურუშაძე დიდხანს იყო პარტიულ სამუშაოზე — სამაზრო კომიტეტის მდივნად, საკ. კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკად. დიდხანს მუშაობდა საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისრად[206].

ამბ. ურუშაძე გარდაიცვალა 1938 წელს. ?

ნაშრომის ავტორი მიზნად ისახავდა მოგონებით აღედგინა მეფის მთავრობის ბატონობის უკანასკნელი წლებისა და საქართველოში მენ-

---

205 ამბ. ურუშაძე, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1918 წლებში და ქართველ უკლონისტ-ტროცკისტული ოპოზიციონურ ბელადების შეცდომათა სათავეები, ქუთაისი, 1927.

206 გაზეთი „კომუნისტი", 1931 წ., 3 თებერვალი; გაზეთი „თბილისი" 1963 წ., 17 ოქტომბერი.

შევიკების ბატონობის პერიოდის ზოგიერთი ამბავი. ავტორი წერდა, რომ ჩვენში, საქართველოში, ტროცკისტულ ოპოზიციას საკმაოდ ძლიერი დასაყრდენი ჰქონდა: ამას ხსნიდა იმით, რომ საქართველო წვრილბურჟუაზიული ქვეყანა იყო და აქედან გამომდინარე მენშევიკური პარტია საკმაოდ ძლიერი იყო. წვრილბურჟუაზიული სტიქიის გარემოცვა ზემოქმედებას ახდენდა ზოგიერთებზე. ამბ. ურუშაძე წერდა, რომ „ისე როგორც ზინოვიევ-კამენევის შეცდომა არ შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევითად, აგრეთვე ქართველ ნაციონალისტურ-ტროცკისტული ოპოზიციის ბელადთა შეცდომები არ ჩაითვლება შემთხვევითად. დღევანდელ მათ შეცდომათა სათავეები უფრო მეტად წარსულში უნდა ვეძიოთ“[207].

ავტორი მოგვითხრობდა ბოლშევიკების მუშაობას სოხუმის გარნიზონში და წერდა, რომ 1917 წლის აგვისტომდე სოხუმის გარნიზონი ბოლშევიკების ხელში იყო. იგი აღწერდა ბრძოლას შავი ზღვისპირეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის 1917 წელს, ახალი ათონის მონასტრის ბერების განიარაღებას, რევოლუციურ მუშაობას გურიაში, ლეჩხუმსა და ბათუმში.

ქართველი ოპოზიციონერები თავის დროზე — 1918 წელს თურქეთის შემოსევის დროს, მენშევიკთა თავდაცვის კომიტეტში შედიოდნენ ქუთაისში. მათ 1918 წლის 4 ივნისს ანტისაბჭოთა პარტიებთან ერთად გამოუშვეს მოწოდება, რომლითაც ისინი რევოლუციისა და სამშობლოს მტრებს უწოდებდნენ ყველას, ვინც დაუყოვნებლივ არ შევიდოდა მენშევიკების სახალხო გვარდიასა და ჯარში. მაშინდელმა ქართველმა ბოლშევიკმა-ხელმძღვანელებმა და ახლანდელმა ოპოზიციონერებმა — წერდა ამბ. ურუშაძე, მენშევიკების ტრიბუნალშიც გაგზავნეს თავისი წარმომადგენელი. ტრიბუნალი კი სიკვდილით სჯიდა ბოლშევიკებს.

ამბ. ურუშაძე მიზნად ისახავდა ემხილებინა კომუნისტური პარტიის შიგნით ოპოზიციონერების — ტროცკისტების, უკლონისტების საქმიანობა, მოეძებნა მათ შეცდომათა სათავეები.

ამბ. ურუშაძე ოპოზიციონერებს ებრძოდა და ბრძოლის პროცესში მთელი რიგი საკითხები წამოიჭრა. ასე, მაგალითად, შეეძლოთ თუ არა ბოლშევიკებს 1917 და 1918 წლების მიჯნაზე ხელისუფლების ხელში აღება და სხვ.

ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი იყო ცალკეულ საკითხზე მონოგრა-

---

207 ამბ. ურუშაძე, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში 1917—1918 წლებში და ქართველ უკლონისტ-ტროცკისტული ოპოზიციონურ ბელადების შეცდომათა სათავეები, ქუთაისი, 1927, გვ. 6.

ფიების, მეცნიერული გამოკვლევების შექმნა. ამ მხრივ აღსანიშნავია გ. ლაფანაშვილის წიგნი „დუშეთის აჯანყება 1918 წელს“[208].

გიორგი გიორგის ძე ლაფანაშვილი დაიბადა 1898 წელს დუშეთის მაზრის სოფ. ჯოპორტში. რევოლუციამდე მუშაობდა დუშეთში და თბილისში, სადაც ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. ბოლშევიკების პარტიაში 1914 წელს შეიყვანა. მენშევიკთა ხელისუფლება გ. ლაფანაშვილს რევოლუციური საქმიანობისათვის სდევნიდა და რამდენჯერმე იქნა დაპატიმრებული. იგი დუშეთის 1918 წლის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. აჯანყების დამარცხების შემდეგ არალეგალურ ცხოვრებას ეწეოდა. 1919 წელს გ. ლაფანაშვილი მენშევიკებმა კვლავ დააპატიმრეს. 1920 წელს, რსფსრ-თან ხელშეკრულების დადების შემდეგ, მენშევიკებმა გ. ლაფანაშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. შემდეგ კვლავ დააპატიმრეს და სხვებთან ერთად აზერბაიჯანში გაასახლეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, გ. ლაფანაშვილი, 1921 წელს, მუშაობდა პარტიის დუშეთის საქალაქო კომიტეტის მდივნად. შემდეგ მუშაობდა თბილისში პარტიულ და პროფკავშირების ორგანოებში. 1922 წელს გ. ლაფანაშვილმა რამდენიმე თვე იმუშავა დუშეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ. ამ თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ სწავლობდა მუშათა ფაკულტეტზე; ამავე დროს მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. 1926 წელს გ. ლაფანაშვილმა დაამთავრა მუშფაკი და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო. 1927 წელს გ. ლაფანაშვილი საქართველოს კპ(ბ) V ყრილობამ ოპოზიციური მუშაობისათვის პარტიიდან გარიცხა. 1928 წელს გ. ლაფანაშვილი პარტიაში აღდგენილ იქნა. 30-იან წლებში მუშაობდა სარეწაო კავშირის გამგეობაში. 1935 წ. გარიცხულ იქნა პარტიიდან ტროცკისტული შეხედულებებისათვის[209].

გ. ლაფანაშვილი გარდაიცვალა 1950 წელს.

გ. ლაფანაშვილს ზემოდასახელებულ მონოგრაფიაზე დიდხანს უმუშავია. ავტორს მიზნად დაუსახავს დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების „ჯეროვანი მიმოხილვა“, რადგან ეს აჯანყება თავის დროზე მეტად მნიშვნელოვანი იყო, როგორც მოცულობით, ისე ისტორიული შედეგებით. ავტორს შეუსწავლია ყველა ის მასალა, რაც იმ დროისათვის იყო გამოქვეყნებული. მას გამოუყენებია საქართველოს რევოლუციურ მუზეუმში დაცული მასალების მდიდარი არქივი დუშეთის აჯანყების შესახებ. ნაშრომს დართული ჰქონდა ყველა ის ღირსშესანიშნავი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც აჯანყებას ეხებოდა. ავტორი სარგებლობდა მენშევიკების მთავრობის შესაბამისი დოკუმენტებით, სასამართლო მასალით, მაგრამ მათ კრიტიკულად უდგებოდა და წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ ყველა ეს და მისი მსგავსი დოკუმენტი ცალმხრივია.

ავტორი წერდა, თუ რატომ გააძლიერეს 1918 წელს ქართველმა

---

208 გ. ლ ა ფ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , დუშეთის აჯანყება 1918 წ., 1927.

209 ...პარტარქივი, ფ. 12748, ს. 174, ფ. 17—22.

ბოლშევიკებმა პარტიული მუშაობა დუშეთში. იგი აღწერდა დუშეთის მაზრის სტრატეგიულ მდებარეობას და წერდა, რომ „ჩვენი პარტიის 1918 წლის მუშაობის დიად გეგმაში დუშეთის მაზრას მეტად თვალსაჩინო პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც დუშეთის მაზრა ქალაქ ტფილისს ძლიერ უახლოვდებოდა და ქალაქი ტფილისი კი ცენტრი იყო რევოლუციის, და, რაც უმთავრესი იყო, ეს ის, რომ დუშეთის მაზრა ტერიტორიალურად ჩრდილოეთ კავკასიას უახლოვდება, სადაც მაშინ უკვე საბჭოთა მთავრობა იყო დამყარებული, და, ბოლოს, აღსანიშნავია თვით ის გარემოებაც, მთელი მაზრის საუკეთესო მდებარეობა — მინდორ-ველები და ტყეები თავადაზნაურობის საკუთრებას შეადგენდა, რისთვისაც გლეხობას უმიწაწყლოთ გაჭირვებაში ჩაცვინულთ სული ეხუთებოდა“[210]. აქედან ჩანდა, რომ დუშეთის გლეხთა 1918 წლის აჯანყება არ იყო სტიქიური, შემთხვევითი ამბავი. ეს აჯანყება მოამზადეს საქართველოს ბოლშევიკებმა, წინასწარ შეარჩიეს რა აჯანყების რაიონი.

გ. ლაფანაშვილი აღწერდა დუშეთის მაზრის გლეხობის დუხჭირ ცხოვრებას და ამით ხსნიდა იმას, რომ ბოლშევიკების მუშაობას ამ მაზრაში დიდი გასაქანი მიეცა. პარტიულ მუშაობას დუშეთის მაზრაში ეწეოდნენ როგორც ადგილობრივი ბოლშევიკები, ისე ხელმძღვანელი, ცენტრიდან გაგზავნილი ამხანაგები. ავტორი დაწვრილებით აღწერდა აჯანყების სამზადისს, თვით აჯანყების მსვლელობას, საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას და ამბობდა, რომ აჯანყებამ მენშევიკური მთავრობა აგონიამდე მიიყვანაო. აჯანყების დამარცხების შემდეგ მენშევიკურმა მთავრობამ დიდი პოლიტიკური სასამართლო მოაწყო. ამას ავტორი ხსნიდა იმით, რომ მენშევიკებს სურდათ გამოეყენებინათ შემთხვევა და ერთხელ კიდევ გაელანძღათ ბოლშევიზმი. საბჭოთა ხელისუფლება. მეორე მხრით, მენშევიკებს სურდათ ამ პროცესით როგორც შინაური, ისე საერთაშორისო კონტრრევოლუციის გული მოეგოთ. ამ სასამართლო პროცესით მენშევიკებს სურდათ დაემტკიცებინათ, რომ ისინი კერძო საკუთრებისა და მშვიდობიანობის მომხრენი იყვნენ.

გ. ლაფანაშვილი დუშეთის 1918 წლის და მთიულეთის 1804 წლის აჯანყებებს შორის პარალელს ავლებდა. თუ ავტორი მართალი იყო იმაში, რომ რევოლუციურ ტრადიციებს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ, სამაგიეროდ, ვერ დავეთანხმებით ისტორიულ პარალელებში. 1804 წელს მთიულეთის აჯანყების მიზეზები, აჯანყებულთა მიზნები, დამარცხების მიზეზები სულ სხვა იყო, ვიდრე 1918 წელს დუ-

---

210 გ. ლ ა ფ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 3.

შეთის აჯანყების დროს. მათ შორის მთელი ეპოქაა. 1804 წელს მთიელები მეფის ცარიზმს ებრძოდნენ, 1918 წელს კი დუშელი აჯანყებულები საქართველოს მენშევიკურ მთავრობას აუჯანყდნენ. ყველა ის საერთო, რაც გ. ლაფანაშვილის აზრით, ამ ორ აჯანყებას ჰქონდა არაარსებითია, ზედაპირულია, ასე ვთქვათ, ფორმალურია. გ. ლაფანაშვილი წერდა, რომ ორივე აჯანყების დამარცხების მიზეზი იარაღის ნაკლებობა და აჯანყების იზოლირებული მდგომარეობა იყოო; სხვა მაზრებმა არც ერთ შემთხვევაში აჯანყებულებს მხარი არ დაუჭირესო. აჯანყება გეოგრაფიულად ერთდაიმავე ტერიტორიაზე წარიმართაო; სოფ. ყაზბეგი და ხევსურები ორივე აჯანყების დროს აჯანყებულებს არ მიემხრნენო და სხვ. ავტორი ამ ორ აჯანყებას შორის განსხვავებასაც ხედავდა, როცა წერდა, რომ 1804 წელს მთიულეთის აჯანყებას პროლეტარულ-კლასობრივი ხასიათი არ ჰქონდაო, ე. ი. სხვა ეპოქის გლეხთა აჯანყება იყოო.

გ. ლაფანაშვილის ეს წიგნი სერიოზული ისტორიული შრომაა. მისი ავტორი დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების აქტიური მონაწილეა. მაგრამ ავტორის პირადი შთაბეჭდილებები ნაშრომში უკანა პლანზეა გადასული. ავტორის ყველა დებულება, ყველა ფაქტს მოსდევს წყაროების, დოკუმენტების ტექსტები. ასე ასაბუთებს ავტორი თავის მოსაზრებებს. ავტორი გვიჩვენებდა ამ აჯანყების ისტორიულ მნიშვნელობას. ნაშრომში გამოქვეყნებულია ძალზე დიდი ნაწილი იმ დოკუმენტებისა და მოგონებებისა, რომლებიც დუშეთის 1918 წლის აჯანყებაზე არსებობს. ნაშრომი „დუშეთის აჯანყება 1918 წელს“, თავის დროისათვის სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა იყო. იგი თავისი ხასიათით, სამეცნიერო აპარატით, წერის მანერით ყველა მანამდე დაწერილ ნაშრომისაგან განსხვავდებოდა.

20-იანი და 30-იანი წლების მიჯნაზე, როგორც პროფესიონალი მარქსისტი ისტორიკოსი, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა გ. ხაჭაპურიძე. გ. ხაჭაპურიძემ 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში დიდი როლი შეასრულა. ამ ხანაში კი — საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ჩამოყალიბების მეორე ეტაპზე, მან გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი. ამათგან ორი წერილი „კონტრრევოლუციური ქართული მენშევიზმი თავადაზნაურობის სამსახურში“[211] და „ჟორდანია, რამიშვილი და კომპანია ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში“[212], რუსულ ჟურნალებში დაიბეჭდა.

გ. ხაჭაპურიძეს მიზნად ჰქონდა დასახული ემხილებინა ქართვე-

---

211 გამოქვეყნდა ჟურნალში „ბორბა კლასოვ“, 1932, № 6.

212 იქვე, 1933, № 5.

ლი მენშევიკები, როგორც მშრომელების მოღალატენი. ის გაკვრით აღწერდა საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, სასტიკად კიცხავდა მენშევიკებს და მოითხოვდა ნ. ჟორდანიას უფრო მკაცრი ეპიტეტებით შემკობას. გ. ხაჭაპურიძის ეს ნაშრომები იმ სტილშია დაწერილი, რომელიც შემდეგში ჩვენს ისტორიოგრაფიაში დიდხანს იყო გაბატონებული. ფაქტების, მოვლენების, ისტორიული პროცესების მეცნიერული ანალიზი ნაკლებად იყო ნაშრომებში. უფრო მკაცრი ტონი ჰქონდა მიცემული საქართველოს ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიების, მათი ბელადების კრიტიკას, გ. ხაჭაპურიძის ეს ნაშრომები იმით უფროა ღირსშესანიშნავი, რომ იგი 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იან წლებში 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიაში დაწერილი ნაშრომების წინამორბედია თავისი ხასიათით, წერის მანერით.

1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის შესწავლაში 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში, თავისი გამოკვლევებითა და საარქივო მასალების პუბლიკაციით, გარკვეული როლი შეასრულა ს. სეფმა. ის ქართული ისტორიული მეცნიერების წარმომადგენელი არ იყო, მაგრამ თბილისში მუშაობდა, აქ იკვლევდა 1917—1918 წლების ამიერკავკასიის ისტორიას და აქვე ბეჭდავდა თავის შრომებს. მისმა ისტორიულმა კონცეფციამ გავლენა მოახდინა ქართულ მარქსისტულ ისტორიულ კონცეფციაზე, ხელი შეუწყო მის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში ს. სეფის, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსის ნაშრომებს, გამოკვლევებს, წყაროთა პუბლიკაციას, თავისი ადგილი უკავია.

სიმონ ექვთიმეს ძე სეფი დაიბადა 1900 წელს, ეროვნებით ებრაელი იყო. ისტორიულ-ფილოლოგიური უმაღლესი (დაუმთავრებელი) განათლება ჰქონდა. 1919 წლამდე სწავლობდა; იმავე წლის მაისში შევიდა კომუნისტურ პარტიაში და დაიწყო მუშაობა ყირიმში რევკომის მდივნად. 1921—1922 წლებში ს. სეფი ოდესაში სამხედრო პოლიტგანყოფილებაში პოლიტმუშაკად მუშაობდა. შემდეგ 1926 წლამდე ლექტორი იყო ომსკსა და ლენინგრადში. 1926 წელს ს. სეფი გადაყვანილ იქნა თბილისში და 1926—1927 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ლექტორად. 1928 წელს ის გადაიყვანეს გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორად. 1934 წელს გადაყვანილ იქნა ბაქოს პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად.

საკ. კპ (ბ) XIV ყრილობიდან ს. სეფი ზინოვიევის ოპოზიციაში იყო. 1927 წელს ოპოზიციასთან შან კავშირი გაწყვიტა. 1936 წლის ოქტომბერში საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ს. სეფი თავისი შემადგენლობიდან გარიცხა, როგორც ტროცკისტი[213].

---

213 ...პარტარქივი, ფ. 12798, ს. 58, ფ. 213—215.

ს. სეფი გარდაიცვალა 1937 წელს.

მისი წიგნი „ბურჟუაზია 1905 წელს" საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ს. სეფმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლას. მისი კვლევის ობიექტი იყო ამიერკავკასიის ისტორია 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან მოკიდებული 1918 წლის გაზაფხულამდე, ვიდრე არ გამოცხადდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკები. ის იკვლევდა ამ ქრონოლოგიურად მოკლე მაგრამ მნიშვნელოვან ისტორიულ მონაკვეთს, აქვეყნებდა საარქივო დოკუმენტებს იმავე ხანის ისტორიიდან. ერთი ნაწილი მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებისა ისტორიოგრაფიისათვის მეტად ძვირფასია, რადგან შემდეგში ეს დოკუმენტები დაიკარგა. მას თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ხელი მიუწვდებოდა რევოლუციის მუზეუმში დაცულ მასალებზე. ამიტომაც, მის შრომებსა და წყაროთა პუბლიკაციაში საარქივო მასალა უხვად არის გამოყენებული.

1927—1932 წლებში ს. სეფმა 1917—1918 წლების ამიერკავკასიის ისტორიაზე 5 წიგნი გამოსცა [214]. ალექსანდრეს ბაღში 1918 წლის 10 თებერვალს მიტინგის დახვრეტისა და შამქორში 1918 წ. 7—12 იანვრის ტრაგედიის ისტორია მან შეისწავლა საგამომძიებლო მასალების მიხედვით და, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, აღადგინა ამ ორი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის სურათი. ამიერკავკასიის კომისარიატმა ავტორიტეტი დაჰკარგა და საჭირო იყო მოჩვენებითი სახალხო წარმომადგენლების ორგანოს შექმნა. ამიტომ მოწვეული იყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც 1918 წ. 10 თებერვალს უნდა გაეხსნათ. რსდმპ(ბ) სამხარეო კომიტეტმა ალექსანდრეს ბაღში მიტინგი მოიწვია. მიტინგს პროტესტი უნდა გამოეცხადებინა გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის" დახურვის, ზოგიერთი ბოლშევიკის დაპატიმრებისა და ამი-

---

214 ს. სეფი, დახვრეტა თბილისში ალექსანდრეს ბაღში 1918 წ. 10 თებერვალი, საქართველოს სსრ რევოლუციური მუზეუმის გამოუქვეყნებელი საარქივო მასალის მიხედვით, ტფ., 1927 წ., (რუს. ენაზე); მისივე, სიმართლე შამქორის შესახებ 1918 წ. 7—12 იანვარი საქ. სსრ რევოლუციური მუზეუმის გამოუქვეყნებელი საარქივო მასალის მიხედვით, ტფ., 1927, რუს. ენაზე); მისივე, 1917 წლის რევოლუცია ამიერკავკასიაში (დოკუმენტები, მასალები), ტფ., 1927, (რუს. ენაზე); საქართველოს „დემოკრატიული მთავრობა" და ინგლისის საოდლობა, დასაბუდად მოამზადა ს. სეფმა, მ. პოკროვსკის წინასიტყვაობით, ტფ., 1928, (რუს. ენაზე), მისივე, ბრძოლა ოქტომბრისათვის ამიერკავკასიაში, ტფ., 1932, (რუს. ენაზე).

ერკავკასიის სეიმის გახსნის გამო. საგამომძიებლო მასალებზე დაყრდნობით, ს. სეფი ასაბუთებდა, რომ მიტინგის დახვრეტა ორგანიზებული აქცია იყო. ავტორი დეტალურად აღწერდა მიტინგის დახვრეტის ამბავს. ამ ისტორიული ფაქტის ასეთი აღწერა ჩვენს ისტორიაში პირველი იყო. მიტინგის დახვრეტა ლოგიკური გაგრძელება იყო იმ ისტორიული ფაქტებისა, რასაც ადგილი ჰქონდა 1917 წლის შემოდგომაზე თბილისში (მაგალითად, ქალაქის სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანა, არსენალის ხელში ჩაგდება, არმიის მეორე ყრილობის მიერ არჩეული სამხარეო საბჭოს გარეკვა და სხვა).

შამქორის ტრაგედიის აღწერით, ს. სეფმა მიზნად დაისახა მენშევიკებისათვის ახალი საბრალდებულო აქტის წაყენება. კავკასიის არმიაში დაიწყო ჯარისკაცთა ბოლშევიზაციის სწრაფი პროცესი და 1917 წლის მიწურულს არმია საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე იდგა. მენშევიკებს არ სურდათ შეიარაღებული არმიის ჩრდილოეთში გაშვება, რადგან რუსეთში გაჩაღებულ სამოქალაქო ომში ჩაებმოდა ბოლშევიკურად განწყობილი შეიარაღებული ჯარისკაცთა მასა; ამასთან აქ უკვე ყალიბდებოდა ეროვნული სამხედრო ნაწილები, რომლებსაც არ ჰქონდათ იარაღი და ამ იარაღის მიღება შეიძლებოდა რუსეთის არმიისაგან.

ს. სეფი წერდა, რომ აზერბაიჯანი ამ დროს აგრარულმა მოძრაობამ მოიცვა და ბეგებმა გაბოროტებულ და ჩამორჩენილ გლეხებს მისცეს იდეა, რომ რკინიგზაზე შეიძლებოდა იარაღის შოვნა, რათა ეროვნული თავისუფლებისათვის დაეწყოთ ბრძოლა. ისინი წაასისიანა ამიერკავკასიის კომისარიატმა და სამხარეო ცენტრმა. განიარაღების დროს გლეხთა ეს მასა მორჩილებიდან გამოვიდა და ჯარისკაცთა ხოცვა-ყლეტამ, ძარცვამ მასიური ხასიათი მიიღო.

შამქორის ტრაგედიის მთავარი ორგანიზატორი ნ. ჟორდანია და არმიის სარდლობა იყო, რომლებმაც ერთობლივად დაადგინეს, რომ ჯარისკაცთა განიარაღება აუცილებელი იყო. შემსრულებლად კი გამოვიდა აზერბაიჯანის ეროვნული საბჭო თავისი შეიარაღებული ძალებით (მასში რამდენიმე ასეული კაცი შედიოდა), სომეხთა რაზმები და ოფიცერ აფხაზავას 60 კაციანი რაზმი ჯავშნიანი მატარებლით (9 იანვარს აფხაზავა მოკლული იქნა, ხოლო ჯავშნიანი მატარებელი მწყობრიდან გამოიყვანეს). 10—12 იანვარს ეშელონების ძარცვამ და ჯარისკაცთა ხოცვა-ყლეტამ მასიური ხასიათი მიიღო. ამ ფაქტში ს. სეფის აზრით, კარგად გამოჩნდა ამიერკავკასიის ხელისუფალთა კლასობრივი არსი. ავტორი დეტალურად აღწერდა შამქორის ტრაგედიას. დოკუმენტების ანალიზისა და სათანადო შეჯერების საფუძველზე ის კარგად არკვევდა შამქორის ტრაგედიის მიზეზებს,

მენშევიკებისა და შეიარაღებული ჯარების როლს ჯარისკაცთა ხოცვა-ჟლეტაში. შემდეგში ს. სეფის კონცეფცია ამ ისტორიულ ფაქტზე ჩვენმა ისტორიოგრაფიამ მეტ-ნაკლებად მიიღო.

იმავე 1927 წელს ს. სეფმა გამოსცა დოკუმენტებისა და მასალების კრებული. ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი. ამ კრებულს მან დაურთო წინასიტყვაობა, სადაც მრავალ საინტერესო დებულებას იძლეოდა. ს. სეფის აზრით, ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მომზადებული შეხვდა თებერვლის რევოლუციას, რადგან მან კარგი სკოლა გაიარა ობორონცობისა და ლეგალობის წლებში, მაშინ შეიძინა მან საზოგადოებრივი მუშაობის ჩვევები.

ნ. ჟორდანიას ბურჟუაზიის შეშინება არ სურდა და ბურჟუაზიულ მთავრობაში სოციალისტების შეყვანის წინააღმდეგი გამოვიდა. ამიერკავკასიაში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყისად ს. სეფი 1917 წლის აპრილს ასახელებდა. ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს ის ხელისუფლების ჭეშმარიტ ორგანოდ არ თვლიდა. რეალური ძალა ეკუთვნოდა მუშათა და გლეხთა დეპუტატებს სამხარეო ცენტრს, სადაც მენშევიკები იყვნენ გაბატონებულნი და კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს, სადაც ესერებს ეპყრათ ძალაუფლება. ესერების პარტიას მოსახლეობაში დასაყრდენი არ ჰქონდა. მათი მთავარი ძალა არმიაში იყო. ესერებისა და მენშევიკების პოლიტიკა ისეთი იყო, რომ ეროვნული ბურჟუაზია მათი საქმიანობით უკმაყოფილო არ იყო. ამიერკავკასიელი მენშევიკები თანდათან სულ უფრო მარჯვნივ გადადიოდნენ. არსენალის ხელთ ჩაგდება 1917 წლის ნოემბერში და კავკასიის არმიის მეორე ყრილობაზე არჩეული სამხარეო საბჭოს გარეკვა იმისი წინამძღვარი იყო, რომ შემდეგ მასებისათვის ესროლათ. (აქ ს. სეფი შამქორის ტრაგედიასა და ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დახვრეტას გულისხმობდა). ასეთი იყო ს. სეფის ისტორიული კონცეფცია ამიერკავკასიის 1917—1918 წლების ისტორიაზე.

ს. სეფის აზრით 1917—1918 წლებში ამიერკავკასიაში ისეთი ვითარება იყო შექმნილი, რომ შეუძლებელი იყო ბოლშევიკების გამარჯვება. ამასთან, ს. სეფი თუმცა წერდა მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლობაზე ეროვნულ ბურჟუაზიასთან, მაგრამ არაფერს ამბობდა ეროვნულ საკითხზე, რომელიც პირველხარისხოვანი საკითხი იყო იმ დროს ამიერკავკასიაში. ს. სეფმა ვერ დაინახა მენშევიკების მიერ ეროვნულ საკითხში პოლიტიკის შეცვლა. ს. სეფმა ვერ შეამჩნია ამიერკავკასიაში, (ან თუ შეამჩნია, რატომღაც გვერდი აუარა), ის საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც პოლიტიკური ცხოვრების წინა პლანზე ეროვნულ საკითხს აყენებდნენ; მის ნაშრომში არ ჩან-

და ერების მოძრაობა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

1932 წელს, ს. სეფმა თავი მოუყარა თავის ნაშრომებს და ცალკე წიგნად გამოსცა („ბრძოლა ოქტომბრისათვის ამიერკავკასიაში"). ამ წიგნში შევიდა საინტერესო წერილი „1917 წლის რევოლუციის წინამძღვრები", სადაც განხილული იყო 1916 წელს ამიერკავკასიაში ძძიმე სასურსათო მდგომარეობით გამოწვეული მღელვარება. ფაქტიურ საარქივო მასალაზე დაყრდნობით, ავტორმა კარგად უჩვენა, რომ შიმშილით გამოწვეული მღელვარება სტიქიური მღელვარება იყო: ხოლო ეს სტიქიური მღელვარება, რევოლუციის წინამორბედი იყო. შეგნებული პროლეტარიატი ორგანიზებულად ებრძოდა თვითმპყრობელობას, ხოლო მშრომელი მასების მნიშვნელოვანი ნაწილი, შიმშილით წაქეზებული, სტიქიურად გამოდიოდა იმავე ხელისუფლების წინააღმდეგ.

აქვე დაიბეჭდა მისი ნაშრომი ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დახვრეტისა და შამქორში ჯარისკაცთა ხოცვა-ჟლეტის შესახებ. კვლავ გამოქვეყნდა სათაურით „ბოლშევიზმი და მენშევიზმი" დოკუმენტების კრებულის წინასიტყვაობა. აქ ს. სეფმა გადახედა ზოგიერთ თავის დებულებას, მაგალითად, დებულებას რომ 1917—1918 წწ. ბოლშევიკები ხელისუფლებას ვერ აიღებდნენ ხელში და შეარბილა იგი.

1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტულად გაშუქების საქმეში, მის ისტორიოგრაფიაში, 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მემუარულმა ლიტერატურამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მარქსისტული ისტორიოგრაფიის ძირითად ხაზად კვლავ რევოლუციური ბრძოლის ისტორია დარჩა და მემუარისტი რევოლუციონერები აღწერდნენ საერთო ისტორიულ ფონზე თავიანთ თავგადასავალს, ბოლშევიკური პარტიის ბრძოლას მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ცალკე წიგნად გამოვიდა ბოლშევიკური პარტიის ცნობილი მოღვაწის შ. ლეჟავას „მოგონებანი საქართველოს გასაბჭოების შესახებ"[215], გამოქვეყნდა გ. ჩხეიძის, ი. ფირცხალავასა და სხვათა მოგონებანი.

რევოლუციურ მოღვაწეთა მემუარებს განსაკუთრებულ ადგილს ჟურნალი „რევოლუციის მატიანე" უთმობდა. 1927—1931 წლებში ჟურნალმა 30-ზე მეტი ავტორის მოგონება გამოაქვეყნა. მოგონება-

---

215 შ. ლ ე ჟ ა ვ ა, მოგონებანი საქართველოს გასაბჭოების შესახებ, ტფ., 1927.

თა ავტორები აღწერდნენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის. როგორც საქართველოს სამრეწველო-ადმინისტრაციულ ცენტრებში, ისე სოფლად. მემუარებში, სადაც ხშირად პირადი შთაბეჭდილებები დოკუმენტურად იყო დადასტურებული, ჩამოყალიბებული იყო საერთოდ ისტორიულ პრობლემაზე ან ამა თუ იმ საკითხზე ავტორისეული კონცეფცია. ისტორიული ფაქტები, მათი ავტორისეული შეფასება, კონცეფცია, ზოგჯერ სადავო, მიუღებელი იყო; მაგრამ ყველაფერი ეს ხელს უწყობდა, გზას უკაფავდა 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტული კონცეფციის ჩამოყალიბებას. ამასთან მემუარული ლიტერატურა სოლიდურ წყაროთმცოდნეობით ბაზას ქმნიდა. შემდეგში, 30-იანი წლების შუა ხანებისათვის, როდესაც მიიწურა მარქსისტული ისტორიული კონცეფციის ჩამოყალიბების პერიოდი, მემუარული ლიტერატურის ბეჭდვა ჯერ შემცირდა, ბოლოს სრულიად შეწყდა. 1931 წელს ჟურნალ „რევოლუციის მატიანემ“ არსებობა შეწყვიტა. ყველა ეს მოვლენა ურთიერთთან კავშირში იყო და მრავალი სხვადასხვა მიზეზით იყო გაპირობებული.

მარქსისტულმა ისტორიოგრაფიამ დიდი მუშაობა ჩაატარა წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესაქმნელად. გარდა იმისა, რომ ჟურნალში „რევოლუციის მატიანე“ სისტემატურად ქვეყნდებოდა დოკუმენტები 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიიდან, ავტორთა უმეტესობა, როგორც მემუარისტები, ისე ისტორიულ ნაშრომთა ავტორები, ნაშრომებს თან ურთავდნენ სათანადო დოკუმენტურ მასალას.

ისტორიული მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე ქართულმა მარქსისტულმა ისტორიოგრაფიამ ბევრი რამ, პროფესიონალი ისტორიკოსის ჩვევები შეითვისა. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა წყაროთა პუბლიკაციის დარგში. წყაროთა თემატური პუბლიკაციები, წყაროთა ცალკე კრებულების გამოქვეყნება სათანადო სამეცნიერო აპარატით თავის დროზე მარქსისტული ისტორიული მეცნიერების დიდი მონაპოვარი იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1930 წელს გამოცემული „1917 წლის რევოლუცია ისტორიულ საბუთებში“[216]. ამ დროს ცენტრარქივში მუშაობდნენ პროფესიონალი ისტორიკოსები, რომლებიც მარქსისტულ მსოფლმხედველობას ეზიარნენ და მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში თან მოიტანეს პროფესიონალი ისტორიკოსის ჩვევები. ცენტრარქივმა დოკუმენტების კრებული იმ

---

216 1917 წლის რევოლუცია ისტორიულ საბუთებში, ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამოცემა, ტფ.. 1930.

დროისათვის მაღალ მეცნიერულ დონეზე გამოსცა. სულ 216 დოკუმენტი გამოქვეყნდა. კრებულს ვრცელი შესავალი წერილი და პირთა სახელთა საძიებელი ახლავს. კრებულში გამოქვეყნებული დოკუმენტები 1917 წლის თებერვლის რევოლუციასა და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ხანას შეეხებოდა. თუ წინათ გამოქვეყნებული დოკუმენტები უმთავრესად ბოლშევიკური პარტიის არქივიდან იყო და რევოლუციურ მოძრაობას შეეხებოდა, ამ კრებულში შესული დოკუმენტების დიდი ნაწილი დროებითი მთავრობის დოკუმენტებია და მათი მეშვეობით არის ნაჩვენები ქვეყნად გაშლილი მწვავე კლასობრივი ბრძოლა. რევოლუციაში ბოლშევიკური პარტიის დიდი როლი. კრებულში გამოქვეყნებული დოკუმენტები სამ ჯგუფად არის გაყოფილი — თებერვლის რევოლუციის დროის, კორნილოვის გამოსვლისა და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საბუთები. დაცულია დოკუმენტთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. საბუთებს ახლავს სათაური, ლეგენდა და შენიშვნები — რუსულად და ქართულად. წყაროთა ასეთი პუბლიკაცია იმ დროს დიდი წარმატება იყო საერთოდ საბჭოთა ისტორიული ფრონტისათვის. ამ საქმეს დიდი ამაგი დადეს ცნობილმა ისტორიკოსებმა გ. ნათაძემ, შ. ჩხეტიამ, მ. პოლიევკტოვმა, საზოგადო მოღვაწეებმა ი. გედევანიშვილმა, დ. სულიაშვილმა, კრებულის რედაქტორმა ი. იოვიძემ.

წყაროთა პუბლიკაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ს. სეფმა. 1927 წელს მან ცალკე წიგნად გამოსცა დოკუმენტები და მასალები სათაურით „1917 წელს რევოლუცია საქართველოში“[217]. დოკუმენტები დალაგებული იყო თემატურად, თავების მიხედვით: თებერვლის რევოლუცია და ხელისუფლების ორგანიზაცია, კავკასიის არმიის დეპუტატების I სამხარეო ყრილობა და სხვ. აქ ბევრი დოკუმენტია გამოქვეყნებული. წყაროთა პუბლიკაციის დონე პ. საყვარელიძის პუბლიკაციასთან შედარებით გაცილებით მაღალი იყო, მაგრამ მაინც არ იდგა მეცნიერულ საფუძვლებზე. დოკუმენტებს არც საერთო და არც თემატიკურად არ ჰქონდათ ნუმერაცია, კრებულს არ ახლდა არც პირთა, არც გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.

ს. სეფმა გამოაქვეყნა ინგლისის ჯარის სარდლობასთან მენშევი-

---

217 ს. ს ე ფ ი, 1917 წლის რევოლუცია ამ-ერკავკასიაში (დოკუმენტები. მასალები). ტფ., 1927, (რუს. ენაზე).

კური მთავრობის მოლაპარაკების ოქმები[218]. სულ 11 ოქმი იყო გამოქვეყნებული. აქვე დაიბეჭდა ლუცერნის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მემუარი. დოკუმენტები ამჯერად დანომრილი იყო, მას ახლდა სახელთა საძიებელი, თემატური საძიებელი. დოკუმენტთა ეს კრებული წინა კრებულთან შედარებით პუბლიკაციის მეცნიერული დონის თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მას წამძღვარებული ჰქონდა მ. პოკროვსკის წინასიტყვაობა. ს. სეფმა გამოაქვეყნა შამქორის ტრაგედიისა და ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დახვრეტის საგამომძიებლო მასალები. ეს დოკუმენტები თან ერთვოდა შესაბამის ნაშრომებს. იგივე დოკუმენტები შევიდა მის წიგნში „ბრძოლა ოქტომბრისათვის ამიერკავკასიაში". ს. სეფმა სერიოზული მუშაობა გასწია 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ბაზის შესაქმნელად. მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები (ბევრი მათგანის დედანი დაიკარგა) ქართულმა ისტორიოგრაფიამ კარგად გამოიყენა ისტორიული კონცეფციის ჩამოყალიბების საქმეში.

1931 წელს გ. დევდარიანმა გამოსცა მასალებისა და დოკუმენტების კრებული „მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში"[219]. ამ კრებულში მხოლოდ და მხოლოდ გამოქვეყნებული მასალა იყო თავმოყრილი, უმთავრესად კი ბოლშევიკ ავტორთა შრომებიდან ნაწყვეტები იყო დაბეჭდილი. კრებულში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ფ. მახარაძის, გ. დევდარიანის, ს. სეფის, ე. დრაბკინას[220], ი. შაფირის[221] ნაშრომებიდან მოტანილ ამონაბეჭდებს. კრებულში დაბეჭდილი ყველა დოკუმენტი ადრე გამოქვეყნებული იყო საბჭოთა ხელისუფლების წლებში ანდა მენშევიკური მთავრობის დროს. ზოგჯერ დოკუმენტებსა თუ ნაშრომებიდან მოტანილ ციტატებს კრებულის შემდგენელის კომენტარები ახლდა. აქვე იყო გამოქვეყნებული მენშევიკების მიერ საქართველოდან გატანილი განძეულის სია.

1917—1921 წლების საქართველოს ისტორიაზე, ქართველი ხალხის რევოლუციურ მოძრაობაზე ადრე გამოქვეყნებულ დოკუმენტე-

---

218 საქართველოს „დემოკრატიული მთავრობა" და ინგლისის სარდლობა. დასაბეჭდად მოამზადა ს. სეფმა, მ. პოკროვსკის წინასიტყვაობით, ტფ., 1928. (რუს. ენაზე).

219 მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში. მასალები და დოკუმენტები. კრებული შედგენილია გაიოზ დევდარიანის მიერ, ტფ., 1931.

220 ელ. დრაბკინა. ქართული კონტრრევოლუცია, ლენინგრადი, 1928 (რუს. ენაზე).

221 ი. შაფირი, ნარკვევები საქართველოს ჟირონდაზე, მოსკოვ-ლენინგრადი. 1925 (რუს. ენაზე).

ბის კრებულებთან შედარებით გ. დევდარიანის ეს კრებული საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის არავითარ შენამატს არ წარმოადგენდა და ისტორიული კვლევა-ძიების გაღრმავების საქმეს ხელს ვერ შეუწყობდა. ეს კრებული გ. დევდარიანმა, რომელიც იმ დროს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი იყო, ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა. 1927 წელს გ. დევდარიანმა გამოსცა წიგნი „საქართველოს კომკავშირის" ისტორიის შესახებ, იგი თავის დროზე პოპულარული წიგნი იყო. უკანასკნელად გ. დევდარიანის ეს წიგნი 1931 წელს გამოვიდა ქართულ და რუსულ ენაზე და მან საქართველოს კომკავშირის ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა[222].

1930 წელს გამოქვეყნდა რსდმპ(ბ) თბილისის კომიტეტის 1917 წლის 19 სექტემბრიდან 1918 წლის 11 იანვრამდე ჩატარებული სხდომათა ოქმები.

20-იანი წლების მეორე ნახევარში იყო ცდები, რომ შეედგინათ 1917—1921 წწ. მნიშვნელოვან ამბავთა ქრონიკა. ჟურნალ „რევოლუციის მატიანეში" 1927 წელს დაიბეჭდა ბოლშევიკური გაზეთების „ბრძოლისა" და „კავკაზსკი რაბოჩის" მიხედვით შედგენილი მნიშვნელოვან ამბავთა ქრონიკა: „1917 წლის პარტიული პრესიდან (სტატიები, ქრონიკა და სხვადასხვა ცნობები)"[223]. აქ მოცემული იყო მოკლე ისტორიული პერიოდის — 1917 წლის 11 მარტი — 30 დეკემბრის ამბავთა ქრონიკა. ეს პირველი და წარმატებითი ცდა იყო რომ აღერიცხათ ისტორიული მოვლენები, ამბები.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა ისტორიული ლიტერატურის კრიტიკას. თავდაპირველად ეს კრიტიკა მხოლოდ ჭეშმარიტების დადგენის მიზანს ემსახურებოდა და ამდენად მას ნორმალური, უფრო მეცნიერული სახე ჰქონდა. ისტორიული ლიტერატურის კრიტიკაში აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციური ბრძოლების მონაწილენი, ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწენი, რომლებიც მოგონებებითა და დოკუმენტების დამოწმებით ცდილობდნენ აღედგინათ ჭეშმარიტება. აქაც პირველთა რიგებში იდგნენ ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი და სხვები.

20-იანი წლების მიწურულიდან, როდესაც პარტიამ დიდი ბრძო-

---

222 გ. დევდარიანი, ნარკვევები საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან (კომკავშირი ჰერქვეშ). ტფ., 1931.

223 რევოლუციის მატიანე. 1927, № 2.

ლა გაშალა ტროცკისტებისა და ყველა სხვა ოპოზიციების წინააღმ-
დეგ. ისტორიული ლიტერატურის კრიტიკამ სხვა სახე მიიღო. კრიტი-
კა უფრო მკაცრი გახდა და ზოგჯერ დაუმსახურებელიც. დიდი მნიშ-
ვნელობა ჰქონდა ი. სტალინის წერილს „ბოლშევიზმის ისტორიის
ზოგიერთი საკითხის შესახებ", რომელიც 1931 წელს ჟურნალ „პრო-
ლეტარსკაია რევოლუციაში" გამოქვეყნდა. ი. სტალინის ამ წერილმა
ისტორიული ფრონტისა და, საერთოდ, ისტორიკოსების შემდგომ
ბედ-იღბალზე ძლიერ იმოქმედა.

1932 წელს, ჟურნალმა „ბოლშევიკმა"[224] გამოაქვეყნა მარქსიზმ-
ლენინიზმის ინსტიტუტის ისტორიული სექციის ბრიგადის წევრების
ა. ერქომაიშვილის, გ. გაბისონიას, ი. მელქაძის, ნ. ღარიბაშვილისა და
ს. თელიას წერილი „ამხ. სტალინის „წერილი კავკასიიდან" და ბოლ-
შევიზმის „ისტორიკოსები" საქართველოში".

წერილის ავტორები ჟურნალ „რევოლუციის მატიანეს", ამ
ჟურნალის ავტორებს ს. თალაკვაძეს, რ. კალაძესა და სხვებს მკაცრად
აკრიტიკებდნენ. კრიტიკა უმთავრესად სამართლიანი იყო. მაგრამ წე-
რილის ადმინისტრატორული ტონი მეცნიერული კრიტიკის საზღვ-
რებს სცილდებოდა. ეს კრიტიკული წერილი ამ მხრივ მკვეთრად გან-
სხვავდებოდა ადრე, 20-იან წლებში ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვი-
ლის, რ. კალაძისა და სხვათა მიერ დაწერილი კრიტიკული წერილე-
ბის ტონისაგან. ავტორთა ამ ჯგუფის მიერ რ. კალაძის ნაშრომისად-
მი გამოთქმული ზოგიერთი შენიშვნა (მაგ. ეროვნულ საკითხზე, სო-
ციალისტური რევოლუციის გამარჯვების საკითხზე) უმართებულო
იყო.

ასეთი კრიტიკის შედეგად ისტორიული მეცნიერება დაიჩაგრა.
30-იანი წლების ნახევარში უკვე თავი იჩინა იმ დოგმატიზმმა და ცი-
ტატობანამ, რომელმაც 40-იან წლებში ისტორიულ ფრონტზე გა-
ბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. მკაცრ ჩარჩოებში ჩაჯდა ის-
ტორიული კვლევა-ძიების პრობლემატიკა. განსაკუთრებით მძიმე
მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში მას შემდეგ რაც 1935 წელს
ბერია გამოვიდა მოხსენებით „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგა-
ნიზაციების ისტორიის საკითხისათვის". მოხსენება, რომელიც შემ-
დეგ ცალკე წიგნად რამდენიმეჯერ იქნა გამოცემული, ისტორიის
ფალსიფიკაციას ახდენდა და ამასთან ამ ფალსიფიცირებულ ისტო-
რიას მეცნიერებაში ადმინისტრაციული წესით ნერგავდა. ამან, და
სხვა მრავალმა გარემოებამ, ისეთი ვითარება შექმნა, რომ მარქსის-
ტული ისტორიული მეცნიერების ჩამოყალიბების პერიოდის ბოლო-

---

224 ჟურნალი „ბოლშევიკი", 1932. № 6—7.

სათვის მარქსისტ-პუბლიცისტთა და ისტორიკოსთა მანამდე მოქმედ-თაობა ისტორიულ ფრონტს ჩამოსცილდა.

1935—1937 წწ. შექმნილი ვითარება მკვეთრად აისახა ისტორ-ულ ფრონტზე და განსაკუთრებით 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. ისტორიოგრაფია თანდათანობით აღმავალი გზით მიდიოდა. პრობლემატიკა სულ უფრო ფართოვდებოდა და 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის მრავალ საკითხს მოიცავდა. ავტორთა კოლექტივში უფროსი თაობის მკვლევრებს გვერდში ამოუდგნენ ახალგაზრდები, რომლებიც საბჭოთა ისტორიული სკოლის აღზრდილნი იყვნენ; სულ უფრო იზრდებოდა ნაბეჭდი პროდუქციის რაოდენობა; შეიქმნა სოლიდური წყაროთმცოდნეობითი ბაზა; უკვე ცალკე დარგად ჩამოყალიბდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორია; მას თავისი პროფესიონალი მკვლევრები გაუჩნდნენ. სულ უფრო ჩამოყალიბებულ სახეს იღებდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ორგანიზაცია; 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიაზე მარქსისტული ისტორიული კონცეფცია ჩამოყალიბდა; ამ კონცეფციამ დასრულებული სახე მიიღო; მან ბრძოლაში დაამარცხა ბურჟუაზიული ისტორიული კონცეფცია, ტროცკისტთა და სხვა ოპოზიციონერ ისტორიკოსთა შეხედულებანი რევოლუციური ბრძოლის ისტორიაზე, პარტიის ისტორიაზე; მართალია, ავტორთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შორს იდგა პროფესიული დაოსტატებისაგან, მაგრამ საბჭოთა სკოლა უკვე ამზადებდა პროფესიონალ ისტორიკოსთა კადრებს; საქართველოში სოციალისტური რევოლუციის შესწავლის საქმე გეგმაზომიერი გახდა. ასეთი წარმატებების ფონზე შექმნილმა ვითარებამ მკვეთრად შეაფერხა ისტორიული მეცნიერების განვითარება. 1935—1936 წლებში — პერიოდის დასასრულისათვის საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიაზე, 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიაზე არ გამოქვეყნებულა არა თუ რაიმე ცალკე წიგნი, არამედ არ დაბეჭდილა საჟურნალო სტატიებიც კი. მხოლოდ აქა-იქ საიუბილეო თარიღებს უძღვნიდნენ გაზეთები წერილებს.

ეს ეპიზოდი საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის შესწავლაზე არსებით გავლენას ვერ ახდენდა, რადგან მარქსისტული ისტორიული კონცეფცია უკვე ჩამოყალიბებული იყო.

თავი მეორე

1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიოგრაფია

ოთებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ქართველი საზოგადოების წინაშე მრავალი საკითხი წამოჭრა. ეროვნული და აგრარული საკითხები, ერის მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობისა და გლეხების მიწით დაკმაყოფილების საკითხები ყველაზე წინავედ დადგა მაშინდელ საქართველოში. ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და აგრარული საკითხის გადაწყვეტის პრობლემებს სხვადასხვა პოზიციებიდან იხილავდნენ ქართველი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოღვაწენი. მათი შეხედულებების საფუძველზე შეიქმნა ქართული ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიული კონცეფციები საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე. სოციალისტურმა რევოლუციამ, მრავალ მიზეზთა გამო, საქართველოში დაიგვიანა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში არ ჰქონია ადგილი ისეთ არსებით ისტორიულ პროცესს, მოვლენას, რომ მას გამოძახილი არ ეპოვა ბურჟუაზიულ მოღვაწეთა პუბლიცისტურ-პოლიტიკურ შრომებში. 1917—1921 წლის საქართველოს ისტორიაზე ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ მოღვაწეთა შეხედულებების, მათი ისტორიული აზრის განვითარების გაცნობა აუცილებელია მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების გაგებისათვის. ეს ისტორიული კონცეფციები ხშირად ისეა გადახლართული პოლიტიკურ იდეებთან, რომ ძნელია მათი გამორჩევა, მათი გამოხშირვა. პროფესიონალური ისტორიული მეცნიერებაც კი მაშინ შექმნილ მეტად რთული ვითარების გამო, პოლიტიკაში გადადიოდა. პოლიტიკური იდეების განვითარება წინ უსწრებდა პროფესიონალ ისტორიკოსთა ისტორიული კონცეფციების განვითარებას. როგორც პოლიტიკურ იდეებს, ისე ისტორიულ კონცეფციებს თავდაპირველად აგრარული, ეროვნული საკითხები, საშინაო და სა-

გარეთ პოლიტიკა იზიდავდა. ბევრი კონცეფცია პროპაგანდის მიზნით იქმნებოდა. ასეთ კონცეფციებს დიდი ღღე არ ეწერა. მრავალი კონცეფცია კი ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას ბოლომდე გაჰყვა. ზოგი მასთან ერთად ჩაკვდა, ზოგმაც ემიგრანტთა შრომებში გადაინაცვლა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიაზე ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ, პოლიტიკურმა პუბლიცისტიკამ ერთიანი ისტორიული კონცეფცია ვერ შექმნა. პრობლემის ქართული ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიოგრაფია სათავეს 1917 წლიდან იღებს. მისი განვითარების ყველაზე თვალსაჩინო ხანა 1917—1921 წლებია, ვიდრე ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება გაიმარჯვებდა. 1917—1921 წლების ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ორ პერიოდად შეიძლება გაიყოს: 1917 წელი—ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე და მის შემდეგ 1921 წლის თებერვლამდე—საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ქართული ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერების კონცეფციები ასახვას პოულობდა იმ მემუარულ ლიტერატურაში და პუბლიცისტიკაში, რომელიც იმავე პროპაგანდის მიზნით, 1921 წლის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების ხელშეწყობითა და კონტროლით იბეჭდებოდა.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე კარგად არის შეთვისებული ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიული კონცეფციებისადმი დიფერენცირებული მიდგომის ჩვენები. თუ ადრე საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში სხვაობას ვერ ხედავდნენ სხვადასხვა იდეურ, არა მარქსისტულ მიმდინარეობებს შორის და ყველას ერთნაირი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ, ამჯერად ჩვენმა ისტორიულმა მეცნიერებამ ისწავლა იდეური მტრების გარჩევა, მათი ურთიერთისაგან განსხვავება, მათი საყრდენი კლასების გამორჩევა და ისტორიულ მეცნიერებაში ყველასათვის თავისი ადგილის მიჩენა. ეს ისტორიული მეცნიერების განვითარებისა და ჩვენი ისტორიკოსთა პროფესიული დაოსტატების შედეგია. ისტორიული მეცნიერების ისტორიკოსმა იდეურ მოწინააღმდეგეთა შორის სულ უმცირესი განსხვავებაც კი უნდა შეამჩნიოს და აღნიშნოს. ვ. ლენინი 1920 წელს ნაშრომში „მემარცხენეობის „საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ წერდა, რომ აზრთა სხვადასხვაობა სხვადასხვა პოლიტიკურ ტიპებს შორის სრულიად უმნიშვნელოა და წვრილმანია აბსტრაქტული კომუნიზმის, ისეთი კომუნიზმის თვალსაზრისით, რომელიც ჯერ კიდევ არ მომწიფებულა პრაქტიკულ, მასობრივ, პოლიტიკურ

მოქმედებამდე. მაგრამ ეს განსხვავება მასების პრაქტიკული მოქმედების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიის წარმომადგენელთა უთანხმოება, განსხვავება უნდა დაინახოს და გამოიყენოს კომუნისტმა ძალაუფლებისთვის ბრძოლაში[1].

1917—1921 წლებში საქართველოში მრავალი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მიმდინარეობა არსებობდა. ეს მიმდინარეობები. ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული პარტიები (მენშევიკების, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების, სოციალისტ-რევოლუციონერებისა და სხვ.) ასახავდნენ სხვადასხვა სოციალური კლასებისა თუ ფენების ინტერესებს, იბრძოდნენ ხელისუფლებისთვის, რათა უფრო კარგად უზრუნველეყოთ თავიანთი საყრდენი სოციალური კლასების ინტერესების დაცვა. ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში, ახალ ვითარებასთან შეგუების პირობებში ზოგიერთმა პარტიამ გადახედა თავის პროგრამის ძირითად დებულებებს და მათ მოქმედებამ, მიზანდასახულმა საქმიანობამ არსებითად ხასიათი შეიცვალა. ასე, მაგალითად, მენშევიკების პარტია თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, იმ რევოლუციისა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, ვ. ლენინის თქმით, ეროვნული სახელმწიფოების შექმნა იყო, ეროვნულ საკითხში მკვეთრად მობრუნდა და ამან ასახვა პოვა ამ პარტიული მიმდინარეობის პუბლიცისტურ-პოლიტიკურ და ისტორიულ კონცეფციებში.

1919 წელს, აღმოსავლეთის ხალხების კომუნისტური ორგანიზაციების II ყრილობაზე, ვ. ლენინი, კომუნისტებს ასწავლიდა, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ზოგად კომუნისტურ თეორიასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით, მათ უნდა შეძლონ ამ თეორიისა და პრაქტიკის გამოყენება ისეთ პირობებში, როცა მთავარ მასას გლეხობა წარმოადგენს, რომ მათ მოუხდებოდათ დაყრდნობა იმ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმზე, რომელიც იღვიძებდა აღმოსავლეთის ხალხებში, და მას კი ისტორიული გამართლება ჰქონდა[2]. ვ. ლენინის ამ დებულებიდან გამომდინარე, ქართული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის (რომელიც მიმართული იყო თვითმპყრობელობისა და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ) ბოლშევიკების მიერ კარგად გამოყენების შეხაძლებლობა არსებობდა. მაგრამ ქართველი ბოლშევიკების მიერ ეროვნულ საკითხში დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა საქართველოს ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) წარმატება. მათ კარგად გამოიყენეს ჩაგ-

---

[1] იხ. ვ. ლენინი, თხზულებანი, მეოთხე გამოცემა, ტ. 31. გვ. 101—102.
[2] ვ. ლენინი, თხზულებანი, მეოთხე გამოცემა, ტ. 30, გვ. 175, 178—180.

რული ერის ეროვნული მისწრაფებანი და ეროვნული სახელმწიფოს სათავეში აღმოჩდნენ.

1917 წელს, თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ. ეროვნული საკითხი, აგრარულ საკითხთან ერთად, საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო. ამიტომ არის, რომ ამ ორ პრობლემას 1917 წელს შექმნილ ისტორიულ კონცეფციებში ძირითადი ადგილი უჭირავს.

1

ქართველმა მენშევიკებმა, რომელთა გავლენა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე საკმაოდ ძლიერი იყო საქართველოში, ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და 1917 წელს საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის სათავეში მოექცნენ. მათ ამ დროისათვის თავიანთი სამოქმედო პროგრამა უკვე ჰქონდათ შემუშავებული და აქედან გამომდინარე უკვე გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს 1917 წელს საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე.

როგორც ზევით ვთქვით, ამ პერიოდში ყველაზე მწვავედ ქართული ეროვნული საკითხი იდგა და მენშევიკებმაც არ დააყოვნეს ამ საკითხზე ჩამოეყალიბებინათ თავიანთი შეხედულება. ამიერკავკასიის მენშევიკთა VI ყრილობამ მოისმინა ნ. ჟორდანიას მოხსენება ეროვნულ საკითხზე და მიიღო სათანადო რეზოლუცია. მაგრამ ვიდრე მენშევიკების ეს ყრილობა მიიღებდა ასეთ გადაწყვეტილებას, მანამდე მათ განვლეს რთული და წინააღმდეგობებით სავსე გზა. არც ყრილობამდე, და არც ყრილობის შემდეგ, ქართველ მენშევიკებს არ ჰქონიათ ეროვნული საკითხისადმი ერთნაირი დამოკიდებულება, ერთიანი თვალთახედვა.

! ცნობილია, რომ პირველი მსოფლიო ომის წინ ქართველ მენშევიკთა დიდი ნაწილი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას იჩენდა ეროვნული საკითხის მიმართ, ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხისადმი, ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლისადმი. მათი ასეთი საქციელი სასტიკ აღშფოთებას იწვევდა ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა შორის. ნ. ჟორდანიას დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი და მისი ისტორიული კონცეფცია იყო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიის უგულებელყოფა. ნ. ჟორდანიას დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველი მოღვაწეებისადმი, მათი როლის შეფასება. არავითარ შემთხვევაში არ პასუხობდა ქართველი ხალხის ეროვნულ

ინტერესებს. შემდეგში, როცა საზოგადოებრივ მოძრაობაში ეროვნული საკითხის ხვედრითი წონა გაიზარდა, როდესაც სხვადასხვა საზოგადოებრივმა ძალებმა ეროვნული ბრძოლის საკითხი საზოგადოებრივი მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად საკითხად გამოაცხადეს, ხოლო ბოლშევიკებმა ეროვნული პროგრამა განავითარეს, ნ. ჟორდანიამ და ქართველ მენშევიკთა დიდმა ნაწილმა პირი იბრუნა და დაიწყო ეროვნულ-კულტურული ავტონომიის ქადაგება.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მენშევიკები ქართული ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულებაში ერთგვაროვანნი არ იყვნენ. ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის წინ ქართველ მენშევიკთა შიგნით გაჩნდა ლადო დარჩიაშვილის ჯგუფი ე. წ. „ავტონომისტთა ჯგუფი", რომელიც მოითხოვდა საქართველოს ეროვნულ ავტონომიას. ეს ჯგუფი მენშევიკთა პარტიის შიგნით დიდხანს არსებობდა და 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგაც აქტიურად გამოდიოდა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნით.

შესამჩნევად გამოსარჩევი პოზიცია ეკავა 1917 წლამდე ქართველ მენშევიკთა ერთ-ერთ ლიდერს აკაკი ჩხენკელს. თუ ნ. ჟორდანია თავის დროზე მოითხოვდა საოლქო თვითმმართველობას და „ცალი თვალით ეროვნულ-კულტურული ავტონომიისაკენ იყურებოდა", აკ. ჩხენკელმა, რომელიც საოლქო თვითმმართველობის საპროგრამო მოთხოვნას ადრე გაემიჯნა, ეროვნულ-კულტურული ავტონომიის მოთხოვნას ჩაჰკიდა ხელი; შემდეგში კი, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნით გამოვიდა.

ვ. ლენინი 1913 წელს ნაშრომში „კულტურულ-ნაციონალური" ავტონომიის შესახებ", წერდა, რომ თუ ადრე რუსეთში „კულტურულ-ნაციონალური ავტონომია" მიიღო მხოლოდ ებრაელების ყველა ბურჟუაზიულმა პარტიამ, შემდგომში (1907 წ.) იგი მიიღეს სხვადასხვა ერის წვრილბურჟუაზიულმა მემარცხენე პარტიებმა და, ბოლოს, მარქსისტებთან ახლოს მდგომმა ოპორტუნისტულმა ელემენტებმა, ე. ი. ბუნდელებმა და ლიკვიდატორებმა და შემთხვევითი არ იყო, რომ საჩელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის" მოთხოვნით გამოვიდა ნაციონალიზმით შეპყრობილი ნახევრადლიკვიდატორი აკ. ჩხენკელი[3].

ასეთი იყო ზოგადად ქართველ მენშევიკთა დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დე-

---

[3] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 604—606.

მოკრატიულმა რევოლუციამ მათ ბევრი ახალი მოსთხოვა. მენშევიკებმაც ბევრი რამ შეცვალეს თავიანთ პროგრამაში და 1917 წლის შემოდგომაზე ისინი საამკარაოზე ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნით გამოვიდნენ.

ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია დაიბადა 1870 წელს, ლანჩხუთში; სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში; შემდეგ ვარშავაში. ნ. ჟორდანია, რომელსაც მრავალი ლიტერატურული ფსევდონიმი ჰქონდა (კოსტროვი, ანი და სხვა), სოციალ-დემოკრატი და მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი იყო. ნ. ჟორდანიამ პოლიტიკური მოღვაწეობა 90-იან წლებში დაიწყო, „მესამე დასში" შედიოდა და მასში ოპორტუნისტულ ფრთას ხელმძღვანელობდა. რსდმპ II ყრილობის შემდეგ ნ. ჟორდანია კავკასიელი მენშევიკების ლიდერი გახდა.

1905 წელს ნ. ჟორდანია მენშევიკურ გაზეთ „სოციალ-დემოკრატს" (ქართულ ენაზე გამოდიოდა) რედაქტორობდა. 1906 წელს ის პირველი სათათბიროს წევრი იყო რსდმპ V ლონდონის ყრილობაზე ცკ-ს წევრად აირჩიეს მენშევიკებისაგან. რეაქციისა და ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში ნ. ჟორდანია ლიკვიდატორებს უპირდა მხარს. 1914 წელს ტროცკის ჟურნალ „ბორბაში" თანამშრომლობდა. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ 1917 წელს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 1918—1921 წლებში ნ. ჟორდანია საქართველოს მენშევიკური მთავრობის მეთაური და ქართული ბურჟუაზიული სახელმწიფოს აქტიური მოღვაწე იყო. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა საფრანგეთში. ნ. ჟორდანია გარდაიცვალა 1953 წელს.

ნ. ჟორდანია თავის დროზე ცნობილი პუბლიცისტი იყო და აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

1917 წელს ქუთაისში გამოვიდა ანის (ნდე ჟორდანიას) ბროშურა „ჩვენ და ფედერალისტები"[4]. ბროშურის ავტორი მიზნად ისახავდა საზოგადოებისათვის გაეცნო სოციალისტ-ფედერალისტებისა და სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) დავის არსი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ეტაპზე—პირველი მსოფლიო ომის მიწურულსა და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომ ხანაში. ნ. ჟორდანიას არა ერთი წერილი აქვს დაწერილი ფედერალისტების წინააღმდეგ. ამ წერილებში ის აყალიბებდა თავის შეხედულებებს და ეკამათებოდა სოციალისტ-ფედერალისტებს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ საკითხზე. საპოლემიკო საკითხთა შორის განსაკუთრებულ ადგილზე იდგა ეროვნული საკითხი, კერძოდ, ქართული ეროვნული საკითხი. თუ თვალს გავადევნებთ ნ. ჟორდანიას ამ წერილებს, აშკარად დავინახავთ ამ საკითხში მისი შეხედულების ევოლუ-

---

4 ანი, ჩვენ და ფედერალისტები, გამოცემა ალექსანდრე ცერცვაძისა, ქუთაისი, 1917.

ციას; შეხედულებათა ამ ცვლას, როგორც ჩანს, ვერც თვითონ ჟორდანია მალავდა. 1917 წელს ქვეყნად შექმნილი ვითარება, ჟორდანიასა და მისი პარტიის ახალი პოლიტიკური პლატფორმა ამ საკითხში შეხედულებათა შეცვლას მოითხოვდა. ამიტომ, ნ. ჟორდანიას ამ ნაშრომის პირველ ნაწილს კიდეც ეწოდება „გუშინ და დღეს“.

ნ. ჟორდანია ამჯერადაც (1917 წ.), ისე როგორც უწინ, ფედერალისტების სოციალისტობას ეპვქვეშ აყენებდა. მათ მემარჯვენე ნაციონალისტურ პარტიად მიიჩნევდა. რუსეთში სოციალისტ-რევოლუციონერები თანდათან უახლოვდებიან სოციალ-დემოკრატებს, აქ, ჩვენში კი, სოციალისტ-ფედერალისტები ამ გზით არ მიდიანო—წუხდა ნ. ჟორდანია. ჩვენ აქვე შევნიშნავთ, რომ თუ სოციალისტ-ფედერალისტები ასეთი დაახლოების გზით არ მიდიოდნენ, სამაგიეროდ, სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ ფედერალისტებს დაახლოებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ეროვნულ საკითხში (მათი დავის ყველაზე ძირეულ საკითხში), მათ ეს გააკეთეს.

იმ დროს, როდესაც ომისა და ბურჟუაზიული რევოლუციის ხანაში ქვეყანა ინგრეოდა, დაირღვა ინტერნაციონალი და შეიქმნა დიდი განსაცდელი (ასე აფასებდა ვითარებას ნ. ჟორდანია), ფედერალისტები მოუწოდებდნენ, რომ მარქსისტებისათვის ბოლო მოეღოთ. ნ. ჟორდანია შექმნილ ვითარებას ადარებდა რეაქციის ხანას, როდესაც ფედერალისტების პარტიამ გააფთრებით შეუტია დასელებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით. „ჭეშმარიტი ქართველები“ (ტერმინი ნ. ჟორდანიასია) გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რაც სასტიკი რეაქცია, შავრაზმელობა იყო. რეაქციის ხანაში, 1908 წელს, ფედერალისტები ებრძოდნენ რა სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს), უარყოფდნენ დემოკრატიზმსა და მის ადგილას აყენებდნენ ქართველი ინტელიგენციის მიერ შემუშავებულ „ქართულ იდეალსო“.

ამჯერადაც, მსოფლიო რეაქცია (პირველი მსოფლიო ომი) გამოიყენეს ფედერალისტებმა და იერიში მიიტანეს სოციალ-დემოკრატებზე. ნ. ჟორდანია წერდა, რომ სოციალისტ-ფედერალისტები სოციალისტობენ, მაგრამ გაუამხანაგდნენ ერის ყველა ბურჟუაზიულ და რეაქციულ პარტიებსო. ფედერალისტებს პირველი მსოფლიო ომი ესმით, როგორც ეროვნული ომი, რომ ამ ომში სხვადასხვა ქვეყნების სოციალისტები ეროვნული დროშით გამოდიან. პირველი მსოფლიო ომის დროს ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) კვლავ უარყოფდნენ ეროვნულ დროშას. ნ. ჟორდანიას აზრით, პირველი მსოფლიო ომის შეფასებაში მენშევიკები და ფედერალისტები მკვეთრად

განსხვავდებოდნენ. მსოფლიო ომში ფედერალისტები ხედავდნენ ეროვნული იდეალის გამარჯვებას, მენშევიკები კი მის დამარცხებას.

პირველი მსოფლიო ომი იმპერიალისტური ომი იყო.

ყველა ერის ბურჟუაზიული, იმპერიალისტური ძალები ეროვნულ დროშას იყო ამოფარებული და ისე იბრძოდა მსოფლიო ბაზრების გადანაწილებისათვის, მზის ქვეშ ადგილისათვის. მეომარი ქვეყნების სოციალ-დემოკრატიული პარტიები ეროვნული ბურჟუაზიის პოზიციებზე დადგნენ. ქართველი ფედერალისტები (წვრილბურჟუაზიული პარტია) თავისი პოზიციიდან მართალი იყო, როდესაც ომში ხედავდა ეროვნულ (ამ შემთხვევაში სოციალურად ბურჟუაზიულ) დროშას.

ნ. ჟორდანია მკაცრად აკრიტიკებდა ფედერალისტების სოციალისტობას. ისინიო, — წერდა იგი, — ფედერალიზმს სოციალიზმის განხორციელების საშუალებად იღებენ; მათი აზრით, დემოკრატიზმი ფედერალიზმის აუცილებელი თვისებაა. ნ. ჟორდანიას აზრით კი, ფედერალიზმი არ გულისსმობდა დემოკრატიზმს; ფედერალიზმი ყოველგვარ წყობილებას ეგუება და ამიტომ სოციალიზმის საშუალებად არ გამოდგება. ფედერალისტური მოძრაობით სოციალიზმში გადასვლა შეუძლებელი იყო.

ნ. ჟორდანია ფედერალისტებს აკრიტიკებდა ეროვნულ საკითხშიც. მისი აზრით, ფედერაცია მხოლოდ ავტონომიური ტერიტორიების ფედერაცია, კავშირი იყო, და არა ერების კავშირი. ფედერაცია ტერიტორიული მოვლენაა — წერდა ის, — და არა ეროვნულიო. ეროვნება კულტურული მოვლენაა. აქ, კიდევ ერთხელ ჩანს ნ. ჟორდანიას მიდრეკილება ეროვნულ-კულტურული ავტონომიისაკენ. ეს მისი ევოლუციის გვიანდელი ეტაპია. ეროვნული ნიჰილიზმიდან უკვე დიდი ხანია დაიძრა — 1910-იანი წლების დასაწყისიდან.

ნ. ჟორდანიას აზრით, საქართველოში ეროვნული საკითხი მწვავედ იდგა. ყველა პარტია თუ საზოგადოებრივი ჯგუფი ვალდებული იყო გამოპასუხებოდა ამ მეტად მტკივნეულ საკითხს; ყველა ვალდებული იყო თავისი ეროვნული პროგრამა ჰქონოდა. როდესაც ევროპაში დაიწყო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, მარქსიზმს იქ მრავალი საკითხი უკვე გადაჭრილი დახვდა. ამ საკითხთა შორის იყო ეროვნული საკითხი. სხვა ქვეყნებში ეროვნული საკითხი კვლავ მწვავედ იდგა.

ნ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ საქართველოში ეროვნული საკითხი მამებს უნდა გადაეწყვიტათ; ეს საკითხი სოციალ-დემოკრატიის საქმე არ იყო; მაგრამ რადგან ეს საკითხი ასე აწეწილ-დაწეწილი დახვდა სოციალ-დემოკრატიას, ამიტომ იძულებულნი არიან მიხედონ მას. ეროვ-

ნული საკითხი ასე მწვავედ საფრანგეთში და ინგლისში არ იდგა. მაგრამ რატომ ივიწყებდა ის ავსტრია-უნგრეთს, რუსეთის იმპერიას, კოლონიურ ქვეყნებს? საქართველოში კი, რომელიც მეფის რუსეთის მხრიდან მწვავე ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა, ეროვნულ საკითხს მამები ვერ გადაწყვეტდნენ. ეს საკითხი ახალი სოციალური წყობის ბაზაზე უნდა გადაჭრილიყო.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ეროვნულ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევდნენ. გავიხსენოთ „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". ეროვნულ საკითხს სრულიადაც ვერ გადაწყვეტდა ბურჟუაზია. პირიქით, ეროვნული ჩაგვრა, კოლონიური ჩაგვრა, ეს ახალი დროის ამბავი იყო. ვ. ლენინი წერდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ეროვნული საკითხი, ეს ახალი დროის პრობლემაა. ასეთ უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა ნ. ჟორდანია ქართული ეროვნული საკითხისადმი 1917 წელსაც კი, როდესაც ქართველი ერი ეროვნულ თავისუფლებასთან ასე ახლოს იყო.

ფედერალისტების ეროვნული პროგრამა, მათი ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის, ნ. ჟორდანიას ჩამორჩენილობად, რეაქციად მიაჩნდა. ნ. ჟორდანია წერდა, რომ ფედერალისტები ცდილობენ მამების გასაკეთებელი საქმე გააკეთონო. მამები კი იმაზე მეტს ვერ გააკეთებდნენ, რაც მათ გააკეთეს ქართველი ხალხისათვის, მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა ააფრიალეს, რასაც ასე უსაფუძვლოდ დასცინოდა და მიწასთან ასწორებდა ნ. ჟორდანია და უდიერად იხსენიებდა ილია ჭავჭავაძეს.

ნ. ჟორდანია წერდა, რომ სოციალისტ-ფედერალისტები წინა პლანზე ეროვნულ საკითხს აყენებდნენ; სოციალ-დემოკრატია (მენშევიკები) კი, პირიქით, წინა პლანზე სოციალურ საკითხს აყენებდა. ჯერ სოციალური ჩაგვრა მოვსპოთ, ხოლო ერს შემდეგ მივხედოთო. ეროვნული საკითხი, სოციალური საკითხის შემადგენელი ნაწილი, მისი განუყოფელი ნაწილი იყო. მათი ასეთი გათიშვა ანტიმარქსისტულია. ერი, რომელიც მწვავე ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა, მარტო სოციალური თავისუფლებით ვერ დაკმაყოფილდებოდა და, საერთოდ, ეროვნული ჩაგვრის პირობებში შეუძლებელი იყო სოციალური თავისუფლების მოპოვება. აკრიტიკებდა რა, სოციალისტ-ფედერალისტებს, ნ. ჟორდანია წერდა, რომ სოციალიზმის მისაღწევად სრულიად არ იყო საჭიროებულო ეროვნული საკითხის გადაწყვეტა. ეროვნული ჩაგვრა სოციალური თავისუფლებისაკენ მიმავალ გზას ვერ გადაღობავდა. ის მხოლოდ შეაფერხებდა ასეთ მოძრაობას. მისი აზრით, საზოგადოებრივი მოძრაობა გამომდინარეობდა არა ამა თუ იმ ეროვნუ-

ლი მოძრაობისაგან, არამედ თვით კაპიტალისტური განვითარებისაგან და. მაშასადამე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიურ განვითარებას ჰქონდა და არა ეროვნულ საკითხსო.

ნ. ჟორდანიას აზრით, სოციალიზმისა და ნაციონალიზმის (ე. ი. ეროვნული კითხვის დაყენების) გათანასწორება და ერთ პარტიაში მოთავსება ისეთივე უაზრობა იყო, როგორც სოციალისტ-ფედერალისტობა. ასე გამოდიოდა 1917 წლის დასაწყისში ეროვნული საკითხის აქტიურად დაყენების წინააღმდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ქართველი მენშევიკების ლიდერი ნ. ჟორდანია.

ნ. ჟორდანია სოციალისტ-ფედერალისტების მოძრაობას ორ ნაწილად ჰყოფდა და ეს ასეც იყო — მემარცხენე და მემარჯვენედ. მემარცხენე მიმდინარეობა ეროვნულ საკითხს (ნაციონალისტობას, როგორც ნ. ჟორდანია ამბობდა) ცნობდა და ანგარიშს უწევდა კლასების არსებობასაც. მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები ცნობდნენ კლასთა ბრძოლას, მაგრამ ანგარიშს არ უწევდნენ მას. ნ. ჟორდანია აკრიტიკებდა ფედერალისტების იმ ლიდერებს, რომლებიც საზოგადოების დაყოფაში, ჰორიზონტალურის (კლასობრივის) გარდა ხედავდნენ ვერტიკალურ (ეროვნულ) დაყოფასაც და ეროვნულს კლასობრივზე მაღლა აყენებდნენ. ისინი კლასობრივ საქმეს დროებითად თვლიდნენ, ეროვნულს კი—სამარადისოდ. ნ. ჟორდანია აკრიტიკებდა იმათ, ვინც კლასის ინტერესებს უმორჩილებდა ერის ინტერესებს. ასეთებად მას ფედერალისტები მიაჩნდა.

ნ. ჟორდანიას აზრით, ისტორიამ არ იცის უკლასო ერი. კლასებმა შექმნეს ერი და არა ერმა კლასები. ისტორია ამბობს, რომ კლასობრივი პოლიტიკა მუდმივია, ეროვნული კი—დროებითი. ეროვნული პოლიტიკა ისევე კლასობრივია, როგორც სხვა პოლიტიკა. ავტორი ილაშქრებდა ეროვნული პოლიტიკის ზეკლასობრივად გამოცხადების წინააღმდეგ. ნ. ჟორდანია არ იყო მართალი, როდესაც სოციალისტ-ფედერალისტებს ყველას ერთნაირად მიაწერდა ეროვნული პოლიტიკის ზეკლასობრივად გამოცხადებას. მაგალითად, თედო ღლონტი წერდა, რომ მისი და სოციალისტ-ფედერალისტების პოლიტიკა გლეხთა კლასის პოლიტიკაა და ყველაფერი, რასაც მისი პარტია აკეთებდა, გლეხთა ინტერესებს ემსახურებოდა.

ნ. ჟორდანიას აზრით, ეროვნული ომების ეპოქა XIX საუკუნის პირველ ნახევარში დამთავრდა. მაშინ გათავისუფლდა ეროვნული ჩაგვრისაგან ყველა ის, ვისაც ეს თავისუფლება სურდა. ეხლა გასათავისუფლებელი აღარავინ არისო. იმპერიალისტური ომია და მისი მიზა-

ნია არა ერთა გათავისუფლება, არამედ სამი ეროვნული სახელმწიფოს მოსპობა. ნ. ჟორდანიას ეგონა, რომ იმპერიალისტური ომების დროს ჩაგრული ერები არ ისახავენ მიზნად ეროვნულ თავისუფლებას; რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების ეპოქა დამთავრდა. პირიქით, წინ იყო სოციალისტური რევოლუციის ეპოქა და, მაშასადამე, იწყებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების ახალი ხანა. ავტორის აზრით, მიმდინარეობდა ბრძოლა სახელმწიფოებს შორის და ამ სახელმწიფოების ერებს შორის ინტერნაციონალური თანხმობა იყო— ერები შეკავშირდნენ სახელმწიფოში.

ნ. ჟორდანია აკრიტიკებდა სოციალისტ-ფედერალისტებს იმიტომ, რომ მათ მსოფლიო ომში სახელმწიფოების ნაცვლად ერი ჩასვეს და ერთა ბრძოლა აღიარეს. ინტერნაციონალს პირველი მსოფლიო ომის შინაარსად არა ერთხელ დაუდგენია ჩაგრული ერების დაცვა, მაგრამ არც ერთ ჩაგრულ ერს და მის პარტიას არ მოუნდომებია ამ ომით სარგებლობა, ერთა ცხოვრებაში ინტერნაციონალის დადგენილებათა გატარება. ეს დიდ ზიანს მიაყენებდა ორივე ერს—გაბატონებულსაც და დაპყრობილსაც. ერის გადარჩენის ერთადერთი გარანტია, მისი აზრით, ძლიერი სახელმწიფოსათვის თავის შეფარება იყო. სოციალ-დემოკრატები ერთმანეთში არ ურევენ ერსა და სახელმწიფოს. სოციალისტები სამშობლოს კი არ იცავენ, არამედ სახელმწიფოს. ყველა პატარა ერმა და მათ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ სამშობლოდ აღიარა დიდი ერის სამშობლოს სახელმწიფო. ომმა ეროვნული მომენტი დაუმორჩილა სახელმწიფოს. ცხადია, ნ. ჟორდანიას დამოკიდებულება ერისა და ეროვნული საკითხისადმი მცდარია. ის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაცვლად ქადაგებდა ძლიერისადმი მორჩილებას.

იმავე 1917 წელს, მენშევიკების საოლქო კომიტეტმა ქართულად და რუსულად გამოსცა ნ. ჟორდანიას ნაშრომი, უფრო სწორედ მოხსენება ეროვნულ საკითხზე. ეს მოხსენება მან ამიერკავკასიის რსდმპ(მ) VI საოლქო ყრილობაზე წაიკითხა. მოხსენებას თან ერთოდა მისივე თეზისები ეროვნულ საკითხზე და ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია. როგორც წიგნიდან ჩანს, ეს მოხსენება ნ. ჟორდანიამ დაწერა რევოლუციამდე, მაგრამ მისი გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა მხოლოდ რევოლუციის შემდეგ და ისიც, როგორც ოფიციალური დოკუმენტის — ყრილობაზე წაკითხული მოხსენების სახით[5].

ნ. ჟორდანიას აზრით, არსებობდა სამი ეროვნული იდეოლოგია: იდეოლოგია არისტოკრატიისა— რეაქციონური; ბურჟუაზიისა —

---

5 ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ნაციონალური კითხვა ამიერკავკასიაში, თბ., 1917.

ლიბერალური, მუშა ხალხისა— დემოკრატიული. პირველ ორ იდეოლოგიას ერთმანეთთან აერთებდა აგრესიული და შოვინისტური თვისებები, ასხვავებდა კი მოქალაქეობრივი და ეკონომიური მოტივები. მესამეს პირველთან (ე. ი. არისტოკრატიულს პროლეტარულთან) არაფერი არ ჰქონდა საერთო. ხოლო მესამე, მეორეს ემთხვეოდა იმ შემთხვევაში, როცა მისი ლოზუნგი არ ნიშნავს სხვა ერის დამორჩილებას, სხვისი ენის დევნას[6].

ნ. ჟორდანიას თქმით, ეროვნული ურთიერთობა უფრო მწვავე იყო ადგილობრივ, ვიდრე ცენტრთან ურთიერთობაში. ე. ი. ადგილობრივი ნაციონალიზმი უფრო მწვავედ იდგა, ვიდრე ურთიერთობა გაბატონებულ ერსა და ჩაგრულ ერს შორის. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ადგილობრივი ნაციონალიზმი ეს თავისთავად შედეგია გაბატონებული ერის დიდმპყრობელური შოვინიზმისა. ასეთია მარქსისტული აზრი ამ საკითხში. ნ. ჟორდანიას აზრით, XX საუკუნის დასაწყისამდე საქართველოში გაბატონებული იყო ადგილობრივ ერთა ინტერესების სოლიდარობის იდეა და მათი დაპირისპირება ცენტრისადმი (ე. ი. დიდმპყრობელური შოვინიზმისადმი). აქ; ნ. ჟორდანია ხშირად იშველიებდა გაზეთ „დროებას“ და სერგეი მესხს — ვამოჩენილ ქართველ პუბლიცისტს. ნ. ჟორდანიას აზრით, გაზეთ „დროებას“ დემოკრატიული ჯგუფის ეროვნული პოზიცია იმაში მდგომარეობდა, რომ ქართული ეროვნული იდეა დაფუძნებულიყო სამი ადგილობრივი ერის (ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების) საერთო ინტერესებზე. აქ მთავარი უნდა ყოფილიყო არა შინაური ქიშპი ამიერკავკასიის ხალხებს შორის, არამედ დამოკიდებულება ცენტრთან (ასე რბილად ხმარობდა მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის აღმნიშვნელ ტერმინს ნ. ჟორდანია). ნ. ჟორდანიას თქმით, გაზეთ „დროებას“ ამ პოზიციას შეებრძოლნენ გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი პოეტი ველიჩკო და „ივერიის“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. ნ. ჟორდანია ასე ერთ სიბრტყეზე აყენებდა მეფის რუსეთის ჩინოვნიკს, პირწავარდნილ შოვინისტ ველიჩკოსა და ქართველი ხალხის დიდ მოამაგეს ილია ჭავჭავაძეს.

ეს ბრძოლა დაიწყო 1897 წელსო. მათ გააჩაღეს პრესაში ანტისომხური კამპანია და ამით ეროვნული კითხვა ახალ ნიადაგზე დააყენესო. ცენტრის კითხვა უკან დადგა, ადგილობრივი კითხვა წინ წამოვიდაო. ნ. ჟორდანია წერდა, რომ „საერობო მოთათბირენი და მათი ამყოლ-დამყოლნი იდეურად აგრძელებენ ჭავჭავაძე-ველიჩკოს ნაციონალურ კამპანიას, ხოლო დემოკრატია — საერთაშორისო მშვიდობი-

---

6 ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ნაციონალური კითხვა ამიერკავკასიაში, თბ., 1917.

ანობის მქადაგებლები კი ენათესავებიან „დროების“ ნაციონალურ მიმართულებას“. ბრძოლის მატარებლები არიან გაბატონებული კლასები, სოლიდარობის მატარებელი კი ჩაგრულთა კლასებია, რომელსაც ინტერნაციონალ-დემოკრატია მეთაურობს[7].

ნ. ჟორდანია, ცხადია, არ იყო მართალი ილია ჭავჭავაძის შეფასებისას. ცნობილია მეფის რუსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიის ხალხების მიმართ. მთავარმართებლისა თუ მეფისნაცვლის შეცვლას ყოველთვის მოსდევდა მეფის რუსეთის ეროვნული პოლიტიკის შეცვლა საქართველოში. ცნობილია, რომ გოლიცინი სასტიკად სდევნიდა სომხებს და ვითომდა წყალობდა ქართველებს; ვორონცოვ-დაშკოვი კი, პირიქით, და სულ ასე იყო XIX საუკუნის მთელ სიგრძეზე და XX საუკუნის დასაწყისში. ეს და მრავალი სხვა ამის მსგავსი კეთდებოდა შეგნებულად, იმ მიზნით, რომ ამიერკავკასიის ერები ერთმანეთისათვის წაესისიანებინათ. ამ საქმეს ემსახურებოდა გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი ველიჩკო, რომელიც ვითომდა წყალობდა ქართველებს და სიძულვილით იყო გამსჭვალული სომხებისადმი. მეფის რუსეთის პოლიტიკისა და ადგილობრივი ბურჟუაზიის ურთიერთთან ბრძოლის შედეგი იყო ის ურთიერთობა, რაც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის საბჭოთამდელ ხანაში ამიერკავკასიის ხალხებს შორის ჩამოყალიბდა. ილია ჭავჭავაძე კი, რომლის მიმართ ასე უმართებულო დამოკიდებულებას იჩენდა ნ. ჟორდანია, არასოდეს არ ებრძოდა სომხებს. ის იყო ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის მქადაგებელი და ამ მეგობრობის მჭედელი. ზუსტად იმ წლებში (ე. ი. XIX საუკუნის ბოლოს) ილია ჭავჭავაძემ დაწერა ცნობილი „ქვათა ღაღადი“ (1899 წ.), სადაც ეკამათებოდა საქართველოს წარსულის გამყალბებლებს და წერდა: „მთელი ერი სომხებისა აქ არაფერს შუაშია: იგი, ვითარცა მშვიდობიანად მშრომელი და გამრჯელი, თავისს საქმეს ადგია — ვაჭრობაა თუ ხვნა-თესვა-და ფიქრადაც არ მოსდის და არც ეჭირება პასუხისმგებელი იყოს იმ ზოგიერთთა ცოდვების გამო, რომლებიც არამკითხე მოამბესავით მეტიჩარობენ და გარს დასტრიალებენ, როგორც მუმლი მუხასა“[8].

ნ. ჟორდანია ამ ნაშრომში წერდა, რომ ის გაზეთ „დროებასავით“ აყენებდა კითხვას „სამივე ერის გულისათვის ერთად ზრუნვა“, „ერთად მცხოვრებლებმა ერთი ჭაპანი უნდა ვწიოთ“. მისი აზრით, ქართველმა ნაციონალისტებმა ეს გზა უარყვეს და ნაციონა-

---

7 ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ნაციონალური კითხვა ამიერკავკასიაში, თბ., 1917, გვ. 11.

8 ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. 8, გვ. 98.

ლისტური ბრძოლით ფიქრობდნენ ეროვნული საკითხის გადაწყვეტას. ნაციონალისტებში ის უპირველესად გულისხმობდა ილია ჭავჭავაძეს და მის თანამებრძოლებს, რომელთაც ერის ინტერესები კარგად ჰქონდათ შეგნებული, ერის წარსული და აწმყო კარგად იცოდნენ და ერის თვალსაზრისით მომავალსაც უკეთ ჭვრეტდნენ. ნ. ჟორდანიას ქართული ეროვნული საკითხი კი არ ჰქონდა წარმოდგენილი კონკრეტულად, არამედ მისთვის არსებობდა ზოგადი ეროვნული „კითხვა", რომელიც უნდა გადაჭრილიყო ერთად. ამიერკავკასიის ყველა ერებისათვის ერთიანად. ნ. ჟორდანიას აქ მოჰყავდა სიტყვები: „ერთად დგომით ავშენდებით, ცალცალკე დგომით დავიქცევითო", მაგრამ არაფერს ამბობდა იმაზე, რომ ქართული ეროვნული საკითხის სწორად დაყენება სრულიადაც არ ნიშნავს მეზობელი ხალხების წაკიდებას. პირიქით, მეზობლებთან კარგად ყოფნა და მეგობრობა ხელს შეუწყობდა ერის აღორძინებას.

ნ. ჟორდანიამ ეს მოხსენება მაშინ წაიკითხა, როდესაც ცხოვრებამ დღის წესრიგში დასვა უწინ ჩაგრული ხალხების მომავალი ბედის საკითხი, მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი. ნ. ჟორდანია ასე სვამდა საკითხს: თუ ამიერკავკასიის ხალხებს ნებას მისცემენ შინაური საქმეები სურვილისამებრ მოაგვარონ, მაშინ რა მოგვცემს მეტ ეკონომიურ ეფექტსა და ნაკლებ ეროვნულ ბრძოლას? ამაზე თვითონვე პასუხობდა, რომ ერთა მშვიდობიანი გამიჯვნა უნდა ეთანხმებოდეს ეკონომიურ მსვლელობასო. არ არის მისაღები ისეთი წესწყობილება, რომელიც აღვიეებს ერთა შორის შუღლს ან ანელებს მოქალაქეობრივ წინმსვლელობასო. ამიერკავკასიის ერებმა უნდა თქვან თუ რა სურთ. თუ ერთი ერის თვითგამორკვევის სურვილი ეთანხმება მეორე ერის სურვილს, მაშინ საჭიროა კომპრომისული მორიგებაო. აქაც, ერთა თვითგამორკვევის საკითხში ნ. ჟორდანია ამიერკავკასიას განიხილავდა, როგორც ერთ ერთეულს. ის წერდა, რომ სამ ადგილობრივ ერში ერთიც რომ წინააღმდეგი წავიდეს — ეს საკმარისია საბუთია პოზიციის უვარგისობისა. ჩვენ ვდგავართ შეთანხმების ანუ კომპრომისულ თვალსაზრისზე. ეს ჩვენი ძირითადი დებულებაა, ეს თვითგამორკვევის ლოგიკური დასკვნაა. მაშასადამე, ქართველი ერის ეროვნული პროგრამა უნდა აშენდეს არა მარტო ქართველის, არამედ დანარჩენი ორი ერის მოთხოვნილებაზეც. ეს გარემოება მისცემს მას ძალასა და განხორციელების საშუალებას. და იქვე დაასკვნიდა, რომ ეროვნული კითხვა უნდა ესმოდეთ

საქართველოში, როგორც კითხვა სხვადასხვა ერთა ურთიერთობის კომპრომისულად გამომუშავებისა[9].

მეფის რუსეთის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში ზემოდან, იარაღის ძალით ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად გაერთიანებული საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ნ. ჟორდანიას მიაჩნდა ეკონომიურ მთელად, რომელთა ეროვნული ინტერესებიც ასევე ერთიანი უნდა ყოფილიყო. მენშევიკების კლასობრივი დასაყრდენი მკვეთრად არ იყო გამიჯნული. ეს იწვევდა მთელ რიგ საკითხებში მათ შეხედულებათა აღრევას; ბევრ საკითხზე ბუნდოვანი, გაურკვეველი შეხედულება ჰქონდათ. ასევე მოხდა ეროვნულ საკითხშიც. ნ. ჟორდანიამ ვერ აუღო ალღო 1917 წელში თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ ვითარებას; ვერც მომავლისაკენ მიმავალი გზები დაინახა მკვეთრად. ეს კარგად გამოჩნდა შემდგომში. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ 1917 წელს ნ. ჟორდანია რეალურად ვერ აფასებდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლას და კარგად ვერ ხედავდა თუ ერი საით მიისწრაფოდა. ნ. ჟორდანია ასაბუთებდა, რომ ეკონომიურად ამიერკავკასიის ხალხებს არ შეუძლიათ უერთმანეთოთ არსებობა, რომ „ნაციონალურ განხეთქილებას მიემატება სამოქალაქეობრივი საწარმოო განხეთქილება". ამიერკავკასიის „დაჭრა" ერთვნებათა მიხედვით თავადაზნაურობის ინტერესებში შედის, რადგან მას არ სჭირდებოდა ერთიანი ბაზარი. თავადაზნაურობა წინააღმდეგი იყო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისა, რადგან ეს მას დაღუპავდა. საშუალო და მსხვილი ბურჟუაზიის მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნასაც პრიმიტიულად ხსნიდა ნ. ჟორდანია. მათი ეკონომიური ინტერესი მოითხოვდა ბაზრის გაფართოებას, მაგრამ რადგან ის მიილტვის ხელისუფლებისაკენ, ამიტომ ურჩევნია განუყოფლად ბატონობდეს შინაურ ბაზარზე. თუ ბურჟუაზიას საბატონო ტერიტორია უბრძოლველად გაუფართოვდება, მაშინ ის ჩამოსცილდება თავადაზნაურობის ეროვნულ მოთხოვნილებას და ცალკე დადგება. „ცხადია, ამ ორი ელემენტის კომბინაცია ე. ი. მთლიანი ამიერკავკასია მთლიან რუსეთში, როგორც ერთი ეკონომიური სარბიელი და ნაციონალური მთავრობა, სავსებით დააკმაყოფილებს ბურჟუაზიას".

ნ. ჟორდანიას აზრით, ეროვნულ საკითხში შეიძლებოდა ბურჟუაზიისა და დემოკრატიის ინტერესების შეთანხმება და ამით, ამ ორი კლასის — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის მორიგება კავკასიის კონკრეტულ პირობებში, შესაძლებლად მიაჩნდა. აქ კვლავ

---

9. ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 13.

თაეს იჩენდა ნ. ჟორდანიას წვრილბურჟუაზიულობა და შემთანხმებლობა. ის ეძებდა კომპრომისს, საერთო წერტილს, რათა მუშათა კლასი და ბურჟუაზია შეერიგებინა.

ავტორის აზრით, ამიერკავკასიის ერთა ურთიერთობის მოწესრიგება კუთხურ-ეროვნულად ერების ურთიერთ თავდასხმასა და ნაციონალიზმის კოცონის გაჩაღებას ნიშნავდა. საქმე რომ ეხებოდეს ამიერკავკასიაში უკვე გამოყოფილ ეროვნულ ერთეულებს, ისტორიულად შემუშავებულ პატარა სახელმწიფოებს, როგორც იყო XIX საუკუნის დასაწყისში, მაშინ ადვილი და თანაც სავალდებულო იქნებოდა ამიერკავკასიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწესრიგება. ნ. ჟორდანიას აზრით, რუსეთმა გაათანაბრა კავკასიის ყველა ნაწილი და შექმნა ერთიანი ტერიტორიული ასპარეზი. ნამდვილად კი მეფის რუსეთის ბატონობამ ვერ შეძლო ამიერკავკასიის ხალხების თვითმყოფობის მოსპობა. პირიქით, XIX საუკუნეში შეიქმნა, ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული ერები, რომლებიც მოითხოვდნენ თავისუფლებას. ამ ერების ინტერესებიდან გამომდინარე ეროვნული საკითხის სწორი, მართებული გადაწყვეტა (ტერიტორიული ავტონომიის მიცემა) სრულიადაც არ იქნებოდა საქმისადმი ნაციონალისტური მიდგომა. ნ. ჟორდანია ხედავდა მხოლოდ მეფის რუსეთის მიერ შექმნილ ხელოვნურ ადმინისტრაციულ ერთეულებს — გუბერნიებს, ოლქებს, მაზრებს, რომლებიც თითქოს და ნთქავდნენ საქართველოს და ამიერკავკასიის ერებს. მას არ სურდა იმ დროს დაენახა XIX საუკუნეში წარმოებული დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი უდგნენ სათავეში და რომელმაც XX საუკუნეში ახალ სოციალურ ძალებზე დაყრდნობით სხვა სახე მიიღო.

ნ. ჟორდანია ამ დროს ერთა თვითგამორკვევას, ერთა ბრძოლას დმოუკიდებლობისათვის, არ უჭერდა მხარს. ის მომხრე იყო სამოქალაქო ერთეულის შექმნისა, რომლის შიგნით ერები იცხოვრებდნენ სიამტკბილობით. მისი აზრით, ერი არ უნდა ჰქმნიდეს კანონებს, კონსტიტუციას; ერთა ურთიერთობის წესის გამომუშავებას უნდა აკეთებდეს საერთო ცენტრი, რომელიც ერთა შეთანხმებით შინაური ურთიერთობის ძირითად აქტებს შეადგენდა. ნ. ჟორდანიას აზრით, საქმის ნაყოფიერად დაგვირგვინების აუცილებელი პირობები დემოკრატიული უმრავლესობა და ნაციონალური კომპროსი იყო. ის მოითხოვდა, რომ კავკასიას ასე, ერთად ეცხოვრა და ერთად გაეწია ჭაპანი. ნ. ჟორდანია ამ პერიოდში უკვე კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას უჭერდა მხარს.

კულტურულ-ეროვნული ავტონომია ქართველ მენშევიკთა არსენალში ამ დროს მაგრად იყო დამკვიდრებული. ამ ავტონომიის გზით ცდილობდნენ ეროვნული საკითხის გადაჭრას ამიერკავკასიაში. როდესაც ნ. ჟორდანია ზრუნავდა ერთიან ამიერკავკასიაზე, რომლის შიგნით ერების ნაცვლად მხოლოდ მეფის რუსეთის შექმნილი ადმინისტრაციული ერთეულები ჩანდა, მაშინ კულტურულ-ეროვნული ავტონომია, მისი აზრით, ერთ-ერთი უებარი წამალი იყო. ის წერდა, რომ „ამიერკავკასიის პოლიტიკური ორგანიზაცია ორნაირად უნდა აშენებულიყო: თანახმად სააღებმიცემო ინტერესებისა და ერთა თანასწორობისა, ე. ი. ეკონომიურად და ეროვნულად. ეკონომიური მთლიანობა უფლების მთლიანობას მოითხოვდა. რაკი ჩვენ ამიერკავკასია ასეთ მთლიანად მივიღეთ, აშკარაა, მისი საჯარო უფლების საზღვრებში უნდა მოეწყოს ეროვნული ორგანიზაციაო". როგორც ვიცით, წერდა ის, დემოკრატიის ეროვნული მიზანი მშობლიური ენის სახელმწიფო ენად გადაქცევაა, ხოლო ბურჟუაზიის მიზანი — ეროვნული მთავრობის შექმნა. თუ კი ამ ორივე მიზნის მიღწევა შეიძლებოდა ჩვენში ისე, რომ ეროვნული სახელმწიფო არ შექმნილიყო ამიერკავკასიის ერთეულის ფარგლებში, ორივე კლასი დაკმაყოფილებული იქნებოდა და ეროვნული განხეთქილებაც პოლიტიკურ ნიადაგზე მოისპობოდა. ამ ორ მიზანს ის ერთი-მეორის მიუცილებელ პირობად თვლიდა. ეროვნული ენის გაბატონება შეუძლებელია ეროვნული მმართველობის გარეშე, ხოლო ეროვნული მმართველობა თავისთავად ეროვნულ ენას გულისხმობდა. რომ არც ერთი ეს არ მოითხოვდა უეჭველად ეროვნულ სახელმწიფოს, ამის მაგალითებად შვეიცარიასა და სხვას ასახელებდა. მაშასადამე, ნ. ჟორდანიას აზრით, ამიერკავკასიაშიც შესაძლებელი იყო ერთი და იმავე დროს ყოფილიყო სამი ერის ცენტრალური მმართველობა და ამასთან თითოეული ერის მმართველობა ცალ-ცალკე. ამ მსჯელობაში ჯერ კიდევ იყო დარჩენილი „ტერიტორიალიზმის" ზოგიერთი კვალი, მაგრამ საერთოდ კი ეროვნული ავტონომიის ფორმულირებას წარმოადგენდა. ნ. ჟორდანია ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ ჩაგრული ერების ბუნებრივი მოთხოვნილება იყო ეროვნული სახელმწიფოების აღდგენა.

აქ მოცემულია მენშევიკების პროგრამა ეროვნულ საკითხში, რომელიც ვითომ კარგი იქნებოდა ბურჟუაზიულ რევოლუციის პირობებში, და არავითარ შემთხვევაში სოციალისტური რევოლუციის დროს. ეს არის შემთანხმებლობა ბურჟუაზიასთან. მაგრამ საქმეს აქვს მეორე მხარე, წმინდა ეროვნული მხარე, თუნდაც ბურჟუაზიული ბატონობის პირობებში. იმას, რაც მეფის რუსეთმა გააკეთა — მოსპო საქართველოს სახელმწიფოებრიობა— ნ. ჟორდანია ცნობდ-

და მის ეროვნული პროგრამის ამოსავალი წერტილიც ეს იყო. იგი ამ დროს ჯერ კიდევ არ ფიქრობდა, რომ საჭირო იყო ერის სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

ნ. ჟორდანია უშვებდა „ტერიტორიალიზმის“ პრინციპს და ამბობდა, რომ მმართველობა, საჯარო უფლების ორგანიზაცია შეუძლებელი იყო ტერიტორიის გარეშე. ეროვნული მმართველობის დაწესება ეროვნული ტერიტორიის არსებობას მოითხოვდა. მისი აზრით, კარგი იყო, როცა ერს ფუძე, ტერიტორია ჰქონდა, სადაც ეს ერი უმეტესობას შეადგენდა და აქედან ხელმძღვანელობდა მთელი ერის ცხოვრებას. მთელ ერში იგულისხმება სხვადასხვა ადგილებში გაფანტული ამ ერის შვილები. ნ. ჟორდანია ციფრებით არკვევდა, თუ ვინ სად, რამდენი ცხოვრობდა და მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით მიჯნავდა ერებს. ის ანგარიშს უწევდა მხოლოდ არსებულ ვითარებას, შაგრამ ისტორიულ ტრადიციას, ეკონომიკას, შრომის ტერიტორიულ განაწილებას ის არ ცნობდა და ამიტომ ქართველები, აზერბაიჯანლები, სომხები და სხვები, იფარგლებოდნენ მხოლოდ მათ მიერ დასახლებული ტერიტორიით. მისი ფიქრით, ეროვნებათა კომპაქტურობით შეიძლება საქართველოს სამი მეოთხედი გამიჯნულიყო, სომეხ-თათართა პროვინციების კი ნახევარი. ასე მიიღებდნენ სამ ეროვნულ ~~ტერიტორიას მეტ~~ნაკლები სივრცით. აქ, ნ. ჟორდანიას აზრით, უნდა დაწესებულიყო ეროვნული მმართველობა და ეროვნული ენა გახდებოდა დაწესებულებათა ენად. სიძნელე ამ ტერიტორიების გარეთ იწყებოდა. ტერიტორიები, სადაც შერეული მოსახლეობა იყო, უნდა გაყოფილიყო ეროვნულ ერთეულებად. შეიქმნებოდა თვითმმართველი ტერიტორიები, რომელთა საქმიანობა გაიყოფოდა ორად — ტერიტორიულ საქმეებს გადაწყვეტდნენ საერთო ძალღონით, ხოლო კულტურულს—თითოეული ერი ცალ-ცალკე, ე. ი. აქ დაწესდებოდა ორგვარი მმართველობა—ინტერნაციონალური და ეროვნული. პირველის ოფიციალური ენა იქნებოდა ადგილობრივი ენა, მეორისა კი —მშობლიური ენა[10].

მენშევიკური პარტიის ლიდერი ნ. ჟორდანია ამბობდა, რომ მის მიერ წამოყენებული ეროვნული პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა გადაეჭრათ ამიერკავკასიაში ეროვნული საკითხი, წააგავდა შვეიცარიის სახელმწიფოებრივ მოწყობას, შვეიცარიის მმართველობის სისტემას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამიერკავკასიაში არ იქნებოდა ფედერაცია. ფედერაციაში შედიან დამოუკიდებელი ერთეულები. ამიერკავკასიაში კი ასეთი დამოუკიდებელი ერთეულები არ იგულისხ-

---

10 ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 25.

მებოდა. ნ. ჟორდანიას აზრით, ამიერკავკასიაში არ იყო ფედერაციის საგანი.

კვლავ აღვნიშნავთ, რომ ამიერკავკასიაში ეროვნული ერთეულების უგულებელყოფა, მათი არ ცნობა, ეს იყო ნ. ჟორდანიას მენშევიკური მრწამსის შედეგი. მეორე მხრით, კი ეროვნულ-კულტურული ავტონომიის ქადაგება, ეროვნული ერთეულების შექმნა სხვა ტერიტორიული ერთეულების შიგნით, რომელთა მიზანი და საქმიანობის მთავარი ობიექტი იქნებოდა მხოლოდ კულტურული საქმეების გაძღოლა, შეუწყნარებელი იყო. ვ. ლენინი ეროვნულ-კულტურული ავტონომიის ლოზუნგის შესახებ ამბობდა, რომ „ეს ლოზუნგი [1] უეჭველად ეწინააღმდეგება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერნაციონალიზმს, -[2] აადვილებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეების გავლენის სფეროში პროლეტარიატისა და მშრომელი მასების ჩათრევას, — [3] მას შეუძლია ყურადღება ჩამოაშოროს საერთოდ სახელმწიფოს თანამიმდევარ დემოკრატიულ გარდაქმნათა ამოცანებს, ეს კი ისეთი გარდაქმნებია, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ უზრუნველყონ (საერთოდ რამდენადაც ეს შესაძლებელია კაპიტალიზმის დროს) ნაციონალური მშვიდობა“[11].

ნ. ჟორდანიამ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების (მენშევიკების) VI ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებას, რომელიც იმავე 1917 წელს გამოიცა, თან დაურთო მოხსენების თეზისები. ამ თეზისებში, ისევე როგორც მოხსენებაში, კარგად ჩანდა, თუ რა შეფასებას აძლევდა ის 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში და საქართველოში შექმნილ ვითარებას და როგორ უყურებდა ქართულ ეროვნულ საკითხს. (კვლავ ეროვნულ-კულტურული ავტონომია, კვლავ სამოქალაქო და ეროვნული მმართველობის გათიშვა.) ნ. ჟორდანია თეზისებში იძლეოდა მომავალი მმართველობის სურათს. ის ყოფდა ურთიერთისაგან სამოქალაქო მმართველობას— ე. წ. რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებს და ეროვნულ მმართველობას ე. წ. თვითმმართველობას. პირველის ფუნქციებში შედიოდა მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის უფლება, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის უფლება, მუშათა და აგრარული კანონმდებლობა, გადასახადები, ფულის ნიშნების გამოცემა, ომისა და ზავის საკითხები, მილიციისა და ფლოტის ხელმძღვანელობა და სხვა.

თვითმმართველობის გამგებლობაში უნდა შესულიყო ადგილობრივი ეროვნულ-კულტურული საქმეები; ეროვნული სკოლის, ჯანმრ-

---

[11] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 284 — 285.

თელობის, ადგილობრივი ტრანსპორტისა და გზების, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო და ვაჭრობა-მრეწველობის, სასამართლოს და სხვა საქმეები.

შერეულ თვითმმართველობებში თითოეულ ერს უნდა მისცემოდა სრული თვითმმართველობა ეროვნულ-კულტურულ საქმეებში და ამ ხაზით ეს დააკავშირებდა თავის ეროვნულ თვითმმართველობას. ქალაქებში, სადაც შერეული მოსახლეობა იქნებოდა (და ასეთი ქალაქებია ამიერკავკასიაში თითქმის ყველა), ნ. ჟორდანიას აზრით, ქალაქის თვითმმართველობას უნდა უზრუნველეყო ამ ერების ეროვნულ-კულტურული ცხოვრება. აქვე, თეზისებში ჩანდა თუ როგორი იყო ამ დროს (1917 წელს) ნ. ჟორდანიას კრედო ეროვნულ საკითხში. ის ამ ეროვნულ თვითმმართველობებს უწოდებდა არა საქართველოს, არა საქართველოს რესპუბლიკას, რაც იქნებოდა ქართული, ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ცდა, არამედ, როგორც ის წერდა, „ტერიტორიული თვითმმართველობა, დასახლებული მაგალითად, ქართველებით, იწოდება საქართველოს თვითმმართველობად“, და იქვე აგრძელებდა, რომ „თვითეული თვითმმართველი ერის კონსტიტუცია, როგორც ნაწილი რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთო კონსტიტუციისა, ვერ შეიცვლება ჩვეულებრივი კანონმდებლობის წესით“[12].

აქვე უნდა ითქვას ეროვნულ საკითხზე ნ. ჟორდანიას შეხედულებათა ევოლუციის შესახებ. ის, რაც მან თქვა ზემოდასახელებულ ნაშრომში — კავკასიის თვითმმართველობა, მის შიგნით ეროვნული თვითმმართველობები გადახლართული კულტურულ-ეროვნულ თვითმმართველობებთან, მის მსოფლმხედველობაში მომხდარი ევოლუციის შედეგი იყო. ადრე, წლების მანძილზე /ნ. ჟორდანია თავგამოდებით იბრძოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, ამ მოძრაობის მეთაურების წინააღმდეგ. ის თითქმის ყოველთვის უარყოფითად იყო განწყობილი ქართული ეროვნული საკითხის მიმართ. მაგრამ, 1917 წელს და. განსაკუთრებით შემდგომ ხანაში მისი დამოკიდებულება ქართული ეროვნული საკითხისადმი, ქართული სახელმწიფოებრიობისადმი, სულ სხვაგვარია. ასეთი მობრუნება ნ. ჟორდანიას ცხოვრებაში, მის საქმიანობაში, ერთბაშად არ მომხდარა. ეს ევოლუცია გამოიწვია იმან, რომ საზოგადოებრივ მოძრაობაში ეროვნულმა საკითხმა დაიკავა მეტად მნიშვნელოვანი ადგილი და, ცხადია, ქართველი სოციალ-დემოკრატიის (მენშევიზმის) ბელადი ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს გვერდს ვერ აუვლიდა. მით-

---

12 ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 33.

ეფექტეს, რომ ქართველ მენშევიკთა ერთ ნაწილს (ლ. დარჩიაშვილი, აკ. ჩხენკელი და სხვები) ეროვნულ საკითხში ნ. ჟორდანიასგან ბევრადრად განსხვავებული პოზიცია ეკავა.

ნ. ჟორდანიას მსოფლმხედველობის ევოლუციის სურათის უკეთ წარმოდგენისათვის ჩვენ აქ შევეხებით მის ორ წერილს: „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი"[13] (1908 წ.) და „ძველი და ახალი"[14] (1912 წ.). ეს წერილები ნათლად წარმოგვიდგენენ ეროვნულ საკითხზე მენშევიკების ლიდერის შეხედულებათა ევოლუციას და, მაშასადამე, ქართული ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიის ეტაპებსაც. ე. ი. თუ დროთა განმავლობაში როგორ დგებოდა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხები მენშევიკურ აზროვნებაში.

1908 წელს ნ. ჟორდანია წერდა, რომ ნაციონალიზმის (და არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის) ყველაზე ძლიერი ბუდეებია ის ხალხები, რომლებიც სხვის ჩაგვრას განიცდიან. საქართველო ასეთი ამბებიდან ბედნიერი გამონაკლისიაო. მისი აზრით, საქართველოში ყველაზე ნაკლებად აინტერესებდათ ეროვნული საკითხი და, მაშასადამე, ყველაზე ნაკლები გავლენით სარგებლობდნენ ქართველ ხალხში ე. წ. ნაციონალისტური პარტიები. 60-იანი წლებიც კი ვერაფერს გახდა და ქართველი ხალხი ვერ ჩაებეს ეროვნულ ბრძოლაში, ამიტომ იყო, რომ სამოციანელებმა ეროვნულ საკითხთან ერთად, თავიანთ დროშას ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაც დააწერეს. ქართველმა ხალხმა ეროვნული საკითხი უარყო, სოციალური კი მიიღო. მისი აზრით, ეროვნული ბრძოლა ქართველი ინტელიგენციის გამონაგონი იყო. XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოძრაობა თავადაზნაურული და ინტელიგენციის მოძრაობა იყო და ხალხმა ეს მოძრაობა გულთან არ მიიტანა. „ქართველი ხალხის გაღვიძება ნაციონალური დროშის ქვეშ ვერ მოხერხდა" (ნ. ჟორდანია). ავტორი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ნაციონალიზმად მიიჩნევდა და მის ისტორიაში შემდეგ ეტაპებს გამოარჩევდა: ქართველმა ინტელიგენციამ თავს იდო ერის გამოღვიძება; პირველად ის გამოვიდა დემოკრატიის დროშით, შემდეგ, ეროვნულ-დემოკრატიის, შემდეგ სოციალისტ-ავტონომისტთა და, ბოლოს, ამ 5—6 წლის წინათ, სოციალისტ-ფედერალისტების დროშით. როგორც ამ სქემიდან ჩანს, ნ. ჟორდანიას ინტელიგენციის მიერ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნა ნაციონალიზმად ჰქონდა გაგებული, და ისიც ანტირუსულ და ანტისომხურ

---

13 გაზ. „ცისკარი" 1908, № 7, 9, 11; გაზეთი „აზრი", 1908, № 1,3.

14 გაზეთი „ჩვენი ცხოვრება", 1912, № 11, 12, 13, 14.

ნაციონალიზმად. ესო, — წერდა იგი, — ვერ გაიგო ქართველმა ხალხმა და დაგმოო. ეს „ქართველი ხალხის ისტორიული გზაა, რითაც ის განსხვავდება სხვა კულტურული ერებისაგანო". ნ. ჟორდანია ასეთი ფიქრების შემდეგ დაასკვნიდა, რომ „ქართველი სოციალ-დემოკრატია თავისი ერისათვის თხოულობს კულტურულ ავტონომიას და არა პოლიტიკურს". პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა მას ნაციონალიზმად მიაჩნდა. ეს იყო მისი ერთ-ერთი სერიოზული შეცდომა.

ნ. ჟორდანია კახეთის 1802 წლის აჯანყებასა და XX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მესვეურთა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის იდეას შორის განსხვავებას მხოლოდ იმაში ხედავდა. რომ პირველნი ქართველ მეფეს თხოულობდნენ, მეორენი კი პარლამენტს. მაგრამ ორივე მოძრაობა რომ ქართულ სახელმწიფოებრიობის აღდგენისა, ეროვნულობის შენარჩუნებისა და მეფის რუსეთის მიერ ქართველი ერის ჩაგვრის წინააღმდეგ გამოდიოდა, ამის დანახვა ნ. ჟორდანიას არ სურდა.

ნ. ჟორდანია ქართველი ხალხის ასეთ ვითომდა ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ეროვნული საკითხისადმი იმით ხსნიდა, რომ საქართველო რუსეთთან შეერთებამდე დაქუცმაცებული იყო, ქართველი ხალხი არ წარმოადგენდა ერს და, მაშასადამე, ეროვნული გრძნობებიც არ ჰქონდა. ასეთი გრძნობების გაჩენისათვის საჭირო იყო კაპიტალისტური განვითარება, ერად ჩამოყალიბება. ნ. ჟორდანიას აზრით, ეროვნული ბრძოლა წარმოებდა ისეთ დაპყრობილ ქვეყნებში, სადაც დაპყრობილი დამპყრობზე უფრო მაღლა იდგა (მაგალითად, ფინეთი, პოლონეთი). იქ კი, სადაც დამპყრობი დაპყრობილთან შედარებით მაღალ საფეხურზე იდგა, ასეთი ბრძოლა არ ხდებოდა. ეს ეროვნული ნიჰილიზმის თვალსაჩინო მაგალითია. ნ. ჟორდანიამ უარყო ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული. თავისუფლებისა და ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. მან ხაზი გადაუსვა საქართველოს გმირულ ისტორიას, „ქართველობისათვის" ბრძოლას. ნ. ჟორდანიას ეს ისტორიული კონცეფცია ქართველი ხალხისათვის მიუღებელი კონცეფცია იყო.

საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული როლის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არა ერთხელ ყოფილა ნათქვამი. ეს პროგრესული როლი ობიექტური იყო და ის არ შედიოდა მეფის რუსეთის დამპყრობლურ გეგმებში. ნ. ჟორდანია ამ ობიექტურობას ვერ ხედავდა და, მეორე, სუბიექტურ მხარეს აღნიშნავდა: საქართველომ მხსნელი იპოვა რუსულ ბიუროკრატიაში, „რუსულმა თვითმპყრობელობამ დასცა ჩვენი ფეოდალიზმი". ის წერდა, რომ სა-

ქართველომ თავისი დამოუკიდებლობის დროს არ განავითარა მრეწველობა, ვაჭრობა, საქალაქო ცხოვრება და, ცხადია, მას არ ჰქონდა ის ნიადაგი, რომელზედაც იწყებოდა ეროვნული მოძრაობა.

საქართველოში ბრძოლა ძველსა და ახალს შორის ნ. ჟორდანიას ეხატებოდა ეროვნულ ჩარჩოებს იქით. ძველს იცავდა ქართველობა, ახალს—მეფის რუსეთი, რომელიც ქვეყნის ინტერესს გამოხატავდა. ამ მხრივ მან ქართველ ხალხში თანამგრძნობიც იპოვა. ნ. ჟორდანიას რუსეთის თვითმპყრობელობა მიაჩნდა იმ მოწინავე ძალად, რომელიც აღსდგა ძველი წყობილების წინააღმდეგ და დაამხო ქართული ფეოდალიზმი. ცხადია, ჟორდანიასეული წარმოდგენა ისტორიული პროცესისა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ყველა ქვეყანა ეითარდება თავისი შინაგანი პროცესებით. გარეგან ძალას შეუძლიან დააჩქაროს ან შეასუსტოს ესა თუ ის ისტორიული პროცესი. საქართველოში კაპიტალიზმის ჩანასახი, პროგრესი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში არსებობდა. მაგრამ გარეგანმა ძალამ, დამპყრობლებმა ეს განვითარება შეანელეს. რუსეთთან შეერთების შემდეგ შესაძლებელი გახდა ამ პროცესის კვლავ აღორძინება და ქვეყნად კაპიტალიზმი განვითარდა. ის რაც ერთმა გარეგანმა ძალამ შეანელა, ჩაჰკლა. მეორე გარეგანმა ძალამ ამ დაჩაგრულობიდან გამოიყვანა.] ნ. ჟორდანიას აზრით, ქართველთა აჯანყებები (XIX საუკუნის პირველ ნახევარში) ძველის აჯანყება იყო, ახლის, რუსეთის წინააღმდეგ. მას ეროვნული მოძრაობა მიაჩნდა რეაქციად, ძველი წყობილების შესანარჩუნებელ ძალად, მხოლოდ თავადაზნაურულ ბრძოლად. ეს იყოო. — წერდა ის, — რეაქციული ნაციონალიზმი: პროგრესული ნაციონალიზმი მაშინ არ იყოო, რადგან არ იყო პროგრესული კლასი — ბურჟუაზია. ეს მოძრაობა მოკვდა და ის მემკვიდრეობით მიიღეს სამოციანელებმა. მათი ნაციონალიზმი აშენებული იყო წარსულის ქებაზე და აწმყოს ძაგებაზე. ეს მომდინარეობდა ფეოდალებისაგან და ლიტერატურული ნაციონალიზმი იყო. რუსეთი ანგრევდა ფეოდალიზმს; თავად-აზნაურობა ამის წინააღმდეგი იყო. ხალხის ინტერესები და თანაგრძნობა რუსეთისაკენ იყო და ქართველი ხალხი დაშორდა ეროვნულ მოძრაობას. ხალხი ცდილობდა ახალი კულტურის შექმნას არა ნაციონალიზმით, არა რუსებთან ბრძოლით, არა ავტოხომიით, არამედ შინაგან ბატონებთან ბრძოლით, რუსეთის დახმარებით. ნ. ჟორდანია იქვე წერდა, რომ „XIX ს. ისტორია არის ჩვენში წინსვლის, გაქალაქელების, განვითარების, კულტურის ამაღლების, და ეს მოხდა არა ნაციონალური კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით. ამით აიხსნება ანტირუსული მიმართულების უნიადაგობა ჩვენში". ნ. ჟორდა-

ნია ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლას, ბრძოლას ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, აიგივებდა ანტირუსულ ბრძოლასთან, რუსეთის პროგრესული როლის წინააღმდეგ ბრძოლასთან. ასეთი რამე არ ჰქონდათ არც ქართველ სამოციანელებს — ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს და სხვებს და არც სოციალისტ-ფედერალისტებს, რომლებიც მოითხოვდნენ მხოლოდ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას, ე. ი. რუსეთიან საერთო-სახელმწიფოებრივი საკითხების ერთობას და ავტონომიას თვითმმართველობაში.

ნ. ჟორდანია საქართველოს განვითარების შინაგან ძალებს, შინაგან პროცესებს უგულებელყოფდა და მისი განვითარების ერთადერთ მამოძრავებელ ძალად აღიარებდა გარეშე ძალას, მეფის რუსეთს. ამით კიდევაც ხსნიდა ის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (ან როგორც თვითონ უწოდებდა — ნაციონალიზმის) უძლურებას. აქ. ნ. ჟორდანია მეტად დაკნინებულად წარმოადგენდა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მისი სქემა მეტად უბრალოდ გამოიყურებოდა — ეროვნული მოძრაობის განვითარებისათვის საჭირო იყო ბურჟუაზიის განვითარება; ბურჟუაზიას თავადაზნაურობა ებრძოდა; ბურჟუაზიას მხარს უჭერდა რუსეთი და ამიტომ ეროვნული მოძრაობაც არ იქნებოდა, რადგან ბურჟუაზია რუსეთის წინააღმდეგ არ გამოდიოდა. ნ. ჟორდანია შეგნებულად ამცირებდა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების დონეს; ამასთან გადაჭარბებით აფასებდა ქართველი თავადაზნაურობის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და მათ რიგებში ათავსებდა ყველას. ვინც კი მოღვაწეობდა XIX საუკუნეში, თვით ქართველ სამოციანელებსაც კი. ამასთან ერთად, ნ. ჟორდანია ვერ ხედავდა რუსეთის თვითმპყრობელობის უარყოფით როლს ქართული ეროვნული ბურჟუაზიის ზრდა-განვითარების საქმეში. პირიქით, წერდა, რომ ქართული ბურჟუაზია რუსეთის კალთის ქვეშ იშვა და მისი ლოცვა-კურთხევით ცოცხლობდა. აქედან გამომდინარე ის ეროვნულ პოზიციებზე ვერ დადგებოდაო.

ნ. ჟორდანიას აზრით, ეროვნული საკითხი უძლური იყო იმიტომაც, რომ კავკასიის შეერთების შემდეგ რუსეთმა ის ერთ ადმინისტრაციულ ორგანოში მოაქცია და მოხდა კავკასიის ერების ერთმანეთში არევა. ამაში ნ. ჟორდანია მეფის რუსეთის ასიმილატორულ პოლიტიკას კი არ ხედავდა, არამედ ისტორიულ აუცილებლობას. „კავკასიის სხვადასხვა ნაწილთა დაახლოება და ერთად შედულება ისტორიული ფაქტია, აუცილებელი მოვლენაა და ამას ვერავითარი

გულში ხელის ცემა და გოდება ვერ შეცვლიან. მაშასადამე, საჭიროა მისთვის ანგარიშის გაწევა და მისი შედეგების ცნობა" (ნ. ჟორდანია).

ნ. ჟორდანია გადაჭარბებულ როლს ანიჭებდა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საქმეში უცხო კაპიტალსაც. ასე, მაშინდელ და შემდგომი ხანის ისტორიოგრაფიაში. ბევრი სხვაც ფიქრობდა. ნ. ჟორდანია წერდა, რომ საქართველოდან დღეს არაქართველი კაპიტალისტები რომ წავიდნენ, ქართველები მუდარით გამოეკიდებიან — ნუ წახვალთო. მისი აზრით, ქართული კაპიტალის უქონლობამ გამოიწვია ქართული პოლიტიკური ძალის უქონლობა და მათ მიმართეს უცხო პოლიტიკურ ძალას: საქართველო, როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში გამოვიდა ეროვნული ჩარჩოებიდან და ამით მოშორდა ეროვნულ ეკონომიკას და ნაციონალისტურ პოლიტიკას. ნ. ჟორდანიას ასეთი მსჯელობა ერს თავის თავში რწმენას უკარგავდა.

ნ. ჟორდანიას ეს იმისათვის სჭირდებოდა, რომ შემდეგი დასკვნები გაეკეთებინა: ქართველი გლეხის, ძუშის, ბურჟუის ეროვნული თვითგამორკვევა არ შეიძლება მიმართული იყოს უცხო პოლიტიკური და ეკონომიური ძალების წინააღმდეგ; ქართველების ეხლანდელი დროშა ინტერნაციონალურია — საერთო პოლიტიკა და საერთო ეკონომიკა. ნ. ჟორდანია იქვე აყენებდა თავის პროგრამას „ნაციონალური ენა და კულტურა ამიერკავკასიის ერთა თანხმობით და ერთი მეორის დახმარებით — აი ჩვენი ხალხის დღევანდელი ნაციონალური თვითგამორკვევა".

ნ. ჟორდანიას ზემოხსენებულმა წერილმა თავის დროზე დიდი უარყოფითი გამოძახილი ჰპოვა მოწინავე ქართველ საზოგადოებაში.

ამის შემდეგ, 1912 წელს, ნ. ჟორდანია ქუთაისის გაზეთ „ჩვენი ცხოვრების" ფურცლებზე გამოვიდა წერილების სერიით „ძველი და ახალი". ეს წერილი დაიწერა III სახელმწიფო სათათბიროს ვადის გასელასთან დაკავშირებით. III სათათბირო ებრძოდა ე. წ. „ინოროდცებს" და ეწეოდა დიდმპყრობელურ პოლიტიკას. სათათბიროში სიტყვით გამოვიდნენ მენშევიკი დეპუტატები კ. ჩხეიძე და ე. გეგეჭკორი. ნ. ჟორდანია წერდა, რომ ჩვენ გვსაყვედურობდნენ და დღესაც გვსაყვედურობენ ეროვნულ საკითხში პროგრამის უქონლობასო. ასეთ საყვედურს ნ. ჟორდანია რამდენადმე სამართლიანად თვლიდა და ასეთ ხარვეზს პარტიულ მუშაობაში იმით ხსნიდა, რომ მაშინ მთავარი პრობლემა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა იყო; ადგილობრივი კითხვებით (ასე უწოდებდა ის ეროვნულ საკითხს) მასების ყურადღება არ უნდა ჩამოგვეცილებინა ძირითადი საკითხისაგანო. ჩვენ, — წერდა ის, — არ ავყევით ნაციონალისტებსო.

ნ. ჟორდანია საჭიროდ თვლიდა ბრძოლას მთელი რუსეთის იმპერიის მტკივნეული საკითხებისათვის და ამავე დროს უყიჟინებდა, რომ ე. წ. ნაციონალისტებმა შექმნილ ვითარებას ალღო ვერ აუღეს და ეროვნული საკითხი წამოაყენესო. ამან ხალხი ალტერნატივას წინაშე დააყენა — ან მთელი ან ნაწილიო. ხალხმა მთელის გადაჭრა აირჩია და ეროვნულ საკითხს ზურგი შეაქციაო. აქ ნ. ჟორდანია აშკარად ვერ ახამებდა ურთიერთთან სოციალურ და ეროვნულ საკითხს.

ნ. ჟორდანია არ უარყოფდა იმას, რომ ნაციონალისტების ასეთმა დამოკიდებულებამ სოციალ-დემოკრატიის ერთ ნაწილში დაბადა ნიჰილისტური დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი. ბევრი მენშევიკისათვის ცენტრალიზმი შეიქმნა დოგმათ. ამის შედეგად გავრცელდა აზრი, რომ ავტონომია და სეპარატიზმი ყველა ერში და ქვეყანაში მავნებელია, რომ ის პრინციპულად უარსაყოფია. ამასთან ნიჰილიზმი თავისი სიმარტივით ნაციონალიზმზე უფრო ადვილი გასაგები იყო. ნ. ჟორდანიას აზრით, ის მესამე მიმართულებას ადგა, რომელიც ორივეზე — ნიჰილიზმზე და ნაციონალიზმზე უფრო რთული და ძნელად გასაგები იყო. პრინციპშიო, — წერდა ის, — ჩვენ უარს არ ვამბობდით არც ავტონომიზმზე და არც სეპარატიზმზე. ჩვენ ვებრძოდით საქართველოს ავტონომიას არა პრინციპული მოსაზრებით, არამედ პრაქტიკულად. ჩვენო ვითვალისწინებდით კავკასიის მდგომარეობას, მისი ერების ურთიერთში შერევას და ვამბობდით, რომ ერთი კუთხის გათიშვა მეორისაგან რეგრესიაო. ნ. ჟორდანიას აზრით, კავკასია ერთი თვითმმართველი ორგანო უნდა ყოფილიყო. ამჟამად შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ დეკლარაციიდან კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე უნდა გადავიდეთო. ნ. ჟორდანია აღნიშნავდა, რომ დღესაც კავკასიის თვითმმართველობის მოთხოვნებზე ვდგევართ და ეხლა უნდა ვთქვათ, თუ ეს მოთხოვნა რას ნიშნავსო.

ნ. ჟორდანიას აზრით, კავკასია, რომელიც უწინ 20 სამფლობელოსაგან შედგებოდა, ამჟერად რუსეთის ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდა. ამის გამო, კუთხურ ნაციონალურ პოლიტიკას ნიადაგი აღარა აქვს. თუ კი ვინმე აწარმოებს ასეთ პოლიტიკას, ეს ეწინააღმდეგება ქვეყნის საერთო განვითარებას. საქართველო, ~~ნ. ჟორდანიას თქმით, არ წარმოადგენდა ერთ ეკონომიურ ერთეულს.~~ საქართველო, თავის საზღვრებში რომ მოვაქციოთ, ერთ დღესაც ვერ გაძლებსო. ~~საქართველოს სახელმწიფოებრივობა აღდგენა გამოიწვევს~~ შინი ეკონომიური განვითარების შეფერხებასო. ნ. ჟორდანიას თქმით, მისთვის მთავარი იყო საქართველოს ეკონომიური განვითარება და ეს კი უნდა მომხდარიყო კავკასიის ჩარჩოებში. ის აქ ცდებოდა, რადგან ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა ქართველ

ერს არ მოსწყვეტდა კავკასიის სხვა ხალხებს, ვერ შეაფერხებდა მის ეკონომიურ განვითარებას.

ნ. ჟორდანია მომხრე იყო, რომ ქვეყნის განვითარება მომხდარიყო მთელი რუსეთის იმპერიის ფარგლებში; მაგრამ რუსეთი დიდი იყო, კაპიტალისტურ მეურნეობას თავს ვერ გაართმევნენ და ამიტომ ის მხოლოდ კავკასიით იზღუდებოდა.

ნ. ჟორდანია შემდეგნაირად წარმოადგენდა კავკასიის ადმინისტრაციულ ერთეულს: კავკასია თავისებური ქვეყანაა და ამიტომ მისი ხელისუფლება თვითონ უნდა სცემდეს ადგილობრივ კანონმდებლობას. რუსეთის ცენტრი კი უნდა იძლეოდეს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის დებულებებს. კავკასიის ყველა ტომის ენაზე უნდა განვითარდეს კულტურა. ყველა ის საკითხი, რაც დაკავშირებულია სამშობლო ენასთან ეროვნულ-კულტურული საკითხია — სწავლა-განათლება, მართლმსაჯულება, ეკლესია, ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება და სხვ.

ავტორის აზრით, ერებს აერთებდა სამეურნეო ვითარება, ხოლო აშორებდა ენა; მაგალითად, რკინიგზის გაყვანა, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა საერთოა და ეროვნულ საზღვრებს სცილდებოდა. ეროვნულ-კულტურული საქმეები კი დაკავშირებული იყო არა განსაზღვრულ ტერიტორიებთან, არამედ განსაზღვრულ ერებთან. რადგან, ნ. ჟორდანიას აზრით, კავკასიაში ერები კომპაქტურად არ მოსახლეობდნენ და ერთმანეთში იყვნენ ათქვეფილნი, მათ ეროვნულ ტერიტორიას რუსეთმა მოუღო ბოლო (ასე, მცდარად ფიქრობდა ნ. ჟორდანია), ამიტომ, ტერიტორიული თვითმმართველობისაგან ცალკე იდგა ეროვნულ-კულტურული საკითხები. ის ფიქრობდა, რომ ქართული კულტურა მარტო საქართველოში მცხოვრები ქართველების საქმე არ იყო. ეს იყო ყველა ქართველის საქმე. აქედან გამომდინარე, ნ. ჟორდანია აღიარებდა კავკასიის ერთა ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას. ნ ჟორდანია მიზნად ისახავდა კავკასიისა თუ ამიერკავკასიის თვითმმართველ ერთეულად გამოცხადებას. ასეთ ერთეულში ყველა ადგილობრივი საერთო ხასიათის საკითხი უნდა გადაეწყვიტათ ყველა ერის საერთო წარმომადგენელთ, ხოლო თითოეული ერის ეროვნული საკითხი—თითოეული ერის წარმომადგენლებს.

ნ. ჟორდანია წერდა, რომ მენშევიკების ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული ნაბიჯები კ. ჩხეიძისა და ე. გეგეჭკორის მიერ სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვებში კარგად ჩანდაო. სათათბიროს დეპუტატები გამოვიდნენ სახალხო განათლების, ეკლესიის, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე, გადასახადების საკითხზე. მეფის რუსეთის პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ რაც შეიძ-

ლება მეტი კოლონისტი ჩამოესახლებინა საქართველოში. ნ. ჟორდანია ილაშქრებდა ამ ასიმილატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. მისი აზრით ასეთი პოლიტიკა იწვევდა ეროვნულ შუღლს. ცარიელი მიწების (თუ ასეთი რამ იყო საქართველოში) ათვისება უნდა მომხდარიყო თვით ქართველების მიერ. სახალხო განათლება მშობლიურ ენაზე უნდა წარმოებდეს; ნ. ჟორდანია წერდა: ქართველების მიზანი ისაა, რომ მშობლიურ ენაზე აღზარდოს ახალგაზრდობა, მოამზადოს ნიადაგი ეროვნული კადრებით დაკომპლექტებული ეროვნული უმაღლესი სასწავლებლის შესაქმნელად. ის აღნიშნავდა, რომ განათლების საქმეში მეფის რუსეთის პოლიტიკა ისევე ნაციონალისტურია, როგორც გადასახლებისა, მართლმსაჯულებისა და თვითმმართველობის საქმეში. ნ. ჟორდანია ამ წერილში გამოვიდა ქართული ეკლესიის დამცველად. ეკლესია, მისი აზრით, დიდი საზოგადოებრივი ძალა იყო. ქართული ეკლესია მეფის რუსეთმა ჩაიგდო ხელში. თუ წინა—1908 წელს დაწერილ წერილში, ნ. ჟორდანია მეფის რუსეთის მთელ პოლიტიკას საქართველოში პროგრესულად მიიჩნევდა, ახლა უკვე აკრიტიკებდა მის საეკლესიოსა და სხვა პოლიტიკას. ნ. ჟორდანია მკაცრად ლანძღავდა ეგზარქოს ფეოფილაქტის, რომლის პოლიტიკამაც გამოიწვია 1819 წლის იმერეთის აჯანყება. ნ. ჟორდანია ამჯერად უკვე აჯანყებულთა მხარეზე იყო (1908 წელს ის XIX ს. პირველ ნახევარში მომხდარ აჯანყებებს რეაქციულად მიიჩნევდა). ნ. ჟორდანია მოითხოვდა, რომ ქართული ეკლესია ეროვნულ ნიადაგზე ყოფილიყო აგებული. ის წერდა, რომ ქართველი ნაციონალისტები თავიანთ ეროვნულ პოლიტიკას უმორჩილებდნენ საერთო პოლიტიკურ მოთხოვნილებებს. სოციალ-დემოკრატიისათვის (მენშევიკებისათვის) ეროვნული კითხვა მთელი კითხვის ერთი რგოლიაო.

ამ წერილში ნ. ჟორდანია თავს იკავებდა სოციალისტ-ფედერალისტების უდიერად მოხსენიებისაგან. ის უკვე ახლოს მივიდა სოციალისტ-ფედერალისტებთან ეროვნულ საკითხში. მისთვის ეროვნული კითხვა უკვე წინა პლანზეა. მის მსოფლმხედველობაში მომხდარი ევოლუცია, ამ ორი წერილის შედარებისას, ცხადად ჩანს.

ქართულ ეროვნულ საკითხზე, ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხზე, 1917 წელს, მოსაზრება აქვს გამოთქმული იმდროინდელი საქართველოს ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს ა. ჩხენკელს.

აკაკი ივანეს ძე ჩხენკელი დაიბადა 1874 წელს. პროფესიით იურისტი, ცნობილი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) იყო. რეაქციისა და ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში ლიკვიდატორებს ემხრობოდა. ა. ჩხენკელი ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან და სოხუმის ოკრუგიდან IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად

არრიგს. სახელმწიფო სათათბიროში მენშევიკთა ფრაქციაში ნედიოდა. მას პირველი მსოფლიო ომის დროს ცენტრისტული პოზიცია ეკავა. ქართველ მენშევიკთა შორის ის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც 10-იან წლებში ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას დაუჭირა მხარი. 1917 წელს. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითი მთავრობის მიერ შექმნილ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრი და ფაქტიურად მისი მეთაური იყო. ამიერკავკასიის კომისარიატის დროს შინაგან საქმეთა კომისრის პოსტი ეკავა. როცა 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა შექმნა, აკ. ჩხენკელი ამ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა. 1918—1921 წლებში აკ. ჩხენკელი საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს მენშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი იყო. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ აკ. ჩხენკელი ემიგრაციაში წავიდა. გარდაიცვალა 1959 წელს.

1917 წლის ივნისის მეორე ნახევარში თბილისში ამიერკავკასიის გლეხთა წარმომადგენლების ყრილობა მიმდინარეობდა. ამ ყრილობას ეროვნული საკითხის ქართული სექცია ჰქონდა. სექციის სხდომაზე მწვავედ იდგა ქართული ეროვნული საკითხი. ერთ-ერთი სხდომის დროს აკ. ჩხენკელი სიტყვით გამოვიდა[15] აკ. ჩხენკელი ქართული ეროვნული საკითხის ეროვნულ-ტერიტორიული გადაწყვეტის მომხრე იყო. მეფის რუსეთის დროს ქართველი ხალხი ჩაგვრას განიცდიდა და ეს გულისტკივილს აყენებდა ყველასო. დაემხო მეფის რუსეთი და ქართველმა ერმა ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობა უნდა მოიპოვოს. ამ თვითმმართველობის დროს აღმსრულებელი ხელისუფლება, კულტურის, განათლების, მეურნეობისა და ეკონომიკის საქმეები თვითმმართველობის ხელში იქნებოდა. მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოში ცხოვრობდნენ სხვა ერები, მცირე ერები და ძნელი იყო, აკ. ჩხენკელის აზრით, მათი ისეთი მოწყობა, რომ ქართველებს არ ეჩაგრათ ისინი, ამიტომ, მთელი საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა გადასცემოდა ცენტრს. აკ. ჩხენკელი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ქართველი ერი სახელმწიფოებრივი ძალაუფლებით აღჭურვილიყო. ამგვარად, 1917 წლის ზაფხულში, აკ. ჩხენკელის თვალსაზრისით, საქართველოს არ შეეძლო სახელმწიფოებრიობის მთლიანი აღდგენა. ასეთი შეხედულება ქართულ ეროვნულ საკითხზე, ერთი მხრით, გაპირობებული იყო აკ. ჩხენკელის მენშევიკური მრწამსით, მეორე მხრით, იმით, რომ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის არსებობის პირობებში უფრო მეტი მოთხოვნების წამოყენება მას შეუძლებლად მიაჩნდა.

1917 წლის 14—22 სექტემბერს, პეტროგრადში, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მენშევიკურ-ესერული ცენტრ-

[15] გაზეთი „სახალხო ფურცელი", 1917 წ. 6 ივლისი.

ლური აღმასრულებელი კომიტეტებისა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, მოწვეულ იქნა დემოკრატიული თათბირი. თათბირის მიზანი მზარდი რევოლუციური კრიზისის შესუსტება და დროებითი მთავრობის სოციალური ბაზის განმტკიცება იყო. დემოკრატიულ თათბირს საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს წარგზავნილებიც ესწრებოდნენ. 1917 წელს თბილისში, საქართველოს ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა— ეროვნულ-დემოკრატებმა, მენშევიკებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა მოქმედების ერთიანი ხაზის შესამუშავებლად ე. წ. ინტერპარტიული საბჭო შექმნეს. ამ საბჭომ, რომელიც ქართველი ხალხის სახელით მოქმედებდა, პეტროგრადში დემოკრატიულ საბჭოზე დასასწრებად დელეგაცია გაგზავნა. დელეგაციის ხელმძღვანელი იყო აკაკი ჩხენკელი— ეროვნულ საკითხში ერთი იმათგანი, რომელიც ავტონომისტ-მენშევიკთა ჯგუფის შემდეგ, ეროვნულ-ტერიტორიულ თვითმმართველობასთან უკვე ყველაზე ახლოს იდგა.

დემოკრატიულ თათბირზე აკ. ჩხენკელი სიტყვით გამოვიდა. შემდეგში, იმავე 1917 წელს, გამომცემლობა „ალიონმა" მისი გამოსვლა სტენოგრაფიული ჩანაწერის მიხედვით ცალკე ბროშურად გამოსცა[16]. აკ. ჩხენკელმა თათბირზე განაცხადა, რომ ის გამოდის საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს სახელით და ამიტომ უფლებამოსილია ილაპარაკოს ქართველი ერისა და ყველა მისი პარტიის სახელით. საქართველოს პარტიები ეროვნულ საკითხში უკვე შეერთდნენ „საპარტიოთა საბჭოს" დაარსებით. აქ აშკარად ჩანდა, რომ გამართლდა არჩ. ჯორჯაძის წინასწარმეტყველება (იხ. მისი „შეთანხმების იმედი", 1909 წ., „დროება"), რომ მენშევიკები ეროვნულ საკითხში მივიდოდნენ სოციალისტ-ფედერალისტებამდე. აკ. ჩხენკელი აღიარებდა, რომ საქართველოს ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები გაერთიანდნენ ეროვნულ საკითხში. ინტერპარტიული საბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელმა დემოკრატიულ თათბირს განუცხადა, რომ ქართველი ხალხი მზად არის ემსახუროს რუსეთის რევოლუციას (იგულისხმება ბურჟუაზიული რევოლუცია). საინტერესოა აკ. ჩხენკელის აზრი საქართველოში შექმნილ ვითარებაზე. მან თქვა, რომ ეროვნული საკითხი არსებულ საზოგადოებაში მხოლოდ და მხოლოდ დამფუძნებელმა კრებამ უნდა განიხილოსო. ეროვნულ საკითხში ქართველ ერს, მის პოლიტიკურ პარტიებს უკვე აქვს თავისი აზრი, „რომელიც ეროვნულ პროგრამებში გამოითქმება, მთელი ერი გაერთია-

---

16 აკ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი. სიტყვა წარმოთქმული პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სახელით, თბ., 1917.

ნებულია და პროგრამა იგი მოითხოვს საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობის მიკუთვნებას"[17].

ამგვარად, უკვე 1917 წლის სექტემბერში შენშევიკები ეროვნულ-დემოკრატებთან და სოციალისტ-ფედერალისტებთან გაერთიანდნენ და მოითხოვდნენ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ თვითმმართველობას. აკ. ჩხენკელის აზრით, საქართველოს უნდა აღედგინა ეროვნული თვითმმართველობის დაკარგული უფლებები. ეს უფლებები საქართველოს ჰქონდა 1783 წლის ხელშეკრულებით. შემდეგ ეს უფლებები გათელეს, მას მნიშვნელობა დაუკარგეს და ახლა ლაპარაკი მის აღდგენაზე იყო.

აკ. ჩხენკელმა თათბირზე განაცხადა, რომ მისი და ინტერპარტიული საბჭოს მიერ შემუშავებულ ეროვნულ პროგრამას საფუძვლად უდევს შეთანხმება ამიერკავკასიის ეროვნებათა შორის. ამასთან ერთად აღნიშნა, რომ ამა თუ იმ ეროვნების მიერ წამოყენებული პროგრამა მისაღები უნდა იყოს რუსეთის ინტერნაციონალური რევოლუციური დემოკრატიისათვის. აკ. ჩხენკელი მოუწოდებდა რუსეთის ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, რომ მათ განეცადათ. გაეზიარებინათ ე. წ. ინოროდცების — რუსეთის იმპერიაში შემავალი მცირე ერების მდგომარეობა და გამოეთქვათ აზრი ეროვნულ საკითხზე. ის ამბობდა, რომ ქართველებში ეროვნული გრძნობა ჩქეფს და ამ ეროვნული გრძნობის გარჩევა საერთო-სახელმწიფოებრივი გრძნობისაგან ძლიერ ძნელია. აკ. ჩხენკელი ეროვნული თავისუფლების საკითხს უკავშირებდა სახელმწიფოებრივ თვითმმართველობასა თუ დამოუკიდებლობას, ავტონომიას. საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს წარმომადგენელი მოუწოდებდა დემოკრატიულ თათბირზე რუსეთის ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, რომ წამოეყენებინათ სახელმწიფოებრივი მოწყობის ისეთი პროექტი, რომელიც შეეპასუხებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. რუსეთის ბურჟუაზიის დიდმპყრობელური შოვინიზმი არ აკმაყოფილებდა ჩაგრული ერის წვრილბურჟუაზიის წარმომადგენელს აკ. ჩხენკელს. მაგრამ მისი თხოვნა ამაო იყო. აკ. ჩხენკელმა დემოკრატიულ თათბირზე ქართველი ხალხის სახელით განაცხადა, რომ ქართველი ერი არასოდეს არ იმოქმედებდა სეპარატულად, ასეთ რამეს ქართველი ერი გააკეთებდა მხოლოდ მაშინ. როცა ჩვენი დამარცხება გარდუვალი იქნებაო.

ამგვარად, აკ. ჩხენკელი, რომელიც ქართველი ხალხის სახელით

---

[17] აკ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, სიტყვა წარმოთქმული პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს სხელით, თბ., 1917, გვ. 2.

გამოვიდა დემოკრატიულ თათბირზე, ვრძნობდა, რომ მომავალი რევოლუცია კარგს არაფერს უქადდა ბურჟუაზიას და მოითხოვდა ეროვნულ-ტერიტორიულ თვითმმართველობას საქართველოსათვის; უკვე ლაპარაკობდა სეპარატულ მოქმედებაზე. მენშევიკები, საქართველოს სხვა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად. აღგენდნენ საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტს და აცხადებდნენ, რომ ეს იყო ქართველი ხალხის ეროვნული პროგრამა — 1783 წლის ხელშეკრულებით მიცემული უფლებების აღდგენა.

1917 წელს გამოვიდა ივ. გომართელის ბროშურა „საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია ანუ ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობა"[18].

ივანე გედევანის ძე გომართელი დაიბადა 1876 წელს ზემო იმერეთში, სოფ. ბორისაში. 1894 წელს ოქრის მედლით დაამთავრა თბილისის მეორე გიმნაზია. სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სათვისტომოს მუშაობაში. 1900 წელს ექიმი ივ. გომართელი სამშობლოში დაბრუნდა. მუშაობდა ახალქალაქის მაზრაში, იმერეთში, ქუთაისში; 1907 წელს თბილისში გადმოვიდა. ივ. გომართელი საქართველოში უაღრესად პოპულარული ექიმი იყო და ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობდა.

ივ. გომართელი დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. ის იყო მენშევიკი. მაგრამ ეკუთვნოდა ე. წ. ავტონომისტ-მენშევიკთა ჯგუფს. რომელიც იმთავითვე საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის პოზიციებზე იდგა.

წერილი და პუბლიცისტი ივ. გომართელი 1901 წლიდან სიკვდილამდე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად ბეჭდავდა მოთხრობებს, პუბლიცისტურ წერილებს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე; ის ბეჭდავდა ასევე პოპულარულ წერილებს სამედიცინო თემაზე, ჰიგიენის საკითხებზე და სამედიცინო განათლება შეჰქონდა ხალხში; ეწეოდა ათეისტურ პროპაგანდას. იყო ისტორიული ხასიათის ნაშრომების ავტორი; დიდი ღვაწლი დადო საბავშვო ლიტერატურასა და უცხოურიდან ქართულად თარგმნის საქმეს, ქართულ თეატრს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

1906 წელს ივ. გომართელი ქუთაისის გუბერნიიდან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს. მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიური გამოსვლისათვის ივ. გომართელი გასამართლეს და 3 თვით პატიმრობაში ამყოფეს. 1910 წელს კვლავ დაუპატიმრეს და ერთი წელი მეტეხის ციხეში იჯდა.

1917 წლის შემდგომ ხანაში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. გაზეთ „ალიონის" რედაქტორი იყო. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ივ. გომართელი სამედიცინო პრაქტიკასა და ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა. გარდაიცვალა 1938 წლის 19 აპრილს, თბილისში.

ივ. გომართელი დიდ ყურადღებას აქცევდა ეროვნულ საკითხს, საქართველის

---

18 ივ. გ ო მ ა რ თ ე ლ ი, საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია ანუ ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობა, თბ., 1917.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს. მას საკითხზე პრაქტიკული წერილი, ბროშურა, წიგნი აქვს გამოქვეყნებული.

ივ. გომართელი ზემოდასახელებული ბროშურის გამოცემით მიზნად ისახავდა სოფლისა და ქალაქის მშრომელებისათვის აეხსნა თუ რა არის ავტონომია და სხვ. ნაშრომი დაწერილია ფართო მასებისათვის გასაგები ენით და გამოცემულია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) მიერ.

როდესაც მეფის მთავრობა დაემხო, ყველა პატარა ერმა გამოთქვა ავტონომიის მოპოვების სურვილი. ივ. გომართელის აზრით, ქართველი ხალხი გაიძახოდა არ გვინდა ავტონომიაო. ამას ავტორი ხალხის ჩამორჩენილობით ხსნიდა. ცხადია, ივ. გომართელი არ იყო მართალი, როდესაც ქართველ ხალხზე ამას ამბობდა. ქართველი ხალხი ყოველთვის იბრძოდა ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად, ეროვნული ჩაგვრისაგან თავის დახსნისათვის. აქ საქმე ეხებოდა იმას, თუ რა სოციალურ ბაზაზე მოიპოვებდა ამ ავტონომიას ქართველი ხალხი, ე. ი. ამ თავისუფლებას სოციალისტური რევოლუცია მისცემდა, თუ ავტონომიური საქართველოს სათავეში თავადაზნაურობა და ბურჟუაზია აღმოჩნდებოდა.

ივ. გომართელის აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრიობა შემდეგი გზით უნდა აღორძინებულიყო: დედაქალაქში უნდა შეკრებილიყო პარლამენტი, რომელსაც აირჩევდნენ პირდაპირი, თანასწორი, ფარული და საყოველთაო არჩევნებით. მოიპობოდა სოციალური წოდებები. პარლამენტი აირჩევდა მთავრობას. ივ. გომართელი ცხოვრების პროგრესს—ჯანმრთელობაზე ზრუნვას, სწავლა-განათლებას და სხვას, უშუალოდ უკავშირებდა საქართველოს ავტონომიას. ის ასე სვამდა საკითხს: თუ გინდათ პროგრესი და სოციალური საკითხების გადაწყვეტა, მოიპოვეთ ავტონომია. ეს, ერთი მხრივ. სწორი იყო — მეფის რუსეთის ჩაგვრისაგან თავის დახსნა პროგრესის მომასწავებელი იყო, მაგრამ მეორე მხრივ, არ იყო ივ. გომართელი მართალი, როცა გვერდს უვლიდა სოციალური საკითხების რადიკალურად გადაწყვეტის გზას. ის მენშევიკი იყო და სოციალური საკითხისადმი მისი ასეთი დამოკიდებულება გასაგებია.

ივ. გომართელი ავტონომიას მიაწერდა ისეთ რამესაც, რის გაკეთებაც მას არ შეეძლო — სოციალური უთანასწორობის მოსპობას; არ იქნება არც თავადი, არც აზნაური, არც გლეხი — კანონის წინაშე ყველა თანასწორი იქნებაო. მიწას მიწის მუშა მიიღებს, მემამულეთა და სახელმწიფო მიწები ავტონომიური მთავრობის ხელში გადავაო. „მთავრობა კი ჩვენს კუთხეში ამ მიწებს დაურიგებს იმათ,

ვინც მიწას დაამუშავებსო"[19]. ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო სოციალისტური რევოლუციის გარეშე, მხოლოდ ავტონომიის მოპოვებით. ასეთივე დიდი როლი უნდა შეესრულებინა ავტონომიას ქალაქის ცხოვრებაშიც.

თვით საქართველოს შიგნით ივ. გომართელი ერებს შორის ურთიერთობას სოციალურ ბაზას აცლიდა და მხოლოდ ავტონომიის მოპოვებით უნდოდა ეროვნული თანასწორობის დამყარება. ივ. გომართელის პროექტით, საქართველო კვლავ რჩებოდა რუსეთის სახელმწიფოს ნაწილად; რუსეთის მთავრობა იქნებოდა უმაღლესი მთავრობა, რომელიც დაიფარავდა საქართველოს გარეშე მტრისაგან; ამასთან ერთად, საქართველოს შინასაქმეებში ჩაერეოდა ყოველთვის, როცა კი საქართველოში მოხდებოდა კანონების დარღვევა.

ივ. გომართელი მენშევიკი იყო და ცდილობდა ეროვნული ავტონომიის მოპოვებისათვის ბრძოლას მარქსისტული დასაბუთება მისცემოდა. კ. მარქსი და ფ. ენგელსი სრულიადაც არ თვლიდნენ მუშათა კლასის გამარჯვებისათვის სავალდებულოდ იმას, რომ ერებს შორის საზღვრები წაშლილიყო. სხვადასხვა ერთა პროლეტარები ეროვნულ საზღვრებში ერთად ბრძოლით აპორციელებდნენ საბოლოო მიზანს. ამასთანო „ტერიტორიალური ავტონომია სრულ დამოუკიდებლობას კი არ ნიშნავს. ჩვენი მფარველი ისევ რუსეთი იქნება და ჩვენი დემოკრატიული წყობილების დარდი გარდა ჩვენი დემოკრატიისა რუსეთის პროლეტარებსაც ექნებაო"[20]. ასეთ თეორიულ დასაბუთებას აძლევს ივ. გომართელი საქართველოს მიერ ტერიტორიული ავტონომიის მოპოვებას.

ივ. გომართელი ასაბუთებდა, რომ 1917 წელს, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ შექმნილი ვითარება მეტად ხელსაყრელი იყო იმისთვის, რომ საქართველოს ტერიტორიული ავტონომია მოეპოვებინა. მისი აზრით, საქართველო არ წარმოადგენდა დაპყრობილ ერს; ის ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთის იმპერიას. შეერთებას საფუძვლად 1783 წლის ტრაქტატი ედო. ამ ტრაქტატით საქართველო შინასაქმეებში სრული ბატონპატრონი უნდა ყოფილიყო. რუსეთმა ძალით აპყარა საქართველოს ეს უფლებები. ივ. გომართელის აზრით, თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ შექმნა შესაფერისი პირობები: „ახალმა მთავრობამ მოსპო ძველი რეჟიმი და აღადგინა ადამიანის უფლებანი; ის ვალდებულია აღადგინოს ერის უფლებანი: ის უარს ვერ გვეტყვის, და-

---

19 ივ. გომართელი, საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია ანუ ერეულ-ტერიტორიალური თვითმმართველობა, თბ., 1917, გვ. 15.

20 იქვე, გვ. 22.

გვიბრუნოს ის, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა". სახელმწიფოს სათავეში მოექცა რუსეთის ბურჟუაზია. ის ჯერ კიდევ ვერ ზის მყარად ტახტზე და მეტად გულუხვია, ხოლო შემდეგში, როცა გამაგრდება ტახტზე, მისგან ვერაფერს ვერ მივიღებთო[21]. ივ. გომართელი ასეთ დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთის ბურჟუაზიაზე.

როგორ ფიქრობდა ივ. გომართელი საქართველოს ტერიტორიულ გამიჯვნას? მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, მეფის ადმინისტრაციამ ის გუბერნიებად დაჰყო და ამით სცადა მისი ეროვნული ტერიტორიის სახის დაკარგვა. 1917 წელს ძნელი იყო ასე ერთბაშად საქართველოს ტერიტორიული გამიჯვნა. ივ. გომართელი ამბობდა, რომ მარტო პარტიათა შეთანხმება საკმარისი არ არის ჩვენი ავტონომიის ბედისათვის. აუცილებელია ჩვენ მეზობელ ხალხებთან — თურქებთან, სომხებთან და მთიელებთან მოლაპარაკება და შეთანხმება. მთიელებთან და თურქებთან შეთანხმება ადვილი იყო, სადავო ტერიტორიები არ არსებობდა. მისი აზრით, ძნელი იყო სომხებთან მორიგება და ის წერდა „ეჭვს გარეშეა, ზოგი ჩვენ უნდა დაუთმოთ, ზოგი მათ. ეს საჭიროა ორივე ერის კეთილდღეობისა და ძმური განწყობილებისათვის"[22].

როგორც ზევით ვთქვით, ივ. გომართელი ავტონომიას უკავშირებდა ყოველივე კარგსა და პროგრესულს. ის ცნობდა კლასთა ბრძოლას და წერდა, რომ კლასთა ბრძოლა ავტონომიის დროს უფრო გაძლიერდებოდა. მუშათა კლასი განათლებას მშობლიურ ენაზე მიიღებდა, ის მოღონიერდებოდა და უფრო კარგად დაიწყებდა ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ივ. გომართელი სახელმწიფო ენად მოითხოვდა ქართულ ენას. ასეთი რამე კი ორ შემთხვევაში იყო შესაძლებელი —თუ საქართველო მოიპოვებდა სრულ დამოუკიდებლობას ან ტერიტორიულ ავტონომიას. პირველს ის უარყოფდა, როგორც განუხორციელებელს არსებულ ვითარებაში და როგორც მავნებელს. ტერიტორიული ავტონომიის გამოცხადება კი, პირიქით, საჭირო იყო და მაშინ ქართული ენაც გამოცხადდებოდა მშობლიურ ენად[23].

ავტორის აზრით, საქართველოში ძლიერი იყო სომხური ბურჟუაზია. ამიტომ ეროვნული ბრძოლა სომეხი ბურჟუაზიის წინააღმდეგ დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. საქართველოში ქართულ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ბრძოლა იმიტომ არ არის

---

21) ივ. გომართელი, საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია ანე ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობა, თბ., 1917, გვ. 27.

22 იქვე, გვ. 32.

23 იქვე, გვ. 39.

დაძაბული, რომ შუაში დგას მესამე ძალა — სომხური ბურჟუაზიაო. ამ მესამე ძალაზეა გადატანილი მთელი ყურადღება. ივ. გომართელი ასე წყვეტდა საკითხს: როცა ქართველები და სომხები მოიპოვებენ ავტონომიას, ქართველი და სომეხი ბურჟუები გაიყოფენ ასპარეზს. საქართველოში დარჩებიან ქართველი ბურჟუები, რომელთა წინააღმდეგ იბრძოლებენ ქართველი პროლეტარებიო. „ამიტომ, ქართველი მშრომელი ხალხი, რომ ქართველ ბურჟუაზიას დაუპირისპირდეს და წმინდა კლასობრივი ბრძოლა აწარმოოს შეგნებულად და რაც შეიძლება ნაყოფიერად, აუცილებლად საჭიროა ტერიტორიალური ავტონომიის მოპოვება"[24].

ავტონომიის მოპოვების აუცილებლობის ასეთი დასაბუთება მეტად სუსტია. რომ ეროვნული ბრძოლა კლასობრივ ბრძოლას აჩლუნგებდა, ეს მართალია. მაგრამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა, პრიმიტიულია. წვრილბურჟუაზიული მოღვაწისათვის თვითმიზანი კლასობრივი ბრძოლა, ამ კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება გამოდიოდა და არა ის, რომ კლასობრივი ბრძოლის გზით სოციალური რევოლუცია მომხდარიყო.

ბროშურის ავტორის აზრით, საქართველო რომ პატარაა, ეს კარგიც არის და ცუდიც. ცუდია იმიტომ, რომ პატარა ქვეყანას მტერი ადვილად მოერევა. კარგია კი იმიტომ, რომ პატარა ქვეყანას ადვილად მოევლება. ავტონომიის მოპოვების შემდეგ საქართველო დაიქსელებოდა გზებით. მდიდარი ქვეყანაა საქართველო და სწრაფად განვითარდებოდა. გამდიდრდებოდა მუშათა კლასი. მდიდარი მუშები დიდხანს გაძლებდნენ გაფიცვების დროს და, ამგვარად, ადვილად დაამარცხებდნენ ბურჟუაზიას. მუშათა კლასს სოციალიზმისათვის ბრძოლაში საქართველოს ავტონომია ხელს შეუწყობდა. იმ შემთხვევაში თუ საქართველო ვერ მოიპოვებდა ავტონომიას და დარჩებოდა რუსეთის ჩარჩოებში, საქართველოს ბურჟუაზიას ეყოლებოდა მძლავრი მოკავშირე რუსეთის ბურჟუაზიის სახით. მართალია, საქართველოს მუშათა კლასსაც ეყოლებოდა დამხმარე რუსეთის მუშათა კლასის სახით, მაგრამ უმჯობესი იყო ჩვენი მუშათა კლასი ეროვნული ბურჟუაზიის პირისპირ დარჩენილიყო. ეროვნული ბურჟუაზია უფრო სუსტია, ვიდრე ჩვენი მუშათა კლასი, რადგან ის უფრო გვიან წარმოიშვა. საქართველოს მუშათა კლასი წარმოშვა უცხოურმა კაპიტალმა (აქ ავტორი არ იყო მართალი). აქედან გამომდინარე, ივ. გომართელი წერდა, რომ „ერთი სიტყვით რა მხრითაც არ უნდა შევხედოთ საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას დემოკრატიული რესპუბ-

24 ივ. გ ო მ ა რ თ ე ლ ი, საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია ანუ ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობა, თბ., 1947, გვ. 44.

ლიკის ფარგლებში, დავინახავთ რომ ის უწინარეს ყოველისა მშრომელი ხალხისათვის არის ხელსაყრელი. კლასთა ბრძოლას ის გააძლიერებს, გააღრმავებს და მუშათა ხალხს სწრაფი ნაბიჯებით გააქანებს საბოლოო მიზნისაკენ"[21]. აქედან კარგად ჩანს, რომ ავტორი საქართველოს ავტონომიას გულისხმობდა ბურჟუაზიული (დემოკრატიული) წყობის დროს.

ივ. გომართელი თავისებურად აწესრიგებდა საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის მოქალაქეობრივ მდგომარეობას. ამ შემთხვევაში ის დიდ როლს ანიჭებდა ზემოდან (რუსეთიდან) კონტროლს, რომლის გენერალ-გუბერნატორებს მკაცრი თვალყური უნდა ედევნებინათ ქართველებისათვის, რათა მათ არ დაეჩაგრათ არაქართველები. ივ. გომართელს მაინც არ ჰქონდა იმედი, რომ ეროვნული საკითხი გადაწყდებოდა ბურჟუაზიული ავტონომიის ფარგლებში და, ამიტომ, დასახმარებლად იხმობდა გენერალ-გუბერნატორებს.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველმა ხალხმა მოიპოვა მოქალაქეობრიობა, მაგრამ ვერ მოიპოვა ეროვნული უფლებანი და, ავტორის აზრით, საჭირო იყო ეროვნული ავტონომიის მოპოვება. ის, აქ, აშკარად დგას ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის პოზიციაზე, ე. ი. ის მოითხოვს იმას, რასაც უწინ სოციალისტ-ფეოდალისტები მოითხოვდნენ. მაგრამ მარტო ამ ავტონომიით არ კმაყოფილდებოდა ივ. გომართელი და საქართველოში მცხოვრები არაქართველებისათვის (სომხები, ოსები და სხვა) მოითხოვდა კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას, ხოლო ზოგიერთი მაზრისათვის, მაგალითად, ბორჩალოს მაზრისათვის ის მოითხოვდა შერეულ ავტონომიას, ე. ი. აქ მცხოვრებ ერებს კულტურული ავტონომია უნდა ჰქონოდათ, დანარჩენ საკითხებში კი თავთავის ტერიტორიულ ავტონომიას უნდა დამორჩილებოდნენ.

იმავე 1917 წელს, „ალიონის" გამომცემლობამ ივ. გომართელის „დამფუძნებელი კრება" გამოსცა[26]. აქ ივ. გომართელი პატარა ერების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებს განიხილავდა. ავტორი რუსეთის თებერვლის რევოლუციის მონაპოვარს— დემოკრატიულ რესპუბლიკას ცნობდა და, აქედან გამომდინარე, რუსეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შიგნით საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პროექტს აწყობდა.

ავტორის აზრით, თებერვლის რევოლუციამ მეფის თვითმპყრო-

---

25 ივ. გ ო მ ა რ თ ე ლ ი, საქართველოს ტერიტორიული ავტონომია ანუ ეროვნულ ტერიტორიალური თვითმმართველობა, თბ., 1917. გვ. 53.

26 ივ. გ ო მ ა რ თ ე ლ ი, დამფუძნებელი კრება, 1917.

ბელობა დაამხო, მაგრამ ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობა ჯერ ვერ შექმნა. ასეთი რამე შეუძლია გააკეთოს მხოლოდ დამფუძნებელმა კრებამ და მის (დამფუძნებელი კრების) მოწვევამდე მცირე ერების ბედ-იღბალი ვერ გადაწყდებოდა. ივ. გომართელი ფიქრობდა, რომ რუსეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერი თავისუფალი უნდა იყოს ეროვნულ საქმეებში, ყველა ერის ეროვნული სახელმწიფოებრივი ცხოვრება ამ ერის დამფუძნებელმა კრებამ უნდა მოაწესრიგოს. აქედან გამომდინარე ივ. გომართელი ეროვნული ყრილობის მოწვევისაკენ მოუწოდებდა; ამ ყრილობას უნდა შეედგინა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), მაგრამ ეს კანონი რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდა დამტკიცებინა.

ასეთი იყო ქართველი მენშევიკების შეხედულებანი ქართულ ეროვნულ საკითხზე და მის მომავალზე 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომდევნო ხანაში. შექმნილი ვითარების შეფასებაში მათ არ ჰქონდათ ერთიანი აზრი. ადრე მენშევიკთა მცირე ჯგუფი იყო ავტონომიის მომხრე, 1917 წლის შემოდგომაზე კი ინტერპარტიულ საბჭოში თითქმის ყველა აღიარებდა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას. ამ პოზიციაზე უკვე ქართველი მენშევიკების მთელი პარტია იდგა. აქ ქართველი მენშევიკები მარტონი არ იყვნენ, მათთან იყვნენ, უფრო სწორედ ისინი იყვნენ საქართველოს სხვა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად ეროვნულ საკითხში. მათი პროგრამა ის იყო, რომ ბურჟუაზიული წყობის პირობებში შეექმნათ საქართველოს ავტონომია. ეს კი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მშრომელი კლასების, მისი მუშებისა და გლეხების კლასობრივ ინტერესებს.

V საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია იმთავითვე საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის პოზიციაზე იდგა. ამ ნიადაგზე მას დიდი პოლემიკა ჰქონდა ქართველი მენშევიკების ლიდერებთან. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, როდესაც რეალურად დადგა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოპოვების საკითხი, სოციალისტ-ფედერალისტებმა აქტიურად გაშალეს საქმიანობა. ამჯერად მათთან ერთად იყვნენ მათი ადრინდელი მოწინააღმდეგენი — ქართველი მენშევიკები. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის არაერთი წარმომადგენელი გამოვიდა ნაშრომითა თუ პუბლიცისტური წერილით 1917 წელს შექმნილი ვითარების შესახებ. ისინი იძლეოდნენ ისტორიული მოვლენების შეფასებას და სახავდნენ გზებს, თუ შექმ-

ნილ ვითარებაში როგორ განეხორციელებინათ მათი პარტიის პროგრამით დასახული მიზნები. ჩვენ მხოლოდ ტიპიურ ნაშრომებს ვიღებთ განსახილველად, რათა წარმოდგენა ვიქონიოთ ამ წვრილბურჟუაზიური პარტიის მიერ 1917 წლის საქართველოს შესახებ შექმნილ ისტორიულ აზრზე.

1917 წელს გამოვიდა სოციალისტ-ფედერალისტთა ცნობილი ლიდერის გრ. რცხილაძის ბროშურა „ამიერკავკასიის თვითმმართველობა"[27].

გრიგოლ სიმონის ძე რცხილაძე დაიბადა 1876 წელს, კახეთში, სოფ. შრომაში, მღვდლის ოჯახში. 1895 წელს დაამთავრა თბილისის მეორე გიმნაზია და სასწავლებლად მოსკოვს გაემგზავრა. 1900 წელს მან მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, ამის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი.

გრ. რცხილაძე თავის დროზე ცნობილი ლიტერატორი იყო. „ზანგის" ფსევდონიმით 900-იან წლებში ის გაზეთებში „იეერიაში" და „ცნობის ფურცელში" თანამშრომლობდა.

გრ. რცხილაძე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და შემდეგში მემარჯვენე ფედერალისტი იყო. 1906 წელს მან დაწერა პარტიის პროგრამა, რომელიც 1907 წელს სოციალისტ-ფედერალისტების III კონფერენციამ მიიღო.

1908 წელს, გრ. რცხილაძის ინიციატივით, თბილისში, ჩამოყალიბდა „ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოება", რომლის საბჭოს თავმჯდომარეადაც ის იქნა არჩეული. მისი რედაქტორობით გამოვიდა ლიტერატურული კრებული „გრდემლი", ბესიკის თხზულებანი და სხვა. გრ. რცხილაძე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი იყო.

1910 წელს ჟანდარმერიამ გრ. რცხილაძე დააპატიმრა და 10 თვე მეტეხის ციხეში იჯდა. 1917 წელს, თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, კვლავ აქტიურ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა. ის იყო „საუნივერსიტეტო საზოგადოების" წევრი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს წარმომადგენელი სტამბულში. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მიწვეულ იქნა უნივერსიტეტში სამოქალაქო სამართლის ლექტორად (1923 წ.). 1926 წლიდან ბიურისკონსულტად მუშაობდა. გარდაიცვალა 1934 წელს თბილისში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გრ. რცხილაძე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ასეთი მოღვაწე, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა 1917 წელს ქართულ ეროვნულ საკითხს. ის კარგად ხედავდა, რომ ცარიზმის დამხობას მოჰყვა რევოლუციური (მართალია, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული) გარდაქმნები. ავტორი ფიქრობდა, რომ ბურჟუაზიულმა რევოლუციამ უარჰყო პოლიტიკური, სარწმუ-

27 გ რ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე, ამიერკავკასიის თვითმმართველობა, სტამბა „ქართლი" ციციშვილისა, 1917.

ნოებრივი და ეროვნული შევიწროება. მაგრამ ეს უარყოფა მხოლოდ რევოლუციური დეკლარაცია იყო. საჭირო იყო ამ დეკლარაციით გამოცხადებული თავისუფლების მოპოვება, თავისუფლების შრომითა და ბრძოლით დამკვიდრება. მეფის რუსეთი ჩაგრავდა რუსეთის იმპერიაში შემავალ ეროვნებებს. ძველი რეჟიმის ზოგიერთი დაწესებულებების მოსპობით მოპოვებულ იქნა პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლება. საჭირო იყო შექმნილიყო მმართველობის ახალი სისტემა. ცარიზმი სახელმწიფო ბატონობას იყენებდა რუსიფიკაციისათვის და, ამასთან ერთად, კრძალავდა ეროვნულ თვითმმართველობას. რევოლუციას უნდა დაემყარებინა ისეთი წესები, რომელიც თავისუფალი იქნებოდა გარუსების პოლიტიკისაგან.

გრ. რცხილაძის აზრით, ერი სოციალური ერთეული იყო, მისი განვითარებისათვის საჭირო იყო ეროვნული ორგანიზაცია, ე. ი. ეროვნული თვითმმართველობა. ეს პრობლემა დადგა რუსეთის თებერვლის რევოლუციის წინაშე. ამ რევოლუციამ მხოლოდ ფინეთისა და პოლონეთის საკითხი გადაწყვიტა. ეს საკითხები ადვილი მოსაგვარებელი იყო; პოლონეთის საკითხი ომმა გააძარტივა, ფინეთს კი ადრევე ჰქონდა ავტონომია. თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის ყველა ჩაგრულმა ერმა თავისი ეროვნული მოძრაობის დევიზად ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია გაიხადა. ამას მოითხოვდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიაც.

გრ. რცხილაძე ნაშრომში წერდა, რომ ამიერკავკასიაში მოსახლეობის სიჭრელე იყო. ეს გამოიწვია, ერთი მხრივ, მეფის რუსეთის პოლიტიკამ, და მეორე მხრივ, აღმოსავლეთიდან უცხო ტალღების მოწოლამ[28]. ამისდა მიუხედავად, ამიერკავკასიის ძირითადი ერები მაინც კომპაქტურად მოსახლეობდნენ და მათი გამიჯვნა შეიძლებოდა. აქ უნდა გამოვდიოდეთ ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლე უმრავლესი ერების ინტერესებიდან. ავტორის აზრით, უნდა გარკვეულიყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმები და შერჩეულიყო ისეთი ფორმა, რომელიც ყველაზე მეტად უპასუხებდა ეროვნული უმრავლესობის ინტერესებს და სრულიად რუსეთის საყოველთაო საჭიროებასაც.

ნაშრომის ავტორის აზრით, ტერიტორიულად შემოხაზული ერების ინტერესები მოითხოვდა სახელმწიფო საქმის, სასამართლოს, საზოგადოებრივ საქმეთა წარმოებას ადგილობრივ ენაზე. სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს ეკონომიკისა და ეროვნული კულტურის განვითარებას. გრ. რცხილაძის აზრით, თანამედროვე ერები სამ უმ-

28 გ რ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე, ამიერკავკასიის თვითმმართველობა, სტამბა „ქართლი" ცოციშვილისა, 1917, გვ. 10.

თავრეს სოციალურ ჯგუფს შეიცავდა: 1) მსხვილი ბურჟუაზია და მემამულეები, 2) წვრილი ბურჟუაზია და გლეხები. 3) პროლეტარიატი. ერის დიდი ნაწილი ეკუთვნოდა წვრილბურჟუაზიასა და გლეხობას ან პროლეტარიატს. გრ. რცხილაძე, სოციალისტ-ფედერალისტი და ამდენად წვრილბურჟუაზიული მოღვაწე იყო და აღიარებდა, რომ ერის ყველაზე დიდი ნაწილი წვრილი ბურჟუაზია და გლეხობა იყო. მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეებისათვის ენის პრობლემა არ იდგა, რადგან მათ უცხო ენა უკეთ იცოდნენ, ვიდრე მშობლიური ენა. ამასთან ერთად, ეკონომიურად ისინი უცხო ერებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი. ასეთი ურთიერთობის დროს უცხო ენა მათთვის უფრო საჭირო იყო. ამიტომ ადგილობრივი ენის შემოღება მათთვის საჭიროებას არ წარმოადგენდა. დანარჩენი სოციალური ჯგუფები მშობლიური ენის გარეშე მძიმე დღეში იყვნენ. ამ სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები ვერასოდეს ვერ დაეუფლებოდნენ უცხო ენას ისე, რომ დაეკმაყოფილებინათ კულტურული მოთხოვნილებანი, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ესთეტიური, მეცნიერული და ფილოსოფიური ინტერესები[29]. აქედან ავტორი აკეთებდა დასკვნას, რომ ეროვნული ენის შემოღება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში და ეროვნული კულტურის აყვავება. დემოკრატიის აუცილებელი მოთხოვნა იყო.

გრ. რცხილაძე ფედერალისტი იყო და მოითხოვდა, რომ რუსეთში დაარსებულიყო ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც ურთიერთთან და რუსეთთან კავშირში იქნებოდნენ. ამ კავშირს ავტორი ასაბუთებდა ეკონომიური აუცილებლობით; უნდა იყოს ერთიანი ეკონომიკა, თავისუფალი მიმოსვლა, ერთიანი საბაჟო ერთეული და სხვ. ამასთან ერთად, ამ ცალკეული სახელმწიფოების სამხედრო ძალა სუსტი იქნებოდა და ამიტომ რუსეთის ყველა ნაწილი უნდა გაერთიანებულიყო სამხედრო და საერთაშორისო საქმეებში.

გრ. რცხილაძე ყურადღებას მიაქცევდა იმას, რომ ერების ინტერესების ერთი რიგი მოითხოვდა ცალკე ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას; ინტერესების მეორე რიგი კი მოითხოვდა მთელი რუსეთისათვის ზოგიერთ საქმეთა საერთო ვამგებლობას და კანონმდებლობის დაწესებას. „საუკეთესო პოლიტიკური ფორმა კი, რომელიც ამ ორთავე რიგის ინტერესებს სრულიად დააკმაყოფილებს, არის ნაციონალურ სახელმწიფოთა ფედერაცია, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა. ამ ფედერაციის სიმტკიცისა და ძლიერებისათვის საჭიროა, რომ საერთო საქმეთა გამგებლობა ემყარებოდეს რუსეთის

[29] გრ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე, ამიერკავკასიის თვითმმართველობა სტამბა „ქართლი" ციციშვილისა, 1970. გვ. 15.

ყველა ხალხთა წარმომადგენლობაზე და არა ნაციონალურ სახელმწიფოთა თანხმობაზე". გრ. რცხილაძის აზრით, ეროვნულ სახელმწიფოთა თანხმობა საჭირო უნდა იყოს მაშინ, როდესაც საქმე შეეხება ეროვნულ სახელმწიფოთა ურთიერთობას და მათ ურთიერთობას რუსეთის ფედერაციასთან[30]. ამგვარად, გრ. რცხილაძის ფედერაცია არ არის მთლად დემოკრატიული. ეს გასაგებიცაა; ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარჩოებში უკეთესი დემოკრატიული ფორმის შერჩევა ძნელი იყო.

გრ. რცხილაძე არ ივიწყებდა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს და აძლევდა მათ ეროვნულ-კულტურული კავშირების დაარსების უფლებას. მათ საკუთარი ძალებით უნდა მოეგვარებინათ ეროვნული განათლებისა და კულტურის საქმეების გამგებლობა. მათი უფლებები კანონით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

ამ ნაშრომში მეტად საინტერესოა ის საკითხი, თუ რომელი ტერიტორიული თვითმმართველობები უნდა შექმნილიყო ამიერკავკასიაში. საკითხი ასე იდგა: უნდა შექმნილიყო ერთიანი ამიერკავკასიის თვითმმართველობა, თუ უნდა შექმნილიყო ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობები. ამიერკავკასიის ხალხებს აქვთ საერთო ინტერესები წყლის, ტყეებისა და სხვათა სახით, რომელთა მოვლა-პატრონობა ამიერკავკასიის მასშტაბით იყო საჭირო. ამასთანავე საჭირო იყო ამიერკავკასიის საერთო ძალებით გზებზე ზრუნვა და სხვ. ეს ანვარიშგასაწევი ამბავი იყო, მაგრამ მაინც არა ძირითადი იმისათვის, რომ ამიერკავკასიის თვითმმართველობას უპირატესობა მისცემოდა ეროვნული თვითმმართველობის წინაშე. გრ. რცხილაძე ექსკურსს აკეთებდა, მოჰქონდა ისტორიული ფაქტები თავისი დებულების დასასაბუთებლად. 1909 წელს, ვორონცოვ-დაშკოვის ინიციატივით. ამიერკავკასიის ყველა გუბერნიასა და ოლქში გაიმართა საგუბერნიო და საოლქო თათბირები საერობო თვითმმართველობის შესახებ. თათბირებს უნდა გაერკვიათ საერობო ერთეულების საკითხი საერთოდ, და, კერძოდ კი, კავკასიის საერთო საერობო დაწესებულებათა საჭიროების საკითხი. თათბირების მონაწილეთა დიდი ნაწილი — ადმინისტრატორები და საზოგადო მოღვაწეები, წინააღმდეგნი იყვნენ საერთო საერობო ერთეულების დაარსების. ასევე შეხედეს ამ საკითხს 1916 წელს, როცა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ თათბირი მოიწვია. ამიერკავკასიის მცხოვრებლები ხელოვნურად იყვნენ მოქცეულნი ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში. მათ არ

[30] გრ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე. ამიერკავკასიის თვითმმართველობა, სტამბა „ქართლი" ციციშვილისა, 1917, გვ. 23.

ჰქონდათ საერთო ენა და ერთმანეთთან რუსული ენა აკავშირებდათ. ზემოთ ჩამოთვლილი საერთო საქმეებისათვის კი შეიძლებოდა რაღაც ორგანოების შექმნა. ასეთი მსჯელობის შემდეგ გრ. რცხილაძე მიდიოდა დასკვნამდე, რომ ამიერკავკასიის გაერთიანება ერთ თვითმმართველობაში ანომალური მოვლენა იქნებოდა. ის მოითხოვდა ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობების შექმნას. საერთოდ, გრ. რცხილაძის ეს დასკვნა ისტორიულად გამართლებული იყო. შექმნილმა მდგომარეობამ და შემდეგში ისტორიული პროცესების განვითარებამ დაადასტურა, რომ ამიერკავკასიის თვითმმართველობის შექმნისათვის ნიადაგი არ არსებობდა. ეს ჩანდა რსდმპ(ბ) ეროვნული პროგრამიდანაც. მდგომარეობა მოითხოვდა და საჭირო იყო ეროვნული ავტონომიების შექმნა.

გრ. რცხილაძე თავის ნაშრომში არკვევდა თუ რა ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულები უნდა შექმნილიყო ამიერკავკასიაში. მაშინ, 1917 წელს ეს საკითხი მეტად მწვავედ იდგა. რუსეთის ადმინისტრაციამ გუბერნიების შექმნით წაშალა ამიერკავკასიის ერების ეროვნული საზღვრები: ცხოვრების განვითარებამ და ძალადობამ ზევიდან მოსაზღვრე ერები ერთმანეთში აურია. ამიტომ იყო, რომ როცა ქართველი საზოგადოების წინაშე ქართული ტერიტორიული ერთეულის შექმნის საკითხი იდგა, საზღვრების საკითხმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. გრ. რცხილაძე წერდა, რომ საზღვრების საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სტატისტიკა, ეკონომიური ინტერესების მთლიანობა, ტერიტორიული გაერთიანება და სხვ. მაგრამ გრ. რცხილაძე რატომღაც ივიწყებდა ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს — ისტორიულ ტრადიციას. ის, რაც მეფის რუსეთმა თავისი პოლიტიკით წაშალა, უნდა აღდგენილიყო; უნდა აღდგენილიყო ისტორიული სამართლიანობა. გრ. რცხილაძე ეყრდნობოდა 1914 წლის საპოლიციო აღწერის ცნობებს და ამიერკავკასიას მიჯნავდა ეროვნებათა მიხედვით. მისთვის მთავარი იყო ის, თუ გარკვეულ ტერიტორიაზე რომელი ეროვნებისა და რელიგიის მოსახლეობა ცხოვრობდა. მას ყურადღების გარეშე რჩებოდა საქმის მეორე მხარე— თუ ტერიტორია რომელ ერს ეკუთვნოდა ისტორიულად.

გრ. რცხილაძის აზრით, კავკასიაში უნდა დაარსებულიყო ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობა — საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და დაღესტანი.

სამართლიანობა მოითხოვს გრ. რცხილაძის სასარგებლოდ ითქვას, რომ მან სწორად აუღო ალღო თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომ შექმნილ ვითარებას, კარგად შეაფასა მიმდინარე ისტორიული პროცესები და გამოვიდა კავკასიის ერების ტე-

რიტორიული გამიჯვნის მოთხოვნით. აქეთკენ მიისწრაფოდა მეფის რუსეთის მიერ ჩაგრული ერები. გრ. რცხილაძის პროექტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობისა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საზღვრების დადგენაში დაშვებულ შეცდომებს) უპასუხებდა კავკასიის ერების ინტერესებს. ცხოვრებამ ამაზე დადებითი პასუხი გასცა.

გრ. რცხილაძე სხვათაშორის ჯიუტად არ იცავდა მის მიერ მოხაზულ საზღვრებს. ის წერდა, რომ თუ უფრო სამართლიან მოსაზრებებს წამოაყენებენ, ჩემი დებულება შეიძლება გადაისინჯოსო. მაგრამ ერების გამიჯვნა აუცილებელი იყო. ამას მოითხოვდა ერების ინტერესები, ცხოვრების ისტორიული განვითარება. გრ. რცხილაძე სოციალისტ-ფედერალისტი იყო და წერდა, რომ „ნაციონალურ-ტერიტორიალური ერთეულების შექმნის შემდეგ ერთის მხრივ ბუნებრივად და უმტკივნეულოდ მოხდება თანდათან ეროვნებათა შეგროვება თავთავის ერთეულში, ხოლო მეორეს მხრივ ყველასათვის უზრუნველყოფილი იქნება რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონით ის უფლებები, რომლებიც კი შესაძლოა მიეცეს ნაციონალურ უმცირესობას სახელმწიფოში, უფლება ეროვნულ-ნაციონალური კავშირებისა, პირველ დაწყებითი განათლების მიღებისა სამშობლო ენაზე და სამშობლო ენის ხმარებისა დაწესებულებებში“[31].

წვრილბურჟუაზიული დემოკრატი გრ. რცხილაძე 1917 წელს ქართული ეროვნული საკითხის გადაწყვეტის გზებს ეძებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბაზაზე, როდესაც ძველი, დრომოჭმული ფეოდალიზმის ნაშთებისაგან იწმინდებოდა ცხოვრება, მაგრამ ვერ გრძნობდა კარს მომდგარ სოციალისტურ რევოლუციას. მისთვის საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის მწვერვალი ის იყო, რასაც ბურჟუაზიული რევოლუცია იძლეოდა.

1917 წელს გამოვიდა წვრილბურჟუაზიული მოღვაწის, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების ერთ-ერთი ლიდერის თედო ღლონტის სქელტანიანი წიგნი „ავტონომია და ფედერაცია“[32].

ერთი შეხედვით ეს წიგნი თითქოსდა მხოლოდ თეორიული საკითხებისადმი იყო მიძღვნილი. მაგრამ ავტორი ძალზე ხშირად თეორიულ საკითხებს გვერდს უვლიდა და მკითხველის ყურადღების ცენტრში მაშინდელი ქართველი საზოგადოების წინაშე მდგარ აქტუალურ

---

31 გრ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე, ამიერკავკასიის თვითმმართველობა, სტამბა „ქართლი“ ციციშვილისა, 1917, გვ. 46.

32 თ ე დ ო ღ ლ ო ნ ტ ი, ავტონომია და ფედერაცია, წიგნი I, თხზ., მასალები ტფილისი, 1917.

საკითხებს აქცევდა. წიგნმა ამის გამო რეცენზენტთა მკაცრი კრიტიკაც კი დაიმსახურა[33].

წიგნში განხილული მრავალი საკითხი სცილდება ჩვენი ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. ასეთი მოცულობის წიგნს (340 გვერდი) ავტორი, ცხადია, წერდა წლების მანძილზე, კერძოდ, პირველი მსოფლიო ომის დროს. აქ გადმოცემულია ავტორის მთელი მსოფლმხედველობა მაშინდელი საქართველოს მდგომარეობაზე. ეს საინტერესო მასალაა ისტორიოგრაფიისათვის და რამდენადაც შესაძლებელია შევეცდებით დაწვრილებით განვიხილოთ თედო ღლონტის ისტორიოგრაფიული შეხედულებები.

წიგნის ავტორის აზრით, ავტონომია და ფედერაცია ის საშუალებაა, რომლის მიხედვითაც უნდა მოეწყოს მთელი კაცობრიობა. ამის გამო ყველა სუბიექტურ თუ ობიექტურ პროცესს აქეთკენ მიჰყავს საზოგადოების განვითარება. იმპერიალისტური პოლიტიკაც კი ობიექტურად ხელს უწყობს ამ საქმეს: აღვიძებს პატარა ერებს და მათ საქმიანობას წარმართავს ავტონომიისა და ფედერაციის მოსაწყობად. საქართველოში მთელი წლების მანძილზე მეფის რუსეთის მთავრობა ებრძოდა „საავტონომიო და საფედერაციო მოძრაობას", მაგრამ მთავრობის ამ პოლიტიკამ, პირიქით, სულ სხვა შედეგი გამოიღო. ამ ბრძოლამ პროპაგანდა გაუწია ჩაგრული ერის ასეთ მოძრაობას. ცხადია, თ. ღლონტი არ იყო მართალი, როცა მეფის მთავრობის ამ პოლიტიკას „საავტონომიო და საფედერაციო" მოძრაობის პროპაგანდისტის როლს მიაწერდა. მთავრობა თავისი მოქმედებით (ობიექტურად) კი არ უწევდა პროპაგანდას საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლას, არამედ, აღმავალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში მიმდინარეობდა ძიება საქართველოს შემდეგი სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმებისა, და ავტონომიამ, როგორც ასეთი მოწყობის ერთ-ერთმა ფორმამ, ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენებში გარკვეული აღიარება პოვა.

თ. ღლონტის აზრით, ეროვნული ავტონომია და საფედერაციო მოძრაობა აღმოცენდა იმპერიალისტური პოლიტიკის ნიადაგზე და ის ერის შინა ცხოვრების წიაღიდან კი არ იყო წამოსული, არამედ გარეგან იყო შეტანილი. ავტორი იქვე ამბობდა, რომ ქართული ეროვნული ცხოვრების შესაფასებლად პოლემიკა მიმდინარეობდა. ამ პოლემიკაში ქართული ცხოვრების, ქართული ერის მთლიანობის აზრმა გაიმარჯვა და ქართველობის ამ მთლიანობას თ. ღლონტი ავტონომიისა და

---

33 ნ. ჯ ო რ ჯ ი კ ი ა, სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაცია, წიგნი I, ქუთაისი, 1918.

ფედერაციის ობიექტურ პირობად მიიჩნევდა. როცა ქართველმა ერმა შეიცნო ეროვნული მთლიანობის აუცილებლობა, მან შეიტანა ავტონომია-ფედერაციის პრინციპებიო — წერდა ის და ამით ასაბუთებდა, რომ XX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ავტონომია-ფედერაციის პრინციპებმა გაიმარჯვეს. ასეთ მსჯელობას შორს მიჰყავდა ავტორი. მას გადაწყვეტილად მიაჩნდა, რომ 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ საქართველოში ავტონომიისა და ფედერაციის პრინციპები გაიმარჯვებდა. ამ იდეების გამარჯვების მიზეზებად თ. ღლონტი ასახელებდა რუსულ იმპერიალიზმს და მთელი ერის გამოფხიზლებას — ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

თ. ღლონტი იქვე ასახელებდა სხვა მიზეზებსაც, რომლებიც ეროვნულ მოძრაობას ხელს უწყობდა. ერთ-ერთი მიზეზი რუსეთში გაბატონებული ცენტრალისტური იდეების მარცხი იყო. სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის (რომელსაც მსოფლიოს საზოგადოებრივ მოძრაობაში მეტად საპატიო ადგილი ეჭირა) მსოფლმხედველობაში მოხდა ზოგიერთი ცვლილება, კერძოდ, ეროვნულ საკითხში. სოციალ-დემოკრატიამ (მენშევიზმმა) ამ პერიოდისათვის უფრო მკვეთრად ჩამოაყალიბა თავისი პროგრამა ეროვნულ საკითხში. მან ნაბიჯი გადადგა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიისაკენ, ფედერალიზმისაკენ.

თ. ღლონტი კარგად ხედავდა, რომ თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ „საავტონომიო და საფედერაციო მოძრაობას“ დიდი გასაქანი მიეცა. ეეებერთელა რუსეთი ფედერალისტური მოძრაობის ალში გაეხვია; ყველა ერი ავტონომიას მოითხოვდა, რუსეთის სახელმწიფოს დემოკრატიულ-ფედერაციულ საწყისებზე მოწყობას მოითხოვდა. ქართულ საზოგადოებაშიც ეს საკითხი წინა პლანზე იდგა.

წიგნის ავტორი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების განვითარებაზე, რუსული იმპერიალიზმის ბატონობაზე და მის შედეგებზე ბევრს მსჯელობდა. თ. ღლონტის წარმოდგენით (და მცდარი წარმოდგენით) საქართველო დიდი სოფელი იყო. ასეთი მდგომარეობიდან გამოსვლა, მისი აზრით, მხოლოდ გონებრივი მეურნეობის წარმოებით შეიძლებოდა. თ. ღლონტი ფიქრობდა, რომ როგორც 1917 წელს, ისე მომავალშიც საქართველოს ძირითადი, საჭირბოროტო საკითხი აგრარულ-გლეხური საკითხი იქნებოდა. როდესაც ის ლაპარაკობდა მამულზე, ის გულისხმობდა „სამოსახლო მიდამოს“ (არჩ. ჯორჯაძის გამოთქმაა) და „ერის ბუნებას“ (ნ. ჟორდანიას გამოთქმა). თ. ღლონტი მამულს, ქართულ მიწას, ქართველთა მწარმოებელი ძალის შემოქმედების, მისი სულიერი სახეობისა და კულტურუ-

ლი ვინაობის გამომაახველად სახავდა. მისი აზრით, ქართული მამული სულ მოძრაობაში იყო და, იმჟამად, ეს მამული ბურჟუაზიისა და შემამულეთა ხელიდან მშრომელი გლეხკაცობის ხელში გადადიოდა რაც ცხადია, მართალი არ იყო.

სოციალისტ-ფედერალისტები ამ პროცესს მხარს უჭერდნენ. თ. ღლონტი ერის ტრაგედიად მიიჩნევდა, როცა მამული უცხო ელემენტის ხელში გადადიოდა და ამ მამულის მეშვეობით ეროვნულ სხეულს ხელოვნურად აჭრელებდნენ და ერის მწარმოებლურ ძალებს ანადგურებდნენ.! თ. ღლონტის ეს სიტყვები სულაც არ არის ნაციონალიზმი. ეს რეაქციაა მეფის რუსეთის ასიმილატორულ, კოლონისტურ პოლიტიკაზე. სოციალისტ-ფედერალისტების, წვრილბურჟუაზიული იდეოლოგების ასეთი შეხედულებანი მენშევიკებს — სოციალ-დემოკრატებს შოვინიზმად, უცხოელების გაუტანლობად მიაჩნდათ. თ. ღლონტი ასაბუთებდა (და საბუთიანადაც), რომ საქართველოში ყველა არა ქართველს მამული და არსებობის საფსარი ჰქონდა. უცხო ერების მოსახლეობას ჩვენში არასოდეს არ გამოუწვევია რაიმე სერიოზული ხასიათის ეროვნული შუღლი.

მენშევიკები ფიქრობდნენ, რომ ქართველების სამოსახლო ტერიტორიის შემცირება კაპიტალიზმის განვითარების შედეგი იყო და ეს სრულიადაც არ იყო საკალალო. თ. ღლონტი ქართული ეთნიკური ტერიტორიის შემცირებას გულისტკივილით აღნიშნავდა და ამაში ბრალს დებდა მეფის რუსეთის ასიმილატორულ პოლიტიკას, ძალადობის პოლიტიკას. თ. ღლონტი განიხილავდა კოლონისტურ პოლიტიკას. მან მაგალითი მოიყვანა III სახელმწიფო სათათბიროს ისტორიიდან, დაიმოწმა ვორონცოვ-დაშკოვის მოხსენება და დაასკვნა, რომ მეფის რუსეთის სამამულო პოლიტიკა მიმართული იყო მიწის საკოლონიზაციო ფონდის შესაქმნელად. თ. ღლონტს XIX საუკუნის საქართველოს ისტორიიდან დიდძალი მასალა მოჰქონდა და ასაბუთებდა, რომ მეფის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა საქართველოში ჩამოსახლებული კოლონისტების მიწით უზრუნველსაყოფად.

თ. ღლონტი ამ ნაშრომში საქართველოს ეკონომიური განვითარების საკითხებს შეეხო და აღნიშნა, რომ ქართული სოფლის განვითარების დონე გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე რუსეთის სოფლისა. ამის მიზეზს კი იმაში ხედავდა, რომ რუსეთში სოფლის განვითარებას ხელს უწყობდნენ, ხოლო რუსული სოფლის განვითარება თავისთავად უარყოფითად მოქმედებდა საქართველოს სოფელზე. ჩვენ ზევით არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ უკანასკნელ დრომდე ქართული სოფლისა და, საერთოდ, საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენილობის შესახებ მეცნიერებაში მცდარი მოსაზრება იყო გაბატონებული.

თ. ღლონტის აზრით, საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობის განვითარების დონე ჰარმონიაში არ იმყოფებოდნენ. XX საუკუნეში მიწა გამოფიტულია, ქართველი გლეხი და მისი მეურნეობა დაკნინებულია. 1911—1912 წწ. სალაროებში შეტანილი ფულის რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ ამას თ. ღლონტი ტიპიურად, დამახასიათებლად არ მიიჩნევდა. ის ამ მაგალითზე ვერ ასკვნიდა იმას, რომ ქართველი ხალხი ეკონომიურად გაძლიერდა.

ავტორის აზრით, ეკონომიური სიდუხჭირის შედეგი ის იყო, რომ ეთნიკური ტერიტორია მცირდებოდა. ქართლ-კახეთში ქართული მოსახლეობა შემცირდა.

თ. ღლონტი, ეთნიკური ტერიტორიის გარდა, ყურადღებას მიაქცევდა აგრეთვე იმას, თუ გუბერნიებსა და მაზრებში ხელმძღვანელი ადგილები რა ერის წარმომადგენლებს უკავათ. მეფის რუსეთის მთავრობა არ ზოგავდა ძალებს, რომ საქართველოში მოსული ელემენტებისაგან ჩინოვნიკთა მთელი არმია შეექმნა. ამით ხელს უწყობდა ქართველი ერის ასიმილაციას.

ეთნიკური ტერიტორიის შემდეგ თ. ღლონტის მსოფლმხედველობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ეროვნებას, სახელდობრ იმას თუ რას წარმოადგენდა 1917 წელს ქართველი ხალხი, და ცდილობდა სტატისტიკაზე დაყრდნობით ეს საკითხიც გაერკვია. მისი აზრით, ქართველი ერის გასაძლიერებლად საჭირო იყო ეროვნული თვითმმართველობა. თ. ღლონტი, იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც ფიქრობდა, რომ ქართველი ერი დაშლილია, ასაბუთებდა, რომ ქართველი ერი მთლიან სხეულს წარმოადგენდა. ამას ავტორი სტატისტიკით ასაბუთებდა. თ. ღლონტი აკრიტიკებდა მენშევიკურ გაზეთ „თანამედროვე აზრს", რომელიც სომეხ ერს უფრო მძლავრ ეთნიკურ ერთეულად მიიჩნევდა და სომხების მიერ ავტონომიის მოთხოვნას მხარს უჭერდა, ქართველების იმავე მოთხოვნისა კი წინააღმდეგი იყო.

თ. ღლონტი ასაბუთებდა იმ აზრს, რომ ქართველები ეროვნულად ძლიერნი იყვნენ თითქმის მთელს საქართველოში (გარდა საფაშოსა და სომხითში). სტატისტიკური მასალის გაანალიზების საფუძველზე თ. ღლონტი იძლეოდა დასკვნას, რომ „ჩვენი ერი მტკიცეა, მთლიანია, ძირმაგარია, კომპაქტური მასით არის დასახლებული და შეადგენს საუცხოო პირობას ეროვნული თვითმმართველობისათვის"[34]; რომ საქართველოში ისეთი ეთნიკური ერთობაა, რომლის მსგავსი არსად არ არის, რომ ამ მხრით საქართველოს ვერ შეედრებოდა მეფის რუსეთის ვერცერთი ე. წ. განაპირა მხარე. თ. ღლონტი ცდილობდა გა-

---

[34] თ. ღ ლ ო ნ ტ ი ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 85.

ეთვალისწინებინა საქართველოში უცხო ელემენტის — ებრაელებისა და სომხების ძალა და წერდა, რომ ეს ძალა გადამთიელი არ არის; ესენი საუკუნეების მანძილზე ჩვენთან ცხოვრობენ და საქართველოს შეესისხლხორცნენ; ჩვენი მოძმენი, ჩვენი ზნე-ჩვეულებებითი გამსჭვალულნი, ქართულ ენაზე მოუბარნი არიან.

თ. ღლონტი წვრილბურჟუაზიის იდეოლოგი იყო და ეროვნული თვალსაზრისით განიხილავდა საქართველოს სოფლის ცხოვრებას. ის ცდილობდა სოფლის განდიდებას, უარყოფდა იმას, რომ სოფელი კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ჰკარგავდა თავის ძველ სახეს. მისი აზრით, სოფლად არ ხდებოდა პროლეტარიზაცია და გლეხი არ შორდებოდა სოფელს, მიწას. ასეთი მსჯელობის შემდეგ ის დაასკვნიდა, რომ ამის გამო არ ირღვეოდა ეთნიკური მთლიანობა, „პირიქით, ერის ძალთა საკუთრებას საერთო ისტორიული, მუდმივი ხასიათი აქვს“.

ცხადია, თ. ღლონტის მსჯელობა მრავალ საკითხზე თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით, მარქსისტული მეცნიერების თვალსაზრისით, მიუღებელია. ის მაშინ შორს იდგა მარქსიზმისაგან, ტიპიური წვრილბურჟუაზიული მოაზროვნე იყო. 1917 წელს თ. ღლონტი ამბობდა, რომ ქართველობის ქვაკუთხედი დღესაც სოფელია, სოფლის ხალხია და ეს ძვირფასია ეროვნული მთლიანობისა და ეროვნების შექმნის საქმეში; რომ ჩაგრული ერი გადაშენების გზაზეა და სწორედ ბურჟუაზია არის ყველაზე სუსტი ძალა ერში. მისი აზრით, ქალაქური ცხოვრების დაწინაურება სრულიადაც არ ნიშნავდა ერის გაძლიერებას. ის სოფლის არსებობას საქართველოს სიმდიდრის წყაროდ მიიჩნევდა. საქართველო ამ ძალით იგერიებდა დიდმპყრობელური მთავრობის სისტემატურ იერიშებსო.

თ. ღლონტი ეროვნული თვალსაზრისით განიხილავდა ქართულ ეკონომიკას, მის მთლიანობას. ეკონომიურად სუსტ საქართველოს ზრდის კარგი პერსპექტივები ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ საქართველოს მაშინდელი ეკონომიკა მთლიანი იყო, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული საკითხისათვის. მისი აზრით, ქართველ ერს იმდენი დოვლათი ჰქონდა, რომ ეს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმარისი იყო. საქართველოს ექსპორტი და იმპორტი ჰარმონიული იყო და ხელსაყრელ ბალანსსაც კი ქმნიდა. თ. ღლონტი აკრიტიკებდა იმათ, ვინც ერის ეკონომიურ ორგანიზმად სახელმწიფოს აღიარებდა. ეს თეორია ქართულ ეკონომიურ მთლიანობას საფუძველს აცლიდა, რადგან საქართველოს არ ჰქონდა სახელმწიფო.

წიგნის ავტორის აზრით, ქართული სახელმწიფოს არსებობა იმდენად არის სასურველი, რამდენადაც ის ერის ეკონომიურ მთლიანობას განამტკიცებდა. თ. ღლონტი აკრიტიკებდა მათ, ვინც ამბობდა, რომ საქართველოს ეკონომიკაში უცხო კაპიტალს დიდი ძალა აქვსო. ასეთი უცხო კაპიტალი ძლიერი რომ ყოფილიყო, მისი აზრით, დაირღვეოდა ეკონომიური მთლიანობა. როგორც თ. ღლონტი ფიქრობდა, ეს უცხო კაპიტალი გამოყენებული იყო მრეწველობაში და არა სოფელში. მრეწველობა კი ეროვნული ეკონომიკის საფუძველი არ იყო ჩვენში. აქ, როგორც ვხედავთ, კვლავ თავს იჩენდა გლეხთა იდეოლოგიის წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობა.

თ. ღლონტს აქცენტი გადაჰქონდა სოფელზე, მაგრამ იქვე წერდა, რომ ასეთი ეკონომიკა ცალმხრივი იქნებოდა. სოფელმა ხელი უნდა შეუწყოს ქალაქად ეროვნული ეკონომიკის აღორძინებასო. ქართველი ერი მცირერიცხოვანია; ის პატარა ტერიტორიაზე მოსახლეობს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ქმნის იმის დაბრკოლებას, რომ შესაძლებელი გახდეს მისი ეროვნული აღორძინება. საქართველომ განვლო განვითარების ყველა სტადია და მხარში ედგა თანამედროვე განვითარებულ ერებს. რამდენადაც საქართველო ეკონომიურად და კულტურულად ვითარდებოდა, იმდენად ქართველობა სრული და მტკიცე მოვლენა ხდებოდა, მტკიცდებოდა ეროვნული სხეული და ის ერთიან სახეს იღებდა. მართალია, არსებობენ დიალექტები, მაგრამ ქართველ ერს ლიტერატურული ენა, სარწმუნოება, კანონმდებლობა ჰქონდა. „ქართველი ერი მთლიანია, მტკიცე ეროვნული ორგანიზმია, რომლის ფაქტორია ქართული ტერიტორია, ქართული დემოკრატია და ქართული ლიტერატურა". თ. ღლონტი გაოცებას გამოთქვამდა იმ მოაზროვნეების მიმართ, რომლებიც ქართულ ეროვნულ სიმტკიცეს მხოლოდ XIX საუკუნის ნაყოფად თვლიდნენ და მასაც მეფის რუსეთის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შედეგად მიიჩნევდნენ (მოვიგონოთ ნ. ჟორდანიას ადრინდელი წერილები). თ. ღლონტის აზრით, ქართული ეროვნული სიმტკიცე შემუშავდა მრავალ საუკუნეში მშრომელ შემოქმედ ძალთა მიერ. თ. ღლონტის ეს მოსაზრება ჭეშმარიტებასთან ახლოს დგას. ქართველი ერი საუკუნეების განვითარების შედეგი იყო და არა ზემოდან სხვა სახელმწიფოს ზემოქმედების შედეგი.

თ. ღლონტის მთელი ფიქრი და მსჯელობა იქითკენ იყო მიმართული, რომ დაესაბუთებინა საქართველოსათვის სახელმწიფოებრიობის მოპოვების აუცილებლობა; საქართველო რომ ყოველმხრივ იყო მომზადებული სახელმწიფოს აღდგენისათვის, ამაში თ. ღლონტი მართალი იყო. შეიძლება მას არ დავეთანხმოთ მსჯელობაში, არგუმენ-

ტაციაში, მაგრამ რომ ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნა დღის წესრიგში იდგა და ერი ამისათვის მომზადებული იყო, ეს ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა.

წიგნის ავტორი აკრიტიკებდა იმათ, ვინც ამბობდა, რომ ერი თვითმმართველობას ვერ მოიპოვებდა იმიტომ, რომ მას [illegible] შეგნებული არა აქვს თავისი ძალა, თავისი ისტორიული არსებობის აზრით, მას არა აქვს მიზანი და პოლიტიკური მრწამსი. თ. ღლონტი ამ წიგნში ასაბუთებდა, რომ XIX ს-ში, როდესაც მწვავედ იდგა ეროვნული საკითხი, ქართველი ხალხი მომწიფდა; ის არსებითად იდგა თავისი ისტორიული პირობების ნიადაგზე და კარგად ესმოდა თავისი მიზანი.

თ. ღლონტის აზრით, ეროვნულ საკითხს ქართული აზროვნების ისტორიაში ძირითადად ორი ავტორი — არჩ. ჯორჯაძე და ნ. ჟორდანია ეხებოდა. მათი მიზანი იყო წარსული მოვლენებით გავმართლებინათ დღევანდელი პოლიტიკური მისწრაფებანი და წარსულთან აწყმო დაეკავშირებინათ. XIX ს-ში შეიცვალა საქართველოს ცხოვრების პირობები; ერი გაღატაკების გზას დაადგა, ქვეითდებოდა ერის კულტურა. თ. ღლონტი ეროვნული ნიადაგით ხსნიდა XIX ს. პირველი ნახევრის აჯანყებებს. მაგრამ შექმნილი ვითარების გამო შეუძლებელი იყო ამ მოძრაობებს ჰქონოდათ შეგნებული პოლიტიკურ-ეროვნული ხასიათი, დემოკრატიული და სოციალისტური ელფერი. ხალხი სტიქიურად მიისწრაფოდა ახალი ეროვნული წყობილებისაკენ. სტიქიური იყო მოძრაობა, მაგრამ ამ სტიქიურობის გამო ნამდვილი სახალხო ეროვნული მოძრაობა სრულიადაც არ ჰკარგავდა თავის ელფერს. ნ. ჟორდანია ამ სახალხო მოძრაობაში ქართველი ერის სულისკვეთებას ვერ ხედავდა. მისი აზრით, ეს მოძრაობები (კახეთის 1802 წ. აჯანყება, 1832 წ. შეთქმულება და სხვა) თავადაზნაურული მოძრაობა იყო.

თ. ღლონტის აზრით, XIX ს. მოვლენები სულ სხვაგვარად ახსნა არჩ. ჯორჯაძემ. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოხდა ორი აჯანყება, ორივე აჯანყება სახალხო იყო და მიმართული იყო მეფის რუსეთის წინააღმდეგ. შემდეგში ნ. ჟორდანიამ უკან წაიღო თავისი მოსაზრებანი და XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოვლენები ეროვნულ-პოლიტიკურ მოვლენებად აღიარა. თ. ღლონტის აზრით ნ. ჟორდანიამ ქედი მოიხარა არჩ. ჯორჯაძის წინაშე, მაგრამ ქართული ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის შესაბღალავად XIX საუკუნის მეორე ნახევარი აიღო და იქიდან ამოკრიფა ფაქტები იმის დასასაბუთებლად, რომ ქართველებს არ ჰქონდათ მისწრაფება ეროვნული თვითმმართველობისაკენ. ნ. ჟორდანიას აზრით, — წერდა თ. ღლონტი, — რაც უფრო გადიოდა დრო რუსეთთან შეერთების შემდეგ, მით უფრო ისპობოდა კულტურული ძალა.

თედო ღლონტი ფიქრობდა, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო და ახალი თაობაც წარმოიშვა. 60-იანი წლების რეფორმებს ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა მოითხოვდა. საქართველოს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის და ცარიზმის მიზანი იყო 60-იანი წლების ქართული ეროვნული ძალის მოსპობა. მეფის რუსეთის პოლიტიკა მძიმე იყო როგორც მაღალი ფენებისათვის, ისე მუშა ხალხისათვის. ქართველთა შორის ეროვნული ორიენტაცია განმტკიცდა და გაძლიერდა. ამგვარად, წიგნის ავტორის აზრით, მთელი XIX საუკუნის საქართველოს ისტორია ეს ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორია იყო. ეროვნული იყო XIX საუკუნის პირველი ნახევრის აჯანყებები და საზოგადოებრივი მოძრაობა, ეროვნული იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივი მოძრაობაც. თ. ღლონტი აღშფოთებას გამოთქვამდა ნ. ჟორდანიას მიერ მეფის რუსეთის პოლიტიკის მოწონების გამო. ის წერდა, რომ რუსული სახელმწიფოს შსახურნიც კი ვერ ამბობენ მეფის რუსეთის პოლიტიკის მიმართ იმდენ კარგს (პოლიტიკაში იგულისხმება მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა), რამდენსაც ამბობს ნ. ჟორდანია. „ისე აშკარად, ისე გაბედულად, მთელს რუსეთში რუსეთის ძალას საქართველოში არავინ აქებდა, როგორც ნოე ჟორდანია, ვერც ტიმოშკინი, ვერც პალმი, თვით მენშიკოვიც კი ვერ მოახერხებდა მთავრობის როლის მოწონებას მესამოცე წლებში, როგორც ამას ახერხებდა ნარიძე-ჟორდანიაო"[35]. თ. ღლონტის კრიტიკა ნ. ჟორდანიას მიმართ სამართლიანია. 60-იანი წლები რუსეთში მობრუნების წლები იყო, რეფორმების წლები იყო, მაგრამ ეს რევოლუციური სიტუაციის შედეგი და, მაშასადამე, იძულების შედეგი იყო. ეს იყო დროებითი მოვლენა და საზოგადოება ამაში ალექსანდრე III მეფობამ დაარწმუნა. თ. ღლონტი იქვე არკვევდა იმას, თუ რატომ აქებდა მეფის რუსეთის პოლიტიკას ნ. ჟორდანია. ის ამას აკეთებდა იმიტომ, რომ დაესაბუთებინა ეროვნული მოძრაობის უსუსურობა. ამჯერადო კი სოციალ-დემოკრატია ეროვნული საკითხით არა ნაკლებად არის დაინტერესებულიო.

შემდეგში, 90-იანი წლების ბოლოს, როცა ევროპაში ეროვნული მოძრაობა წინა პლანზე წამოვიდა, სოციალ-დემოკრატიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეროვნულ საკითხს (კ. კაუცკი, ო. ბაუერი). ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) შეცვალეს ავტონომიის საკითხისადმი დამოკიდებულება და ტაქტიკა.

.თ. ღლონტი საქართველოს მმართველობის ფორმების იხილავდა.

---

35 თ. ღ ლ ო ნ ტ ი, ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 123.

კარგად ერკვეოდა მთავარმართებლობასა და მეფისნაცვლობაში და წერდა, რომ მთავარმართებლობა უფრო მეტად ჩინოვნიკური მოვლენა იყო, ვიდრე მეფისნაცვლობა.

პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოს საზოგადოებრივი ძალები ძირითადად ორ ნაწილად დაჯგუფდნენ: 1) გაზეთ „თანამედროვე აზრის" გარშემო და 2) „სახალხო ფურცლის", „ზვირთის" და ქუთაისური „მეგობრის" ირგვლივ. „თანამედროვე აზრის" დამოკიდებულებას ომისადმი თ. ღლონტი კლასობრივ დამოკიდებულებად მიიჩნევდა. მეორე ჯგუფის დამოკიდებულება ომისადმი კლასობრივიც იყო და ეროვნულიც და, დაასკვნიდა, რომ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ორ მიმართულებას შორის მიმდინარეობდა ბრძოლა: კლასობრივსა და ეროვნულ პოლიტიკას შორის.

თ. ღლონტი კარგად შენიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) მოძრაობაში ეროვნული სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. ავტორმა გაიმეორა სიტყვები, რომ მოკვდა ეროვნების უარმყოფელი პლეხანოვი და აღსდგა ეროვნების მათაყვანებელი პლეხანოვიო. მსგავსი ამბავი მოხდა ქართველ მენშევიკებშიც. ნ. ჟორდანიას განსეთქილება მოუვიდა თბილისელ მენშევიკებთან და ქუთაისში გადავიდა. მაგრამ იქაც იგივე განმეორდა.

ავტორი აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნულ-სოციალისტური მიმართულება, არსებითად, სოციალისტ-ფედერალისტური მიმართულებაა. აქ უნდა გავიხსენოთ ფ. მახარაძე, რომელიც 1917 წელს და შემდეგაც ქართველ მენშევიკებს სულ იმას საყვედურობდა, რომ ისინი სოციალისტ-ფედერალისტები გახდნენ, ე. ი. იმდენად ძირითადად მიაჩნდათ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის აღიარება, რომ ეს საკვარისი იყო მენშევიკების ფედერალისტებად გადაქცევისათვის. ცხადია, ეს საკითხის გაუბრალოებაა. მათ მსოფლმხედველობაში მრავალი განსხვავებული ჰქონდათ, მაგრამ ეროვნული საკითხი მაინც ძირითადი იყო მათ იდეურ ბრძოლაში.

ავტორის აზრით, ფედერალისტებმა სრულიად გაიმარჯვეს ეროვნული გრძნობების გაღვიძების საქმეში. ეს სინამდვილე იყო. მაგრამ ეს არ იყო მარტო საქართველოს მოვლენა. პირველმა მსოფლიო ომმა მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიულ მიმართულებაში გააბატონა ეროვნულ-სოციალისტური მიმართულება. ამასაც აღნიშნავდა თ. ღლონტი და აქ ბევრი სიმართლე იყო.

იმ ხანებში საქართველოში გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „საქართველომ", რომელსაც თედო ღლონტი ეროვნული იმპერიალისტების ორგანოს უწოდებდა. მისი აზრით, კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი იყო ეროვნული იმპერიალიზმი და, მაშასადამე, ის აღიარებდა, რომ ეს

ახალი გაზეთი „საქართველო“ (ეროვნულ-დემოკრატების გაზეთი) ბურჟუაზიული პარტიის გაზეთი იყო.

თედო ღლონტი ეკამათებოდა ეროვნულ-დემოკრატებს და გამოდიოდა სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ავტორი იმოწმებდა არჩ. ჯორჯაძეს, რომელიც თავის დროზე ამბობდა, რომ სოციალისტ-ფედერალისტები ებრძოდნენ სრულ სახელმწიფოებრივ ფორმაციას იმიტომ, რომ ის აგრესიული მიმართულების მატარებელი იყო.

განსახილველი ნაშრომის ავტორს XX საუკუნე ქართული აზრის გამოფხიზლების საუკუნედ მიაჩნდა. ის ეროვნულ საკითხს უკავშირებდა სოციალ-ეკონომიურ პრობლემებს. ამ ნიადაგზე საქართველოს ისტორიის ერთი ფაქტის ახსნას ცდილობდა. ძველ საქართველოში დავით მეფე სომხებს ასახლებდა საქართველოში; ცხადია, მაშინ ეროვნული საკითხი არ არსებობდა. მაგრამ როგორც კი ხალხი გამრავლდა და მიწის პრობლემა დადგა, ეროვნულმა პრობლემამაც თავი იჩინა. XIX და XX სს. კაპიტალიზმი მოითხოვს საზღვრების გაფართოებას და, თედო ღლონტი დაასკვნიდა, რომ სახელმწიფოებრივი ერები იმ ერების მჭამელები იყვნენ. რომლებსაც სახელმწიფოებრიობა არ ჰქონდათ

სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) მიერ ეროვნული საკითხის აღიარებამ და ამ საკითხში სოციალისტ-ფედერალისტებთან დაახლოებამ — პრაქტიკულად ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ცნობამ, თედო ღლონტს ათქმევინა ის, რომ ხანგრძლივი ბრძოლა სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს შორის უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდაო.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, თ. ღლონტი იმპერიალისტურ ნაციონალისტებს უწოდებდა გაზეთ „საქართველოს“ (1917 წ.) და მის მესვეურებს — ეროვნულ-დემოკრატებს. მისი აზრით, გაზეთი ხოტბას ასხამდა შოვინიზმს. ასეთი რამ ერის ინტერესებს ვნებას მოუტანდა და ეს მიმართულება საზოგადოებრივ მოძრაობაში ისეთ გზას ადგას, რომელიც ერებს შორის სიძულვილს ჩამოაგდებსო.

თედო ღლონტის ამოსავალი წერტილი ქართული ეროვნული საკითხი იყო და ამ საკითხში იგი 1917 წელს ერთიან ნიადაგს მოითხოვდა. კლასების, პარტიების, ჯგუფების არსებობას ის არ უარყოფდა. არ უარყოფდა, რომ სხვადასხვა ფენებს, კლასებს აქვთ სხვადასხვა აზროვნება, სხვადასხვა იდეოლოგიური მიმართულება. მაგრამ, მისი აზრით, არსებობს ისეთი რამ, რაც ყველა კლასისა და ფენისათვის ერთი უნდა იყოს. ეს არის ენა, სკოლა, პარლამენტი, მამული, სამშობლო, ეროვნება. არჩ. ჯორჯაძემ როცა უარყო საერთო მოქმედების ნიადაგის თეორია, რომელიც მან 1900-იანი წლების დასაწყისში წამოაყენა, თქვა, რომ დადგება დრო და ეს თეორია ერისათვის ბრძო-

ლაში კვლავ გაიღვიძებსო. როგორც ჩანს, თედო ღლონტი ცდილობდა ეს თეორია გაეღვიძებინა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს ისტორიაში იყო შემთხვევები, როცა ყველა კლასი ერთდებოდა ერის თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თუმცა ყველა კლასს თავთავისი მიზანი ჰქონდა ბრძოლის დროს. თედო ღლონტი ასეთ ამბავს ხედავდა 1917 წელს საქართველოში. მაგრამ ის ვერ ხედავდა იმ დიდ კლასობრივ ბრძოლას, რომელიც 1917 წელს საქართველოში მიმდინარეობდა, ვერ ხედავდა დიდ აგრარულ მოძრაობას. ასეთ ვითარებაში კლასთა ერთიანობაზე ლაპარაკი ყოვლად შეუფერებელი იყო. პირიქით, საჭირო იყო ამ კლასობრივი ბრძოლის ფონზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა მომხადარიყო ჩაგრული კლასების მიერ. როცა ამას წერდა თ. ღლონტი, ის იმყოფებოდა პირველი მსოფლო ომის შთაბეჭდილების ქვეშ, როდესაც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა კლასობრივი პოზიციები დატოვეს და ეროვნულ ნიადაგზე თავიანთი ქვეყნის ბურჟუაზიას ხმა შეაშველეს. მისი აზრით, თუ უცხო ერების ძალები გაერთიანდნენ თავიანთი ქვეყნის არსებობის დასაცავად, რატომ არ შეიძლებოდა გაერთიანებულიყვნენ ქართველები ,რომლებიც მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. ის წერდა: „თანამედროვე საქართველოს მდგომარეობაში დანაშაულებად მიგვაჩნია გავჩუმდეთ და არ ვიბრძოლოთ ერის სხვადასხვა ჯგუფის შესათანხმებლად ეროვნული ინტერესების დასაცავად“. თედო ღლონტი ეძებდა იდეას, რომელიც შეაერთებდა საქართველოს ყველა კლასს ერთი ეროვნული საქმისათვის. ასეთ იდეურ ძალად მას მიაჩნდა ფედერალიზმის პრინციპები. ასეთი ერთიანობის საწინდარს თ. ღლონტი იმაში ხედავდა, რომ მენშევიკების მსოფლმხედველობაში მოხდა ძვრები ეროვნული საკითხისაკენ და ეს მათ აახლოებდათ ფედერალისტებთან.

თ. ღლონტის ისტორიოგრაფიული შეხედულებანი 1917 წლისა და მის წინარე ხანის საქართველოს ისტორიაზე, მემარცხენე, წვრილბურჟუაზიული აზრები, გლეხობის იდეოლოგიის შეხედულებანი იყო, რომელიც წინა პლანზე ეროვნულ საკითხს სწევდა და კლასობრივ საკითხს რამდენადმე უკან იტოვებდა. ის მარქსიზმს აკრიტიკებდა და ეს კრიტიკაც წვრილბურჟუაზიული პოზიციებიდან იყო. შემდეგში მან ამ კრიტიკაზე და ბევრ სხვა რამეზეც ხელი აიღო; ის მთლიანად დადგა კომუნისტურ პოზიციებზე და საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა, მისი ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე გახდა.

1917 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა ვ. გობეჩიას ნაშრომი „ავტონომია, ფედერაცია და საქართველოს საკითხი“[36].

ივანე პავლეს ძე გობეჩია ქართველი მოღვაწეა. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თანაშრომლობდა. ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, 1918—1921 წლებში საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და მისი ესერული ფრაქციის წევრი იყო.

ვ. გობეჩია თავის ნაშრომში ცნობდა იმას, რომ გაიზარდა ეროვნული თვითშეგნება; ერთა იძულების წესით ურთიერთში გათქვეფა, ასიმილაცია უზნეობა იყო და თანაც მიზანს ვერ აღწევდა. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ვ. გობეჩია შესაძლებლად მიიჩნევდა რუსეთის ფედერაციულად მოწყობას. ბურჟუაზიული დემოკრატიის საფუძველზე უნდა აღდგენილიყო საქართველოს სახელმწიფოებრიობა. ვ. გობეჩია რწმენით სოციალისტ-რევოლუციონერი იყო და აქედან გამომდინარე მოითხოვდა საქართველოს ეთნოგრაფიულ საზღვრებში ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ავტონომიას. საქართველო რუსეთს შეუერთდა 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე. ამ ხელშეკრულებას უნდა უზრუნველეყო საქართველოს ავტონომიური უფლებები. მეფის თვითმპყრობელობამ შეზღუდა საქართველოს უფლებები და ცდილობდა ის განეხილა, როგორც თავისი პროვინცია. რუსეთის დიდი რევოლუციის (ბურჟუაზიული რევოლუციის) წყალობით ქართველმა ხალხმა თავი დააღწია ამ საშინელებას და მის ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო. თებერვლის რევოლუციას ვ. გობეჩია საქართველოს თავისუფლების მზედ მიიჩნევდა. რუსეთის დამფუძნებელი კრება საქართველოს ავტონომიას მისცემდა და საქართველო თავის კულტურას განავითარებდა.

ვ. გობეჩია საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის თავისებურებად მიიჩნევდა იმას, რომ ქართველები ქართულ ეროვნულ საკითხს არასოდეს არ თიშავდნენ რუსეთისაგან. მისი აზრით, ყველა ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ამავე დროს რუსეთის დემოკრატიის პოპულარული ბელადი იყო. ქართველები რუსებთან ერთად რევოლუციაში და ომებში სისხლს ღვრიდნენ. ამიტომ საქართველოს ავტონომია გარეშე და შინაური მტრებისაგან რუსეთის ფედერაციას უნდა დაეცვა.

ვ. გობეჩია წვრილბურჟუაზიული მოღვაწე იყო. ის ქართველი

---

36 ვ. პ. გ ო ბ ე ჩ ი ა, ავტონომია, ფედერაცია და საქართველოს საკითხი, თბილისი, (წიგნი უთარიღოა, მაგრამ მისი ტექსტიდან ჩანს, რომ იგი 1917 წელს არის დაწერილი) (რუს. ენაზე).

ხალხის ეროვნულ სახელმწიფოებრივ მოწყობას რუსეთის ბურჟუა-ზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოს უკავშირებდა. ამასთან, სოციალიზმსაც ქადაგებდა — ერები თავისუფლებას სოციალიზმის დროს მოიპოვებენო. მაგრამ მისი სოციალიზმი წვრილბურჟუაზიული იყო. ავტორი ურთიერთთან კი არ აკავშირებდა სოციალურ და ეროვნულ საკითხებს, არამედ, პირიქით, პირველ რიგში ერების სახელმწიფოებრივ მოწყობას აყენებდა. ის დროებითი მთავრობის მიმხრე იყო და ერის ხსნას მისგან ელოდა. ამგვარად ვ. გობეჩიას ამ ნაშრომში, ჩაგრული კლასების ბრძოლას სოციალური თავისუფლებისათვის ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა ჰფარავდა.

2

1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია თებერვლის რევოლუციისთანავე ჩაისახა. ბურჟუაზიულმა ისტორიულმა კონცეფციამ თავდაპირველად პოლიტიკურ-პუბლიცისტურ ლიტერატურაში იჩინა თავი, როგორც იმ დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა აზრმა. შემდეგში პრობლემის ბურჟუაზიული ისტორიული კონცეფცია ვერ განვითარდა — ქვეყნად საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა და 1917—1921 წწ. საქართველოს ისტორიის ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია მალე ჩაკვდა. ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას 1917 წელს ეროვნული საკითხი, პოლიტიკა, აგრარული საკითხი იზიდავდა, რადგან ეს საკითხები მეტად მწვავედ იდგა მაშინდელი საზოგადოების ცხოვრებაში. არაპროფესიონალი ბურჟუაზიული ისტორიკოსები პოლიტიკური მიზნით ისტორიულ ასპექტში ეცნობოდნენ ამ საკითხებს და იძლეოდნენ ისტორიული პროცესის, ფაქტის, მოვლენის შეფასებას, ისტორიულ კონცეფციას. ამ დროის არაპროფესიონალური ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის მთავარი იყო პოლიტიკური მიზნები და თითქმის ყველა ნაშრომი იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის სამსახურში იდგა. ასეთი ხასიათის ლიტერატურიდან ჩვენ გამოვარჩევთ იმ დროის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტიურ მოღვაწეთა ნაშრომებს.

1917 წელს გამოვიდა გ. გვაზავას წიგნი „საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით“[37].

გიორგი ბეჟანის ძე გვაზავა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნეში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. განათლებით იურისტი იყო და ადვოკატის პრაქტი-

[37] გ. გ ვ ა ზ ა ვ ა, საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ტფ. 1917, (რუს. ენაზე).

კას ეწეოდა. გ. გვაზავა ცნობილი მთარგმნელი და ლიტერატორია. მას უცხოურიდან ქართულად უთარგმნია არაერთი ლტერატურული ძეგლი. ცნობილია „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე მისი წერილები, რომლებიც მიმართული იყო ნ. მარის წინააღმდეგ. 1933 წელს მან მადამ ანი მარსელ-პაონთან ერთად პარიზში ფრანგულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. ეს არის რუსთაველის პოემის სრული ფრანგული თარგმანი პროზად. გ. გვაზავა იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი ლიდერი. 1918—1921 წლებში იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი და მისი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მეთაური. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. გარდაიცვალა საფრანგეთში 1941 წელს.

1917 წელს, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ჩვენში ყველაზე მწვავედ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი იდგა. ცხადია, ისეთ ვითარებაში, როდესაც აღარ არსებობდა ეროვნული სახელმწიფოს არავითარი ნიშანი, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდა, ბურჟუაზიული რევოლუციის პირობებში ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა, იმის აღდგენა, რაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში გაქრა, მეტად რთული საქმე იყო. ქართველი ბურჟუაზიული მოღვაწენი ცდილობდნენ დაესაბუთებინათ ის უფლებები, რომლის ძალითაც საქართველო ეროვნული სახელმწიფოს აღდგენას მოითხოვდა. ასეთი ხასიათის ნაშრომები იმ ხანებში ბევრი გამოვიდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აუცილებლობაზე, მის უფლებაზე წერდნენ ქართველი მოღვაწენი — ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პოლიტიკოსნი. ეს დასაბუთება იყო იურიდიული, ისტორიული, პოლიტიკური და სხვა ხასიათისა. ამ საქმეში განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეებმა, განსხვავებით სოციალისტ-ფედერალისტებისაგან, რომლებიც 1917 წელს მხოლოდ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას მოითხოვდნენ, მათ წამოაყენეს საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს აღდგენის მოთხოვნა და ამ მოთხოვნას სათანადო დასაბუთებაც მისცეს.

ამ საკითხისადმია მიძღვნილი გ. გვაზავას ზემოდასახელებული წიგნი. გ. გვაზავა ისტორიულად და იურიდიულად ასაბუთებდა იმას, რომ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის უფლება ჰქონდა. საქართველო გმირული წარსულის ქვეყანა იყო. მისი კულტურა წარსულში წინ უსწრებდა მცირე აზიაში მოსახლე ხალხების კულტურას. მაგრამ მას პერიოდულად აღრჩობდა დამპყრობთა ტალღები და ის იძულებული იყო ირგვლივ მყოფ ძალას დამორჩილებოდა. 1783 წლის ტრაქტატით რუსეთმა საქართველოზე პროტექტორა-

ტი დაამყარა. მაგრამ ეს ტრაქტატი მკაცრად განსაზღვრავდა პროტექ-ტორატის პირობებს. გ. გვაზავა წერდა, რომ 1917 წელს (ეს წიგნი 1917 წელს ზაფხულში დაიწერა) კავკასიის მთელი ისტორიულ-პოლიტიკური ცხოვრება იმდენადაა გაშიშვლებული და უფლების იდეა ისე ნათელია, რომ საქართველოს ბედის საკითხი, ე. ი. მისი სახელმწიფოს აღდგენის საკითხი თავისთავად წარმოიშობა და დღის წესრიგში დგება. იმისათვის, რომ საქართველოს სახელმწიფოს (ბურჟუაზიული სახელმწიფოს) შექმნის გარდუვალობა, უფლება დაესაბუთებინა. გ. გვაზავა ღრმა ისტორიულ ექსკურსებს აკეთებდა. მან წიგნში აღწერა საქართველოს მომავალი სახელმწიფოს ტერიტორია, მისი ეთნიკური და სავარაუდო პოლიტიკური საზღვრები. ის ასაბუთებდა იმ აზრს, რომ საქართველო ეროვნულად ერთიანი იყო, რომ ეს ეროვნული ერთიანობის შეგნება ისტორიულად ძველთაგანვე მოდიოდა და ფეოდალურ ხანაში საქართველოს სამეფო სამთავროების არსებობას ხელს არ უშლიდა.

გ. გვაზავა ასაბუთებდა, რომ XVIII ს. ბოლოს საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა და ასე გაერთიანებული შევიდა რუსეთის პროტექტორატში. ასეთი მსჯელობა გ. გვაზავას იმისათვის სჭირდებოდა, რომ დაესაბუთებინა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის უფლება 1917 წელს. გ. გვაზავა წიგნში ასაბუთებდა, რომ საქართველოს ისტორიულად ჰქონდა, ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნის უფლება. საამისოდ მას მოჰქონდა 1790 წლის ხელშეკრულების, 1783 წლის ტრაქტატის ტექსტები. საქართველოს სამეფოს ღერბის აღწერილობა.

გ. გვაზავა ტრაქტატის განხილვისას ,ასაბუთებდა. რომ რუსეთმა ტრაქტატის დადებისას ვალდებულებად იკისრა საქართველოსათვის უწინ დაკარგული მიწების შემოერთება. საქართველოს თავისუფლება და მისი ტერიტორიის ერთიანობა 1783 წლის ტრაქტატით იყო გარანტირებული. ამასთან ერთად, გ. გვაზავა წერდა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა არ იყო მარტო ქვეყნის საშინაო საკითხი; ეს საკითხი საერთაშორისო საკითხი იყო და ცდილობდა საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის დასავლეთის სახელმწიფოების ყურადღება მიექცია.

გ. გვაზავა ქართულ ეროვნულ საკითხს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს სოციალური საკითხებისაგან მოწყვეტით განიხილავდა. იგი ბურჟუაზიული მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე იყო. ქვეყნად მეტად მწვავე კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა. ამ ბრძოლისაგან იზოლირებულად საკითხის დასმა იმას მოწმობდა, რომ ის ექსპლოატატორთა ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

მას ქართული ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნა უნდოდა და ამის უფლებას ასაბუთებდა; ხოლო თუ როგორ გადაწყდებოდა სოციალური საკითხები, ეს თითქოსდა მისი ინტერესების იქით იდგა. „სუფთა“ ეროვნული საკითხი კი არ არსებობდა; მას კლასობრივი საფუძველი უნდა ჰქონოდა.

ასეთივე ხასიათის ნაშრომი გამოაქვეყნა 1917 წლის თებერვალში გრ. ვეშაპელმა. ნაშრომის სათაურია „საქართველოს ერთიანობა და რუსეთის პროტექტორატი. 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი და ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის სამოკავშირეო ხელშეკრულება“. წიგნი რუსულ ენაზე გამოვიდა მოსკოვში[38]. შემდეგ. 1918 წ. წიგნი ქართულადაც გამოიცა თბილისში.

გრიგოლ გიორგის ძე ვეშაპელი (ვეშაპიძე) დაიბადა 1891 წელს სოფ. საირხეში (იმერეთი). წარმატებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენდიით. სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა. სტუდენტობის დროს გრ. ვეშაპელი ქართველ სტუდენტთა საფეხურიანი ორგანიზატორი იყო და ამასთან ერთად პუბლიცისტობდა. ამ ხანებში მან დაწერა რამდენიმე ნაშრომი. მათგან აღსანიშნავი იყო „საქართველო და ლაზისტანი“, „საქართველოს შეერთება რუსეთთან“. 1916 წელს გრ. ვეშაპელმა უნივერსიტეტი დაამთავრა და თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. აქ მან, სხვებთან ერთად, დააარსა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

გრ. ვეშაპელი ამიერკავკასიის სეიმის წევრად იქნა არჩეული. მისი ინიციატივითა და მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს ეროვნული საბჭო. 1917—1921 წწ. გრ. ვეშაპელი აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. ის რედაქტორობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ „საქართველოს“, იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. აქ ის გამოდიოდა როგორც ლიდერი „დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა“, რომლის ორგანო გაზეთი „კლდე“ იყო. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გრ. ვეშაპელი ემიგრაციაში წავიდა. საზღვარგარეთ ის თავდაპირველად აქტიურად მონაწილეობდა ანტისაბჭოთა საქმიანობაში, შემდეგ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ემიგრანტებთან და საბჭოთა საქართველოში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. 1924 წელს, ნოემბერში, გრ. ვეშაპელმა პარიზში გამოსცა გაზეთი „ახალი საქართველო“. ამ გაზეთში მან განაცხადა, რომ ის საბჭოთა პლატფორმაზე დადგა.

გრ. ვეშაპელი 1926 წელს მოკლეს პარიზში[39].

გრ. ვეშაპელი თავის ნაშრომში აღნიშნავდა, რომ მცირე ერების ეროვნულ-პოლიტიკური თვითმმართველობის პრინციპი სახელმწიფო

---

[38] გრ. ვეშაპელი, საქართველოს ერთიანობა და რუსეთის პროტექტორატი. 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი და ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის სამოკავშირეო ხელშეკრულება, მოსკოვი, 1917 (რუს. ენაზე).

[39] გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ. 13 ივნისი.

და საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი გახდა. ეროვნული პრობლემა 1917 წელს წინა პლანზე გამოვიდა აღმოსავლეთში.

გრ. ვეშაპელის აზრით, ქართულ ეროვნულ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა იმისა გამო, რომ ამ საკითხს საფუძველი ჰქონდა; ორ მილიონ ქართველ ხალხს ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორია და სახელმწიფოებრიობის საკუთარი ტრადიცია ჰქონდა. იმ დროის რუსეთის ისტორიული და პოლიტიკური აზროვნება ნაკლებად იცნობდა საქართველოს პრობლემას. ეს აზროვნება ნაკლებად იცნობდა აგრეთვე იმ ფაქტს, რომ 1783 წლის ტრაქტატის უფლებრივი ნორმები მოიცავდნენ ისტორიულ საქართველოს, ე. ი. მოიცავდნენ როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალ საქართველოს, ისევე თურქეთის სახელმწიფოში შემავალ ქართულ მიწებს.

რუსეთის პროტექტორატის მიღება დაკავშირებული იყო საქართველოს ერთიანობის იდეასთან და ამის დასასაბუთებლად გრ. ვეშაპელი ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის 1790 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულებას იმოწმებდა. გრ. ვეშაპელი წერდა, რომ 1790 წლის ხელშეკრულებამ ქართლ-კახეთის მეფის სუვერენული ხელისუფლება დაამკვიდრა მთელ საქართველოში. ასეთი მსჯელობიდან გრ. ვეშაპელი პოლიტიკურ და მისი თანამედროვეობისათვის საჭირო დასკვნას აკეთებდა. ეს ფაქტი გათვალისწინებულ უნდა იქნეს მთელი საქართველოს (თურქეთში შემავალი ქართული მიწების ჩათვლით) საკითხის სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მდგომარეობის გადაწყვეტისასო.

გრ. ვეშაპელი ასაბუთებდა, რომ XVIII საუკუნეში, მართალია, საქართველო დაშლილი, დაქუცმაცებული იყო, მაგრამ ქართველებში ყოველთვის ბატონობდა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს იდეა. ერეკლე მეფე ამ იდეის უკანასკნელი განსახიერება იყო. ერეკლე მეფის გამაერთიანებელი პოლიტიკა რუსეთის პოლიტიკასთან იყო შეთანხმებული. საქართველომ 1783 წელს რუსეთთან დადო ტრაქტატი, მიიღო რუსეთის პროტექტორატი. სამაგიეროდ, რუსეთმა ცნო ერთიანი და განუყოფელი საქართველოს ერეკლესეული იდეა, რადგან 1783 წლის აქტის უფლებრივი ნორმები არა მარტო ქართლ-კახეთს მოიცავდა, არამედ მთელ ისტორიულ საქართველოს.

გრ. ვეშაპელის აზრით, რუსეთმა 1783 წლის ტრაქტატი დაარღვია. ასეთი მსჯელობისას გრ. ვეშაპელი ისტორიულ ფაქტებს იშველიებდა და შემდეგ დასკვნებს აკეთებდა: ერეკლეს პოლიტიკის საბუკვარი ოცნება აღსრულდა — საქართველო ერთიანი გახდა, მთელი ეთნოგრაფიული და ისტორიული საქართველო რუსეთის სახელმწი-

ფოს ფარგლებში გაერთიანდა. საქართველო კვლავ გაერთიანდა ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურად. დავითის და თამარის ეპოქის შემდეგ ქართველი ხალხი არასოდეს არ ყოფილა ასე ძლიერი აზროვნებაში, გრძნობაში და ნება-სურვილში. რევოლუციამ (ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, რომელიც წიგნის გამოსელის დროს მოხდა) უნდა დაეჩქაროს რუსეთის მცირე ერების პოლიტიკური თვითგამორკვევა. გრ. ვეშაპელის აზრით, საქართველოს საკითხი მომწიფებული იყო რევოლუციამდე და ის საქართველოს ავტონომიას მოითხოვდა. ამასთან ერთად, რუსეთის კავკასიის არმიის მიერ დაკავებული ქართული მიწების ბედიც ასევე უნდა გადაჭრილიყო.

გრ. ვეშაპელი 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას მოითხოვდა. მისთვის ბურჟუაზიული რევოლუცია მხოლოდ ქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნის საშუალება უნდა ყოფილიყო. ჩაგრულ კლასთა ბრძოლა, ექსპლოატატორთა დამხობა, სოციალური საკითხები მისთვის არ არსებობდა. იგი ბურჟუაზიული მოაზროვნე, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე იყო; მისი კლასობრივი ინტერესები ამ რევოლუციაში ეროვნული ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნით განისაზღვრებოდა.

მეცნიერული პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, როგორც გ. ბაზავასა, ასევე გრ. ვეშაპელის ნაშრომები, მიუხედავად წყაროთა სიუხვისა, სათანადო დონეზე არ დგას. ავტორებმა გამოაქვეყნეს მთელი რიგი ისტორიული დოკუმენტები (1783 წ. ტრაქტატი, 1790 წ. ხელშეკრულება და სხვ.), რათა იდეა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა დაესაბუთებინათ, მაგრამ ამ დოკუმენტების ანალიზწინასწარდასახული იდეის დიდ გავლენას განიცდიდა.

ამავე საკითხს, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას მიუძღვნა თავისი წიგნი ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ვ. წერეთელმა. მისი ნაშრომი „ავტონომია და ფედერაცია. 1783 წლის ტრაქტატი, ავტონომია და ფედერაცია" გამოვიდა ქუთაისში[40]. წიგნის გამოცემის წელი „ქართული წიგნის" მიხედვით თარიღდება 1917 წ.

ვასილ გიორგის ძე წერეთელი დაიბადა 1862 წელს ქუთაისში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ოდესის უნივერსიტეტში შეავიდა. რევოლუციური

---

[40] ვ. წ ე რ ე თ ე ლ ი. ავტონომია და ფედერაცია, 1783 წ. ტრაქტატი. ავტონომია და ფედერაცია, ქუთაისი. უთარიღო.

საქმიანობისათვის იგი (ვ. წერეთელი რევოლუციური ორგანიზაციის „ნაროდნაია ვოლიას“ წევრი იყო) 1887 წელს დაპატიმრეს და „მგლის ბილეთით“ სამშობლოში გადმოასახლეს. 1893 წელს ვ. წერეთელი კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა. სწავლის დამთავრების შემდეგ, როგორც მკურნალი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში მოღვაწეობდა. 1908—1926 წლებში ვ. წერეთელი ქუთაისში მუშაობდა ამბულატორიის გამგედ, ასწავლიდა ჰიგიენას ქუთაისის გიმნაზიაში. ვ. წერეთელი ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა; თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („დროება“, „ცნობის ფურცელი“, „იმერეთი“, „საქართველო“, „თეატრი და სხვ. მრავალი). აქვეყნებდა წერილებს როგორც სამედიცინო თემაზე, ისე სოციალ-ეკონომიურ, ეთნოგრაფიისა და ფილოსოფიის საკითხებზე. მან პირველმა გამოსცა ქართულ ენაზე „სამეცნიერო-საფილოსოფიო ტერმინოლოგია“.

ვ. წერეთელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩაბმული. ის ჯერ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრი იყო. შემდეგ კი მათ გაეყარა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრი გახდა. ვ. წერეთელი გარდაიცვალა 1937 წელს. ?

ვ. წერეთელი ნაშრომში „ავტონომია და ფედერაცია“, საქართველოსათვის პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვდა. პოლიტიკურ ავტონომიაში ის გულისხმობდა ქვეყნის შინა საქმეებში თავისუფლებას. ვ. წერეთელი სეპარატისტული მისწრაფებების წინააღმდეგ გამოდიოდა და რუსეთისაგან საქართველოს ჩამოშორების წინააღმდეგი იყო. ამას ის 1783 წლის ტრაქტატით ასაბუთებდა — ერეკლემ რუსეთს ზოგიერთი თავისი პოლიტიკური უფლება დაუთმო და რუსეთის მთავრობასა და პარლამენტს უნდა ეკუთვნოდეს საქართველოსა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის, ომისა და ზავის საქმეების გამგებლობა. ამგვარად, ავტორი 1917 წელს შექმნილ ვითარებაში საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საუკეთესო ფორმად საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას თვლიდა. მაგრამ ეს ავტონომია საქართველოს უნდა მისცემოდა საერთო დემოკრატიულ-რესპუბლიკურ საფუძველზე, ე. ი. ბურჟუაზიული სახელმწიფოს შიგნით.

ვ. წერეთელი რუსეთის სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის წინააღმდეგ გამოდიოდა, რადგან ფედერაციული გაერთიანების დროს ერთა თანასწორობა შეუძლებლად მიაჩნდა (ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ეს ასეც იქნებოდა). ამიტომ ავტორი შექმნილი ვითარებისათვის ყველაზე კარგ გამოსავალად 1783 წლის ტრაქტატით საქართველოსათვის გათვალისწინებული უფლებების აღდგენას მოითხოვდა. ამ ტრაქტატიდან გამომდინარე საქართველო ნახევრად დამოუკიდებელი ქვეყანა უნდა ყოფილიყო, რომელსაც შინა მმართველობაში სრული თავისუფლება ექნებოდა. არსებულ ისტორიულ ვითარებაში 1783 წლის ტრაქტატით მოცემული უფლებების აღდგენა

ვ. წერეთელს სიძნელედ მიაჩნდა, მაგრამ ამ ისტორიულ-ეროვნული უფლებების აღდგენის მოთხოვნას აუცილებელ საქმედ თვლიდა.

როგორც ვნახეთ, ეროვნულ-დემოკრატიულ და სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიულ მოღვაწეებთან შედარებით, ვ. წერეთელს განსხვავებული პოზიცია ეკავა. თუ ისინი საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნის, ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიისა და რუსეთთან ფედერაციული კავშირის მომხრენი იყვნენ, ვ. წერეთელი 1783 წლის ტრაქტატით მიღებული უფლებების აღდგენას მოითხოვდა. მისი კონცეფციით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რუსეთი საქართველოს პროტექტორი უნდა ყოფილიყო და საგარეო ურთიერთობის, აგრეთვე ქვეყნის თავდაცვის საკითხების გამგებლობა ჰქონოდა ხელთ.

1917 წელს გამოვიდა გ. ჟორდანიას მცირე ფორმატის ნაშრომი „აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია?[41]“ ნაშრომი ავტორს 1906 წელს დაუწერია და ქუთაისში ცალკე წიგნად დაუბეჭდია, მაგრამ ცენზურას გავრცელების ნება არ მიუცია, მთელი ტირაჟი გაუნადგურებია. ამ ნაშრომის რამდენიმე ეგზემპლარი ცენტრალურ არქივშია დაცული. 1917 წელს, როდესაც ქართული ეროვნული საკითხი მწვავედ დადგა დღის წესრიგში, გ. ჟორდანიამ ნაშრომი ხელახლად გამოსცა; ცხადია, შექმნილი ვითარებაც ვაითვალისწინა. ნაშრომში კარგად ჩანს ეროვნულ საკითხზე იმ დროინდელი ისტორიული აზროვნება.

გიორგი ჟორდანია დაიბადა 1885 წელს ცნობილი საზოგადო მოღვაწის თედო ჟორდანიას ოჯახში. მან ქუთაისის გიმნაზია დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. მოსკოვში სწავლის დროს (1905—1911 წწ.) აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სათეისტოოს საქმიანობაში. სტუდენტობისას ეთნოგრაფიამ გაიტაცა და სათანადო ნაშრომებიც გამოაქვეყნა. 1908 წელს გ. ჟორდანიას ინიციატივით მოსკოვის უნივერსიტეტში ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრე დაარსდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გ. ჟორდანია თბილისში მოღვაწეობდა და ადვოკატის პრაქტიკას ეწეოდა. 1912 წელს გ. ჟორდანიამ ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება დააარსა და მისი უცვლელი თავმჯდომარე იყო 1928 წლამდე, ვიდრე საზოგადოება არ გაუქმდა. ამ საზოგადოებამ ამაგი დადო ქართველი ხალხის კულტურული აღორძინებისა და მისი ეროვნულ-კულტურული თვითშეგნების გაღვივების საქმეს.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ გ. ჟორდანია ერობის კავშირის ამიერკავკასიის კომიტეტში მუშაობდა, შემდეგ, 1918—1920 წწ. იუსტიციის სამინისტროში დეპარტამენტის დირექტორი იყო. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ

---

[41] გ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია? (მცირე ისტორიულ-იურიდიული მიმოხილვა), თბილისი, 1917.

დაბრუნებულა კოლეგიის წევრად ინიშნეს. პარალელურად გ. ჟორდანია სამეფოთა მართვაზის სხვადასხვა ორგანოებში (მიწათმოქმედების სახკომატი, სახკომსაბჭო) მუშაობდა. 1928—1931 წწ. გ. ჟორდანია თბილისის ოპერის სახელმწიფო თეატრში მოღვაწეობდა. 1935—1937 წწ. სამუშაოდ მოსკოვში გადავიდა. გ. ჟორდანია გარდაიცვალა 1937 წელს[42].

გ. ჟორდანია საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის უფლებას სამართლის თვალსაზრისით უდგებოდა. საქართველოს სრული უფლება ჰქონდა მოეთხოვა ავტონომია და მისი ეს უფლება, გ. ჟორდანიას აზრით, დამყარებული იყო ისტორიულ-იურიდიულ საბუთებზე. პირველი ასეთი საბუთი 1783 წლის ტრაქტატი იყო. გ. ჟორდანია აქვე გადმოგვცემდა თავის აზრს ამ ხელშეკრულების შესახებ. ის წერდა: „1783 წლის ხელშეკრულება გამოიწვია საქართველოს მეფის ერეკლე მეორის სურვილმა მტრებთან საბრძოლველად და საბოგადოდ თავის სამეფოს მთლიანობის საუკეთესოდ დასაცავად რუსეთის მოკავშირეობის და მფარველობის მოპოვებისა“[43]. ამ ტრაქტატით საქართველომ შეინარჩუნა სრული დამოუკიდებლობა შინაურ საქმეებში, და ხელშეკრულებით გაფორმებული საქართველო-რუსეთის ურთიერთობა საერთაშორისო სამართლია თვალსაზრისით განისაზღვრებოდა „როგორც მოკავშირეობა პროტექტორატის სახით“. გ. ჟორდანიამ შექმნილი ვითარებისდა შესაბამისად შეიმუშავა გიორგი XII-ის „სათხოვარი მუხლებზე“ ისტორიული კონცეფცია. მისი აზრით, „სათხოვარ მუხლებს“, რომლითაც გიორგი მეფე პავლე პირველს სრულ ქვეშევრდომობაში მიღებას თხოვდა, ძალა არ ჰქონდა, რადგან საქართველოს მეფეს ამ მუხლებისათვის ხელი არ მოუწერია და, მაშასადამე, „აქედან კი პირდაპირ გამომდინარეობს, რომ იურიდიულად ამ საბუთს არავითარი ფასი არა აქვს. ეს მარტო პროექტი იყო...“ ასეთი საბუთით ვერ იქნებოდა უარყოფილი ისეთი დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, როგორც 1783 წლის ტრაქტატი იყო. გ. ჟორდანიას თავისი ისტორიული კონცეფციის დასასაბუთებლად სხვა მასალაც მოჰქონდა და ასაბუთებდა. რომ საქართველოს კანონიერი უფლება ჰქონდა ფართო ავტონომიურ თვითმმართველობაზე. გ. ჟორდანიას ისტორიული კონცეფია 1917 წელს და მის წინარე ხანაში შექმნილ ვითარებაზე, კერძოდ, ქართულ ეროვნულ საკითხზე, სათავეს იღებდა მისივე ისტორიული კონცეფციიდან, რომე-

---

[42] გ. ჟორდანიას შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მასმა ეაქმა პროფ. გივი ჟორდანიამ მოვაწოდა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[43] გ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 5.

ლიც XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიაზე ჰქონდა.

გ. ყორდანია არ მოითხოვდა საქართველოს თვითარსებობის აღდგენას იმ სახით, როგორი სახითაც ის მაშინ იყო, როცა სახელმწიფოებრიობა დაკარგა. ის მოითხოვდა შექმნილ ვითარებაში, მისი აზრით, ყველაზე შესაფერის სახელმწიფოებრივ წესწყობილებას — ბურჟუაზიულ რესპუბლიკას, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ერის ერთობაზე. ხოლო ერის ერთობა სახელმწიფოს მართვისას, იმ დროის პირობებში, სხვა არაფერი იქნებოდა თუ არა ბურჟუაზიული წყობა.

ქართულ ეროვნულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებებით გამოვიდა პ. სურგულაძე, რომელმაც 1917 წელს სტამბულში გამოსცა მცირე ფორმატის წიგნი „საქართველოს თავისუფლებისაკენ"[44]. წიგნი დაიბეჭდა ქართველ კათოლიკეთა სავანეში.

პეტრე როსტომის ძე სურგულაძე თავის დროზე ცნობილი ჟურნალისტი და პედაგოგი იყო. ერთხანს სოციალ-დემოკრატი და „მესამე დასის" აქტიური წევრი იყო; შემდეგ ეროვნულ საკითხში სოციალ-დემოკრატიის დაშორდა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა. 1908—1910 წწ. პ. სურგულაძე ჟურნალ „ერს" რედაქტორობდა. 1918—1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი იყო. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პ. სურგულაძე ემიგრაციაში წავიდა. გარდაიცვალა 1932 წელს.

პ. სურგულაძე ისტორიულად ასაბუთებდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აუცილებლობას. მისი აზრით, 1783 წლის ტრაქტატი ამის უფლებას იძლეოდა. პ. სურგულაძე მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად მიიჩნევდა 1905 წლის მწვავე რევოლუციურ ბრძოლას. 1905—1907 წლების რევოლუციაში ის ეროვნულ ბრძოლას უფრო ხედავდა, ვიდრე სოციალურს, რაშიც ის მართალი არ იყო. მისი აზრით, ქართველმა ერმა, მიუხედავად მეფის რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკისა, მაინც შეინარჩუნა თავისი ეროვნული მეობა. ქვეყანა ისე გაძლიერდა ეკონომიურად, იმდენად განვითარდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა, რომ მას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება შეეძლო, ავტორი ასაბუთებდა, რომ XIX—XX სს-ში საქართველო მაღალგანვითარებული ქვეყანა იყო და მეურნეობითა და კულტურით არაფრით არ ჩამოუვარდებოდა იგი სხვა ქვეყნებს. პ. სურგულაძე დიდ ყურადღებას

---

44 პ. სურგულაძე, საქართველოს თავისუფლებისაკენ, სტამბოლი, 1917,

მიაქცევდა ქართული ეკლესიის საკითხს და განსაკუთრებით აღნიშნავდა მისი ავტოკეფალიის გამოცხადებას.

საქართველოს ასეთ დაწინაურებას მეფის რუსეთის ბატონობის პირობებში პ. სურგულაძე იმით ხსნიდა, რომ ქართველმა ერმა „სოციალურ-შემოქმედებითი გზა“ კერძო ინიციატივაში გამონახა, რომ მან ქვეყნის აღორძინებისათვის მრავალი საზოგადოებრივი დაწესებულება შექმნა (სამეურნეო, კულტურული და სხვა). პ. სურგულაძის აზრით, ქართველი ერი საკმაოდ მომწიფდა იმისათვის, რომ თავისი ბედი თვითონ ემართა, თავის საქმეებს თვითონ გაძღოლოდა.

პ. სურგულაძე საქართველოს მაღალგანვითარებულ სოციალურ და ეკონომიურ ქვეყნად ცნობდა და ამითვე ხსნიდა XX ს. მეტად ცხოველი საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრების არსებობას. ავტორის აზრით, საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსული, ისტორიული და ბუნებრივი პირობები, საკმაოდ მდიდარი და განვითარებული ეკონომიური ცხოვრება, კულტურა, მისი თავგანწირული ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის იმის საწინდარი უნდა ყოფილიყო, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა აღედგინა. პ. სურგულაძე წერდა, რომ დროებითი მთავრობა იძულებული იყო ეკლესიის საკითხში ქართველთა უფლება ეცნოო. ის, მიუხედავად თავისი ბურჟუაზიული მრწამსისა, მაინც არ სწყალობდა რუსეთის დროებით მთავრობას.

პ. სურგულაძე ტიპიური ბურჟუაზიული მოაზროვნეა, 1917 წლის ისტორიულ პროცესებზე ბურჟუაზიული ისტორიული კონცეფციის ნაქონე მწერალია. ის ყველასაგან განსხვავდებოდა იმით, რომ უკვე 1917 წელს საქართველოს სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მოითხოვდა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების ასეთი მკვეთრად გამოხატული ბურჟუაზიული პროგრამა ჯერ კიდევ არავის არ ჰქონდა. ჩაგრულთა სოციალური განთავისუფლების საკითხები მისთვის, ყოფილი სოციალ-დემოკრატისათვის აღარ არსებობდა. როცა ის წერდა საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ ძლიერებაზე და ამით ასაბუთებდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის აუცილებლობას, ის ეროვნული ბურჟუაზიის ძალას გრძნობდა და მის სამსახურში იდგა.

V ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ 1917 წლის ქართულ ეროვნულ საკითხზე წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ისტორიული კონცეფციები. ქართველ წვრილბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ მოღვაწეებს ეროვნული საკითხის გადაწყვეტაზე, საქართველოს ეროვნულ-სა-

ხელმწიფოებრივ მოწყობაზე თავისი შეხედულება ჰქონდათ, სახელმწიფოებრივი მოწყობის ეს პროექტები მათი მრწამსიდან გამომდინარეობდა და მათი კლასების ინტერესებს ემსახურბოდა. ამიტომ არსებულ ვითარებაში, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხანებში, ვიდრე ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხზე — ეროვნულ საკითხზე — ყველა მათგანმა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე შესაბამისი ისტორიული კონცეფცია შეიმუშავა.

1917 წელს საქართველოში მწკავვედ იდგა აგრარული საკითხი, რომელიც თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ვერ გადაჭრა. მიწა კვლავ მემამულეთა ხელში დარჩა და დროებითი მთავრობა გლეხობას დაპირებებით კვებავდა. უმიწაწყლო გლეხობას არ სურდა დამფუძნებელი კრებისათვის ლოდინი და საქართველოში დაიწყო მწვავე აგრარული მოძრაობა. გახშირდა მემამულეთა მიწების მიტაცება, აგრარული ტერორი და სხვა მსგავსი აქტები. ასეთ ვითარებაში ქართველი წვრილბურჟუაზიული პუბლიცისტები, საზოგადო მოღვაწენი უყურადღებოდ არ ტოვებდნენ აგრარულ საკითხს. იმდროინდელ ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა სათანადო წერილები. გამოიცა ნაშრომებიც, სადაც მოცემული იყო 1917 წლის აგრარულ მოძრაობაზე ისტორიული კონცეფცია[45].

ამ წიგნებიდან ჩვენ განვიხილავთ ლ. შენგელაიას ნაშრომს „რა არის მიწის სოციალიზაცია? (როგორ უნდა გადაწყდეს მიწის საკითხი)“[46].

ლეო ანდრიას ძე შენგელაია სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის წევრი იყო. ეწეოდა პუბლიცისტურ საქმიანობას და მრავალი წერილი აქვს აგრარულ საკითხზე გამოქვეყნებული. 1918—1921 წწ. ლ. შენგელაია დამფუძნებელი კრების წევრი იყო.

ლ. შენგელაია ესერების პარტიას ეკუთვნოდა და, მაშასადამე, მიწის სოციალიზაციის მომხრე იყო. ის მთელი მიწის საერთო კუთვ-

---

45 ლ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, რას ამბობენ სოციალ-დემოკრატები გლეხების შესახებ, ქუთაისი. 1917; ე. ა ს ა თ ი ა ნ ი, ქალაქების საადგილ-სამამულო პოლიტიკა, ქუთაისი, 1917.

46 ლ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, რა არის მიწის სოციალიზაცია? (როგორ უნდა გადაწყდეს მიწის საკითხი), თბილისი, 1917.

ნილებად გამოცხადებას მოითხოვდა. ამით მას სურდა მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა. მოისპობოდა მემამულეთა კლასიც. ეს კი მტკიცე ნიადაგს შექმნიდა დემოკრატიული წესწყობილებისათვის. სოფლად აღარ იქნებოდა მუშა-ხელის სიჭარბე. ამის გამო სოფელსა და ქალაქს შორის მეტოქეობა ნაკლები იქნებოდა და მუშათა მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. საქართველოში დაწყებული მწვავე აგრარული მოძრაობა, — ლ. შენგელაიას აზრით, გამოიწვევდა ანარქიას, უწესობას, რაც მხოლოდ თავისუფლების მტრებს შეუწყობდა ხელს. ლ. შენგელაია ძალმომრეობის, მამულების ძალით მიტაცების წინააღმდეგი გამოდიოდა და, მაშასადამე, ის 1917 წელს მომხდარ მოძრაობას უარყოფითად აფასებდა. ის გლეხებს ურჩევდა შეექმნათ გლეხთა დეპუტატების საბჭოები. ყრილობებზე მიწის საერთო კუთვნილებად გამოცხადების მოთხოვნა წამოეყენებინათ. საბოლოოდ მიწის საკითხი დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა.

ამგვარად, ლ. შენგელაია, რომელიც მიწის სოციალიზაციაში სოციალიზმისაკენ მიმავალ გზას ხედავდა, მიწის საკითხის რევოლუციური გზით გადაწყვეტის წინააღმდეგი იყო და აქედან გამომდინარეობდა მისი ისტორიული კონცეფცია 1917 წლის აგრარული მოძრაობის შესახებ.

1917 წელს საქართველოში მიმდინარეობდა მუშაობა წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესაქმნელად. ასეთი სახის მუშაობას უფრო ხშირად საფუძვლად პროპაგანდისტული მიზნები ედო. ეს ობიექტურად ხელს უწყობდა წყაროთმცოდნეობის ბაზის შექმნას. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ გამოიცა პარტიული, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ორგანოების მრავალი დოკუმენტი. არაპროლეტარული კლასების პარტიები საამისოდ კარგად იყენენ მომზადებულნი. მათი პროპაგანდის მანქანა კარგად მუშაობდა და მასების გადაბირების მიზნით, თავიანთი პროგრამების მოსახლეობამდე უკეთ მიტანის მიზნით, დიდი რაოდენობით ბეჭდავდნენ სათანადო მასალას. მათი გაზეთები აქვეყნებდა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების კონფერენციების სტენოგრაფიულ ანგარიშებს, მიღებულ რეზოლუციებს. ცალკე წიგნებად გამოვიდა ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ყრილობების რეზოლუციები[47], სოციალისტ-რევოლუციონერთა, ქარ-

---

47 ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების პირველი ყრილობა თბილისში, 1917. მუშათა დეპუტატების საბჭოების კავკასიის საგანგებო ყრილობის რეზოლუციები, თბ., 1917. (რუს. ენაზე).

თველ ავტონომისტთა|| კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიისა და სხვათა პროგრამები.

1917 წელს, თბილისში, რუსულ ენაზე გამოვიდა დოკუმენტების კრებული „პარტიათა პროგრამები და მათი დამოკიდებულება უმნიშვნელოვანეს საკითხებისადმი"[48]. კრებული შეადგინა ა. სტავროვსკიმ. წიგნი გამოსცა ქალაქის თვითმმართველობამ. მასში მოცემული იყო 1917 წელს თბილისში არსებული ყველა პარტიის დოკუმენტები, რომელიც ასახავდა იმ ხანად მიმდინარე ისტორიული პროცესებისადმი ამ პარტიათა დამოკიდებულებას. კრებულში თავმოყრილი იყო ბოლშევიკების, მენშევიკების, ესერების, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების, აგრეთვე, თბილისში მყოფი სომეხი და რუსული პარტიების ოფიციალური დოკუმენტები. პარტიების პროგრამები, მათი ყრილობების გადაწყვეტილებები წიგნში დალაგებული იყო შემდეგი ძირითადი საკითხების მიხედვით: სახელმწიფო წყობა და ავტონომია, მშობლიური ენა, განათლება, ეკლესია, არმია, მუშათა საკითხი, მიწის საკითხი, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები და სხვა.

კრებულში მოცემული იყო რსდმპ (ბ) VII (აპრილის) სრულიადრუსეთის კონფერენციის რეზოლუციები მეტად არსებით საკითხებზე. კრებული კარგად არის შედგენილი და იმდროინდელ მოქალაქეს რამდენადმე სრული სურათი შეექმნებოდა იმისა, თუ რომელი საზოგადოებრივი პოლიტიკური ძალა რა პროგრამით, რა მოთხოვნებით გამოდიოდა ასპარეზზე, ვინ რა დამოკიდებულებას იჩენდა ქვეყნად მიმდინარე ისტორიული პროცესებისადმი.

ა. სტავროვსკის მიერ შედგენილი კრებული დოკუმენტების პირველი კრებულია (რომორც მარქსისტულ ისე არამარქსისტულ წყაროთმცოდნეობაში), სადაც 1917—1921 წწ. საქართველოს ისტორიის დოკუმენტებია გამოქვეყნებული. კრებული პროფესიონალი ისტორიკოსის მიერ არ იყო შედგენილი და მეცნიერულ მიზნებს არ ისახავდა, მაგრამ იმ დროისათვის მისი გამოცემა მაინც წარმატება იყო.

1917 წელს ჩაისახა და პირველი ნაბიჯები გადადგა 1917—1921 წლების ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ. ისტორიული კონცეფციები ძირითადად ორ საკითხზე (ეროვნულზე და აგრარულზე) შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოხდა დროის

---

48 პარტიათა პროგრამები და მათი დამოკიდებულება უმნიშვნელოვანეს საკითხებისადმი, შეადგინა და პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების ბოლო რეზოლუციებით შეავსო ა. სტავროსკიმ თბ., 1917 (რუს. ენაზე).

მეტად მოკლე მონაკვეთში ეს ისტორიოგრაფია არცთუ ისე ღარიბად გამოიყურება. იმ დროს საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად ცხოველი იყო და ისტორიული კონცეფციების შექმნა აუცილებლობას წარმოადგენდა. ამიტომ ქართველმა ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა აზროვნებამ ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება ისტორიული პროცესებისადმი, შექმნა ისტორიული კონცეფციები, რომლებმაც შემდგომი ხანის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში განვითარება ჰპოვა.

3

1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში 1918 წლიდან ახალი ეტაპი დაიწყო. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასია ჩამოსცილდა საბჭოთა რუსეთს, დაიწყო ბრძოლა ბურჟუაზიული სახელმწიფოს მოსაწყობად. ჯერ ცდილობდნენ ეს სახელმწიფო ამიერკავკასიის მასშტაბით შეექმნათ. მაგრამ ამას წინ აღუდგა ერთა მისწრაფება ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღგენისაკენ და გარეშე მტერთა მოძალადეობა. 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ე. წ. ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებად. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების წინაშე ახალი პრობლემები დადგა. და 1918—1921 წლებში საქართველოში გამოსულ პოლიტიკურ-პუბლიცისტურ და ისტორიულ ლიტერატურაში ახალი პრობლემატიკა გაჩნდა — ეს იყო ეროვნული სახელმწიფოს მოწყობა, მეზობელ ხალხებთან ურთიერთობა, საქართველოს ეკონომიკის აწმყო და მომავალი და სხვ. ამასთან ერთად, 1917 წლის ლიტერატურაში ასე მწვავედ ასახული ეროვნული და აგრარული საკითხებიც ახლებურად წამოიჭრა. იმ ხანებში წმინდა ისტორიული ხასიათის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ლიტერატურაც გამოვიდა, ხოლო წყაროთმცოდნეობის ბაზის შესაქმნელად დიდი მუშაობა გაჩაღდა. ქართველ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ მოღვაწეთა, მეცნიერთა და პუბლიცისტთა ეს საქმიანობა, უმთავრესად, ემსახურებოდა საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს განმტკიცების საქმეს; ავტორთა ერთი ჯგუფი კი რუსეთის ორიაენტაციისა იყო და მათი საქმიანობა მიმართული იყო იქითკენ, რომ საქართველო დაახლოებოდა საბჭოთა რუსეთს. საქართველოს საზოგადოებრივ კლასთა განწყობა, ქვეყნად მიმდინარე ისტორიული პროცესები ასახვას პოულობენ ის-

ტორიულ და პოლიტიკურ-პუბლიცისტურ ლიტერატურაში. ისტორიული კონცეფციები მაშინდელ საქართველოში შექმნილი ისტორიული ვითარების პროდუქტი იყო და მისსავე სამსახურში იდგა.

1918—1921 წლებში წვრილბურჟუაზიული ისტორიული აზრის შექმნაში კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველ მენშევიკთა ბელადი ნოე ჟორდანია. ეროვნულ საკითხში მის ადრეულ შეხედულებებზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. 1918—1921 წლებში, როდესაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენა, ნ. ჟორდანიას ამ საკითხისადმი დამოკიდებულებამ კიდევ ერთხელ განიცადა ტრანსფორმაცია. ამ წლებში უკვე არსებობდა საქართველოს ეროვნული ბურჟუაზიული სახელმწიფო და ნ. ჟორდანია ამ სახელმწიფოს მთავრობის მეთაური იყო. შექმნილ ისტორიულ ვითარებას 1917 წლის ისტორიული ვითარებისაგან განსხვავებული შეფასება უნდოდა და ნ. ჟორდანიას ისტორიოგრაფიული შეხედულებებიც განსხვავებული იყო მისივე წინა წლების ისტორიოგრაფიული შეხედულებებისაგან.

1918 წლის 4 აგვისტოს თბილისში მენშევიკთა პარტიულ კრებაზე ნ. ჟორდანია გამოვიდა მოხსენებით „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია", შემდეგ ეს მოხსენება მენშევიკების საოლქო კომიტეტმა ცალკე წიგნად გამოსცა[49].

საქართველოს სახელმწიფოებრიობა აღდგა და ეს სახელმწიფო აღაშენა სოციალ-დემოკრატიამ — ამბობდა ნ. ჟორდანია და თან გრძნობდა უხერხულობას, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ბურჟუაზიული სახელმწიფოსათვის ეწეოდა მუშაობას. ნ. ჟორდანიას თქმით, მენშევიკებს პერსპექტივაში ჰქონდათ სოციალური რევოლუცია და ამ მიზნით დაეპატრონენ ისინი სახელმწიფო ძალაუფლებას, ე. ი. ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. ბურჟუაზიული პარტიები სახელმწიფოს სათავეში იმიტომ დგებიან, რომ განამტკიცონ კაპიტალისტური წყობა, მენშევიკებს კი სხვა მიზეზები ამოძრავებთ; — მათ ჯერ უნდა შექმნან დემოკრატიული წყობილება და ამის შემდეგ უნდა გა-

---

49 ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, ტფილისი, 1918.

დავიდნენ პროგრამა მაქსიმუმზე — სოციალურ რევოლუციაზე. საზოგადოებრივი განვითარების ყველა საფეხური უნდა გაიაროს საქართველომ. რევოლუციური ნახტომები, ე. ი. სოციალისტური რევოლუცია მისთვის მიუღებელიაო. აქ ნ. ჟორდანია კ. კაუცკის იმოწმებდა და კიდევ ერთხელ ჩანდა მისი ოპორტუნისტული, მენშევიკური შეხედულება საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესებზე.

ნ. ჟორდანიას აზრით, რევოლუციამ (ბურჟუაზიულმა რევოლუციამ) და საქართველოს სახელმწიფოს შექმნამ დააუძლურა ქართველი თავადაზნაურობა და მას ხელიდან გამოეცალა საზოგადოებრივი გავლენა. ასევე სუსტი იყო საქართველოში ბურჟუაზია და ის ვერ შეეცდებოდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს მშენებლობას. საქართველოს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენდა გლეხობა, რომლის 90% მიწის ნაკლებობას განიცდიდა. მათ მიიღეს მიწა, მაგრამ ისინი ამ მიწით მაინც ვერ გამოკვებავდნენ ცოლშვილს.

ასევე გავლენიან სოციალურ ძალას წარმოადგენდა, ნ. ჟორდანიას აზრით, ქალაქის წვრილბურჟუაზია, რომელიც უმთავრესად გლეხური წარმოშობისა იყო. ეს კლასი რევოლუციურ კლასებთან იყო მიკედლებული, მაგრამ სოციალურად მსხვილი ბურჟუაზიის განვითარებით იყო დაინტერესებული. მას ჯერ კიდევ არ განეცადა ჩაგვრა მსხვილი ბურჟუაზიის მხრიდან.

ავტორის აზრით, საქართველოს სახელმწიფო სამ სოციალურ კლასს ეყრდნობოდა: მუშებს, გლეხობას და ქალაქის წვრილბურჟუაზიას. საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ურთიერთობა კლასობრივი სტრუქტურის მიხედვით ერთიანად განირჩეოდა მეზობელი სახელმწიფოებისაგან.

ნ. ჟორდანია აღნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფოს საფრთხე ემუქრებოდა გლეხებისაგან, რადგან ისინი არ უცდიდნენ დამფუძნებელ კრებას და მიწებს ძალით იტაცებდნენ. ავტორი საქართველოს გლეხობას ორ ნაწილად — ჩამორჩენილად და მოწინავედ — ჰყოფდა. ჩამორჩენილ გლეხობას (დუშეთის, ლეჩხუმის, ზუგდიდის მაზრების მცხოვრებლებს) პირდაპირი კავშირი არ ჰქონდათ ქალაქთან და მუშა-დემოკრატიასთან. მოწინავე გლეხები კი მუშების გავლენას განიცდიდნენ, მათი ხელმძღვანელობით მუშაობდნენ.

ნ. ჟორდანია გლეხთა აჯანყების ზეგავლენით წერდა, რომ გლეხობა რევოლუციის წინააღმდეგ გამოდისო. აქ, ცხადია, ბურჟუაზიული რევოლუცია იგულისხმებოდა და ქართველი გლეხობა ასეთი რევოლუციის წინააღმდეგ კიდევაც გამოვიდა. ნ. ჟორდანია ბურჟუა-

ზიულ სახელმწიფოს გლეხობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა

ნ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ საქართველოს რესპუბლიკაში იყო სახელმწიფოებრივი წყობის ის პოლიტიკური ფორმა, რომელიც სოციალიზმს შეეთვისებოდა. ეს წმინდა სოციალ-დემოკრატიული მსჯელობა იყო და სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ნ. ჟორდანია, რომელმაც ეროვნულ საკითხში ევოლუციის რთული გზა განვლო, ამჯერად ქართული ეროვნული სახელმწიფოს მესვეურად გამოდიოდა და მისი ისტორიოგრაფიული შეხედულებები ეროვნული ჩარჩოებით შემოიზღუდა.

საბჭოთა რუსეთთან საქართველოს ურთიერთობისადმი იყო მიძღვნილი გაბრიელ ხუნდაძის წიგნი „საბჭოთა ხელისუფლება და საქართველოს საელჩო რუსეთში. 1918 წ. 23 ივნისი — 1920 წ. 8 მარტი"[50].

გაბრიელ იოანეს ძე ხუნდაძე დაიბადა 1877 წელს. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაება. ეწეოდა რევოლუციურ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რამდენჯერმე დაპატიმრებული იყო. რსდმპ II ყრილობის შემდეგ მენშევიკი გახდა. 1906—1907 წწ. რსდმპ მოსკოვის კომიტეტის წევრი იყო. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ცნობილი იყო ა. მოსკოვსკის ფსევდონიმით. გ. ხუნდაძე მონაწილეობდა რსდმპ V (ლონდონის) ყრილობის მუშაობაში. 1909—1913 წწ. თანამშრომლობდა რსდმპ ცენტრალურ გაზეთში „სოციალ-დემოკრატიაში". პირველი მსოფლიო ომის დროს იყო მენშევიკ-ინტერნაციონალისტი. 1917 წ. მიემხრო „ნოვაია ჟიზნის" ჯგუფს. 1918—1920 წწ. საქართველოს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელი იყო მოსკოვში. შემდეგ ჩამოსცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ცხოვრობდა მოსკოვში და დამცველთა კოლეგიის წევრი იყო. გარდაიცვალა 1937 წელს. გ. ხუნდაძეს ერთ-ერთ ნაშრომში იხსენიებდა ვ. ლენინი; მასზე მაღალი აზრის იყო გ. პლეხანოვი.

გ. ხუნდაძეს მოსკოვში, 1918 წ. 11 ივნისს, საქართველოს ეროვნული საბჭოს სპეციალურმა შიკრიკმა ჩაუტანა სიგელი, რომლითაც მას ევალებოდა საქართველოს წარმომადგენლობა საბჭოთა რუსეთში. გ. ხუნდაძემ შექმნა საელჩო, საკონსულოები და ცდილობდა კავშირი დაემყარებინა საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან, მიეღწია იმისათვის რომ ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა. ზემოხსენებულ წიგნში გ. ხუნდაძე თავის ამ საქმიანობას აღწერდა. ერთი მხრივ, ეს

---

50 გ. ხ უ ნ დ ა ძ ე. საბჭოთა ხელისუფლება და საქართველოს საელჩო რუსეთში, 1918 წ., 23 ივნისი—1920 წ., 8 მარტი, ტფ. 1920, (რუს. ენაზე).

წიგნი წყაროა, რადგან ის დაწერილია უმთავრესად პირადი შთაბეჭდილებებით, მეორე მხრით, იქ მოცემულია მრავალი ისტორიული ფაქტის ავტორისეული შეფასება, რაც თავის დროზე საქართველო-საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის ისტორიის წერილბურჟუაზიულ კონცეფციას ქმნიდა. გ. ხუნდაძის ეს წიგნი მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის, მისი მაშინდელი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

გ. ხუნდაძე იღვწოდა იმისათვის, რომ საბჭოთა რუსეთს ეცნო, ეღიარებინა საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფო. ამისათვის ის კავშირს აბამდა უცხოეთის საელჩოებთან და ცდილობდა მათი დახმარებით, მათი გავლენის გამოყენებით თავის პოლიტიკური მიზნის მიღწევას.

გ. ხუნდაძის ეს წიგნი ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერების თვალსაზრისით, საინტერესო წიგნი იყო. საქართველო-საბჭოთა რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობის ისტორიაზე სხვა წიგნი არ დაწერილა არც ქართულ ბურჟუაზიულ (ემიგრანტული ისტორიოგრაფიის გამოკლებით) და არც საბჭოთა მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში.

იმავე ხანებში გამოვიდა ნ. ხომერიკის ნაშრომი, სადაც მოცემული იყო ისტორიული კონცეფცია 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიაზე, უმთავრესად კი აგრარულ საკითხებზე.

ნოე გიორგის ძე ხომერიკი ცნობილი ქართველი მენშევიკი იყო. მეფის მთავრობის მიერ რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში. იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი და შედიოდა მის მენშევიკურ ფრაქციაში. ნ. ხომერიკი მენშევიკების პარტიაში აგრარული საკითხის მცოდნედ ითვლებოდა. ის იყო საქართველოს მიწათმოქმედების, შრომისა და გზათა მინისტრი. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა, შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და აქ ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდა; კავშირი ჰქონდა ემიგრანტულ მთავრობასთან. კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის ნ. ხომერიკი დაპატიმრებულ იქნა 1923 წელს.

1920 წელს გამოვიდა ნ. ხომერიკის მცირე ფორმატის წიგნი „საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე“[51]. ეს ნაშრომი „საქართველოს დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისიამ გამოსცა, რაც კარგად მეტყველებს მისი დანიშნულების შესახებ. ავტორის მიზანი იყო დაესაბუთებინა, რომ საქართველოს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს დამოუკიდებლად შეეძლო არსებობა. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის

---

51 ნ. ხ ო მ ე რ ი კ ი, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე, ტფ., 1920.

გონივრული გამოყენება ქვეყანას მოწინავე სახელმწიფოთა რიგებში მოაქცევდა. ასეთი განვითარების პერსპექტივა საქართველოს მართლაც ჰქონდა, მაგრამ ნ. ხომერიკი ამ პერსპექტივას ბურჟუაზიული წესწყობილების დროს გულისხმობდა, რაც ქვეყნის მშრომელი კლასების ინტერესებში არ შედიოდა. ნ. ხომერიკი წერდა, რომ საქართველოს სახელმწიფოს არსებობის ორი წლისთავზე ქართველმა ხალხმა „ღრმად შეითვისა იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა, საჭიროება მისი სახელმწიფოებრივი არსებობისა"[52].

[ქართველმა ხალხმა საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის იდეა მართლაც შეითვისა, მაგრამ ეს იდეა არ უპასუხებდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არსებობას. ამიტომ იყო, რომ 1918—1919 წლებში საქართველოს სოფლად მწვავე რევოლუციური ბრძოლა მიმდინარეობდა.] ნ. ხომერიკი — მენშევიკი — ამჯერად ქართული ეროვნული სახელმწიფოს, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ინტერესებს იცავდა. ის წერდა, რომ საქართველოში სახელმწიფო აპარატი შეიქმნა, დამყარდა შედარებით წესრიგი, ქალაქებსა და სოფლებში დემოკრატიული თვითმმართველობა იქნა შემოღებული, განხორციელდა უდიდესი სოციალური რეფორმები. ეს მენშევიკური მთავრობის საქმიანობის მოჩვენებითი შეფასება იყო. [ყველაფერს ბურჟუაზიული ხასიათი ჰქონდა და შორს იდგა თავისი არსით სოციალისტური ღონისძიებებისაგან.]

[მენშევიკები აცხადებდნენ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე აუცილებელი საფეხურიაო.] ამ ნაშრომში ნ. ხომერიკი ქვეყნის განვითარების მენშევიკურ სქემას სრულიად არ იხსენებდა. ის ბურჟუაზიული სახელმწიფოს მშენებელი იყო და მისი შეხედულება ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიურ განვითარებაზე 1917—1920 წლებში წვრილბურჟუაზიული იყო.

იმავე 1920 წელს ნ. ხომერიკმა წიგნად გამოსცა მის მიერ საქართველოს მენშევიკების მეორე ყრილობაზე წაკითხული მოხსენება „აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა"[53]. ნაშრომში მოცემულია ისტორიული აზრი საქართველოს აგრარულ საკითხზე. ავტორის აზრით, 1919 წლის 28 იანვრის კანონით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო, მესაკუთრეებად გამოცხადდნენ ნორმის ფარგლებში სახაზინო გლეხები, ხიზნები, ახალციხისა და ახალქალაქის გლეხები, სამაჩაბლოს მიწებით მოსარგებლე გლეხები, სოხუმის

---

52 ნ. ხ ო მ ე რ ი კ ი, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე, ტფ., 1920 გვ. 3.

53 ნ. ხ ო მ ე რ ი კ ი, აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა, თბ., 1920.

ოლქის ზოგიერთი კატეგორიის გლეხი. გადასახადებისგან განთავისუფლდა რამდენიმე ათასი გლეხური კომლი. მენშევიკების აგრარული რეფორმის პირველი ნაწილის — მიწების კონფისკაციის გატარების შედეგად, სახელმწიფო ფონდში ნახევარ მილიონ დესეტინაზე მეტი მიწა გადავიდა და დაიწყო მისი მეორე ნაწილის შესრულება — გლეხებისათვის მიწის გადაცემა. ნ. ხომერიკი აგრარულ რეფორმის შეფასებისას წერდა, რომ მან ფაქტიურად გააუქმა ბატონყმობის ნაშთები, ე. ი. მოხდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია სოფლად. რეფორმის მეორე ნაწილი — გლეხებისათვის მიწის გადაცემა — ძნელი და ხანგრძლივი პროცესია. ნ. ხომერიკი არ მალავდა, რომ მენშევიკების აგრარულ რეფორმას სოფლის ორივე სოციალური ძალა, მემამულეც და გლეხიც, დაცინვით შეხვდა.

ნ. ხომერიკი წერდა, რომ საქართველოში არსებული მსხვილი მიწათმფლობელობა არ წარმოადგენდა მსხვილი მეურნეობის განვითარების პირობებს. პირიქით, არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში ის ხელს უწყობდა მეურნეობის დაცემასა და დაწვრილმანებას. მემამულისათვის უფრო სასარგებლო იყო მამული გლეხზე იჯარით გაეცა, ვიდრე ამ მიწაზე საკუთარი მეურნეობა მოეწყო. ასეთი იყო მისი აზრი მსხვილ მიწათმფლობელობაზე. ის მხარს უჭერდა წვრილ მეურნეობებს და ასაბუთებდა, რომ წვრილი მიწათმფლობელობა უეჭველად არ გულისხმობდა ჩამორჩენილი მეურნეობის არსებობას[54]. ე. ი. საქართველოს სოფელი ამერიკული გზით ვითარდებოდა. ამას მინისტრი ნ. ხომერიკი ხედავდა და ხელს უწყობდა. ნ. ხომერიკი მენშევიკების უდიდეს დამსახურებად თვლიდა იმას, რომ მათ მოსპეს ფეოდალური წყობილების ნაშთები სოფლად და შექმნეს ისეთი ვითარება, რომ ძველი საადგილმამულო ურთიერთობის აღდგენა შეუძლებელი გახდა. ნ. ხომერიკი არ მალავდა, რომ მენშევიკებმა ხელი აიღეს თავიანთ აგრარულ პროგრამაზე — მიწის მუნიციპალიზაციაზე, რადგან ეს, მისი აზრით, ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას და მის ინტერესებს. მიწა გლეხებმა მიიღეს და მათთვის მისი ჩამორთმევა, შემდეგ მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემა გლეხთა უკმაყოფილებას და აჯანყებას გამოიწვევდა, რაც უამისოდაც არ აკლდა მენშევიკურ მთავრობას. აქედან აშკარად ჩანდა, რომ სოფლად მენშევიკებმა ბურჟუაზიული რეფორმები გაატარეს და სოციალ-დემოკრატმა ნ. ხომერიკმა მენშევიკურ პროგრამაზე ხელი აიღო.

ნ. ხომერიკის მიერ 1917—1920 წლების საქართველოში აგრა-

---

54 ნ. ხ ო მ ე რ ი კ ი, აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა, ობ., 1920, გვ. 25.

რული საკითხის შეფასება ჩვენი მხრიდან კრიტიკას იმსახურებს. მან ისე დასახა საქმის ვითარება, რომ თითქოსდა საქართველოს სოფელში მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებული აგრარული რეფორმების შედეგად ყველაფერი წესრიგზე დადგა. ჯერ ერთი, სოფლად ისეთი მწვავე აგრარული ბრძოლა გაიშალა თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რომ ისტორიულ პროცესებს აგრარული რეფორმები კუდში მისჩანჩალებდა და, მეორე ის, რომ ამ რეფორმებმა ბურჟუაზიული რევოლუციის ძირითადი ეკონომიური საკითხი მაინც ვერ გადაჭრა. ამის დამადასტურებელი იყო 1918 და 1919 წლებში საქართველოში გლეხთა აჯანყებები და ამ აჯანყებების ნ. ჟორდანიასეული ახსნა (ჩამორჩენილი გლეხობა ჯანყდებოდაო) მენშევიკების აგრარულ კანონმდებლობას ვერ გაამართლებდა. გლეხობა რადიკალურ ღონისძიებებს მოითხოვდა. ასეთი რამის გაკეთება კი მენშევიკებს არ შეეძლოთ.

1920 წელს დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისიამ გამოსცა მცირე ფორმატის წიგნი„ ჩვენი დამოუკიდებლობა"[55]. წიგნის ავტორი დასახელებული არ არის. ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი ნაშრომია, სადაც 1917—1921 წლების საქართველოს ისტორია გაბმით იყო მოთხრობილი. წიგნის მოცულობა ალბათ ერთი თაბახიც არ იქნებოდა, მაგრამ მასში გადმოცემული იყო საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნა-ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები. ნაშრომში მოთხრობილი იყო, თუ როგორ შეიქმნა ეროვნული საბჭო, ამიერკავკასიის კომისარიატი, ამიერკავკასიის სეიმი, საქართველოს დამფუძნებელი კრება. ახსნილი იყო მენშევიკების გერმანიაზე ორიენტაციის მიზეზები და სხვა მრავალი საკითხი. წიგნი მიმართული იყო საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. მასში გადმოცემული ისტორიული კონცეფცია 1917—1920 წწ. საქართველოს ისტორიაზე ბურჟუაზიული ისტორიული კონცეფცია იყო და ემსახურებოდა საქართველოს ექსპლოატატორული კლასების, მათი პარტიების ინტერესებს.

1918 წელს გამოვიდა ს. ფირცხალავას წიგნი „ერი და ეროვნება"[56]. ეს წიგნი დაწერილი იყო 1917 წელს, როცა ეროვნული საკითხი მეტად მწვავედ იდგა და ქართველი საზოგადოება საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმებს ეძებდა. წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1918 წლის შემოდგომაზე. მას ავტორმა ბოლოსიტყვაობა დაურთო. სადაც გათვალისწინებული

---

55 ჩვენი დამოუკიდებლობა, ტფ., 1920.

56 ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, ერი და ეროვნება, ტფ. 1918.

იყო ახლად მომხდარი ისტორიული მოვლენა — საქართველოს სახელმწიფოს შექმნა. ამგვარად, ს. ფირცხალავას წიგნში კარგად ჩანდა ავტორის წვრილბურჟუაზიული ისტორიული აზრის განვითარება ქართულ ეროვნულ საკითხზე 1917—1918 წწ.-ში.

სამსონ გიორგის ძე ფირცხალავა დაიბადა 1872 წელს ხონის რაიონში, სოფელ მათხოჯში. თავის დროზე ცნობილი პუბლიცისტი იყო, თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიაში", „ცნობის ფურცელში" და სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი ლიტერატურული ფსევდონიმები იყო „კალამი", „სანვინი", „სიტყვა". საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა. ის სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ამ პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი იყო. უფრო გვიან მემარჯვენე ფედერალისტი გახდა. ს. ფირცხალავა საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და სოციალისტ-ფედერალისტების ფრაქციის წევრი იყო. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და გარდაიცვალა 1951 წელს.

ს. ფირცხალავას აზრით, ეროვნება კულტურული მოვლენა იყო და წარმოიშვა ახალ დროზე გაცილებით ადრე. თემი და ტომი ის კერა იყო, რომელმაც წარმოშვა და აღზარდა ეროვნება; რომ არ ყოფილიყო თემობრივ-ტომობრივი განსხვავება, არ იქნებოდა ეროვნული სხვაობაც[57]. ერი არ გულისხმობდა რაიმე კარჩაკეტილობას, ერების სრულ გათიშვასა და განცალკევებას. ერი საკუთარი გზით ვითარდებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ერმა არავინ არ უნდა მიიკაროს, არ შეითვისოს, არ ისესხოს რაიმე უცხო კულტურისაგან[58]. ერის შემადგენლობაში შედიან კლასები, ამ კლასებს შორის ბრძოლაა, მაგრამ კლასებით არ შეიძლება დაიფაროს მთელი ეროვნება, კლასების ცხოვრებით არ ამოიწურება მთელი ეროვნული ცხოვრება. აი ეს იყო ავტორის ამოსავალი წერტილი და ამ კუთხით უდგებოდა ის ქართულ ეროვნულ საკითხს 1917—1918 წლებში.

ქართველ ერს ისეთი დიდი წარსული, ისეთი მდიდარი კულტურა ჰქონდა, რომ მისი თავისუფლება აუცილებელი იყო. ს. ფირცხალავა შექმნილ ვითარებაში — 1917 წლის შემოდგომაზე, არჩევდა სახელმწიფოებრივი მოწყობის უკეთეს ფორმას, რომელიც საქართველოს იმ ხანად გამოადგებოდა. მართალია, ს. ფირცხალავა რწმენით ფედერალისტი იყო, მაგრამ ის საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საუკეთესო საშუალებად დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ამჯობინებდა. მაგრამ ასეთი აქტი მას 1917 წელს არასასურვე-

---

57 ს. ფირცხალავა, ერი და ეროვნება, ტფ., 1918, გვ. 33.
58 იქვე, გვ. 45.

ლად მიაჩნდა და უკეთესად თვლიდა რუსეთთან კონფედერაციულ კავშირს, ე. ი. სახელმწიფოებრივ კავშირს. ამისათვის კი უპირველესად საჭირო იყო ამიერკავკასიის ერების ეროვნული საზღვრების აღდგენა, ეროვნული სახელმწიფოს შექმნა და შემდეგ რუსეთთან კავშირში შესვლა. ქართველი ერის აღდგენა-აღორძინების საქმეს, ს. ფირცხალავას აზრით, სათავეში მუშათა კლასი უნდა ჩადგომოდა. მისი რწმენით, ეროვნება და სოციალიზმი ურთიერთს არ ეწინააღმდეგებოდა, პირიქით, საერთო საქმეს აკეთებდა, ერთი მეორეს ემსახურებოდა.

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ს. ფირცხალავას პროექტი გამოსადეგი იყო მხოლოდ ბურჟუაზიული საქართველოსა და ბურჟუაზიული რუსეთისათვის. როგორც კი რუსეთში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა, მის მსოფლმხედველობაშიც ევოლუცია მოხდა. წიგნის ბოლოსიტყვაობაში, რომელიც 1918 წლის შემოდგომაზე იყო დაწერილი, ს. ფირცხალავა ცნობდა საქართველოს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და მის დაცვას მოითხოვდა.

ს. ფირცხალავა 1917—1918 წლებში მიმდინარე ქართული სახელმწიფოს შექმნის ისტორიულ პროცესს წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით უდგებოდა. ის თანახმა იყო რუსეთთან კავშირისა იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ბურჟუაზიული იქნებოდა. საბჭოთა რუსეთი მისთვის უცხო იყო და მისგან გამიჯვნას, განდგომას მოითხოვდა.

1919 წელს ხარკოვში მ. კოპალეიშვილისა და ი. გველესიანის გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა კონსტანტინე ცაგარლის წიგნი „რამოდენიმე სიტყვა საქართველოს საკითხზე“[59]. ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით, კ. ცაგარლის ეს წიგნი მეტად საინტერესოა, თუმცა ის პუბლიცისტურ-პოლიტიკური ხასიათის ნაშრომია და გარკვეული პოლიტიკური მიზნით იყო დაწერილი.

დენიკინის მოხალისეთა არმიას დროებითი წარმატებები ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მონარქისტი გენერლები, მწერლები, ჟურნალისტები ოცნებობდნენ მეფის რუსეთის აღდგენაზე და მათთვის ყოვლად მიუღებელი იყო საქართველოს სახელმწიფოს არსებობა. მოხალისეთა არმიის, რუსეთის პერიფერიის ყველა თვითმარქვია, მონარქისტული იდეებით გამსჭვალული ხელისუფალნი არაფერს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ ერთიანი განუყოფელი რუსეთის დროშით ბრძოლა გამოეცხადებინათ ამიერკავ-

---

59 კ. ცაგარელი, რამოდენიმე სიტყვა საქართველოს საკითხზე, ხარკოვი, 1919 (რუს. ენაზე).

კასიის ერებისათვის. კ. ცაგარელს მიზნად ჰქონდა დასახული დაესაბუთებინა, რომ საქართველოს მენშევიკი მესვეურნი ასეთ დამოკიდებულებას არ იმსახურებდნენ. კ. ცაგარელი წვრილბურჟუაზიული ბოღვაწე იყო და ამიტომ მისთვის მიუღებელი იყო საბჭოთა ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, ის რუსეთში ერთიან ხელისუფლებას ვერ ხედავდა. მას რუსეთი დაშლილად ეჩვენებოდა და არ ცნობდა რუსეთის ერთიან სახელმწიფოს. ამ თვალთახედვით უდგებოდა ცაგარელი საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას და წერდა, რომ უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე რუსეთი არ ყოფილა სახელმწიფო, საქართველო კი სახელმწიფოა და ის ვერ იქნებოდა რუსეთის სახელმწიფოს მტერი.

საქართველოს სათავეში რომ მენშევიკური ხელისუფლება მოექცა, ამას ავტორი სრულიად ლოგიკურად თვლიდა. ოთხივე სახელმწიფო სათათბიროში საქართველო ყოველთვის მენშევიკებს ირჩევდა და როცა ჯერი მიდგა ეროვნული სახელმწიფოს ხელისუფლების არჩევაზე, აქაც მენშევიკები აირჩიესო. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებისათვის მიუღებელია — წერდა ავტორი — როგორც ბოლშევიკები, ისე მოხალისეთა არმიის სარდლობაო.

კ. ცაგარელი ასაბუთებდა საქართველოს დამოუკიდებლობის უფლებას. ამ დასაბუთებაში ახალი არაფერი იყო. აქ ისტორიულ უფლებაზე იყო ლაპარაკი. ასეთი გზით ამ უფლების დასაბუთებაში მრავალი მწერალი და პუბლიცისტი მიდიოდა 1917 წელს. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში, 1918 წლამდე, საქართველოში არავინ არ ფიქრობდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე. ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ძალა — ქართველი მენშევიკები — რუსეთთან პოლიტიკური ერთობის მკაცრ თვალთახედვაზე იდგნენ. მათთვის ავტონომისტ-სოციალ-დემოკრატებიც კი აუტანელნი იყვნენ. ხოლო სოციალისტ-ფედერალისტებთან განუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდათ ეროვნულ საკითხზე.

1917 წლის აგვისტოში მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე, რომელსაც კ. ცაგარელიც ესწრებოდა, კ. ჩხეიძე, ი. წერეთელი და აკ. ჩხენკელი ერთხმად უცხადებდნენ რუსეთს, რომ მათთვის არ არსებობდა ქართული საკითხი, რომ მათი იდეალი ერთიანი დემოკრატიული რუსეთია. საქართველოს დელეგაციის მხოლოდ ერთმა წარმომადგენელმა — მაჭავარიანმა განაცხადა თათბირზე, რომ საქართველოს აქვს თავისი სურვილები, მაგრამ ამ სურვილებს დამფუძნებელ კრებას განუცხადებს, მანამდე კი საქართველოს საკითხი არ არსებობსო. მაგრამ მოხდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომლის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას კ. ცაგარელი არ მალავ-

და. ამ რევოლუციის შემდეგაც არ ლაპარაკობენ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ რევოლუცია დამარცხდებოდა. ამიტომ იყო, რომ შექმნეს ამიერკავკასიის დროებითი ნახევრადსახელმწიფოებრივი კავშირი ამიერკავკასიის კომისარიატს, შემდეგ კი სეიმის სახით.]

კ. ცაგარლის აზრით, ქართველმა მენშევიკებმა თავდაპირველად ვერ გაიგეს ოქტომბრის რევოლუციის აზრი და ამიერკავკასიის სეიმის პოლიტიკურ პროგრამად გახადეს ბოლშევიკების დამხობისა და ერთიანი დემოკრატიული რუსეთის აღდგენის ლოდინი. ამიერკავკასიის სეიმი ერთი მხრით, არ თვლიდა ამიერკავკასიას რუსეთის ერთ რომელიმე არსებული სახელმწიფოს ნაწილად, მეორე მხრით კი, არ აცხადებდა ამიერკავკასიას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ასეთი ვითარება კ. ცაგარელს პოლიტიკურ აბსურდათ მიაჩნდა და ამის შედეგს იმაში ხედავდა, რომ მან დიდხანს ვერ გაძლო. ამიერკავკასიის სეიმის დაშლის მიზეზად კ. ცაგარელი მხოლოდ საგარეო ფაქტორს ასახელებდა. ის ვერც აქ და ვერც სხვა შემთხვევაში ვერ ხედავდა ამიერკავკასიის ერების მისწრაფებას ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ, ვერ ხედავდა ეროვნულ მოძრაობას. მისი აზრით, საქართველოს სახელმწიფო წარმოშვა მონარქიული და ბურჟუაზიული რუსეთის დანგრევამ.

კ. ცაგარლის აზრით, საქართველოს გარეშე მტერმა შემოუტია და იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ და თავი დაეფარათ მათგან, ვამოსავალი ახალ პოლიტიკურ ფორმაში ნახეს — შექმნეს ეროვნული რესპუბლიკები, რომლებიც შეძლებდნენ ომისა და ზავის საკითხების გადაწყვეტას. ავტორი აღნიშნავდა: ქართველმა მენშევიკებმა კიდევ ერთი დიდი დათმობა გააკეთეს რეალური ძალების მიმართ და დატოვეს თავისი ცენტრალისტური სიმპატიები, გახდნენ სეპარატისტებიო. ასეთი იყო, მისი აზრით, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს შექმნის პირობები, ანუ როგორც ავტორი წერდა „საქართველოს „დამოუკიდებლობა“.

ავტორი საქართველოს სახელმწიფოს შექმნას პოლიტიკურად და ეთიკურად კანონიერად მიიჩნევდა. ის წერდა, რომ საქართველო მენშევიზმის ციტადელი იყო და აქ უნდა განხორციელებულიყო რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვარი, ე. ი. აქ უნდა ყოფილიყო ბურჟუაზიული რესპუბლიკა. კ. ცაგარელი ბოლშევიზმს მიიჩნევდა მოვლენად, რომელსაც ადგილობრივი ნიადაგი ჰქონდა და ფესვებიც ღრმად გაედგა. მენშევიკების მთავრობა ცდილობდა გაეტარებინა აგრარული და სხვა მთელი რიგი პოლიტიკური და ეკონომიური რეფორმები და ამით მოესპო ის მიზეზები.

რომლებიც კვებავდნენ ბოლშევიზმს. ამგვარად, კ. ცაგარელი ბურჟუაზიულ საქართველოს ცნობდა და მის ინტერესებს იცავდა.

1920 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოვიდა თედო ღლონტის წიგნი „ბოლშევიკების სააზიო პოლიტიკა"[60]. ამ წიგნის გამოსვლამ დიდი რეზონანსი გამოიწვია საქართველოში. წიგნისადმი ინტერესი გაპირობებული იყო იმით, რომ ავტორი საქართველოს ისტორიის მთელ რიგ საკითხებს სულ სხვაგვარად უყურებდა, ვიდრე წინა წლებში. ამასთან ერთად, მისი ეს თვალთახედვა განსხვავდებოდა საქართველოს ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ მოღვაწეთა და პუბლიცისტთა უმეტესობის თვალთახედვისაგან. არსებული მომენტის, საქართველოს პოლიტიკური ვითარების ავტორისეული შეფასება, ისტორიული კონცეფცია მარქსისტულ თვალთახედვასთან ახლოს იდგა.

თ. ღლონტი კარგად ხედავდა, რომ დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიოს იმპერიალიზმის ერთიანი სისტემა დაანგრია და ეს ნგრევა მცირე ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მეტად სასარგებლო იყო. აღმოსავლეთის ხალხებმა ოქტომბრის რევოლუციის შედეგად გამოიღვიძეს, მსოფლიო რევოლუციური ძალები უნდა გაერთიანდნენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ ბრძოლის დროს ქართველი ერი უნდა შეუერთდეს ხალხთა იმ ოჯახს, რომელიც იმპერიალიზმს ებრძვის.

ავტორი აღნიშნავდა, რომ აზიაში სულ უფრო იზრდებოდა საბჭოთა რუსეთის გავლენა. ბოლშევიკებს უკვე ჰქონდათ შემუშავებული პოლიტიკა აზიის მიმართ და ეს სააზიო პოლიტიკა საქართველოს პოლიტიკაც იყო. ჟორდანიას მთავრობა ბოლშევიკების სააზიო პოლიტიკას უპირისპირებდა ეროვნულ ხაზს.

რუსეთის სოციალისტურ რევოლუციას თ. ღლონტი ისტორიაში პირველ პროლეტარულ რევოლუციას უწოდებდა. ამ რევოლუციით ბოლშევიკები მსოფლიოს უმტკიცებდნენ, რომ არსებულ სოციალ-ეკონომიურ პირობებში კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა შეიძლებოდა. ავტორი მკაცრად აკრიტიკებდა მენშევიკების მიერ ბოლშევიკების საწინააღმდეგო პროპაგანდას.

რუსეთის რევოლუცია, ეს უდიდესი ბრძოლაა ნათელი მომავლისათვის და მისი ლოზუნგია იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ბოლშევიკებმა ჩაგრული ერების თავისუფლება გამოაცხადეს და ამ

---

60 თ. ღ ლ ო ნ ტ ი, ბოლშევიკების სააზიო პოლიტიკა, პოლიტიკურ-ეკონომიური ნარკვევი, ტფილისი, 1920 (რუს. ენაზე).

ლოზუნგს ყველა მცირე ერი სიხარულით შეხვდა. ახლა ორი სამყარო — საბჭოთა რუსეთი და იმპერიალისტური ქვეყნები აზიაში იბრძვიან ხალხებისათვის. საბჭოთა წყობამ აზერბაიჯანში უკვე გაიმარჯვა. ბრძოლა სხვა ქვეყნებისათვის წარმოებს. ყოველივე ის, რასაც თ. ღლონტი წერდა, გამსჭვალული იყო საბჭოთა რუსეთისადმი, ბოლშევიკებისადმი უდიდესი სიმპატიით. მაგრამ შემდეგ ის წერდა, რომ მართალია, ჩვენი მომავალი სოციალიზმია, მაგრამ მსოფლიოში მიმდინარე დიდი ისტორიული პროცესებისაგან, დიდი ბრძოლისაგან საქართველო განზე უნდა დადგესო. საქართველო პატარა ქვეყანაა და დიდ ბრძოლაში ის ადვილად განაგდურდებაო. რუსეთი იზოლირებულია, მას მსოფლიოს იმპერიალისტური ძალები ებრძვიან, საქართველო ამ ბრძოლაში საბჭოთა რუსეთს ზურგში მახვილს არ ჩასცემს. რუსეთი გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში, ჩვენ მისი ბრძოლით აღფრთოვანებული ვართ, მაგრამ ბრძოლაში მაინც ვერ ჩავერევითო.

წიგნში ავტორის წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეები კარგად ჩანდა. სოციალისტური რევოლუციის წარმატებები მასზე დიდ გაელენას ახდენდა.

1919 წელს გრიგოლ ვეშაპელმა ცალკე წიგნად გამოსცა საქართველოს პარლამენტში წარმოთქმული სიტყვები[61]. მართალია, ეს პოლიტიკური სიტყვებია და იქ მოცემული კონცეფციები საზოგადოებრივი აზრის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ მრავალი ისტორიული მოვლენის შეფასება ისტორიოგრაფიისათვის საინტერესოა.

გრ. ვეშაპელმა 1918 წლის 14 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ ეროვნულ საბჭოში თქვა, რომ სახელმწიფო პოლიტიკაში პატარა ერისთვის უმთავრესი რამ მის მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაა. მისი აზრით, მენშევიკების საგარეო პოლიტიკა, რაც კავკასიის საგარეო პოლიტიკური ხაზი იყო, არ პასუხობდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. მეზობელ ხალხებთან გართულებული ურთიერთობა მოითხოვდა საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს შექმნასო.

გრ. ვეშაპელის აზრით, სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა კლასთა კომპრომისს, ხოლო საგარეო პოლიტიკა კი ეროვნული ინტერესების დაცვას მოითხოვდა. საქართველოს მენშევიკური მთავრობა კი კლასთა ბრძოლასა და ინტერნაციონალიზმს ქადაგებდა. ცხადია, გრ. ვეშაპელი არ იყო მართალი, როცა მენშევიკებს ასეთ შეფასებას აძ-

---

61 გრ. ვ ე შ ა პ ე ლ ი, სიტყვები ნათქვამი პარლამენტში (ეროვნულ საბჭოში), ტფ., 1919

ლევდა. ფაქტიურად მენშევიკები ამ დროს უკვე საწინააღმდეგო აზრისანი იყვნენ. პარლამენტში წარმოთქმული სიტყვები მიმართული იყო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წინააღმდეგ და მოითხოვდა, რომ მთავრობა მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტს დამორჩილებოდა. მას მიაჩნდა, რომ საბჭოებს მთავრობაზე გავლენა ჰქონდათ.

გრ. ვეშაპელი აგრარულ საკითხსაც შეეხო. მისი აზრით, გლეხი მიწით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ამისათვის კი საჭირო იყო მემამულეს სათანადო სასყიდლით ჩამორთმეოდა ნორმაზე მეტი მიწა და ის მიეყიდათ გლეხისათვის სრულ საკუთრებაში. გრ. ვეშაპელის ასეთი აგრარული პროგრამა არ პასუხობდა მშრომელი გლეხების ინტერესებს.

გრ. ვეშაპელს არ აკმაყოფილებდა მენშევიკების ეროვნული პოლიტიკა და მოითხოვდა სწრაფი ნაბიჯებით გაეროვნებინათ სასამართლო, სახალხო განათლება, მმართველობა.

საგარეო პოლიტიკაში გრ. ვეშაპელი გერმანიის ორიანტაციისა იყო და მისი ჯარების საქართველოში შემოსვლას დიდ დახმარებად, რაინდულ აქტად თვლიდა.

მთელი ეს კონცეფცია ბურჟუაზიული სახელმწიფო მოღვაწის თვალთახედვა იყო; ავტორი ყველაფერს ზომავდა საკუთრების პრინციპის დაცვით. თავის თავს და იმ პარტიას (ეროვნულ-დემოკრატებს), რომლის სახელითაც ის პარლამენტში ლაპარაკობდა, ნაციონალისტს უწოდებდა.

1918 წელს სტამბულში ქართველ კათოლიკეთა სავანის სტამბაში დაიბეჭდა პეტრე სურგულაძის ორი ნაშრომი „საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“ და „დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა“[62].

პ. სურგულაძის ნაშრომი „საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“, როგორც ტექსტიდან ჩანს, 1918 წლის 26 მაისამდე იყო დაწერილი. თითქოსდა არ მომხდარიყოს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია — ასეა განხილული ამ წიგნში საქართველოს მდგომარეობა. ავტორი მოითხოვდა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა აღდგენილიყო, მაგრამ ის ბურჟუაზიული ეროვნული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო.

მისი მეორე ნაშრომი „დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა“, საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნის წინა ხანებშია დაწერილი. ავტორი აქაც ასაბუთებდა

---

62 პ. სურგულაძე, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სტამბოლი, 1918, მისივე, დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა. სტამბოლი, 1918.

დამოუკიდებლობის მოპოვების აუცილებლობას. ნაშრომი ფაქტიურად საბჭოთა რუსეთთან კავშირის წინააღმდეგ არის მიმართული. იქ უარყოფილი იყო საქართველოსა და რუსეთს შორის ის მჭიდრო ეკონომიური კავშირი, რომელიც XIX—XX სს. ჩამოყალიბდა. ამით ავტორი ცდილობდა დაესაბუთებინა ის, რომ რუსეთისგან საქართველოს ჩამოცილება ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე არ იმოქმედებდა.

ამგვარად, ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე, პ. სურგულაძე, 1918 წელს მიმდინარე ისტორიულ პროცესს — საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნას — თავისი კლასის ინტერესებიდან უყურებდა და ცდილობდა ისეთი ისტორიული კონცეფცია შეექმნა, რომელიც დაეხმარებოდა ქართველ ბურჟუაზიას საქართველოს საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოცილების საქმეში.

1918 წელს გაოვიდა კ. მიქელაძის წიგნი „დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა"[63]. ავტორის ისტორიოგრაფიული შეხედულებები ბურჟუაზიული მოღვაწის მრწამსიდან გამომდინარეობდა. ის დადებითად აფასებდა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, მაგრამ ეს სახელმწიფო ბურჟუაზიული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო. ავტორი უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა რუსეთთან კავშირისადმი და ვერ არჩევდა ძველსა და ახალ რუსეთს, საბჭოთა რუსეთს. ის მოითხოვდა, რომ საქართველოში ჩამოსულ ლტოლვილთა ერთი ნაწილისათვის არ მიეცათ რესპუბლიკის მოქალაქის უფლებები. ის მხარს უჭერდა ქართველ მენშევიკებს, აქებდა და ადიდებდა მათ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას.

1919 წელს ალ. ასათიანმა წიგნად გამოსცა საქართველოში მიწის საკითხის შესახებ ეროვნულ-დემოკრატების ყრილობაზე 1918 წლის ივნისში წაკითხული მოხსენების ვრცელი, შევსებული ვარიანტი[64].

ალექსანდრე სამსონის ძე ასათიანი საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და ეროვნულ-დემოკრატების ფრაქციის წევრი იყო. 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა და იქ აქტიურ ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდა.

ავტორის აზრით, რევოლუცია მთავრდებოდა, მაგრამ მთავარი პოლიტიკური და სოციალური საკითხები გადაუჭრელი დარჩა. ნაშ-

63 კ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, დემოკრატიული სახელმწიფოს კონტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ, თბ., 1918.

64 ა ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, მიწის საკითხი საქართველოში (საქართველოს საგარეო კანონის მასალად), თბ., 1919.

რომიდან კარგად ჩანს, რომ ალ. ასათიანი ქართული ბურჟუაზიის წარმომადგენელი იყო, მის ინტერესებს გამოხატავდა. მთელი ეს ნაშრომი მიმართული იყო. ბურჟუაზიული კერძო საკუთრების დაცვისაკენ, მენშევიკების წვრილბურჟუაზიული რეფორმების წინააღმდეგ. მენშევიკების მთავრობის მიერ გატარებული მიწის რეფორმები რამდენადმე ზღუდავდა კერძო საკუთრებას (მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა, მსხვილი მამულების შეკვეცა და სხვ.). ალ. ასათიანის აზრით, ასეთმა ღონისძიებებმა უარყოფითი შედეგები გამოიღო. ავტორი გამოხატავდა სოფლის ბურჟუაზიის ინტერესებს, როცა ამტკიცებდა მიწაზე კერძო საკუთრება აუცილებელიაო და მოითხოვდა მოსპობილიყო ყველა ის დაბრკოლება, რომელიც კი მიწაზე სრული კერძო საკუთრების დამკვიდრებას ხელს უშლიდა.

მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვამ შეანელა მემამულეთა მიწების მშვიდობიანი გზით გლეხთა ხელში გადასვლის პროცესი. ის საჭიროდ თვლიდა მხოლოდ თითო-ოროლა დიდი მამულის, ტყეებისა და საძოვრების იძულებით ჩამორთმევას. დანარჩენი მამულები ბუნებრივი პროცესის გზით გადავიდოდა მშრომელთა ხელში. ალ. ასათიანი. როგორც პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი იმდენად რეაქციული იყო, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრისა და ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 7 მარტის მიწის კანონები მას რევოლუციურ ღონისძიებებად ეჩვენებოდა. კანონი, რომლის მიხედვით მიწის ნორმა შვიდი დესეტინით იყო განსაზღვრული, ალ. ასათიანს ბოლშევიკურ აქტად მიაჩნდა და მემამულეთა მიწების ნორმირებას ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით მოითხოვდა.

საქართველოში XIX—XX სს. შეიქმნა რუს მოსახლეთა კონტიგენტი. რუსი მოქალაქეები ცხოვრობდნენ როგორც კომპაქტურად, სოფლებად, ისე ქალაქად ქართველ მოსახლეობასთან ერთად. მას შემდეგ, რაც ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთს ჩამოსცილდა, რუსი მოსახლეობის ეროვნული საკითხი დადგა. შექმნილი ისტორიული ვითარების გამო, ამჯერად ამიერკავკასიის რუსი მოსახლეობა უმცირესობაში აღმოჩნდა.

ამიერკავკასიის რუსი მოსახლეობა აქტიურად ზრუნავდა თავის კეთილმოწყობაზე, მომავალზე. მათ შექმნეს ამიერკავკასიის რუსული ეროვნული საბჭო, რომელიც 1918 წელს აქტიურ საქმიანობას ეწეოდა[65]. 1918 წელს, მარტში, ამიერკავკასიის რუსი მოსახლეობის წარმომადგენლებმა რუს მოქალაქეთა პირველი ყრილობა მოიწვიეს.

---

65 იხ. ამიერკავკასიის რუსული ეროვნული საბჭოს 1918 წ. მოღვაწეობის ანგარიში (რუს. ენაზე).

ამგვარად, რუსული ეროვნული საკითხი მწვავედ იდგა როგორც მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით, ისე საქართველოში. ეიმ დროის რუსი პუბლიცისტები, ცხადია, უყურადღებოდ არ დასტოვებდნენ ამ მათთვის მეტად არსებით საკითხს და 1918 წელს თბილისში გამოვიდა ფ. არისტოვის წიგნი „რუსული ეროვნული საკითხი ამიერკავკასიაში"[66].

ფ. არისტოვი მიმოიხილავდა ამიერკავკასიაში რუსი მოსახლეობის გაჩენის ისტორიას და წერდა, რომ, მართალია, ქართველებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან შედარებით რუსები ცოტანი არიან, მაგრამ მათ ზურგს უკან დგას დიდი კულტურისა და ისტორიის მქონე რუსი ერი, რომელიც ამიერკავკასიელი რუსების ძალას ზრდისო. ფ. არისტოვი ფიქრობდა ამიერკავკასიელი რუსების სამოქალაქო მოწყობაზე, ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სათანადო ადგილის მიჩენაზე. ფ. არისტოვი ბურჟუაზიული მოღვაწე იყო და ამიერკავკასიელის რუსების ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარჩოებში ფიქრობდა.

1919 და 1920 წწ. გამოვიდა გ. ქიქოძის ორი წიგნი „ეროვნული ენერგია"[67] და „პოლიტიკური წერილები"[68]. ეს წიგნები გ. ქიქოძის ბიერ 10-იან წლებში გამოქვეყნებული წერილების კრებულები იყო.

ვერონტი დიმიტრის ძე ქიქოძე დაიბადა 1885 წელს სოფ. ბახვში, მახარაძის რაიონში. მან ქუთაისის რეალური სასწავლებელი დაამთავრა და ქართველი მრეწველის ზუბალაშვილის სტიპენდიით ლაიპციგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში სწავლობდა. აქ ის სოციალისტური იდეებით განიმსჭვალა, მარქსისა და ენგელსის ნაშრომებს გაეცნო. 1905—1906 წლებში გ. ქიქოძე ბოლშევიკურ გაზეთებში თანამშრომლობდა. ამის შემდეგ გ. ქიქოძე ჯერ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაში იყო, ხოლო შემდეგ ეროვნულ-დემოკრატების პარტიაში შევიდა. პოლიტიკური მოღვაწეობისათვის 1905 წელს დააპატიმრეს, ხოლო 1910 წელს სამი წლით კავკასიიდან გადაასახლეს. ის ევროპაში ცხოვრობდა და მხოლოდ ომის წინ დაბრუნდა სამშობლოში. 1917—1921 წლებში გ. ქიქოძე აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა და ქართველ მოღვაწეთა იმ რიცხვს ეკუთვნოდა, რომელიც საბჭოთა რუსეთთან კავშირის განმტკიცებას უპერდა მხარს. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, 1922 წელს, გ. ქიქოძე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე იყო. 1924—1926 წლებში ის გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში მუშაობდა, 1931—1932 წწ. უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა. გ. ქიქოძე გარდაიცვალა 1960 წელს თბილისში, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გ. ქიქოძე ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი და კრიტიკოსი იყო. მეტად ყურადსაღებია აგრეთვე მისი ისტორიული ნაშრომები.

---

[66] ფ. არისტოვი, რუსული ეროვნული საკითხი ამიერკავკასიაში თბ., 1918 (რუს. ენაზე).

[76] გ. ქიქოძე, ეროვნული ენერგია, თბილისი, 1919.

[68] გ. ქოქოძე, პოლიტიკური წერილები, თბილისი, 1920.

გ. ქიქოძის წიგნში „ეროვნული ენერგია“ ჩვენთვის საინტერესოა წერილი „ნოე ჟორდანია და სოციალიზმის ნაციონალიზაცია“. რომელიც ავტორს 1917 წელს დაუწერია. ავტორი, განსხვავებით სხვებისაგან, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მიმართულებისათვის აღგილობრივ ნიადაგს პოულობდა, მათ ისტორიულ ფესვებს ეძებდა. ის ასეთივე პრინციპით მიუდგა მენშევიზმის ისტორიას საქართველოში, მისი აზრით, ქართველ და რუს მენშევიკებს უფრო მეტად ორგანიზაციული კავშირი ჰქონდათ, ვიდრე იდეური. ქართული მენშევიზმი „მესამე დასის“ ნიადაგზე აღმოცენდა, ხოლო „მესამე დასი“ ქართველი ერის ორგანული განვითარების ნაყოფი იყო; ეგნატე ნინოშვილისა და გიორგი წერეთელის მეშვეობით „მესამე დასი“ საქართველოს სულიერ კულტურასა და ისტორიულ ტრადიციებთან იყო დაკავშირებული.

წერილში ნათქვამი იყო, რომ ქართველი მენშევიკების ლიდერი ნ. ჟორდანია თავისი განვითარებითა და აზროვნებით დასავლეთ ევროპის სოციალისტებთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე რუს მენშევიკებთან. გ. ქიქოძე აკრიტიკებდა ნ. ჟორდანიას, რომელმაც მენშევიკებისა და ბუნდის გავლენით მკაცრი ბრძოლა გაუმართა ქართველი ერის ტერიტორიული ავტონომიის იდეასა და ქართველ ფედერალისტებს. მაგრამ ნ. ჟორდანიას იქვე აქებდა იმისათვის, რომ მან მოახერხა ძველი გზის უარყოფა დ ქართული სოციალიზმის გზის გამოძებნა. ავტორი მის პარტიულ ევოლუციას მთელი ქართველი სოციალ-დემოკრატიის ევოლუციათ მიიჩნევდა.

გ. ქიქოძის აზრით, მართალია, ქართველი მენშევიკები თავს მენშევიკებს უწოდებდნენ, მაგრამ აღარ აწარმოებდნენ მენშევიკურ პოლიტიკას. ისინი დასცილდნენ რუს მენშევიკებს. მისი თქმით, საქართველოს არ ჰყავდა იმპერიალისტური ბურჟუაზია. ქართველი მენშევიკების გავლენა დიდია, მაგრამ ის ქართულ დროშას არის ამოფარებული. ავტორი ამტკიცებდა, რომ ნ. ჟორდანია თავისი ეროვნული იდეით უკვე ქართველი ხალხის მეთაური გახდა. ამ წერილში ავტორი გამოდიოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ და ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ქართველი ბოლშევიკები 1917 წელს არ ცნობდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხს.

1920 წელს „პოლიტიკურ წერილების“ პირველ წერილში („პარლამენტარიზმი თუ საბჭოთა კონსტიტუცია?“) გ. ქიქოძე წერდა, რომ ქართველი ერი კლასობრივ საზოგადოებას არ წარმოადგენდა, რომ აგრარული რეფორმის შემდეგ, რომელმაც შრომის ნორმა შექმნა საქართველოში, აღარ იყო არც მემამულეთა არისტოკრატია და არც ბურ-

ეუაზია. ამის შედეგად დაასკვნიდა, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება თითქოს ამიტომ ერთფეროვანი იყო. დამფუძნებელი კრების წევრები აღიარებდნენ სხვადასხვა დოქტრინებს, მაგრამ არ წარმოადგენდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასებს.

ერთადერთი პარტია, რომელიც ცდილობდა განსაკუთრებულ კლასობრივ ნიადაგზე დამდგარიყო, ეს ეროვნულ-დემოკრატების პარტია იყო, მაგრამ რეფორმამ მასაც ნიადაგი გამოაცალა და გრ. ვეშაპელის შეურიგებლობაც გაქრა. გ. ქიქოძის სამართლიანი აზრით, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები (მემარცხენე ოპოზიცია) დამფუძნებელ კრებაში ყოველთვის უფრო ლმობიერი იყო, რადგან ისინი იმავე საზოგადოებრივ ელემენტებს ეყრდნობოდნენ, რასაც მენშევიკები, ე. ი. წვრილბურჟუაზიას.

გ. ქიქოძემ მოითხოვა, რომ დამფუძნებელ კრებას საბჭოთა კონსტიტუცია შეემუშავებინა და წამოაყენა ლოზუნგი „დამფუძნებელი კრებიდან საბჭოთა რესპუბლიკისაკენ!".

„პოლიტიკურ წერილებში" გ. ქიქოძე აშკარად საბჭოთა რუსეთის ორიენტაციის მოღვაწე იყო. ერთ წერილში „აღმოსავლეთი თუ დასავლეთი?" ის წერდა, რომ ქართველმა ერმა დიდი მადლობით უნდა მოიხსენიოს რუსეთის დიდი რევოლუცია, რომელმაც საქართველოს თავისუფლება მოუტანა. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა საქართველო მხოლოდ მას შემდეგ იცნეს, როცა წითელმა არმიამ კონტრრევოლუციაზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ამ კრებულის სხვა წერილებშიც გ. ქიქოძე გამოდიოდა, როგორც საბჭოთა რუსეთის მეგობარი და მოუწოდებდა ქართველ ერს საგარეო ორიენტაციის შეცვლისაკენ.

4

1917—1920 წლების საქართველოს ისტორიის შესწავლა იმავე პერიოდში დაიწყო პროფესიონალურმა ქართულმა ბურჟუაზიულმა და დემოკრატიულმა ისტორიოგრაფიამ. ქართველი ისტორიკოსები საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარებას, მისი სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ. ამის მოწმობაა ამ საკითხებზე პროფესიონალი მკვლევრების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა, ამ ნაშრომებში დასმულ საკითხთა მნიშვნელობა და ბოლოს ის, თუ ვინ, რა კვალიფიკაციის ისტორიკოსები მუშაობდნენ ამ საკითხებზე. 1917—1920 წწ-ში საქართველოს ისტორიის პროფესიონალურ ისტორიკოსთა მეცნიერული კონცეფციის შემუშავებას დიდად შეუწყო ხელი წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოებამ.

1917—1920 წლების საქართველოს ისტორიის საკითხები უყურადღებოდ არ დარჩენია დიდ ქართველ ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს ივანე ჯავახიშვილს. როდესაც დადგა ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი, უპირველესად წამოიჭრა ქართული სახელმწიფოს საზღვრების დადგენის აუცილებლობა. ძნელი იყო თითქმის ერთ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ სახელმწიფო საზღვრების აღდგენა, მეზობელ ერებთან გამიჯვნა, რუსულ ადმინისტრაციულ ერთეულებიდან ეროვნული სახელმწიფოების შექმნა.

ივ. ჯავახიშვილმა ქართული სახელმწიფოს საზღვრების დადგენის საკითხს მიუძღვნა ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“[69]. ამ ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი, არსებულ ისტორიულ ვითარებაში საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს საზღვრებია გარკვევისას, სახელმწიფოებრივი და არა ეთნოგრაფიული პრინციპით ხელმძღვანელობდა; ნაშრომი დაწერილია მეზობელი ხალხების, მათი სახელმწიოებრივი და ეროვნული ინტერესებისადმი უაღრესი პატივისცემის გრძნობით. ივ. ჯავახიშვილის მიერ ამ მხრით გაწეულმა მუშაობამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. როდესაც საქართველოში და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, საბჭოთა რესპუბლიკების გამიჯვნას დიდი მეცნიერის მიერ ჩატარებულმა შრომამ დიდად შეუწყო ხელი.

საქართველოს საზღვრებზე გამოსცა წიგნი აგრეთვე მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ. 1918 წელს, სტამბულში, კათოლიკე ქართველთა სავანის სტამბაში დაიბეჭდა პ. ინგოროყვას ნაშრომი „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“[70]. ამ წიგნში გარდა საქართველოს ტერიტორიის საზღვრებისა განხილულია აგრეთვე საქართველოს მოსახლეობის საკითხიც.

1919 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოვიდა ცნობილი ქართველთმცოდნის, პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორის ალექსანდრე ცაგარლის წიგნი „საქართველოს უცილობელი უფლებანი მისი დამოუკიდებლობის ცნობაზე და სახელმწიფო საზღვრების აღდგენაზე“[71].

---

69 ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919.

70 პ. ინგოროყვა. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, მოკლე სამახსოვრო ცნობა, კონსტანტინეპოლი, 1918.

71 ალ. ცაგარელი, საქართველოს უცილობელი უფლებანი მისი დამოუკიდებლობის ცნობაზე და სახელმწიფო საზღვრების აღდგენაზე, თბ., 1919 (რუს. ენაზე).

ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი დაიბადა 1844 წელს. კასპში. მღვდლის ოჯახში. ალ. ცაგარელმა 1859 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, ხოლო 1865 წელს კი სასულიერო სემინარია. სემინარიის დამთავრების შემდეგ დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია და 1867 წელს შეეიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ალ. ცაგარელი სხვადასხვა ცნობილი ენათმეცნიერის ლექციებს ისმენდა მიუნხენში, ტუბინგენში, ვენაში. 1871 წ. ალ. ცაგარელმა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი დ. ჩუბინაშვილი შეცვალა ქართული ენის კათედრაზე. 1874 წლიდან იგი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტი, 1886 წლიდან ორდინარ პროფესორი, 1897 წლიდან კი დამსახურებული პროფესორი. მოხუცებულობის ჟამს თბილისში ჩამოვიდა და 1922 წლიდან იყო თბილისის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი. ალექსანდრე ცაგარელი გარდაიცვალა 1929 წელს და დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში. მისმა გამოკვლევებმა ენათმეცნიერებაში დიდი როლი შეასრულა ქართული ენის კვლევა-ძიების საქმის სათანადო მეცნიერულ დონეზე დაყენებაში. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში. ის ცნობილია, აგრეთვე, როგორც გამომცემელი ისტორიული დოკუმენტისა და თავის დროზე ბევრს ფიქრობდა საქართველოს პოლიტიკურ ბედზე. მას ამ საკითხზე სათანადო ნაშრომებიც ჰქონდა გამოქვეყნებული[72].

ალექსანდრე ცაგარლის ამ ნაშრომის დანიშნულება იყო დაესაბუთებინა ის ისტორიული და იურიდიული საფუძვლები, რომლის ბაზაზეც საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და სახელმწიფო საზღვრების აღდგენის უფლება ჰქონდა.

ალ. ცაგარელი ქართველ სამოციანელების უმცროს თაობას ეკუთვნოდა. ამასთან ერთად, ის რუსეთის მოწინავე პროგრესულ ინტელიგენციასთან ახლოს იდგა; მაგრამ მისთვის, ისევე როგორც რუსეთის უნივერსიტეტის პროფესურის უმეტესი ნაწილისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია თავდაპირველად გაუგებარი იყო. ამიტომ იყო, რომ 1919 წელს ალ. ცაგარელი გვერდს უვლიდა რუსეთში მომხდარ დიდ სოციალურ გადატრიალებას და მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნულ მოწყობაზე ზრუნავდა. ალ. ცაგარელი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების უფლებას ასაბუთებდა, სოციალურ საკითხებს არ ცნობდა და წინა პლანზე ეროვნულ საკითხს აყენებდა.

ალ. ცაგარელმა განიხილა საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან, თურქეთთან, სპარსეთთან, სომხეთთან, უახლოეს მეზობლებთან და ისტორიაში ღრმა წიაღსვლით დაასაბუთა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა ისტორიული აუცილებლობა იყო და რომ ამ აუცილებლობის განხორციელებისათვის საქართველოს საკმარისი პოტენციური ძალა ჰქონდა. ალ. ცაგარელმა თავის დროზე და-

72 აკაკი შანიძე. პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი (1844—1929). ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტფ., 1930.

დი საქმე გააკეთა იმით, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის დოკუმენტები გამოსცა. მას დიდი ცოდნა ჰქონდა დაგროვილი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიაში. ამ ნაშრომში მან ეს ურთიერთობა საქართველოს მაშინდელი ვითარების, საქართველოს ახლად შექმნილი ბურჟუაზიული სახელმწიფოს თვალსაზრისით გაიაზრა.

ალ. ცაგარლის აზრით, საქართველო მუსლიმანური სამყაროს ალყაში იყო მოქცეული და XV საუკუნიდან მან დიპლომატიური კავშირი მოსკოვის ქრისტიანულ სახელმწიფოსთან გაბა. პეტრე I-დან დაიწყო საქართველო-რუსეთის ერთობლივი სამხედრო მოქმედება ქრისტიანების საერთო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ამ სამხედრო კამპანიებიდან საქართველო ყოველთვის დაზარალებული გამოდიოდა. 1763 წ. ტრაქტატს ის განიხილავდა, როგორც სამხედრო კონვენციას, რომლითაც საქართველო და რუსეთი ვალდებულებას იღებდნენ ურთიერთის სახელმწიფო დაეცვათ მტრებისაგან, ხოლო 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტს კი აქტად, რომელმაც მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფო რუსულ გუბერნიად გარდაქმნა. 1812 და 1832 წწ. გლეხთა და თავადაზნაურთა შეთქმულებები და აჯანყებები გამოწვეული იყო მეფის რუსეთის უხეში კოლონიური პოლიტიკით. 1917 წელმა ეს ისტორიული უსამართლობა გამოასწორა. ასე ფიქრობდა ალ. ცაგარელი, მაგრამ რომ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგი იყო, ამას კი არ წერდა

ალექსანდრე ცაგარელი განიხილავდა აგრეთვე თურქეთის და სხვა მეზობელი ქვეყნების იმ ტერიტორიების საკითხს, რომლებიც ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდნენ და ასაბუთებდა საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს.

ცნობილი მეცნიერის ეს ნაშრომი სამშობლოს დიდი სიყვარულითა და ღრმა ცოდნით იყო დაწერილი. მაგრამ კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი არ ცნობდა ახალ, საბჭოთა რუსეთს და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას სოციალური საკითხებისგან მოწყვეტით განიხილავდა.

1917—1920 წლების საქართველოს ისტორიის შესწავლამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ისტორიკოს სიმონ ავალიანის შემოქმედებაში. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ს. ავალიანმა მრავალი ნაშრომი გამოაქვეყნა რუსეთის უახლესი ისტორიის საკითხებზე. მარტო 1917 წელს პეტერბურგში მან ოთხი

ნაშრომი გამოსცა თანამედროვეობის მეტად აქტუალურ საკითხებზე[73]. საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებს მან ორი ნაშრომი მიუძღვნა. 1919 წელს ოდესაში გამოვიდა მისი ნაშრომი „საქართველო და მოხალისეთა არმია"[74], ხოლო 1920 წელს ქუთაისში გამოიცა მისი წიგნი „მიწათმფლობელობა საქართველოში"[75].

სიმონ ლუკას ძე ავალიანი დაიბადა 1881 წელს ქუთაისში. 1900 წელს დამთავრა ქუთაისის გიმნაზია, ხოლო 1904 წელს — ოდესის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ისტორიული განყოფილება. 1909 წელს ს. ავალიანი აირჩიეს ოდესის უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის კათედრის პრივატ-დოცენტად. 1916—1918 წწ. იყო პეტროგრადის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. 1919 წელს ს. ავალიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად აირჩიეს. გარდაიცვალა ს. ავალიანი 1922 წელს თბილისში. გამოჩენილი მეცნიერის კალამს ეკუთვნის 50-მდე შრომა, რომელთაგან უმთავრესი იყო „გლეხთა საკითხი ამიერკავკასიაში" 5 ტომად. „გრაფი ეორონცოვი და გლეხთა საკითხი" ორ ტომად. ს. ავალიანი პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მენშევიკების მთავრობაში მას ერთხანს ფინანსთა მინისტრის პოსტი ეკავა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საგარეო ვაჭრობის კომისარიატში მუშაობდა[76].

ნაშრომში „საქართველო და მოხალისეთა არმია" ს. ავალიანი წერდა: თუ საქართველოს მენშევიკი მესვეურები 1918 წლის მაისამდე თავს იკავებდნენ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადებისაგან, ეს მოტივირებული იყო იმ პრინციპული მოსაზრებით, რომ როგორც მთელი რუსეთის, ისე საქართველოს პოლიტიკური წყობის საკითხი დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა. შემდეგ დამფუძნებელი კრება გარეკილი იქნა, მაგრამ მენშევიკებს კვლავ ჰქონდათ იმედი სოციალისტური რევოლუციის დამარცხებისა და ვერ ბედავდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ დამფუძნებელი კრებისათვის. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ ჩაქრა იმედი ბურჟუაზიული რუსეთის აღდგენისა და ქართველმა მენშევიკებმაც დამოუკიდებელი ცხოვრების გზა აირჩიეს.

---

73 ს. ავალიანი, მიწის საკითხი რუსეთში და კოოპერაცია, პეტროგრადი, 1917 (რუს ენაზე); მისივე მიწის საკითხი სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის პროგრამაში, პეტროგრადი, 1917 (რუს. ენაზე); მისივე ეროვნული საკითხი რუსეთში და მისი გადაწყვეტა პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებში, პეტროგრადი, 1917 (რუს. ენაზე); მისივე, საადგილ-მამულო კომიტეტები და მათი ამოცანები რუსეთში მიწის საკითხის გადაწყვეტის საქმეში, პეტროგრადი 1917 (რუს. ენაზე).

74 ს. ავალიანი, საქართველო და მოხალისეთა არმია, ოდესა, 1919 (რუს. ენაზე).

75 ს. ავალიანი, მიწათმფლობელობა საქართველოში, ქუთაისი, 1920.

76 ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1918—1928, ტფ. 1928.

ს. ავალიანი ამ ნაშრომში ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოდიოდა და წერდა, რომ საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა, სადაც ხელისუფლება არცერთი დღით არ გადასულა საბჭოების ხელში. მისი აზრით, საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის ფართო პროგრამა ხორციელდებოდა, მაგრამ ამას ხელს უშლიდა მოხალისეთა არმია. ს. ავალიანი დაწვრილებით გადმოსცემდა საქართველოს მენშევიკური მთავრობისა და მოხალისეთა არმიის ურთიერთობასა და სოჭის ოლქის ირგვლივ გამართული დავის ისტორიას. ს. ავალიანის აზრით, მენშევიკური მთავრობა შეუპოვრად ებრძოდა ბოლშევიკებს და ამან მიიყვანა მათი ჯარები სოჭის ოლქში. ამ ამბის თხრობის დროს ს. ავალიანი საქართველოს მენშევიკური მთავრობის ოფიციალური ვერსიის დამცველად გამოდიოდა და კონფლიქტში ბრალს დებდა მოხალისეთა არმიის სარდლობას.

ავტორი წერდა, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა ერთი მხრით, ებრძოდა ბოლშევიკებს, ხოლო, მეორე მხრით, მოხალისეთა არმიის იმ ჩინოსნებს, რომლებიც მონარქისტულ პროპაგანდას ეწეოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ის წერდა აგრეთვე, რომ საქართველოში დემოკრატიული წყობა იყო და ეს წყობა არ ჩაგრავდა საქართველოში მცხოვრებ რუს მოსახლეობას. მოხალისეთა არმიის ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ საერთო საქმის-ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საზარალოდ გამოდიოდა, რადგან ამით ძალთა დაქსაქსვა ხდებოდა.

ს. ავალიანი საქართველოს აგრარული საკითხის დიდი მცოდნე იყო. მის ფუნდამენტალურ შრომებს ამ საკითხზე დღესაც დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს. ს. ავალიანის მეცნიერულ ინტერესების მიღმა არ დარჩენილა 1917—1920 წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ისტორია. მან 1920 წელს ქუთაისში გამოსცა მცირე ფორმატის წიგნი „მიწათმფლობელობა საქართველოში“.

ავტორი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ასაბუთებდა იმას, რომ 1918 წლის დასაწყისისათვის ქართველი თავადაზნაურობის მიწის მფლობელობა შემცირდა XX ს. დასაწყისთან შედარებით. ს. ავალიანი არკვევდა გლეხთა მდგომარეობასაც და წერდა, რომ საქართველოს გლეხობის 12,3% ხვნა-თესვას არ ეწეოდა და მიწის სიმცირის გამო მებაღეობა-მევენახეობას მისდევდა. გლეხთა საერთო მდგომარეობის შეფასებისას წერდა, რომ „ნივთიერი მდგომარეობა საქართველოს გლეხობისა ძლიერ დაქვეითებული იყო. ის მცირე მიწები, რომლებიც საქართველოს გლეხობას ჰქონდა, არ აძლევდა მას საშუალებას ხეირიანი მეურნეობის წარმოებისას. მეურნეობის წარმო-

ება ძნელი იყო, რადგან გლეხობას არ ჰყავდა მუშა-საქონელი"[77]

ს. ავალიანმა განიხილა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა და ამიერკავკასიის კომისარიატის მიწის კანონები და ამ კანონებით დაწესებულ მიწის ფასს გლეხებისათვის ხელმისაწვდომად თვლიდა. მისი აზრით, მიწის რეფორმა მშრომელი ხალხის ინტერესებს, მის ნივთიერ მდგომარეობას იცავდა. ს. ავალიანი წერდა, რომ მენშევიკების მიერ გატარებულმა მიწის რეფორმამ მიწისმფლობელობის წესი შესცვალა, წვრილ მეურნეთა მიწისმფლობელობა გააფართოვა. მართალია, ეს გაფართოება სრულიად ვერ უზრუნველყოფდა გლეხს მიწით, მაგრამ უმთავრესი ცვლილება ის იყო, რომ მეურნეს მოეხსნა მონობა და მორჩილება, რაც მიწისმფლობელობის ძველი წესით იყო გამოწვეული. „ამიერიდან საქართველოში მიწის გამგე და გამნაწილებელი არის სახელმწიფო და ის იცავს მშრომელთა ინტერესებსო" — აცხადებდა ს. ავალიანი. ქვეყნად მიმდინარე აგრარულ მოძრაობას, გლეხთა აჯანყებებს ს. ავალიანი ვერ ხედავდა თავისი წვრილბურჟუაზიული მრწამსის გამო, ხოლო ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მშრომელების ქომაგად აცხადებდა.

ს. ავალიანის ისტორიული კონცეფცია 1917—1920 წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური ისტორიის საკითხებზე მიმართული იყო საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. პროფესიონალი, მაღალკვალიფიცირებული ისტორიკოსი თავისი მრწამსით იმავე პოზიციაზე იდგა, როგორზეც მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური მესვეურები. ს. ავალიანი თავისი ისტორიული ნაშრომებით ქართველ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიათა პოლიტიკური ხაზის სისწორის დასაბუთებას ემსახურებოდა. ს. ავალიანი აპირებდა საქართველოს ბურჟუაზიული სახელმწიფოს წარმოქმნა-ჩამოყალიბების ისტორიაზე ნაშრომის გამოცემას, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ვერ მოახერხა[78]. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ეს მეტად ავტორიტეტული მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე, საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგა. ამან გამოიწვია უკმაყოფილება ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილისა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად იყო განწყობილი[79].

1920 წელს ს. დარიანის ფსევდონიმით ს. დანელიამ გამოსცა წიგნი „საქართველოს ეკონომიური ვითარებისათვის"[80].

---

77 ს. ავალიანი, მიწათმფლობელობა საქართველოში, ქუთაისი 1920, გვ. 18.

78 ს. ავალიანი, საქართველოს და მოხალისეთა არმია.

79 იხ. გაზეთი „ტრიბუნა", 1922 წ. 15 აგვისტო.

80 ს. დარიანი, საქართველოს ეკონომიური ვითარებისათვის, ტფილისი, 1920

სერგი იოსების ძე დანელია დაიბადა 1888 წელს სოფ. ნაჯახაოში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ჯერ ხარკოვის. ხოლო შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ს. დანელიამ უნივერსიტეტი 1911 წელს დამთავრა. შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას რუსეთსა და საქართველოში. 1920 წელს ის მიწვეული იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის დისციპლინათა ლექტორად. ს. დანელია 1922—1929 წწ. უნივერსიტეტის დოცენტი. ხოლო 1930 წლიდან პროფესორი იყო. განაგებდა რუსული ენის და ლიტერატურის კათედრას. იყო მწერალთა კავშირის წევრი, ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელი. გარდაიცვალა 1963 წელს თბილისში. ს. დანელია მრავალი ნაშრომის ავტორია ფილოსოფიასა და ლიტერატურის ისტორიაში.

ს. დანელიას აზრით, საქართველო პოლიტიკური განვითარების გზას დაადგა და ეს ბევრს ავალებდა ქართველ ერს. მას არ სწამდა ქართველ მენშევიკთა ეროვნულობა და მისი აზრით. მათი რეალური პოლიტიკა მათსავე იდეოლოგიას ეწინააღმდეგებოდა. ავტორი აქედან დასკვნას აკეთებდა, რომ მენშევიკები საქართველოს ინსტიქტურად მართავდნენ. ისინი ღირსეულად ვერ აფასებდნენ ქართველი ერის სხვადასხვა ფენებს მთლიანი ეროვნული იდეის თვალსაზრისით. ს. დანელია აკრიტიკებდა მენშევიკური მთავრობის პოლიტიკურ საზს. ს. დანელია საქართველოში მენშევიკების გავლენას იმით ხსნიდა, რომ რევოლუციის მსვლელობამ მათ პოლიტიკური ძალაუფლება ჩაუგდო ხელში. ამ დროს ქვეყნად ეროვნული ჩრდილავდა ყველაფერს და მენშევიკებმა გონების ჩარჩოები, თავიანთი მრწამსი ამ საკითხში დატოვეს და ინსტიქტებს დაეყრდნენ. ქვეყნად ეროვნულმა ინსტიქტმა ისეთი ძალით იფეთქა, რომ თვით მთავრობაც კი გაიტაცა, მთავრობა, რომლის იდეოლოგიასა და ეროვნულ ინსტიქტებს შორის დიდი წინააღმდეგობა იყო. მენშევიკების მთავრობამ ხალხის გავლენის შესანარჩუნებლად თავის იდეოლოგიას უღალატა და ხალხს გაჰყვა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მენშევიკებს ქვეყნად გავლენა ჰქონდათ.

მენშევიკების მმართველობამ ქვეყანას სამეურნეო ნგრევა, განუკითხაობა და შიმშილი მოუტანა. ს. დანელია აკრიტიკებდა იმათ, ვინც საქართველოს შიგნით კლასებს არ ცნობდა და წერდა, რომ ქვეყნის შიგნით მოწინააღმდეგე ფენები არსებობდა და მათ შორის ბრძოლა გარდუვალიაო. ნაშრომის ავტორი არ იზიარებდა იმ კონცეფციას, რომ საქართველოში კაპიტალიზმი უნდა განვითარდესო (ნ. ჟორდანია, არჩ. ჯორჯაძე). ეს მაშინ, როდესაც ქვეყნად კაპიტალიზმის განვითარების დონე რუსეთის კაპიტალიზმის დონეს ბევრით არ ჩამოუვარ დებოდა.

ს. დანელიას აზრით, როცა ქართველ ერს არ ჰქონდა პოლიტიკური სახე, სახელმწიფოებრიობა, მაშინ სხვადასხვა სოციალური ჯგუ-

ფების წინააღმდეგობა დაჩრდილული იყო ერის პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლით. ცხადია, ს. დანელიას ეს დებულება მცდარი იყო. ქვეყნად მწვავე კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა და ეს ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან იყო გადახლართული. მისი აზრით, მას შემდეგ, რაც შეიქმნებოდა ქართული სახელმწიფოებრიობა და ეროვნული საკითხი ისე მწვავედ აღარ დადგებოდა. კლასობრივი ბრძოლა სულ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებდა. აქედან გამომდინარე მწვავე პარტიული ბრძოლა დაიწყებოდა ქვეყნის შიგნით და ქართულ ეროვნულ იდეასაც ორგვარი ინტერპრეტაცია მიეცემოდა. ერთნი შეეცდებოდნენ ეროვნული იდეა ერის უმრავლესობის საექსპლოტაციოდ გამოეყენებინათ, ხოლო მეორენი შეეცდებოდნენ ქვეყნის პროგრესისათვის გამოეყენებინათ ეს იდეა.

ნაშრომის ავტორი უარყოფდა იმას, რომ საქართველოს ქალაქებში მსხვილი მრეწველობა განვითარდებოდა, რომ ქალაქები სოფლის დაცარიელების ხარჯზე იზრდებოდნენ, რომ ამ ეპოქის ქალაქის ცნება სრულიადაც არ შეიცავდა მრეწველობის ცნებას.

ს. დანელიას აზრით, საქართველოს სოფელში წვრილი მიწათმფლობელობა შეიქმნა. იგი გამოდიოდა მსხვილი მამულების წინააღმდეგი, ქვეყნად ხედავდა სოფლის ამერიკული გზით განვითარების პროცესს. ამასთან ერთად, ს. დანელია აუცილებლად ცნობდა კერძო საკუთრებას და წერდა, რომ საქართველოში საზოგადოებრივი საკუთრება ვერ განვითარდებაო. მრეწველობა არ გვაქვს და არც გვექნება. ამიტომ უცხოეთის მრეწველობის პროდუქცია უნდა შემოვიტანოთ, ხოლო სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია უნდა მოხდეს და ამ გზით შევძლებთ საქართველოს მოსახლეობის შენახვასო.

ს. დანელიას ისტორიული კონცეფციები 1917—1920 წწ. საქართველოს ისტორიაზე წვრილბურჟუაზიული ისტორიკოსის შეხედულებებია. ის მიმართული იყო მენშევიზმის წინააღმდეგ, მენშევიკური იდეოლოგიის წინააღმდეგ. ავტორი კარგად ხედავდა თუ ისტორიულმა პროცესებმა, ეროვნული საკითხის აქტუალობამ როგორ მოახდინა ამ საკითხში მენშევიკური იდეოლოგიის ევოლუცია. ს. დანელია გამოდიოდა საქართველოს კაპიტალისტური განვითარების წინააღმდეგ, მისი ისტორიოგრაფიული შეხედულებები გლეხური იდეოლოგიის ანარეკლია.

1918 წელს გამოვიდა გ. მამრაძის წიგნი „საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება"[81], სადაც მოცემული იყო ისტორიული კონ-

---

[81] გ. მ ა მ რ ა ძ ე, საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება, თბ., 1918

ცეფცია 1917—1918 წწ-ში. საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე.

გიორგი გრიგოლის ძე მამრაძე დაიბადა 1887 წელს თბილისში, დაამთავრა თბილისის მეორე გიმნაზია და 1908 წელს სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლისას გ. მამრაძე აქტიურად მონაწილეობდა ქართული სათეისტომოს სამეცნიერო წრის საქმიანობაში. წრის მუშაობას ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა.

გ. მამრაძემ მონაწილეობა მიიღო ი. ყიფშიძის მიერ შედგენილი პირველი ქართული ბიბლიოგრაფიის მომზადებაში. გ. მამრაძემ 1913 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და დაბრუნდა სამშობლოში. გარდაიცვალა თბილისში 1921 წელს. გ. მამრაძე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრი იყო.

გ. მამრაძე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიმოხილვას საქართველოს უძველესი ისტორიიდან იწყებდა. ის ეხებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხებს და აღნიშნავდა, რომ ამ ნებაყოფლობითმა აქტმა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება დააკარგვინა. მაგრამ ამ აქტის დადებით მხარედ თვლიდა იმას, რომ რუსეთმა აღადგინა საქართველოს ისტორიული საზღვრები და დაამკვიდრა მშვიდობიანობა. გ. მამრაძე არჩ. ჯორჯაძეს მიიჩნევდა ილია ჭავჭავაძის გზის გამგოძელებლად ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ავტორმა ნაშრომში მოგვცა ისტორიული კონცეფციები XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაზეც. მისი აზრით, საქართველოში ფეოდალურმა სამყარომ ვერ შექმნა საჭირო ფაქტორები იმისათვის, რომ მესამე წოდება წარმოქმნილიყო. ქართველ ერს არ ჰყავდა ეროვნული ბურჟუაზია და მისი წარმოქმნა შეუძლებელი იყო. მის ნაცვლად სომხის ბურჟუაზია იყო საქართველოში (ცხადია, გ. მამრაძის ეს მოსაზრება არაფრით არ დასტურდება. ქართული ბურჟუაზია XIX—XX სს.-ში საკმარისად ძლიერი საზოგადოებრივი ძალა იყო საქართველოში). რადგან არ არსებობდა ქართული ბურჟუაზია, მაშასადამე, არ შეეძლო არსებობა ეროვნულ რეალიზმს და ქართული ეროვნული საკითხი ყოველთვის იღებდა რომანტიულ-ლიტერატურულ ან იდეალისტურ-უტოპიურ ელფერს. ყველა. იდეური მიმდინარეობა — ქართველი სოციალისტების, სოციალისტ-ფედერალისტების, ბოლშევიზმი რუსულ შემოქმედების წყაროებით იკვებებოდაო, — წერდა გ. მამრაძე. მხოლოდ ქართული მენშევიზმი იყო ევროპიდან გადმოსული, ევროპული ცხოვრების წარმონაშენი. ადრე ის წერდა, რომ საქართველო თავისი კულტურითა და საზოგადოებრივი წყობით ევროპული ქვეყანა იყოო და აქედან გამოდის დასკვნა მენშევიკების გავლენის გაძლიერების შესახებ. ევროპულ ქვეყანაში ევროპული

იდეოლოგია მაგრად იკიდებდა ფეხს. ცხადია, გ. მამრაძის ასეთი კონცეფცია, ასეთი მსჯელობა ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ჩვენი კულტურა, საზოგადოებრივი წყობა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ევროპული კი არ იყო, არამედ ქართული იყო და მას შემოქრილი იდეოლოგიიდან ყველაზე მეტად ის მოერგებოდა, რომელიც მშრომელი კლასების ინტერესებს დროულად და საქმიანად შეეპასუხებოდა.

XX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ისტორიას გ. მამრაძე სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) და სოციალისტ-ფედერალისტების ბრძოლის ისტორიად წარმოადგენდა. საქართველოში, რომელიც ამიერკავკასიაში ყველაზე ძლიერი ეროვნული ერთეული იყო თავისი ისტორიული ტერიტორიით, კულტურულ-პოლიტიკური ტრადიციით, გაიმარჯვა ისეთმა მიმართულებამ, რომელიც ეროვნულ საკითხს არ ცნობდა, მაშინ საფრანგეთში ქართველი ინტელიგენტების ერთი ჯგუფი გადაიხვეწა და იქ შექმნა ჟურნალი „საქართველო", ჩაისახა ქართული ახალი წმინდა ეროვნული მიმართულება. ამ იდეის მატარებელმა პარტიამ გავლენა მოიპოვა საქართველოში. მაგრამ 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, მან ეროვნული აღორძინება ვერ მოუტანა საქართველოს და საშუალო ქართველს იმედი გადაუწყდა; ის ჩამოსცილდა ამ სოციალისტურ პარტიებს და მიუდგა ქართველ სოციალ-დემოკრატ-ავტონომისტებს (გაზეთ „ალიონის" ჯგუფი) და ეროვნულ-დემოკრატებს. ბრძოლა იყო ქართული ეროვნულობისათვის. რუსეთის რევოლუციამ დაამხო რუსეთის იმპერია და საქართველოს ტრაგიზმსაც ბოლო მოუღო.

როდესაც გ. მამრაძე XX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ისტორიას განიხილავდა, ის ქართულ პოლიტიკურ პარტიათა იქით სოციალურ კლასებს ვერ ხედავდა და მხოლოდ ეროვნული თვალსაზრისით, ეროვნული პროგრამის ავკარგიანობით აფასებდა ამა თუ იმ პარტიის მოღვაწეობას. გ. მამრაძე რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას ისტორიულ აუცილებლობად არ მიიჩნევდა. ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ როგორც რუსეთმა, ისე საქართველომ თავისუფლება მოიპოვა „არა ორგანულის მსვლელობით, არამედ სტიქიურად; ვინაიდან, თანამედროვე მსოფლიო ქარტეხილის უმთავრესი ძარღვი, რომელმაც გამოიწვია რუსეთის რევოლუციით მოხდენილი რუსეთის სულიერი აღორძინების დასაწყისი, მოქცეულია არა რუსეთის იმპერიაში, არამედ დასავლეთ ევროპის შუაგულში"[82].

---

[82] გ. მ ა მ რ ა ძ ე, საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება, თბ., 1918, გვ. 40.

გ. მამრაძის ძირითადი ისტორიული კონცეფცია საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების შესახებ ერის ისტორიაში უპირატესობას გარეგან ძალას ანიჭებდა და ამცირებდა ერის ისტორიული განვითარების შინაგანი კანონების როლს, რაც მცდარი, არასწორი იყო.

1917—1921 წლებში საქართველოში მუშაობა მიმდინარეობდა წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესაქმნელად. მაშინდელი საქართველოს ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ისტორიკოსებს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ გამოქვეყნებული დოკუმენტური მასალის, როგორც მეცნიერული, ისე პროპაგანდისტული დანიშნულება. ამ მხრივ მთავრობამაც გაატარა სათანადო ღონისძიება — ჩამოყალიბდა სათანადო დაწესებულებები, რომლებსაც როგორც პოლიტიკური, ისე მეცნიერული დანიშნულებით წყაროთმცოდნეობითი ბაზა უნდა შეექმნათ. 1919 წელს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნა და ნაყოფიერად მუშაობდა ისტორიული კომისია. კომისიამ გამოაქვეყნა ამიერკავკასიის და საქართველოს მენშევიკური ორგანიზაციების არა ერთი დოკუმენტი. ასევე აქტიურად, მაგრამ უფრო სხვა — პოლიტიკური დანიშნულებით მუშაობდა დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისია.

[1918 წელს გამოვიდა „საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული 1918 წ."[83]. კრებული გამოსცა იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილებამ და მასში დაიბეჭდა ყველა ის კანონი, რომელიც მიღებულ იყო 1918 წლის 26 მაისიდან 1918 წლის 1 იანვრამდე. კრებულში დაბეჭდილი იყო სულ 128 კანონი — დოკუმენტი იმ რიგითა და თანმიმდევრობით, როგორც მიღებულ იყო ჯერ ეროვნული საბჭოსა და შემდეგ საქართველოს პარლამენტის მიერ. კრებულს დართული ჰქონდა საგნობრივი სარჩევი ანბანის თანმიმდევრობით. კანონთა ეს კრებული იმ დროისათვის, გამოცემის თვალსაზრისით, მაღალ დონეზე იდგა.]

1918 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა საქართველოს მთავრობის მემუარი სახელმწიფოებსა და ერებს[84]. ამ ოფიციალურ დოკუმენტს დამატების სახით დართული ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მასალები საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

---

83 საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული, 1918, ტფ., 1919.

84 მემუარი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სახელმწიფოებსა და ერებს. ტფ., 1918.

თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ისტორიული კომისიის პირველი ღონისძიება ისტორიული დოკუმენტების გამოქვეყნების საქმეში ნ. ჟორდანიას მოხსენებების და სიტყვების გამოცემა იყო[85]. კომისიამ თავი მოუყარა 1917—1919 წლებში ნ. ჟორდანიას მიერ წარმოთქმულ სიტყვების, მოხსენებების სტენოგრაფიულ და საოქმო ჩანაწერებს, მოიყვანა ისინი სისტემაში და გამოაქვეყნა, როგორც ისტორიული დოკუმენტები. ეს მასალა დალაგებული იყო ქრონოლოგიურად. მას არ ახლდა არც საძიებლები და არც კომენტარები.

1918 წელს თბილისში გამოცემულ იქნა კავკასიის პროფესიონალური კავშირების პირველი სამხარეო კონფერენციის სტენოგრაფიული ანგარიში[86]

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" — მთავრობის ოფიციალური ორგანოს — დამატების სახით გამოდიოდა საქართველოს პარლამენტის სხდომათა სტენოგრაფიული ანგარიშები[87]; ასევე ქვეყნდებოდა საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომათა სტენოგრაფიული ოქმები[88].

1919 წელს ქართულად და რუსულად გამოვიდა საქართველოს პარლამენტის მიწის კანონების კრებული[89].

[მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა საქართველო-სომხეთს შორის 1918 წლის კონფლიქტის ისტორიის დოკუმენტების გამოქვეყნებას. როგორც ჩანს, მთავრობა გრძნობდა იმ მძიმე ვითარებას, რაც ამ კონფლიქტმა გამოიწვია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. რეაბილიტაციის მიზნით, მთავრობამ შექმნა ამ კონფლიქტის, საქართველო-სომხეთის ომის წარმოშობისა და მსვლელობის ოფიციალური ვერსია. ამ ვერსიის დასაბუთების საქმეს ემსახურებოდა დოკუმენტების არა ერთი კრებული.]

1919 წელს გამოვიდა წიგნი საქართველო-სომხეთის 1918 წლის ურთიერთობის ისტორიიდან[90]. ამ წიგნში კონფლიქტის მთელი პროცესი იყო აღწერილი სათანადო დოკუმენტების მოშველიებით. წიგნი საკმაოდ დიდი მოცულობის (141 გვერდი) იყო. დოკუმენტები

---

85 ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ორი წლის მანძილზე, მოხსენებები და სიტყვები, ტფ., 1919 (რუს. ენაზე)

86 კავკასიის პროფესიონალური კავშირების პირველი სამხარეო კონფერენცია, მოხსენებები, მასალები და რეზოლუციები, ტფ., 1918 (რუს. ენაზე).

87 საქართველოს პარლამენტი, სტენოგრაფიული ანგარიში, ტფ., 1918.

88 საქართველოს დამფუძნებელი კრება. ტფ. 1920.

89 საქართველოს პარლამენტის მიწის კანონები, ტფ., 1919.

90 სომხეთ-საქართველოს 1918 წ. ურთიერთობის ისტორიიდან (სასაზღვრო კონფლიქტები. მოლაპარაკებები, შეთანხმებები), ტფ.. 1919 (რუს. ენაზე).

ოთხ განყოფილებად იყო დალაგებული და ისტორიის თხრობა ამ დოკუმენტებით ხდებოდა. ეს განყოფილებები იყო: სასაზღვრო მდგომარეობა, (რომლის ნიადაგზეც წარმოიშვა კონფლიქტი), სამხედრო კონფლიქტის ისტორია, საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობა და სამხედრო შეტაკება.

მსგავსი ხასიათის წიგნი გამოვიდა იმავე 1919 წელს სათაურით „სომხეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი ფაქტიური მონაცემებისა და ნამდვილი დოკუმენტების საფუძველზე"[91].

1920 წელს გამოვიდა სახალხო გვარდიის ერთ-ერთი მეთაურის ვ. ჯუღელის წიგნი „სახალხო გვარდიელის ჩანაწერები". წიგნი რუსულ ენაზე გამოიცა, ილუსტრირებული იყო და მასში, ავტორის დღიურების სახით, გადმოცემული იყო სახალხო გვარდიის მთელი საქმიანობა. ისტორიული წყაროს თვალსაზრისით არის აღსანიშნავი ვ. ჯუღელის ეს წიგნი, რომელსაც ევგ. გეგეჭკორის წინასიტყვაობა ჰქონდა წამძღვარებული[92].

წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1917—1920 წწ. საქართველოს ისტორიის დოკუმენტების სამი მეტად მნიშვნელოვანი კრებულის გამოცემა.

1918 წელს საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტროს იურისკონსულტმა ლ. ასათიანმა შეკრიბა და ცალკე წიგნად გამოსცა დროებითი მთავრობის, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის, ამიერკავკასიის კომისარიატის, სეიმის, საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) მიწის კანონები, ამ კანონების ახსნა-განმარტებანი; კრებული რვა განყოფილებისაგან შედგებოდა და 109 დოკუმენტს შეიცავდა. კრებულს ახლდა ქრონიკა, საგნობრივი საჩვენებელი, დოკუმენტების ნუმერაციანი[93].

1919 წელს გამოვიდა დოკუმენტების კრებული ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ[94]. ამ კრებულში გამოქვეყნებული იყო 261 დოკუმენტი; ქრონოლოგიურად ეს დოკუმენტები ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგომ ხანის

---

91 სომხეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი ფაქტიური მონაცემებისა და ნამდვილი დოკუმენტების საფუძველზე, ტფ., 1919 (რუს. ენაზე).

92 ვ. ჯ უ ღ ე ლ ი. „მძიმე ჯვარი" (სახალხო გვარდიელის ჩანაწერები). ევგ. გეგეჭკორის წინასიტყვაობით, თბ., 1920, (რუს. ენაზე).

93 ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, რევოლუციის დასაწყისიდან 1918 წ. 1 ნოემბრამდე მიწათმოქმედების სამინისტროს ბაზით გამოცემული კანონების, ინსტრუქციების და ახსნა-განმარტებების კრებული, თბ., 1918 (რუს. ენაზე).

94 ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები, თბ. 1919 (რუს. ენაზე).

საგარეო პოლიტიკას შეეხებოდა და მოდიოდა 1919 წლის იანვრამდე. აქ იყო დეკლარაციები, ნოტები, დეპეშები, რეზოლუციები, სხვადასხვა ოფიციალური შეხვედრების, სხდომების ოქმები, ხელშეკრულებები და ა. შ. დოკუმენტების ეს კრებული 24 განყოფილებად იყო გაყოფილი და დალაგებული იყო თემატიკურად. დოკუმენტებს ჰქონდათ ლეგენდები, საერთო ნუმერაცია. მაგრამ კრებულს არ ჰქონდა საძიებლები, კომენტარები.

თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ისტორიულმა კომისიამ გამოსცა მენშევიკური საბჭოების ოქმები[95]. კომისიას გამიზნული ჰქონდა რამდენიმე ტომის გამოცემა, მაგრამ მხოლოდ ამ ერთი ტომის გამოცემა მოასწრო. პირველ ტომში გამოქვეყნებული იყო მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, მისი ბიუროს, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სხდომათა ოქმები და სხვა დოკუმენტები. დოკუმენტებს არ ჰქონდათ ნუმერაცია, ლეგენდები. პუბლიკაციის მეცნიერული დონე დაბალი იყო.

დოკუმენტების ამ სამ კრებულს, მიუხედავად წყაროთა პუბლიკაციის დაბალი მეცნიერული დონისა, თავისი ღირებულება დღეაც არ დაუკარგავს.

ძალიან ხშირად, 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის მკვლევრები, ისტორიული პროცესების ანალიზისას ამ დოკუმენტებისა და მასალების ზემოდასახელებულ კრებულებს ეყრდნობიან.

ამგვარად, 1917—1920 წლებში ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ, მიუხედავად დროის მცირე მონაკვეთისა, სოლიდური წყაროთმცოდნეობითი ბაზა შეჰქმნა საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიოგრაფია დაღმავალი ხაზით წავიდა. ეს ისტორიოგრაფია კიდევ დიდხანს ცოცხლობდა და სათანადო ნაშრომებსაც აქვეყნებდა საზღვარგარეთ, მაგრამ ეს უმთავრესად ემიგრანტული ისტორიოგრაფიაა, რომელიც ადგილობრივ ნიადაგს, თავის ხალხს იყო მოწყვეტილი და ქართული ისტორიული აზრის განვითარებაზე გავლენას ვერ ახდენდა. საზღვარგარეთ აქტიურად იღწვოდ-

---

95 ამიერკავკასიის რევოლუციური საბჭოთა ორგანიზაციების ოქმები, ტ. I. თბ., 1920 (რუს. ენაზე).

ნენ კ. შავიშვილი, ა. ნათიძე, ხომერიკი' და სხვები, რომლებმაც არა ერთი ნაშრომი გამოაქვეყნეს საქართველოს ისტორიაზე, სადაც ჩვენთვის საინტერესო პრობლემებიც იყო განხილული. ჩვენ აქ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოსულ მხოლოდ იმ ლიტერატურას შეეხებით, რომელიც საბჭოთა მთავრობის ნებართვით საქართველოში იქნა გამოცემული.]

1921 წელს თბილისში ცნობილმა ისტორიკოსმა გრ. გიორგაძემ გამოსცა პატარა წიგნაკი „საქართველო, ანტანტა და რუსეთი"[96], სადაც ის ხაზი იყო გატარებული, რომ ქართველი მენშევიკები შეცდომებზე ქართველ ერს პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა.

გრ. გიორგაძემ წამოაყენა ისტორიული კონცეფცია საქართველოს საგარეო ორიენტაციის შესახებ. მისი აზრით, საქართველოს შინა საქმეებში არ ერეოდნენ არც გერმანელები და არც ინგლისელები. ქართველი ხალხის აღშფოთებას იწვევდა ინგლისის ცდა, რომ საქართველო საოკუპაციო ტერიტორიად გამოეცხადებინა. წიგნის ავტორის სამართლიანი აზრით, ქართველი ხალხი რუსეთთან კავშირს დიდი პატივისცემით ეპყრობოდა და 1920 წლის ხელშეკრულებას დიდად აფასებდა. საქართველომ სახელმწიფოებრიობა აღიდგინა და ამ სახელმწიფოებრიობას ახალი, საბჭოთა ხელისუფლების დროს მოვლა-პატრონობა უნდოდა.

1924 წელს პარიზში რუსულ ენაზე გამოვიდა ცნობილი ქართველი ბურჟუაზიული მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის ზურაბ ავალიშვილის წიგნი „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918—1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. მოგონებანი, ნარკვევები"[97]. 1925 და 1929 წლებში ამ წიგნის ქართული თარგმანი ცნობილი ბოლშევიკის შ. ელიავას წინასიტყვაობით ორჯერ იქნა თბილისში გამოცემული.

ზ. ავალიშვილს ამ წიგნში ისტორიულ ნარკვევებთან ერთად, დიპლომატიური მოღვაწეობის მოგონებებიც აქვს დღიურების სახით გამოქვეყნებული. ავტორის აზრით, კარგი იყო, რომ საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს ქვეყნის სათავეში სოციალ-დემოკრატიული პარტია იდგა. მაგრამ ამ პარტიის საქმიანობაში ის ერთ მეტად არსებით უარყოფით მხარეს შენიშნავდა. საქართველოში სოციალ-დემოკრატია (მენშევიკები) სახელმწიფო ხე-

---

96 გრ. გ ი ო რ გ ა ძ ე, საქართველო, ანტანტა და რუსეთი, თბ., 1921.

97 ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918—1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები, პარიზი, 1924 (რუს. ენაზე).

ლისუფლებას ანხორციელებდნენ პარტიული დოქტრინით და არა სახელმწიფოს მართვის ხელოვნებით.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების წინა ხანებში საქართველოს მთავრობა ისე სუსტი და უუნარო იყო, რომ მის დასამხობად წკიპურტი იყო საკმარისი, რადგან ეს ხელისუფლება უფროსოციალური დემაგოგიის მთავრობა იყო, ვიდრე დემოკრატიისა და ეროვნული პოლიტიკისა.

ზ. ავალიშვილის აზრით, აგრარული რეფორმის გატარება აუცილებელი იყო. მაგრამ მენშევიკებმა ეს რეფორმა ისეთი სახით გაატარეს, რომ ის არ შეესაბამებოდა საქართველოს დიფერენცირებულ სოფელს. ამ რეფორმამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მიწის მესაკუთრეთა უმეტეს ნაწილს. ამ რეფორმის შედეგად გლეხებმა მიწა მიიღეს და სამაგიეროდ დაკარგეს პოლიტიკური ინტერესები — ისინი აღარ ებრძოდნენ გარეშე მტერს.

ავტორი მენშევიკების ხელისუფლებას აკრიტიკებდა და განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ მათ ვერ შეძლეს არმიის მოწყობა, ვერ გაატარეს საჭირო საგარეო პოლიტიკური ხაზი, რის გამოც საქართველო სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა.

ზ. ავალიშვილი ამ წიგნში მოუთხრობდა იმას თუ თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ როგორ დაიბადა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა. რევოლუციის შემდეგ არავინ არ ფიქრობდა საქართველოს სახელმწიფოს აღდგენაზე, მაგრამ ყველა ხედავდა, რომ მისი მართვა ძველებურად, სამხედრო-პოლიტიკური მეთოდებით შეუძლებელი იყო. 1917 წ. მარტში პეტროგრადში მცხოვრებ ქართველთა კრებაზე სიტყვით გამოვიდა დიდი ქართველი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი და კრებამ მიიღო სათანადო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა საქართველოს საკუთარ სახელმწიფოებრივ წესრიგს; მაგრამ ეს სახელმწიფო რუსეთის სახელმწიფოთა კავშირში უნდა დარჩენილიყო. ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს პოლიტიკური ტრადიცია ახლებურად წამოაყენა.

ავტორის აზრით, სოციალ-დემოკრატიამ (მენშევიკებმა), რომლებიც საქართველოს ავტონომიის იდეას ებრძოდნენ, ეს პოზიცია დროებითი მთავრობის დროსაც შეინარჩუნა. ისინი საქართველოს სახელმწიფოს შექმნის პოზიციაზე მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დადგნენ, მაგრამ არ ფიქრობდნენ რუსეთთან კავშირის ვაწყვეტას. ამიერკავკასიამ არ ცნო ოქტომბრის რევოლუცია და მისი დამოუკიდებლობის გამოცხადება გამოწვეული იყო პრაქტიკული აუცილებლობით — ზავის საკითხით. საქართველოს დამოუკიდებლობის

გამოცხადებას ზ. ავალიშვილი მხოლოდ საგარეო ფაქტორების შედეგად თვლიდა.

ზ. ავალიშვილი ამ წიგნში საქართველოს საგარეო ურთიერთობის თითქმის ყველა საკითხს განიხილავდა და შესაბამის ისტორიულ კონცეფციას იძლეოდა. ეს წიგნი, მართალია, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ იქ კარგად იყო ნაჩვენები მენშევიკური მთავრობის საგარეო პოლიტიკის მცდარი ხაზი, მენშევიკების უუნარობა, მოეწყოთ ეროვნული სახელმწიფო, დაემყარებინათ ქვეყნად წესრიგი, მოეგვარებინათ მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობა. წიგნის ავტორის აზრით, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის დაპირისპირება მენშევიკური მთავრობის საგარეო პოლიტიკის ბრალი იყო. ასეთმა პოლიტიკამ საქართველო სრულ იზოლაციაში მოაქცია. საბჭოთა რუსეთთან ცუდ ურთიერთობას ზ. ავალიშვილი სამწუხარო მოვლენად მიიჩნევდა.

1927 წელს თბილისში გამოვიდა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის „მოგონებანი, 1917—1925"[98]. გ. მაზნიაშვილი ცნობილი სამხედრო მოღვაწე იყო და 1917—1921 წლებში საქართველოსა და მეზობელ ქვეყნების თითქმის ყველა სამხედრო კონფლიქტში მონაწილეობდა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ის ემიგრაციაში წავიდა. შემდეგ იქიდან მალე დაბრუნდა და აქ მემუარები გამოსცა. წიგნი დაწერილი იყო პირადი შთაბეჭდილებებით. ისტორიულ დოკუმენტებს ავტორი იშვიათად იმოწმებდა. გ. მაზნიაშვილის მემუარებში, რომელიც ისტორიულ წყაროს წარმოადგენს, გამოთქმული იყო არაერთი მოსაზრება საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე, საომარ ოპერაციებზე, სამხედრო-ორგანიზაციულ საკითხებზე.

1928 წ. თბილისში გამოვიდა გრიგოლ ვეშაპელის წერილების კრებული „ახალი საქართველო"[99]. კრებულში დაბეჭდილი წერილები ავტორმა ემიგრაციის წლებში (1924—1926 წწ.) დაწერა. აქ მოცემული იყო მთელი რიგი მოსაზრებებისა 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის საკითხებზე. გრ. ვეშაპელმა ემიგრაციაში ყოფნისას გაიმეორა 1921 წელს დამფუძნებელი კრების სალიკვიდაციო სხდომაზე მის მიერ ბათუმში, ნათქვამი სიტყვები: „იყო ომი და დამარცხება არა საქართველოსი რუსეთის მიერ, არამედ მენშევიზმის ბოლშევიზმის მიერ". ამ წერილებიდან ჩანდა, რომ გრ. ვეშაპელი საბჭოთა ორიენტაციის მომხრე გამხდარიყო და მწვავედ აკრიტიკებდა არა

---

[98] გ. მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი. მოგონებანი, 1917—1925. ტფ., 1927.

[99] გრ. ვ ე შ ა პ ე ლ ი, ახალი საქართველო, წერილების კრებული, 1924—1926, ტფ., 1928.

მარტო ქართველი მენშევიკების წარსულ საქმიანობას, არამედ არ ინდობდა ეროვნულ-დემოკრატების ლიდერებსაც კი.

1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ჩაისახა და ყალიბდებოდა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდგომ ხანაში. ვერც ბურჟუაზიულმა და ვერც წვრილბურჟუაზიულმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ ვერ მოასწრო ერთიანი ისტორიული კონცეფციების შექმნა. ეს კონცეფციები ძალზე დიფერენცირებული იყო და მის შექმნაში მონაწილეობდნენ, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსები, ისე პოლიტიკური მოღვაწენი და პუბლიცისტები. მათ შექმნეს არა ერთი საინტერესო ისტორიული ნაშრომი, მოასწრეს სოლიდური წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ჩვენში 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის არამარქსისტული ისტორიოგრაფია ვეღარ განვითარდა. ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა ისტორიულმა კონცეფციებმა თავშესაფარი ემიგრანტულ ისტორიოგრაფიაში ჰპოვა. მაგრამ საზღვარგარეთ გამოსული ლიტერატურა გავლენას ვერ ახდენდა ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე.



სახელთა საძიებელი

ავალიანი ს. 249—252
ავალიშვილი ზ. 5, 261—263
ალექსანდრე III 208
ალექსეევა გ. 61, 62
ალექსეევი 34, 35, 100
ანდრონიკაშვილი ლ. 74
არისტოვი ფ. 244
ასათიანი ალ. 242, 243
ასათიანი ვ. 224
ასათიანი ლ. 259

ბარათოვი 96
ბაუერი ს. 208
ბენაშვილი ა. 74
ბერია 155
ბერიძე ვ. 71.
ბერძენიშვილი ნ. 17, 75, 80, 134
ბესიკი 195
ბიბინეიშვილი ბ. 128—130
ბრუმენტალი 106, 107

გაბისონია გ. 155
გეგეშიძე ე. 112
გეგეჭკორი ევგ. 26, 27, 47, 181, 183, 259
გედევანიშვილი ი. 152
გეხტმანი გ. 74
გვაზავა გ. 213—215, 218
გელესიანი ი. 236
გიორგაძე გრ. 261
გიორგი XII 221
გობეჩია ვ. 212
გოგებაშვილი ი. 172, 180
გოგიჩაიშვილი ფ. 74
გოდაბრელიძე ს. 101—104
გოლიცინი 169
გომართელი ივ. 188—194
გორდელაძე კ. 85, 86
გრიგორიევი 124

დავით მეფე (აღმაშენებელი) 210, 218
დანელია ს. (დარიანი ს.) 252—254
დარჩიაშვილი ელ. 161, 177
დევდარიანი გ. 86, 88, 153, 154
დენიკინი 99, 124, 125, 236
დრაბკინა ე. 153

ილიავა შ. 94, 95, 261
ენგელსი ფ. 39, 62, 68, 165, 190, 244
ენუქიძე ა. 129
ერეკლე მეფე 217, 219, 221
ერქომაიშვილი ა. 155

ვაინშტეინი ო. 64
ველიჩკო 168, 169
ვეტცელი 128
ვეშაპელი გრ. 216—218, 240—241, 246, 263
ეორონცოვ-დაშკოვი 169, 198. 203
ეორონცოვი 250
ვრანგელი 32, 33, 38

ზუბალაშვილი 244

თალაკვაძე ს. 82. 83, 96—98. 111, 113. 155
თამარ მეფე 218
თაყაიშვილი ექვ. 74
თოდრია ს. 111
თოიძე ლ. 94, 125
თელია ს. 155

ია შვილი პ. 140
იმნაიშვილი ა. 111
ინგოროყვა პ. 247
იოვიძე ი. 152

კალაძე რ. 95, 96—100, 112, 113, 155
კვანტრე ქს. 109
კარიჭაშვილი დ. 74
კაუცკი კ. 20, 208, 229
კაკარავა ი. 12
კვაკაძე ს. 121
კეკელიძე კ. 74
კერენსკი 46
კერზონი 38
კეცხოველი ლ. 83, 95, 128, 129
კიროვი ს. 24, 25, 34, 38, 39, 78
კოპალეიშვილი მ. 236
კუხალეიშვილი ს. 112

ლასხიშვილი გ. 11
ლაფანაშვილი გ. 143—145
ლეკიშვილი ს. 138—140
ლენინი ვ. 10, 13—24, 32, 34, 35, 38—40, 61, 62, 64, 67, 68, 93, 110, 123, 124, 133, 136, 137, 140, 158, 159, 161, 165, 175, 230
ლომაკინი არკ. 68.
ლომოური თ. 71, 77
ლეკავა შ. 150

მასნიაშვილი გ. 5, 11, 34, 140, 263
მამრაძე გ. 254—257
მანუილსკი დ. 124
მარი ნ. 63, 73, 75, 76, 86, 214
მარსელ-პაონი ა. 214
მარქსი კ. 39, 62, 68, 128, 165, 190, 244
მასლოვი 106
მაკავარიანი 237
მახარაძე ნ. 12, 41
მახარაძე ფ. 4, 41—43, 45—58, 79, 83, 86—89, 91—94, 96—98, 113—121, 127, 153—155, 209
მელქაძე ი. 155
მენშიკოვი 208
მეფხი ს. 168
მიქელაძე კ. 242
მიქიანი ა. 24

ნათაძე გრ. 74, 88, 152
ნათიძე ა. 261
ნევსკი ვ. 65
ნეჩკინა მ. 8
ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (დიდი მთავარი) 198
ნინოშვილი ეგ. 83, 95, 245
ნუცუბიძე ვ. 111
ნუცუბიძე შ. 73

ოლმინსკი მ. 61
ორაგველიძე კ. 78—81, 86, 130—138
ორახელაშვილი მ. 24, 86, 113, 116, 121—123, 128, 139, 154, 159
ორჯონიკიძე გრ. 24, 25, 34—39, 56
ოქუაშვილი არაქ. 95

პავლე I 221
პალმი 208
პეტლურა 124
პეტრე I 249
პლეხანოვი გ. 209, 230
პოკროვსკი მ. 7, 60, 65, 67, 68, 147, 153
პოლიევკტოვი მ. 74, 152.
პრეევალსკი 26

ჟდანოვი ა. 78
ჟორდანია გივი 221
ჟორდანია გ. 220—222
ჟორდანია თედო 220
ჟორდანია ნ. (ქოსტროეი, ანი) 5, 26, 27, 47, 107, 139, 146, 148, 149, 160—184, 202, 206—209, 228—230, 234, 239, 245, 253, 258
ჟღენტი თ. 84, 86, 88, 123—127, 138

რამიშვილი ნ. 106
რატიანი პ. 2
რეისნერი მ. 60
რუსთაველი 214
რცხილაძე გრ. 195—200

ხაღვარელიძე პ. 110, 111, 152.
ხეფი ს. 146—150, 152, 153.
სტალინი ი. 25—35, 38, 39, 43, 63, 84, 85, 95, 129, 138, 155
სტაროვსკი ა. 226
სტოლიპინი 43
სტურუა ვ. 112
სულიაშვილი დ. 152
სერგულაძე აკ. 12
სურგულაძე პ. 222, 223, 241, 242

ტიმოშკინი 208
ტოკინი ი. 68
ტოროშელიძე მ. 4, 88, 90

ურუტაძე გრ. 94
ურუწაძე ამბ. 141, 142

ფეოფილაქტი (ეგზარქოსი) 184
ფირცხალავა ი. 150
ფირცხალავა ს. 234—236

ქართველიშვილი ლ. 124, 133
ქემალ-ფაშა 107
ქიქოძე გ. 244—246

ღამბაშიძე გ. 56
ღარიბაშვილი ნ. 155
ღლონტი თ. 11, 73, 104—109, 166, 200, — 211, 239, 240

ყიფშიძე ი. 255.

შავიშვილი კ. 261
შანიძე აკ. 74, 248
შაფირი ი. 153
შენგელაია ლ. 224, 225

ჩარკვიანი კ. 137
ჩიჩერინი გ. 34, 94
ჩიხლაძე ს. 83
ჩოდრიშვილი ზ. 95

ჩოდრიშვილი მ. 83
ჩუბინაშვილი გ. 74
ჩუბინაშვილი დ. 248
ჩხეიძე ვ. 150
ჩხეიძე კ. 181, 183, 237
ჩხენკელი ა. 47, 161, 177, 184—187, 237.
ჩხეტია შ. 152

ცაგარელი ალ. 247—249
ცაგარელი კ. 236—239
ცხაკაია ნ. 4, 58, 83, 86, 95, 124

ძნელაძე ვ. 112

წერეთელი აკ. 172, 180
წერეთელი ალ. 74
წერეთელი გ. 245
წერეთელი გრ. 74
წერეთელი ვ. 218—220
წერეთელი ი. 235
წულუკიძე ალ. 83, 129

ჭავჭავაძე ილია 98, 130, 160, 163, 165, 168—170, 172, 180, 220, 255

ხაჭაპურიძე გ. 73, 89, 120, 145, 146

ხომერიკი ნ. 231—233, 261
ხუნდაძე გ. (ა. მოსკოვსკი) 230, 231
ხუნდაძე ს. 73

ჯავახიშვილი ივ. 73—75, 80, 247, 255, 262
ჯანაშია პ. 112
ჯანაშია ს. 71, 73—76, 80
ჯაფარიძე პ. 4, 128
ჯიბლაძე ს. 95
ჯორბენაძე ს. 73
ჯორჯაძე არჩ. 186, 202, 207, 210, 253, 255
ჯორჯიკია ნ. 201
ჯუღელი ვ. 259

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

თავი პირველი

1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფია

§ 1. საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიის მარქსისტული კონცეფციის ჩასახვა 14

§ 2. 1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის მარქსისტული კონცეფციის შემდგომი განვითარება 59

თავი მეორე

1917—1921 წლების საქართველოს ისტორიის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ისტორიოგრაფია 157

УШАНГИ ИОСИФОВИЧ СИДАМОНИДЗЕ

Историография буржуазно-демократического движения и победы социалистической революции в Грузии (1917—1921 гг.)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი
ტექრედაქტორი ნ. ე ბ რ ა ლ ი ძ ე
კორექტორი ლ. ჯ ა შ ი

გადაეცა წარმოებას 2. II 1970; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. VI. 1970;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 16,75; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 15,08; უე 01351; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 304;
ფასი 1 მან. 39 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15